ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

5

1977



აკადემიკოს ილია ვეკუას 70 წელი შეუსრულდა

ჟურნალ „ცისკრის“ რედაქცია, მისი მრავალათასიანი მკითხველი, გულმხურვალედ მიესალმება სასიქადულო მამულიშვილსა და დიდ მეცნიერს, უსურვებს ჯანმრთელობას და შემოქმედებით გამარჯვებებს სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სისკარი

240

გამოცემის მეოცე წელი

5

მაისი

1977

თბილისი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

შინაარსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროზა, პოეზია

3. რევაზ ხომერიკი — გამარჯვებული მოდის მაისი!.. ლექსი
4. მაია ჯოხაძე — გიჟი ფოკოლადით. მოთხრობა
14. ვახტანგ ჯაფარიძე — ფიგნინდა. „მარტი, აპრილი, მაისი“. ლექსები
20. მანანა აპალიშვილი — მოთხრობები
27. ეთერ სახვლავი — ლექსები
30. გოდერძი ჭეიშვილი — აგვისტოს სამი დღის ქრონიკა. მოთხრობა
49. ვაჟა დოლბაია — ლექსები
51. რამაზ კობიძე — გათუმი-თბილისი. მოთხრობა
56. ვახტანგ ხარჩილავა — ლექსები
59. გია ლომაძე — მოთხრობები
65. კიმი ალიაშვილი — კომპები. მოთხრობა
69. გივი ბერაძე — მოთხრობები
79. ელგუჯა მერაბიშვილი — ფოთოლცვენა ოლოლების ტყეში. მოთხრობა
85. დავით ასკურავა — მოთხრობები

ახალი თარგმანები

91. უნგრელი პოეტები — თარგმნა თედო ბეჭაშვილმა
95. არტურ რიმბო — ევანგელური პროზა, ფრანგულიდან თარგმნა ნესტან იორდანიშვილმა

ნარკვევი

96. ლევან ფაფუნაძე — ეთნოგრაფიის დღიურიდან
105. 70 — კარლო კალაძე — 70
106. გრიგოლ ჯულუხიძე — „ი

რევაზ ხომერიკი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ ხომერიკი დიდი სამამულო ომის მონაწილეა.

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ მუშაობდა საბჭოთა ავიაციის სხვადასხვა შენაერთებში გამომცდელ-ინჟინრად.

ამჟამად ეწევა სამეცნიერო მუშაობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

გამარჯვებული მოდის მაისი!..

აჰა, ბრწყინვალე
  მოდის მაისი —
    მოაქვს სილაღე,
      მოაქვს ხალისი!

სიგყვა გავარდა —
  მეხის დარადა,
    გავარდა სიგყვა —
      გაინავარდა!..

ელავს მაისი!
ღელავს მაისი!
სულ იმაისოს —
  იყოს აისი!..

      არ ამძიმებდეს
        მის ცას ავდარი!
დე, სამაისო
  ფერთა სადარი —
    ყველას გვქონოდეს
      გულში ხალისი, —

გამარჯვებული
მოდის მაისი!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაკა ჯოხაძე

ბიჭი შოკოლადით

(ძეგლიზრეობა)

I

მისი ბავშვობა თბილისის ერთ-ერთი უძველესი უბნის პატარა ეზოში ჩაიფია. ოთახივით ეზო იყო. ოთხკუთხედი, სუფთა და ფერადი.

დილიდან დაღამებამდე ვის არ ნახავდით ეზოში შემოსულსა და გასულს (ბაბულიას სიტყვებით რომ ვთქვათ), ითასი ჯურის მამაძალი — მემწყვანიე, მემაწყნე, მხატვარი, მარჩიელი, მომდერალი, მეეფვიელე და კახპა მუსლს ასვენებდა ეზოში. იდგა ერთი გაუთავებელი ყაყანი „ამოდი-ჩადის" ძახილი, „ოცი კაპიკი გადმომგდდეს", „ვაცივდა საკმელი, ვაგიცივდა გულ-მუცელი", „ბარო, ხვეტლად, შე ძველო" და ასე წამდაუწუმ ერთმანეთს ენაცვლებოდა ქართულ-სომხურ-თბილისური ეარგონი. ერთმანეთში არეულიყო ჩიხირთმის, ნაპოლეონისა და „ერეკნის სითხის" სუნი და მთელი დღე ვეება ოორნნესავით ხუოდა და გადახურდა ძველი, ჩამცხვარი ეზო.

ბავშვები კი, ბავშვები თორნის ფუაქეზე დაყრილი ფიჩხები იყვნენ, რომელთა გამოც ღღეში ასჯერ მაინც ებრალებოდა ჩხუბის ვეებერთელა კოცონი შუაგულ ეზოში. ხმელი ხის რიყულებიდან, ქვევიდან ზედა აივნებისაკენ მიძერებოდნენ ნარინჯისფერი, ჯადოქარი ცეცხლის პატარ-პატარა, ენაკარტალა ალები. ერთბაშად იღებოდა ათიოდე კარი და სართულიდან სართულზე ისმოდა გარეთ გამოყრილი უფროსებების ლანძღვა-გინება, მუქარა და ფაანა-ხეტიები გაფრთხილება.

შინაგან ცეცხლსა და გნიასს ნავთივით ეახმოდა ქუჩიდან შემოსული მღერიე ნაკადი. ხელმოკავრულ დილეტანტთა ჭრელი ხროვა ზამთარ-ზაფხულ დაძოწოდა პატარ-პატარა ეზოებში და ვაკრობდა აშკარად, უსირცხვილოდ ვაჭრობდა ყველასთან, ყველაფერზე. ყველაფერით.

ახეთ ატმოსფეროში გოგონას ბავშვობა ერთი შეხედვით უდრტვინველ, ერთფეროვან და ვულგარულ ბერს ატარებდა. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით.

ბაბულიას უცხვირპირო ქალის სახელი ჰქონდა მეზობლებში დაფარდნილი. გოგონა ამას ღრმად განიცდიდა. ამის გამო იშვიათად (თვეში ერთხელ) თუ გაუწვრედა გული ეზოში სათამაშოდ. იჯდა თავისთვის წრეგნებთან ან ინსტრუმენტთან და უკრავდა საათობით. ლიდა ბებია, შესაძე სართულიდან ეტყობა გოგონას მეცადინეობით ძალიან იყო შეწუხებული და კიბესთან მომწყვდეულს ხშირად ურჩურჩულებდა: რას უკაკუნებ, შვილო, ამისთანა გაუთავებელს... საკვედურს ერთხელ ბაბულიკამაც მოჰკრა ყური და „ობოლ-ამელების გვარ-ჯიღაგს მისდევენ არ ღირსებია ოპერაში ფეხის შედგმა, რაა ახლა ვითომ, მეც რომ გამიკვირდა, შენ საიდან უნდა გაგეგო მოცარტის ფასიო" — უთხრა ლიდა ბებიას.

მწარე ენა ჰქონდა ბაბულიას. ერთხელ ხუსანას მამი აივნის წინ ნახევრად გაფეხილი სარეცხი აკრეფინა. გაავფრენდუმა მეზობელმა საკვეკლინდ წამოსძახა: „შენს ხარ დედა? ბიჭს ანგელოზივით გოგო გაგაგდებინე, ქონებისათვის ვიღაც ჯოჯო ათხოვნინეო".

ბაბულიამ, რაღა თქმა უნდა, არ შეუჭამა მტრის ჯავრი და მოსწრებული სიტყვა დაუბრუნა „ლოთი ეოორის ცოლს".

ხალამოობინს, ვინაშვილისას, როცა გოგონამ იკითხა, თუ რას ერჩოდა ბაბულიკა ხაწყალ ხუსანას, უადრესად ბანალური „პასუხი მიიღო: „ლოჩის ტალს რომ ფეხზე დაისვამ, ზომ იცი, სადაც ბაკაოდება მერე, არ მაკვს ჩე მაგის ხაბალაზო თავი".

ბაბულიკას ლოგიკით მეზობლის ვინაობის დადგენაზე უფრო გოგონას უკვე იმ ხაიდუმლო ადგილის გახსნა აინტერესებდა, რომლითაც ჩვეულებრივ შეკრულია ცხოვრების ერთ-ერთი ხამეუფოხლიდი.

ამ ხამეუფოხლიდან „ბიჭი" — გოგოს მამა იყო, „ანგელოზივით ქალი" — დედა. „ჯოჯო" კიდევ ხაეკვარელი. ე. ი. ქალი, რომელიც მამამისს

ამქვეყნად ყველას და ყველაფერს ერჩია — ფიქრობდა გოგონა მაშინ გულუბრყვილოდ.

„ეხეი ინ დღეში ერთხელ მაინც შეიგულდები მათთან. ისადილებდე, დაიბანდეა, გაიაპარხავდეა, გამოიცვლიდეა, მაკულიეა-პაკულიეკო, — ტაკუზე ხელს მოუტაკაუნებენდა გოგონას და დასაძინებლად ისე თავის ჯოკოსთანა გარბოდეა.

„ანგელოზივით გოგო“ ე. ი. დედა, ჩუმჩუმად ნახულობდა სკოლაში შვილს. გამოიყვანდა შუა გაკვეთილიდან და ისხდნენ მერე სკოლის ეზოში ცეცხლფარფშინან ჩაკეტილიები.

ვინც წვიმა ყოფილიყო ზაფხეა, ვინც ქარი ქარიშხალთი, ალარ აწუუბედთი არაფერი. იმ წუთებში ხომ მაინც ფარავდიან უბადრუკი, ნაოხოცარი, მაგრამ საერთო ბერი. ეს იყო მთავარი. ისხდენენ და დიდხანს საუბრობდნენენ. უფრო სწორად კი არ საუბრობდნენ, მიისუტებენდა ლამაზი ქალი გოგონას ბაბთენიან პატარა თავს მკერდთან და ჩკოცნიდა, ჩკოცნიდა გაუთავებელად. თან ჩუმად მაგრამ მხურვალედ ხდიდა ცრემლები. ამ დროს მარცხნივ, ზუსტად მკერდკენტ ტკოოზე გოგონას რაღაცა და არაფერი კვეენნენ ამ უცხო ქალთან ისე არ ანსლოებდა, როგორც ეს ტკეენი. რაკომდეც ამ ტკეენით გოძნობდა, ხვდებოდა, რომ მისი ალერსიც, მისი პატარა ხელიც საოცრად ჰჭირდებოდა ვიღაცას. ტკეენიდე კარნახობდა საუთარ უფლებას და იმას, რომ ქალის კალთისკენენ შეუფფეული ჯდომა არ კმარიდა მარტო. არამედ თავადაც უნდა ჩაუფეტებოდა, მთელი ძალით, ორივე ხელით მოხვეოდა ქალს ყელზე და დიდხანს ეკოცნა მისთვის მტარალი თვალეებში, ცოტამლიან ლოყებზე, კისერქვეშ, მკერდში. გოგონამ მხურვალედ სურდა ასე რომ მოფცეფულიყო და მაინც უფერხულად, მოუხეშავად უხვამდა ქალის ქაჯკთა მკლავს ერთს და იმავე ადგილას თითებს. ეს იყო და ეს. მეტი მოფერება გოგონამ არ იცოდა ჯერ.

ზეკლობდა და მაინც უნდოდა, რომ ასე ქალის კალთაში თაეჩარეულს დიდხანს, უსაშველოდ დიდხანს ესმინა ოდნავ გაბზარული, სევდიანი ხმისთვის. მისი მონანინე დაკეშსილი სიტყვეებისთვის, რომ იგი არ იყო დამნაშავე ეზეკლის მერე ახე ქურდულად რომ ნახულობდა თავის ერთადერთ ქალიშვილს, რომ კი არ მიატოვა, მიატოვებინეს, აიძულეს და მიატოვებინეს პატარა მაიკო. რომ არ იყო, არაფერში არ იყო დამნაშავე და ამ „არ იყო დანაშაეშეეს“ იმეორებდა უთავბოლოდ, ზუმდაეუწუმ, ხმაადახმაენირად. მეტს სულ არაფერს ამბობდა. არ ამბობდა, რომ ბაბოლიკა ავი ქალია, ეზარეენეზარეე ენა აქვს და ეს შავგული ბებერი ეზოში არავის უყვარს. არ ამბობდა, რომ მამა არხენინი, ფრაბე კაცია და ქალივით პრანჭიკეეკა. არც იმ უცხო დედაკაცსე ამბობდა ჯოჯოაო და ამას რომ არ ამბობდა, სწორედ ამიტომ სჯერთოა გოგონას მისი. სჯერთოდა და უსაშველო სითბო ეიღრებოდა ხსნეულში. ხსეულში არა, პირიკაირი ბუნეში. ეფეკ ერებოდა ნელ-ნელი წვეთიწეეთი და ეთანდათან უსაზღერო თანაგრძნობით ივსებოდა ქალისადმი. ქალიც უსაზოოდა, რომ თურმე ამქვეყნად სხვებივით მასაც ჰყოლია დედა და მარტო კი არ ჰყოლია, ჰყვარებია კიდეც დედამისს.

გუნებაში ფიცს სდებდა, რომ აღარასოდეს, აღარასოდეს აღარ იტყოდა ნათესავებთან ამ უნიეო, ხასნილ, ლეკსივით გაზეპარებულ ხატეკეებს: „ლამაზი ქალი, რად გინდა მერე... დახაკე ქკაზე და უეურე, ვათბეი ამით ვითომ?“ გოგონას ერიდებოდა ამ მეკანიკური, უაზრო სიტყვეებისა, სამარცხვინო მემკვიდრეობად რომ მიეღო მეზიისაგან. მას უხაროდა, რომ ამიერიდან ვეღარასოდეს შეუხლებდა მათ განმეორებეს და ჩუმად დასტაროდა დედის უბედობას.

ქალი თურმე თავადაც უდედოდ ყოფილა გაზრდილი. რომ ლუკმაპური თავისთვის უერიდა და მიაკოს წაყვანას როგორეი გაბედავდა. წაყვანა სიკვდილს უდრიდა. ქალი წუეველდა სიღარიბეს, გამოუდელოობას, წუეველდა საკუთარ სილამაზეს, არარსებულ სიყვარულს, თავის ბედ-იღბალს, უბინაობას, მიუსაფრობას და როცა ყველაფერ ამას გოგონა ბოლომდე იკერეტდა, სწორედ ამ წუთებში ხდებოდა ყველაზე მეტად ბედნიერი. ერთგულო

�იყო, გაშზრდელი პაბულიკა, რომელსაც ბავშვი ვერ დახტოვებდა.

თითქმის მთელი წელი გრძელდებოდა საიდუმლო შეხვედრები. იმ დღეს საკანგებოდ ლამაზი და მხიარული ჩანდა დედა. მოსდა კაოოარად, 10 ინვანი თურმე დედასაც ამსოედა და დაბადების დღის ალსანშნავად მაიკოს მწვანე, ნაპოოი კაბა აჩუკა. კაბას მარჯვნივ მრგვალი ჯიბე ჰქონდა მიკერებული, ჯიბეზე ვეებერთელა წითელი სოკო იცინოდა. გოგონამ ვეღარ მოითმინა და ოორივენი ისევ სკოლის ეზოში, ცისფაორეფრაშინ ჩავიდნენ. არტაშა ძაა პერანგისაამარა წაკუზულიეო ავიზგზეზეთელ ფუმეთლად და ცეცხლში ნახშრის პაპარა-პაკარა ბეღლებს ისროდა.

ახალი კაბა პირდაპირ ფორმაზე გადაიცვა მაიამ. გაკვირვებულმა კაცმა კომპლიმენტი მაართვა პატარა ქალს „ვაჰ, მაიკოჯან, რა ლამაზზად გიხდებაა, აი...“ და მაშინვე გაახსენდა გოგონას, რომ ამ ბნელი, უბადრუკ სარდაფში სარკე რაა, სარკის ნატეხიც კი არსად ეგდო. ან რაში აკედი ძაა არტაშას სარკე. ბავშვის გონებას იმ წამში მიუწვდომელ ფუფუნებად ესახებოდა ფართო, გაფხეკილი, ძველთა-ძველი, მაღალი სარკე. მაღალი კი უთუოდ უნდა უთფილიეო, რათა ბოლომდე დაენახა საკუთარი თავი ქალის ნაჩუქარ კაბაში. მხოლოდ წუთით, სულ ერთი წამით თვალი უნდა მოეკრა საკუთარი ორეულისთვის და საბედაოდ ალებებედა ბეხნიერებაში მის გვერდით სეედინი ბიდნიერებით ალსავსე დედის ვეებერთელა თვალები.

ხახსაა მწვანეში გადაცმული, გოგონას უმწიფარი, სიხარულისაგან დამორცხვებული სხეული მთელი სიცოცხლე თან წაიღებდა ამ წამის სიხარსა და ფერადოვნებას. მომავალშიც თან გაკვეკვნდა მის გოგოობას, ქალობაოეობას, დაქალებას და ცოტათი მაინც გაათბობდა, შეფერავდა მის სიცივეს და ერთფეროვნებას.

მაგრამ სად იყო... არ ახდა ნატვრა. გაუბალდა ბინი დიდი სურვილი. სწორედ ამ დროს კი ათასობით ნათელსა და თბილ დარბაზებში, ვინ იცის, რამდენი ძვირფასი სარკე ეკიდა უკმად.

მერე ყველაფერი უცაბ მოხდა, თვალის დახამხამებაში. სარკმლიდან უკვე ხედავდა, როგორ იქნევდა მაპოოკა ხელებს, როგორ აქანცინებდა თავს, დოინჯშემოკრილი ფეხით ფორტუამდე მარჯვენა ფეხს დამრიგებელის წინ და ჯოუტად მოითხოვდა რაღაცას.

ქალი და გოგონა უკვე მის წინ იდგნენ. ჯერ ისევ ხელჩაკიდებულნი და დანნეულები.

მაპუოკა გაფფრიტენი მივარდა გოგონას და შეშლილა ხახით ისე დაუწყო სინჯვა, როგორც ყაკმიდან გადმოვარდნილ პატარებს სინჯავენ, რაიმე ხომ არ იღრძოო.

გოგონა ჯერ-ჯერობით საღი იდგა სრულიად გამოთიშული ელოდა რაღაცას.

რაღაცას კი არა! გოგონა ელოდა, რომ პაბულიკა ახლა ქალს მივარდებოდა და ალეიერად გაარტყამდა სახეში. ან უყურეს ერთმანეთისა გრძელი, საუკუნე ლაქაოსგან, ეკუალი სფერებული ფრჩხილებით, ან ზურგს მოქაჩავდა, ან რაღაცა ამდაგვარს ჩაიდენდა.

მაპუოკა კი ისევ ისე იდგა შუა კლასში გაწითლებული, ამოფრეფული და გაკვეთოოდა, რომ ყოოლა კი არა, აქვეკეუნდა არავის, არცერთ კანონსა და არცერთ მორალს არა აქვს ამის უფლება. როგორ გაბედეს ამ მასკარადის მოწუოობა. რომ ამ გომბოიმ, ამ ჩამოტყაუოლმა ძუნგამ, ახლა რომ ჩაუცვამს და ქალს დამზგავსებია, დაკრა ფეხი და ყველაზე ძმიმე წუოობში ლეკვივით მიაგდო ზეალი. იმ დროს მიაგდო, როცა უფიქოდ ბავშვი ორ საათზე, დიახ ზუხტაგდ ორ საათში ზეიმლება ხელში ჩაგაკვდეს.

ხოლო რაც ზეეხება მას, რა თავგადაკლული ბებიაცაა ეს ყველაპ იცის. რომ მაიკოს ცივ ნიავსაც არ აკარებენ, რომ ბავშვს ჯერ ფრჩხილიც არ სტკენია და დაუფიქრებლივ, უფალაარაკად სრულდება მისი ყოველი სურვილი და კაპრიზი ოჯახში. და ახლა, როცა ამხელი გაიზარდა მაიკო, როცა, თითით ჩაჩეენებელი მოსწველეე ზეეჭნა, როცა ისე უყრავს და მის მომავალზე უკვე ამდენს ლაპარაკობენ, სწორედ ახლა გამოჩნდა იგი. სწორედ ახლა უმიერებს ბავშვს. ეს ვინ იცის და სად არ ნთრევი ქალი, წაუვანას, წართმეეას. ამდენი წლის მერე ახლოდა ეახსენდა, რომ ზეალი ჰყავს. საერთოდ ეხეე საკვირველია, ან კი როგორ ეა ახსენდა. ყველა მდედრს ხომ არ შეუძლია იყოს დედა — ყველა ხომ ამისათვის არაა ქალად გაჩენილი. და რა უფლება გაკვთ თქვენ, პედაგოგებს, ხელი შეუწყოთ ამ სისაძაგლეს, ამ ტრაგი-კომედიას.

რა უფლება გაკვთ მომიკლთ ბავშვი. თუნდაც ასე, ამ მიზეზით, რომ მე მეეკვეეს, დიახაც მეეკვეეს მაგ ქალბატონის მორთულეული „მიშეკეთი“ მაიკოს დღეს შოეცლი ახტკეა, მოიწამეეს და მომიკვდება. ასეთი გაუბედურებელი და თავგზაბნეული ქალები დიახაც, რომ სჩადიან ამას, ოღონდ თავიანთი ცხოველური ინსტინქტები მოიკლნ და პატივმოყვარეობა მოიშუშონ...

გოგონა კი ვეღარაფრის გრძნობდა და ალარაფერი ესმოდა... იდგა იგი თავისთვის დაბნეული, გალიზიანებული, ალტკინებული ოდნავ თეატრალურიც და ბავშვურად წმინდად, გულუბრყვილოდ, სურდა ერთადერთი მართალი სცენის გათამაშება. გათამაშება კი არა, მართალი ამდენს. ის წუთებში ბავშვი მზურვალედ ნაკრთობდა, რომ (დედას არ სცოდნოდა) ჭეშმარიტად მოწამლეული ყოფილიყო შოკოლადის „დალუნეეი“ და თავადაც აქვე მომკვდარიყო. ოღონდ მერე, ვგიან კი არა, როცა მაპუოკა დაიღლეოდა და მის მზურვალე

სისხლშიც ზანტად გაწვეიბოდნენ მღვრიე ძარღვები, არამედ ახლავე, დაუყოვნებლივ ამ ხმაურსა და ოროტმტრიალში. ძალიან ლამაზად, ბუმბულივით მსუბუქად დაეცემოდა მათ თვალწინ და ბაბულასაკაკ ალარ ეკნებოდა ჩხუბის თავი. ერთად, გვერდგვერდ დიემბოზოდნენ ჩქადარ მიაკოსთან დედა და ბაბულიკა და სწორედ ამ წამში ადდებოდნენ მათი უცნაური ახლოსლობა. სწორედ ერთ წამში საოცრად ერთნაირი ფერის და ვემოსი იქნებოდა ამ ორი ქალის ცრემლი.

კაცებივნი არ ტიროდა. იდგა ბაბულიკა ამაკი, ძლიერი, ვერაგი მეკატრონე და გოგონა უკვე მის ფეიზთთან ჩაცეიცქერი პატარა გოშაად ქცეულიო. საოცრად უსუსური, წვრილი ხმა ჰქონდა გოშიას და მაინც იცოდა, რომ მისი შეყეფებით შეიძლებოდა ვეიებრეთელ კოშკის დანგრევა, მთელი წელი გულმოდგინედ რომ აშენებდა მიაკო. ამ კოშკის დამსხვრევა, გოგონას რომ უსაშველოდ მძიმე და ძლიერი ეგონა. გოშია ყეფდა, და ცვიოდნენ კოშკის ქედლებში დატანებული ჭოჭანა, წასნაკა კრისტალები. ცვიოდნენ და ეურებოდნენ უგუნერ თავზე თავი სტკიოდა გოშიაა, უსუსური ხრტალები ეწვოდა, მაინც გამალებით აგროვებდა ციმეთა, წასნაკა კრისტალებს.

აგროვებდა, ყეფდა და გვერდზე გახდდინა ეშინოდა. გვერდით ხომ დედა იდგა. უთუოდ ცრემლიანი და სიპასუხოდ შეჭართული. ყველაზე მეტად ამ პასუხისა ეშინოდა, ყველაზე უფრო ამ ხმის გაგონებისა და მოსმენისა. რაღაც ავადმყოფურად გრძნობდა, რომ დედა ვერ იტყოდა ჩვეულებრივ სიტყვებს, ისეთ ჩვეულებრივს, სახმარსა და სალაპარაკოს, როგორსაც სხვები. იგი საოცრებას ჩაიდენდა, უფრო საშინელსა და უმოწყალოს. და მას ეშინოდა, რომ ეს აკმაპამდე ჩუმად მდგარი გამომშვალი და გამოფიტული ქალი, იმ სიტყვის საპასუხოდ ბაბულიკამ, რომ „ოუნა“ დარქვა, ლაპარაკს კი არა, ტირილსაც კი არა.. ემოლის მორთავდა. ყველაზე უფრო საშინელსა და ამაზრზენ ემოლის მოეთს ქვეკანაზე.

და მაშინ... იციცხლეთ ერთ, აირეოდა ყველა და ყველაფერი.

ამ ხმის წინაშე ერთბაშად დაფრთხებოდა ყოველი სულიერი, ერთბაშად გაიტრუნებოდა მთელი ალსი, მთელი ქუჩა, მთელი ქალაქი. მთელი ქვეკანა გაიტრუნებოდა მაშინ ერთბაშად. გრუხუნით, ზეიმით დაინგრეოდა ყოველი კოშკი, ყოველი სახლი, ათასი უბადრუკი და ძმიმე შენობა. დაიწრიტებოდა ზღვისფერი აუზი და მის ფსკერზე აფართხალდებოდნენ მატუარა ოქროს თევზები, დაშრეტდნენენ მდინარეები, აიმდვრეოდნენ ნაკადულები, გაიპარებოდნენ ზღვები და ტბები. სულ ერთ წამში გაეკითხლდებოდნენ უმწეანესი, ხასხასა ტყეები, სადაც ჯერ ისევ ეფდა სუფთა ჩვილ ჰაერს. ზეზეულად დაამბეზოდნენ ალუბლისა და ვაშლის ხეები. ნირცხვილისაგან ფრთებს შეიტრუსავდნენ ულამაზესი ფეთრი პეპლები და ზზისფერი ყანაც მხლოდ დაბწვარ პურს შესთავაზებდა ქვეყანაზ.

და მაშინ, ვეებერთელა ნაპრალებად ქცეული მიწა ფეიზმოსაკად ადგილს ალარ დასტოვებდა განეკეს. ხახადაჩენილი, ეშმური, ნაპრალები ეკი პირველ რიგში თან ჩაიკაანდა იმ სახიერ სიტყვათა ჭეკებს, ჩირქი რომ მოსცხო ქალისა და ლეკვის სიყვარულს. შემდეგ ყველას და ყველაფერს. გოგონას უსაყვარლეს ზეკნებს, ნიუოებს, მეგობრებს, კლასელებს, ზოგმა რომ ეურჭრად გადაყარა და ზოგმა რომ სასწრაფოდ დაუბარუნა დედის მორთმეული „დათუნიები“.

ერთადერთი ბიკი გადარჩებოდა მხლოდ. ეუნან არაფრით გამორჩეული, გამხდარი, თმახუჭუჭა ბიკი, რომელმაც მოხიკა მერხეშუშა შეერთი „დათუნიები“ და იატკაზე ფეხმორთხმულმა ყველას თვალწინ დაიწყო ჯამა. იქდა ბიკი და გაფაციცებით არჩევდა ზოკოლადის პატარა სარქოფაკებს. იქვე, მის ვვერდით ზეავდებოდა ვეიცხლისფერი ბუჩუჭი ბერეშუმლა, რომელსაც ბავშვები გულწრფელად ფუოდებენ ოჭროს. ჭამდა ბიკი პატარა სასახლეებს, ჭამდა და ალარ უნდოდა, გული ეროდა, მაინც დეჭავდა და თან დაეინებით შესცქეროდა ყველას თვალებში.

— არ ვაბკდესო, — შეეშინდა ვიღაცას და ბიკს ყბის კუნთებმაც უფრო სწრაფად, ენერგიულად დაიწყეს მოძრაობა.

აი ეს ბიკი, ეს ერთადერთი ბიკი გადაურჩებოდა წარდენას. ბიკი კი არა, ის კაცი, რომელსაც ამ ბიკში ეძინა.

დადიოდა მერე კაცი გადაფხეკილ ენაყოფო მიწაზე და გულწრფელად უკვიროდა: „მართლაცდა, ამ უზარმაზარ მიწაზე რა დიდი ამპავი იყო ესუნთქა ხასხასა მწვანე ფერს და ერთმანეთი ყვარებოდა დედასა და ზვილს.

და უცებ... გოგონას გაახსენდა ყავრით დაზურული კი არა, ყავრით ნაგებ სიფრიფანა კოზში ერთი ჯამიდან მოხუცი ცოლ-ქმარი როგორ ჭამდა ღარიბი ბინჭრის უგრილეს ფსალს. საოცრად გადამდები გამხდარიყო ბებრული სიმყოდრეზე და სიცოცხლეში პირველად ინატრა გოგომ ასაკი. რა თავისუფლად, რა იოლად გაზწევდა მაშინ ბიკისაკენ. ლამაზად, ფაქიზად მიწვეიბოდა ოქროსფერ ზვინში და პატარა, მცირე ეპეზს გაუწვდიდა მეგობარს.

ბიკიც მასთან ერთად გაიყოფდა ამ უტკბეს ლუკმას.

მაკა ჯობავა
ბიჭი ზოკოლადით

II

მას შემდეგ გოგონას მეხსიერებაში არაერთხელ ამოტივტივდა ნაცრისფერი სკოლის დათოვლილი ეზო. გოგონამ იცოდა, რომ გაუკვალავ თოვლს ბავშვები არავის დაანებებდნენ. და მაინც შეუბილწავი სითეთრე გაწყლიანებოდა მოწყვნილ, გადეოდა ქალი ძვირფასი ეზოდან და გოგონასავთ პატარა, მსუბუქ ნაფეხურებს სტოვებდა.

შერე ამ ნაფეხურებს, სხვებთან ერთად, დიდხანს ეძებდა გოგო ქალაქის ვარეუბნებში. ეუფეკეინ, ადამსაკლური კვარტალში დაბინტადნენ გაზნაწილთ ქალები და ზურგით უკრეფელი ზალის უხეშ ქსოვილში გამოკრული ლლაპებს დაატარებდნენ. უკანასკნელად ამ მიდამოებში გაეკლო თურმე დედამისის ქალქანა ანრდილს.

სოდანლუდნი, მტკვრის პირას ენახა ვიღაც მეთეეზუს ქვაშაზე ფაკრნად მიეკეცილი პალტო და ბოტები. გოგონამ იცნო სამოსი, მაგრამ რეზნინის ამ უსახურ ბოტებში ვერა და ვერ წარმოიდგინა დედის თხელი, ვარდისფერი ტერფები.

— მე მეტი არაფერი ვიცი. აი, ზალეკო ზოფერი უუურებია როგორ ჩადიოდა ეგ თქვენი სოფიკო დადმართში, — რაღაც ირონიით მოკრა მეთეეზემ და ფრაცვად ითხოვა გარდაცვლილის პალტო — ცოლი დამიდგესო შიშველი.

მოაყვანინეს ზალეკოც.

— როგორ ჩადიოდა?! ჩადიოდა რა, ეგრე, ჩვეულებრივ. მერე კიდევ, საერთოდ, არა, ჭელი გოგოები ირჩრობენ ხოლმე თავს... რას ვფიქრებდი ეგ ეგეთი სიმპათიური, ასაკოვანი მაგ ხაჭმეს ჩაიდენდა. აღარ მმიქვეცია, რა ამიტომ მეც მაგისთვის ყურადღება.

რადაცანარად დაუკვეშრებლად, მაგრამ მაინც ხაოცრად ჩგაგდნენ ეს სიტყვები ადრინდელს, სადღაც გაგონილს თუ მოსმენილს, და ბავშვრმა ცნობიერებამ ერთიანად ალდგენინ თუ ამოჩნნა საიდუმლო: ერთნაირად რეალური და რეალურად უხეში იყო დიდი ლელის ემამ ბაბულიას ბაგეთაგან დუმბორეულ, ქაფიან ნაპირზე გამორიყული სიტყვები და თოარი მეგადურის უწყლოდ დარჩენილი თევზივით ბაყეიანეთ სიმშვიდე.

როგორც მაშინ, ახლაც ისე დამფრთხალი ჩაცუცქ�ეოოوو

III

... აუუუ რამდენი ხანი მყვარებიხარ გურამ, კინლიმ გადამყვარებიხარ. დავდიოდი და შენზე ვფიქრობდი, შენზე კი არა, შენით ვფიქრობდა იმაზე, რომ არაზოლურ უნახავს ადამფოფი და სიცხიანი დედა. პირიქით, ეოოლითვის ჯანსაღი ლიმილით სახეზე, ჭეკებიდან ქალი თავის პირშუბნს. გოგონას, უცნაურად წუფეთოდა ეული იმის გამო, რომ პირაზოლის მიუწოდებია დედისთვის ერთი ჭიქა წყალი და მთელი ეს უსაზეელო გაწელილი დღე, ხალმის ოდუსლებით მოცული ბინდი, უკვე ნაპეოდ ქცეულიეო. ქალაქის რბილი ელტენებით გამოკვეთილი პეიზაეკა თითქოს წარსულს შეერთებოდა. იკდა გოგონა და ფიქრობდა, რომ დღეს ისე ნაღველანად იყო მოწყეული, როგორც დედის ავადმეოფობა.

— მაპატიე... — უსიამოდ გაისმა ოთახეა სიღრმეში, ოთახის არა, იმ ეკობისფერ სიჩუმეში, რომელსაც ირგვლივ ძველთაძველი მწვანე აბაჟური ატარებდეა. და თანაც ამ ხმიდან გამოკრთოდა საახლელო ნაძეის ხის ხათამაში სფერის გულუბრეკელი სიკრიალე და გამეკვირვებეა.

— რას შვები, ბაბულია, რა დაგემართა?!

მოხუცს ჩიებლუჯა მისი სუტი ხელი და გამალებით ჩოკინდეა. ერთბაშად არა, თანდათან, იმ დროის მანძილზე მოალეა გოგონასთან შეგრძნებამ, სანამ ბაბულიკა გალეულ ხუთ თათს ეამპორიკეოდეა. და ამან უცნაური ბინი იარძინა ბაშინ, რომელსაც სიცოცხლეში პირეელად იყო ბაბეულიაზე ძლიერი.

ოლონდ მოხუცის სისუტე კინ არ ჩგაგდა უგუნური გოშიას განცდას, თვალწინ რომ შეურაცხყეეს დედამისი და მზოლოდ ულონო, ბეჭავი წეშტაფენთან გამოთხტა მისი უზარმაზარი ჯანეი. ამ სისუტეთ ბაბეულიამ შვიდ ბგერას მოუყარა თავი წრიულად და მთელი ცხოვრება თავისი შეცოდებითა და შეცდომებით ჩატეა შიგ. ეს „პატიეეა“ მზოლოდ მისეული, ბაბეულასეეული სისუტეე იყო. ეს იყო ქედმოხრა ამპეისა. დამცირება ძლიერისა და არა მონისა.

და დიდ სისუტის ეამსაც უცნაურად ძლიერი ჩანდა მოხუცი. იქნებ იმიტომ, რომ სწამდა და იცოდა მისი გაზრდილი გოგოსაგან მიცვლის ეამს როგორც სანთელს, ისე მიიღებდა ერთადერთ შენდობას.

* * *

როცა დეკემბრის ისიფერ ბინდში დედაბერი ფანჯარასთან ირდვეეს კაბას, ანდა ხელთათმანს, ხოლო ეზოში ბაშრობის მერე ცეცხლსეერს ჭკარგავს გამხდარი გოგოს ერთადერთი ღამის პერანგი, მიუყდება მაგიდას და გათენებამდე თავისთავს ბატავს...

ქრობდი... მზე აცხუნებდა — შენით ვთბებოდი. ყინავდა და შენგან მცოდა. უცნაურად მიეკარები, ბურამ. ჩემთვის მიეკარები აუწონავად. დადგიდი და დგაკარებები ისევე უმახსოვრად. გაუაზრებლად როგორც ყოსნა და ხელს დაკარებს კაცი. მიგირდა და შენც ამ ხელივით დაუმადლებლად მშვენდი.

ვინ იყავი, ვისთვის იყავი, ხად ცხოვრობდი, რას აკეთებდი — ეს ალბათ მომავლის საკმი იყო. ასაკოვანი, არარეთგზის მოტყუებული და გაძარცული ქალის ხელია. ჩემთვის შენს ყოფნას რაღა მისაზრთი უნდოდა, კარგო. ყოველ წუთში, დღითიდღე, წლითით, ჩემთან ერთად ხომ შენც აზრებოდი. ბოდ, დღეობის მეგობრებივით აბა როგორც მოგალოდაგდი. ანდა ჩემში შენს დაბადებას როგორ თარღით დავადგენდი, დავაზუსტებდი. შენ ხომ ისედაც არემოსაწყენ, მარადიულ ზეიმად მეკეთ.

„ღმერთივით გოგო ყოვნსო" და ისე უსაროდა ბაბელიას სათავისო თუ ეგონა წამოჩიტული გოგოსთვის ეგზომ დროული ქათანური. მზერას არადებდა მის დამძიმებულ ქუთუთოებს, თვალის მორღვეულ უპებს და უკვე სიბერეზე ფიქრობდა.

ამიტომ ძნელი იყო ღმერთივით გოგოობა. ძმიმე იყო და ატანელი. ქალღმერთიც ისე, თავის მოსაკუთებულად თუ გიეჩინა ვიღაც გაჭირვებული მეოცნებეს. ღმერთი მარტოობას მიხსვეოდა. კი არ მისჩვეოდე აერჩია. გოგოს მარტოობა აღარ უნდოდა. კი არ უნდოდა, აღარ შეეძლო.

იზრდებოდა, ივსებოდა და ბიჭი თურმე აიწონშმაიაც კი არ ადგებდა, სულ აღარ აბსოგდა. ისევ ისეთი თმაფუშუნა, გაჩხიკული ჯიუტადაჯდა მოგონების ხახხასა კონცხზე და თავი რობინ-ჰუდი თუ ეგონა. ხანდახან გაასსენებოდა ძარს ჩამოხტატმა. მაშინაც სათბილი ვეფინებოდა ხალდეშურის კამკამა წყალში, ფსკერზე ფერად კენჭებს ითვლიდა. თითქოს ამისთვის გიეჩინათ, თითქოს სხვა საქმე დალეულიყო ქვეყნად.

ეეეეეიი... — ეძახდა გოგო შორიდან და ქარში დროშასავით ფრიალებდა მისი ვარდისფერი კაბა.

ერთი წუთით მოიცლიდა. საქმიანი, ოდნავ დაბღვერილი გაბმედავდა გოგოს და ზვიადად ანშმენდდა. — დროს ნუ დაკარგავ, საზღვარს ნუ გადმოხვალ, თავს ტკუილად ნუ შეიწუხებ. მე შენთან მოთმაშე არა ვარ. მე მაინც აქ დავრჩები, ამ ცისფერ მღვიმეში, მზეებიან დასთვლელად.

მიზეს კი კენჭებივით რა გამოლეკდა.

„ღამეადგე, ყოფას გიტირებ, იქით გახვეწნინო, თუ ვარ ქალი" — თავისთვის ფიქრობდა გოგო და ამ ომედით ეცლებოდა. ბიჭისგან ხელსაკრავი მიდიოდა, თავჭუდშოდგეკილი მორბოდა. მორბოდა და მტვრად ზარაზე მიხი ქუსლიდან ანასხლეტი კენჭები ეხეშურით უკანე უბრუნდებოდნენ. ერეკებ ბი ეელანდოდა, ეჩეკნებოდა, რომ ზვნინ ნსს. რელი კენჭები დასწეოდნენ. ცოდ ფუბებზე შესკუფული მახინჯუნა ფუცელი კენჭები და „ტუტ" დაიკარგე ჰქედან, ბელადი ალარ შეგვიწეხო — უტატანებნენ (უცაცხანდნენ).

ვინაა ბელადი?... ეგ თქვენი ლაწირაკია ბელადი? და საკაბეგიდან დიდხანს, დიიდხანს კვდებოდა გოგო სიცილით. თან წვივებამწვარი, დალურჯებული იგრიხებოდა, ეკუანებოდა, აღიწინებოდა და ხათმოდა ეეეეეეი ბიჭს. საპასუხოს რომ ვერ ღებულობდა, როლმეცელო, ახლა უკვე ქვრივი დედაკაცივით წყეულოდა და კოქოლას აყრიდა. მაინც ქალურად ვერ იმტკუბდა. იმ ღედასავით ვერ იმტკუბდა, თავს რომ იმშვიდებენ, ვწეკვენი, მაგრამ ჩემი ძუძუები ლოცავენო.

ბიჭს კი ლოცვა არ ესოდა, ბიჭს ყვირილი არ ეხსოდა და ლოცვას როგორღა გაიგონებდა. არა და არ ბრუნდებოდა, ისევ ონნობდა, ისევ ერთგულად იყო მაკშვიობისდროინდელ ხახხასა კონცხზე.

თენდებოდა და ღამდებოდა. ღამდებოდა და თენდებოდა. არა და არა ჩანდა.

მზის ჩასვლას კი ისე ელოდნენ, ისე ელოდნენ ჭკვენად წყალესა. სიბნელეში, ნეონის გადაღლილ შუქზე მხურვალედ ერთდებოდა წყალი ბაგე და ეს მათი სიყვარული თუ იყო. თუ სიყვარული იყო, რაღას უფრთხოდა, ემალებოდა უერთმანეთად უსუსური ეს ორი სკეში. მათეულ ეროსს აგრე რიგად რად შეჰყვარებოდა ღამე და წყვდიადი?

სხვებზე ფიქრობდა და, ვინ იცის, ამ დროს ბიჭიც ოქვე იყო. ოქვე სადმე სუნთქავდა და იხარკებოდა. ოკნება კიდეც გიეცვალა უკვე ბაკშვობის კონცხი ამ მატყუარა სიმწვანეზე ნეონის წყალობით რომ დაბრუნებოდა ბალახს გარდასული სინორჩე. გიეცვალა და კენჭების მაგიერ ცრემლის ციმციმა წვეთს აგროვებდა ალერსმოკლებული ქალის ღაწვებზე. ათრთოლებული, მარტოსული ტოვებდა ულრან, იდუმალ ტყეებს, ცივ სნაპიროს, გაცრეცილ პარკებს, უბალრაკ ყვავრებს და ახლა სხვა გზით მიდიოდა, ისევ თავიდან ეძებდა, ეძებდა.

ქრებოდა ჭალი, კიაფობდნენ პარაფინის ბრელი სანლიანი. თაფლის არაყივით იღვრებოდა მწუხარე მელოდია. ეს მერამდენე ნიყვარულზე ნერვიოზად მღერიდა პიაფი.

ტირილი სურდა — იღიმებოდა. წყურდა წყალში უნდოდა ყოფნა. რონინი მიპკეცნიდა, მისდევდა დინებას. მახლოპლოვით მიყრდნობოდა ვეეეა, ძლიერ მეერდს და თავდაინყებით ცეკვადა.

მაკა ჯოხაძე
ბიგი ზოკოლადით

როგორც წუდღიადში ოკეანის პირს მარტო დარჩენილს უმძიმესი, მუქი ტალღების დონდელი ტლაშუნი გაფრთხობს, გაშინებს და მაინც მდარე იდუმალითა, ცხელი ხელით გეწევა, გიზიდავს, ისე ელტვიოდა, აყურადებდა ბიეის სხეულის იდუმალებას. ფეთქავდა გული, გამლილი ცემდა, ფეთქავდა. ზოგჯერ კიდევ მიწყდებოდა, მიაუჩდებოდა. მერე ისევ დაფეთებული, ისევ თავიდან ცემდა და ფეთქავდა. უსაზღვრად უხაროდა გოგოს ეს არითმია და მავშვივით ამშვიდებდა, ანუგეშებდა „ნუ გეშინია, შენთან ბოსუელკარ. აკი ბოგბირი, რომ მარტოსან არ დაგტოვებდი. მიამბე ახლა, როდის დადოვე ხასხასა კონები. რა გადაგხდა, როგორ იარე. ისევ თავიდან, მეც შენთან ერთად მინდა ათასჯერ გაბიკვირდეს".

ბიეს კი თურმე ალარაფერი უკვირდა და ჩურჩულით ამბობდა: „განა შეიძლება რაიმემ კიდევ გაგაოცოს, აი, ამის მერე"...

ნელა, სულ ნელა ახელდა თვალს. ბიეის პეშვში კი თეფშივით სხლტოდა გოგოს მძიმე, ურჩზე ურჩი თმა და ბაცდებოდა მირაჟი.

გონს მოგებული ახლალა ხვდებოდა ისევ თავიდან ალელდა ვიღაცა. ოღონდ არა მდეიმეებისა და ბავშვობის გამო. ისევ ბაგეთა, მბზინავი თმისა და სხეულის გამო ალელდა ვიღაცა.

ტკიოდა გული. ტირილი სურდა. კიდევ ერთხელ უნდოდა დეიფრთხო ტალღათა ელვა. და ახე თანდათან,, ნელ-ნელა ანთებული, როონიული და ალტკენებული ანგარიშმიუცემლად დასცენოდა პარაფინის მიბნედილ შუქზე მოძაკვდავ ვნებას, მათი უაზრო წარსულიდან ხაგანგებოდ ამოხაპული სენტიმენტის წვეთიწვეთ დენად. მათ სიმსუბუქეს, გაკსუებულ სიმშვიდესა და მოგონილ სიმყუდროვეს. მათ პოეტურ ბანალობას არაფერი რომ არ ალელვებდა, არ ტკიოდა, არ უხაროდა, არ აოცებდა. ან იქნებ კიდევ აოცებდა და მაინც ჯიუტად ეგონათ კაცადაცენ იმიტომ გაჩენილიყვნენ არაფერი. გაკკვირვებოდათ.

და ახე. დარდეეული, ნახევრად გიჟი სტოდვებდა ბუნაგთა მოეცის ფერო სარკმლებს, ქუჩაში გამოსულს ხმას ადევნებდნენ:

„რა ბზიკმა უკბინა, არ გაგიჟდეს!ო"

„არ გასკდეს!ო" — აღწევდა შორიდან, არ ჩანდა ბიეი. ქრებოდა მირაჟი. ცხრებოდა ბრაზი. იფიტებოდა და იცლებოდა მთელი არსება. ეს მერამდენედ ინთებოდა ვეება ჭაღი, ნამდვილი ჭაღი, ძვირფასი ჭაღი, ყვითელი — მზე, არ ჩანდა ბიეი, არ ჩანდა...

IV

ტაძრის გუმბათზე გაწოლილა მზის ბოლო სხივი და ნებიერობს. გამშრალა გოგოს ჩალის ფერი თმა, ელოდება ახალ ნაპერწკალს...

ცდილობს, როგორმე წარმოიდგინოს იმ კაცის სახე, რომელმაც დიდებული ტაძარი აგო. მერე ფიქრობს ოსტატის მაგიერ. ფიქრობს იმაზე, თუ რა ძნელია, როცა ქვაზე სულელურს ხედავ და ძნელზე ძნელი, როცა მაინც ახე უოდეთოთ გტოვებენ მარტო. მათ შენ ანუქე ნიცოცხლე და მაინც მხოლოდ ერთმანეთისთვის არსებობენ და არა შენთვის. მათ შენ ანუ-ვალე სიმღერა და ერთმანეთისთვის მღერიან მხოლოდ და ნატრობს ოსტატი ნიეს, რომელიც საგანს საგნად დაანახებდა. ამასობაში. გაყვიოლდა კიდევ ჩალისფერი თმა.

— სულზე მომისწარი, გურამ!

— კი არ მოგიისწარი, გიპოვნე, მაო!

— მე კიდევ წაგაწყდი.

— ჰო, ოღონდ ნუ ვიქნები ქარის მოტანილი.

— როგორ გეშინია შენ ამ ქარების.

— გინდა გითხრა, რად მეშინია... როცა გრძნობით შევიძენთ რაღაცას, ეეშმარტად მხოლოდ მაშინ ვეიდნერიდებით. მერე ათასი, თუ ერთი საგანი დაირკმეცს სხვათა მოგონილ სახელს და ვკარგავთ ჩვენეულს, ვკარგავთ ეეშმარიტს. ერთ მშვენიერ დღეს იე ავტკივა დაკარგული, რომ ჩნდება იარა. თავს ვერ ვიმეტებთ, სხვა გზა არაა და იარეხსაც ვიშუშებთ ახე: „ქარის მოტანილს, ქარი წაიღებს" ქარს კიდევ ერთხელ გადავაბრალებთ.

— შენ თურმე ბოეტი ყოფილხარ, გურამ.

— არა, მაიკო, უბრალოდ სევდიანად ვლაპარაკობ. ლეკნი ხომ სევდის მშვენიერი დაა.

— შენც იცი, გურამ, სევდა?

— სევდა ვინ არ იცის, მაიკო.

— და მაინც სულზე მომისწარი, გურამ...

— არადა, იცი როგორ მეწყრებოდა, სულ ძალით წაგოვიდი.

— ვაიმე რომ არ მოსულიყავი!

— როდისმე მაინც შეგხვდებოდი.

— შემხვდებოდი თუ მიპოვიდი, გურამ:

— ჰო, გიპოვნიდი, მაია.

— არა, მაინც როგორ მოგეწონე, ისე უცად რატომ მოგეწონე, გურამ?

— ჯერ ერთი, კი არ მომეწონეთ, ქალბატონო, შემოეკარედით, მერიეე, კიდევ ის, რომ ახლა რომ ვიხსენებ, შენთვის მგონი ხეიროანად არც შემახედავს. ვიჯექი ჩემთვის და თვალდახუჭული გისმენდით.

— მერე, გურამ, მერე?

— მერე, მგონი, ზურამ იკითხა არა, როგორი მამაკაცია მოსაწყენო?

— მერე, გურამ, მოეეეე რა, მოეეეე. ახე მგონია, სულ არ ვეოფილვარ იმ დროს იქ და სხვარაღაცას ყვები.

— ბოლოს თქვენმა ბრწყინვალებამ ინება და მთელი სერიოზულობით განაცხადა, რომ თავისუფლად შეუძლია გიახსნის მოსაწყენი სურათი, მოსაწყენი პიროეი, მოსაწყენი წიგნები, ფილმები, მაგრამ მოსაწყენი მამაკაცი კი

არ შეხვედრია. და, საერთოდ, რა შუაშია აქ მამაკაცი. ადამიანი შეიძლება იყოს მოწყენილი, მოსაწყენი კი — არა.

ამა ახლა ოოოოო-თქო და ძალიან გამიკვირდა თვალის გაბეჭა. როცა გავახილე... იჭექით თქვენ ალეწილი, ლამაზი და ოდნავ ნაწყენი.

— გურამ შენი ნახატები როდის უნდა მაჩვენო?

— შენ თუ იმ სხვენზე ამოსვლისა არ გეშინია?

— არა, რა, გურამ, არ მეშინია.

— კარგი, ამა, როდესმე გაჩვენებ.

— როდესმე კი არა, ჩქარა მაჩვენე რა, გურამ, ჩქარა!

— მო, კარგი, გაჩვენებ.

— გურამ, მართლა არ გახსოვს შოკოლადები რომ შეკამე და მერე რომ გული აგვრია?

— აი ეგ, მაიო, რაც მართალი მართალია, არ მახსოვს.

— საოცარია, გურამ, როგორ არ გახსოვს.

* * *

ტაძრის გუმბათზე გაწოლილა მზის ბოლო სხივი და ნებიერობს, დანამულია ჩალისფერი თმა. მუხლოზედ ბინდდება. საოცარია შენს გვერდით ყოფნა და ამ უსაზღვრო სიმშვიდით ავსება. ამდენი ხნის მერე ეს პირველად ალარ მეშინია სიჩუმის. შორს, ძალიან შორს, ცის დასალერეს უნაბისფერო ღრუბელი ხსოლავს. ღმერთო ჩემო, რა მშვიდად მიყვარხარ. ისე მშვიდად, გაოცებაც კი მეზარება. და ვფიქრობ ამაზე, რომ ამ წუთებით კიდევ დიდხანს შეიძლება სიცოცხლე. სიცოცხლე არა — გაძლება, ცხოვრება. ცხოვრება უბრალოდ, ჩვეულებრივად, ადვილად და კეთილად. ისევ თავიდან გამოშშეშება. ალეონზე მსუბუქად. ოღონდ უაზროდ ალარ, აზრისაგან მსუბუქად ადგომა. ჩაცმა, დაბანა, სარკმლის გაღება, სახლიდან გასვლა, ქუჩა, სიჭრელე, ხმაური, ვიღაცის შეხვედრა, რაღაცის მოსწრება, სობრალი, ვიღაცის ნუგეში, მოლოცვა, მისამართი, ტკუილი და მართალი. დაკრძალვა, ზეიმი, ფიქრი, მუშაობა. მთელი ამ პროზის გულთან მიტანა, განცდა, განსჯა, მიღება, ფიქრი. ისევ თავიდან მუშაობა. დალა, მთიმენი და საოცარი სინლეერით დაჯერება იმაში, რომ მეკანიკა არაფერ შუაშია.

გრილი მიწა. რაღაცნაირად თბილად გრილია და მეც ალარ ვამბობ: „ადეკი, გურამ, გაცვდები“.

ოღონდ ცოტათი, სულ ცოტათი მენანება, რომ გვიანავს, ნებიერობს, არ ფიქრობ და ჩემსავით კარგად ყოფნა არ შეგიძლია.

— ჩვენ ვცხოვრობთ იმდენ ხანს, რამდენი წუთიც გვამსახურდება — თურმე არ გძინავს. ისე მპასუხობ თითქოს ეს-ესაა დაწყებულ საუბარს ვაგრძელებდეთ.

— უცნაურია, გურამ, მეც მაგ წუთებზე ვფიქრობდი.

— უცნაური ის იქნებოდა, სხვა რამეზე რომ გეფიქრა მაია.

— ნეტა სულ ახე იქნება, გურამ?

— არ ვიცი, მაია, ხვალ რა იქნება, არც ეს არ ვიცი.

— გურამ, შენ ხომ ყოველთვის ჩემთან იქნები?

— მე კი, მაია, შენ თუ დარჩები.

— რისი გეშინია, გურამ?

— არ მეშინია, უბრალოდ ზოგჯერ ვგრძნობ, რომ დაგკარგავ ხო მცივა.

— რატომ, გურამ, შენ გგონია, ერთად რომ ვიქნებით, რაღაცა დაიკარგება, გაფუჭდება?

— პირიქით, მაიკო, რა უნდა გაფუჭდეს. ოღონდ ცოდი იქნები შენ ჩემთან.

— რას ამბობ, გურამ, რატომ ვიქნები ცოდო?

— ოდესმე შენ თვითონ მიხვდები, ჭკვიანი გოგო ხარ და მიხვდები.

— გურამ, მე იცი, მილიონი წელი რომ ვიცოცხლო, მაინც არ მომწყინდება შენთან ყოფნა და შენი მოსმენა. იცი, გურამ, როგორ მიკვირს ტოლები რომ ვართ. შენ იმდენი რამე იცი და იმდენი რამე განსახეს. შენთან მე ბავშვივით იმედი მაქვს იცი. უმიზეზოდ გალაბული ბავშვივით თავი რომ ძალიან უბედური მგონია და თან აქეთ-იქით აციცცეს თვალებს, იქნება გამოჩნდეს სადმე ქოშაგული.

— საოცარი ვიღაცა ხარ, მაია. გადამარჩენე შენ მე.

— როგორ გურამ, მითხარი, რა?!

— არ ვიცი, მაია. უბრალოდ, მოხვედი და გადამარჩინე. მარტო შენი თავი კი არა, ჩემი ოხერი თავიც შემაყვარე, გაიგე?

— გურამ ძალიან გიყვარვარ?

— უსაშველოდ, მაია.

— გავაკვირე არა საკმე. ოღონდ რა ვქნა, იცი, გურამ, გოგოები ასეთები ვართ. მთელი სიცოცხლე თუთიყუშივით რომ უმეორო „მიყვარხარ, მიყვარხარო“ მაინც არ გვწყინდება. გვწყინდება კი არადა, ყოველ წუთს რაღაც ახალს, სასწაულს გამოველიან ამ სიტყვიდან. შენ შეგიძლია მთელი სიცოცხლე ახე მეფერო, გურამ?

— მე შემიძლია მთელი სიცოცხლე მიყვარდე.

— გურამ, დღეს სადამდე გიყვარვარ?

— დღეს... ჯერ ხელ და ცამდე, გეყოფა?

— მე კიდევ არა, ჯერდან და ცა რომ ოხსნება ელვის დროს, აი იქ, ცის შიგნითაც მიყვარხარ ბევრამ!

V

ვინც მე მიცნობდა, ვისაც მე მოვწონდი, ვისაც ვუყვარდი, ან კიდევ ვინც მე მომწონ-

---

მაკა ჯობავაძე
ბიბი ფოკოლადიდი

და, ვისაც მე ვიცნობდი, ყველა ცდილობდა დიდ სიმაღლეებზე ელაპარაკა. ცდილობდა და ლაპარაკობდა. ლაპარაკობდა ზოგადად, იმდენად ზოგადად, რომ მათი ბევრი სიტყვების ოკეანიდან მე ერთი წვეთის ციმციმიც კი ალარ მახსოვს. ისინი ყოველთვის ზეციდან ლაპარაკობდნენ, ჩემი მხრისა და თავის ზემოდან. უფრო „თავმდაბალნი“ ჩემს გასწვრივ, ჩემტოლაც ლაპარაკობდნენ...

მოხეული შენ და იცი როგორ მოხეული, გურამ? ზემოდან არა, ციდან, არა, ბიწიდან მოხეული, იიგან მოხეული, ტერფიდან მოხეული და საუბარიც ტერფიდან დამიწყე. ისე დამიწყე ზემოთ ამოსვლა არც გიფიქია. უბრალოდ ჯიბეში ხელჩაწყობილი იდექი და საუბრობდი. რაღაცნაირად დაუუგდე ყური შენს საუბარს, ალარ მახსოვს, როგორ დაუუგდე და მე მოვხვდი რას ნიშნავს „ძუძა დიდი ყვავილი“. ტერფიდან დამიწყე საუბარი და ალბათ ამიტომ გაფრინდა ცისკენ. ღმერთო ჩემო, როგორი მაღალი გახლი, გურამ! ხანდახან გიკურეს და თვალები ზუსტად ისევე მეწვნის და ცრემლიც ზუსტად ისევე მერეკა, როგორც მაშინ, ბავშვობაში, ზზეს რომ ვუყურებდი ხახეში.

ვისაც მე მოვწერილი, ვისაც ვიცნობდი, მათი ოკეანე ვერ მიმერია. შენი წვეთი რაა, წვეთი დამახჩრობს ალიდი.

მოხეული გურამ და მე ხატვა დავიწყე. იცი. მოხეული შენ და მგონი დაიწყო ჩემი შემოქმედება. მე არ გამაჩნია შემოქმედება. მე მხოლოდ ფერები მქონდა და ვერ კი ვხატავდი.

მოხეული შენ და კი არ მითხარი, კი არ დამარიგე, კი არ მასწავლე რაღაცნაირად მაგრძნობინე ჩემი თავის ფასი, შემოქმედების ფასი მაგრძნობინე, რომ საყვარლები არ ქმარა მარტო. სიყვარულს კიდევ მოვლა სჭირდება. მე ახლა ყველაფერს ვუფლი და ვპატრონობ. ვაგროვებ მარცვლებს, ვაგროვებ სიტყვებს, ფიქრებს, პროცესებს, ფაქტებს, სხეულებს, საგნებს. ყველაფერს ვაგროვებ და შენ მე უცნაურ მონადირეს შეძახი. უცნაურს ამიტომ, რომ არაფერს არა ვკლავ. უცნაურს ამიტომაც რომ:

— უცნაურ რაღაცებზე ისე ლამაზად ნადირობ, თითქოს მინდვრის ყვავილებზე ნადირობდე.

მე მეცინება და გისწორებ, რომ კი არ ნადირობენ, კრამდე კრეფენ მიდგომის ყვავილებს. შენ ისე იყურები, თითქოს მართლა მინდორი მედგეს თვალებში და ჩუმად ამბობ:

— მინდვრის ყვავილებს ამიტომაც წუვტენ, მათი მინდორიება რომ არ შეუფლიათ.

— იცი, როგორ ვუნელობდი, იცი, ხეიბარიგით დავდგოდეო. მე მინდა გითხრა ტკივილ-მოკლულივით დავდგიო-თქო. ტკივილი ხომ დიდია ჩემი.

ძალიან მიგრძია, იმიტომ კი არა, რომ ალარ მჭერდა სხვათა სიყვარულის, ხარბრთოდ სიყვარულის (ისე რომ ყოფილიყო, უფრო იოლად მოეკლებოდა ჩემს გასაბრუსაც). იმიტომ უფრო მომძიმდა, რომ ხანდ[illegible] სიყვარულის მჭერდა და თან მილოსნ[illegible] [illegible] დიოდი, ჩემი საკუთარი სიყვარული ალარ შემიძლია-მეთქი ვფიქრობდი. უფრმე დაუუფლიენ დავდიოდი და მართლა დაუუფლენ მეგონა თავი. დავდიოდი და მოცცვენილი ამბისა, რომ მჭირდა სხეული. ამას რომ ვამბობ, შენ ეკიენება და ყველი პლატონზე, ნომელსაც ისე ერცხვენებოდი საკუთარი სხეული, მოელი სიცოცხლე არ ამხელდა სად დაბადა, ვინ იყვნენ მშობლები.

ამ ფილოსოფოსს ღმერთობ სურდა, გურამ, და ამიტომ თე აწუხებდა სხეული. მე ამიტომ, რომ ახსი ვერ მოვუუნაე, გამარილება ვერ მოვუძებნე ჩემს ხელებს.

შენ ხშირად იმეორებ სიტყვებს:

„დაგელუმავს გულეკვაობა სხეულისადმი“. უცნაური კაცი ხარ, გურამ. ალეს ხომ ყველა ამბობს: დაგელუმავს გულეკვაობა სულისადმი. შენ ალბეთ და პოეტის სიტყვები გახსენდება.

— „დღელი არის გადარეე თვითონ.

რიცა არაფრად არ გიღირს ეგმი“... მთავარია ვინ რითი იწყებს. ვინ რა არჩევანს აკეთებს საკუთარი თავის გადასარჩენად. ეს ჩვენ ვკითხულნიმ ქვაზმიდოლის პირდაპირ სულდგან. მისი თოობა სხეულიდან კიობულობდა ამ უმშვენერეს ადამიანს. ამიტომ უცრნდა ქვაზმიდოლის მისი მახინჯი სხეული. ამიტომ გიეარდა, ჩემი ქალბატონო, შენი ლამაზი სხეული.

— მოხეული შენ და ახე ხაოცრად გამარკვეე. არა, კი არ გამარკვეე, კი არ ამხსენი, როგორდაც მაგრძნობინე, ვინა ვარ. ღმერთო ჩემო, როგორ გამამთელე. ღმერთო, როგორ გბედავ ახე ნათ�d, ახე ჩრდილებით, ეურჩილოდ. ღმერთო! როგორ სულ ალარ მეშინია, როგორ გიგონებ, როგორ ვიცი, რომ კარ გიგონებ. ღმერთო ჩემო, როგორ გბედავ ახე ნამდვილს და როგორ მიხარია... ღმერთო, რაღაცა ვაიწყეო.

იცი, რა ეზრიანად მიყვარხარ, იცი. მე მეგონა, უეცლიობლად ბრმა უნდა ყოფილიყოსიყვარული. ერძნობის კი სულ სხვა რაღაცას ვეძახდი. წინათ მე მოგონილი მიყვარდა ალამტრ სისხლი მტკიოდა. წინათ მე სისხლი მტკიოდა და ამიტომ კაცი კი არა, სიყვარული მიყვარდა.

მოხეული შენ და ახლა ნამდვილი მიყვარს, ამიტომ სისხლი კი ალარ, ამიტომ ადამიანები მტკივა. ღმერთო ჩემო, ისევ მტკანა, როგორც იქნა, მტკანა...

ჰო, მე ვხატავდი, კარგად ვხატავდი მიხეულ კაცებს და შინაბერა ქალებს. ჩემი უკვირდათ და ახე ამბობდნენ: „ამ ასაკმა ვით დაიოყა თავი თავისი და ახე ფაქიზად ვით გვიჩვენა გაფეიერკრთალება?!“.

ახლა ვფიქრობ, რომ მე მაშინ ფაქტრა მე-

დო წინ. ფაქტური, რომელიც ახალმა გაასრულა, ახალმა გადადება სეფეიფერად. ახალმა მოიწყინა და როცა ამ დარსულებულებს, მოწყენილებს ეხატავენ, მეგობა, რომ მართლა ეხატავდი. მერე მთა დარსიეულ, ძვირფასს ჩარჩოში ჩაუსვამდი ხოლმე... მოსწონდა ყველას, უკლებლივ ყველას. მე კი ბეიანდი მოგბედი რომ ოფით ყველაზე ლატაკ ცხოვრებას შემდგომ ოქრისფერ ჩარჩოში ჩასმულს მრავალად უნნდება თაყვანისცემი და ქველმოქმედი. მე ამას ვარძნობდი, მე ეს ვიცოდი და მაინც ეხატავდი. ბოლოს და ბოლოს ხომ ახე ვერა-გულად მაცდურია გერქვას მხატვარი.

მოხეედი შენ და ყველაფერი თავდაყირა დადგა. არა, თავდაყირა იდგა და ყველაფერი თავის ადგილას დადგა.

მე ვნახე შენი ხახელისნნო. უფრო სწორედ სხვენი, რომელშიდაც ჩუმად ცხოვრობ და ბეშპობ.

ჩემო მოხუცო, ტკვიანო გურამ. ჩემო კეთილო გურამ! არცერთი ხე, არცერთი ქალი, არცერთი მდინარე... არსად პეიზაკი. ხულ ხახეები, გურამ, ხულ პორტრეტები.

— ფოთოლი? ფოთოლი აკეთებს თავის საქმეს, მთავარია, შენ რას აკეთებ. მე არ მაღელვებს, არ მამშვიდებს პეიზაკი თავისთავად. პეიზაკს მე ვხედავ თვალებში, პაგეებზე. რაც შეიძლება ძეუნდა. გამიმსახეელად.

— ...ფოთოლებით ასე არა, გურამ: — დღე ახე ნაღელანად იყო მოწყენილი, როგორც ფიდის ავადმყოფობა.

— ჰო, ეგრე. ეგ უკვე პეიზაკია.

გიეურებ, ვფიქრობ და ვვოცდები. ჩემი სურათები ბამხენდება. ჩემი უბადრუკი ნახატები. ფუტაგაკიც მახსენდება: „მე არ მაქეს სინდისი, მე მაქეს მხოლოდ ნერვები.„ — მეგობრებს ხომ განუცხადა.

— კარგია! — რადაც ეინით ვნებით ამბობდა გიკვირს თუ გშურს: — ალბათ ძნელია ხსვენბისაკენ იყო ისეთი თავისუფალი, რომ არ გქონდეს სინდისი და საკუთარ თავთან კი იყო ისეთი არათავისუფალი რომ გქონდეს მხოლოდ ნერვები — რამდენწერმე იმეორებ ამ ფრაზას, თითქოს თიხას აწვალებდე თითებით. — ამის თქმა ყველას არ შეუძლია, მაია. ეს რომ თქვა, უნდა იცხოვრო კიდეც ასე: „პოეზია უპირველეს ყოვლისა“. ჩვენ ასე უფრო გვეიოლება, როგორც ერთმა თქვა თუ დაგვენინა. „მთავარია, ინაზოოგნო ღმერთივით, შეგიძლია იცხოვრო როგორც ბუზეუფა“. ეს არც ისე ძნელი უნდა იყოს, მაია. პოეზია სხვა ხილია. პოეზიას თავისი სინდისი აქეს, მაიკო. კიდეც კარგი, ეს მაინც შეგიძლია ვიცოდეთ და ცოდვა გამხელილი სჯობიაო... ოხერ ფრაზის ხანდახან თავისი პატარა სინდისი უფეთქავს. უფეთქავს და ფრთები აწუხებს...

ნატურმორტები მოდამი შემოვიდა. ჰოდა, ეკრანის, ლრიალებს, ოხრავს ქორწილებიდან, ბანკეტებიდან, დღეობებიდან მობრუნებული სხვეინზე შემძვრალი მთვრალი მხატვარი [illegible] ბანკეტ ვიეო ვიღაცის ზეიდი, ვიღაცის მეგობარ ვიღაცის ბაბა... ლეჭსიკონი მინდა ვიეო. პატარა, გაღერეული, პროზაული, თარიზე მიგდებული ლეჭსიკონი, რომელსაც არ სტკივა არცერთი ნერვი. იგი მხოლოდ შეგახსენებინა, რომ Nature morte ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს მკვდარ ბუნებას.

გიეია შენი გურამი, მაია. ცოდო ვინმეი და საბაში. ამიტომ ზეადი, ცქნოდა, შენი გზით. შენ ამ სხვენზე რა ვინდა, მაიკო. ლეჭსიკონს შენთან რა ხელი აქეს. შენ რაღაც უნდა შეეუხდე. ხომ უსმობდა შენი ბავშვობის ლატაკი მომდერაკი თავის კალბატონს. ხომ პირდებოდა ვეეტა ფიფქებს წაწყობთა მოხაკაზმავდ. წელიწადში ხომ ჭქონდეა ზეადი, თავი რომ მეფე ეგონა, შენ კი ამხელა ტკივილი დგიტოკავ... ჰოდა, ზეადი შენი გზით. მაიკო. ნუ გეშინია, გაძლებს შენი გურამი. გურამს ეს ზეადიც ეყოფა. ეყოფა კი არადა, ამ ზეადისათვის ცოცხლობს გურამი. შენ არა, ვენაცვალე, შენ ნუ, მაიკო ეზეადი ზეადი რაღა, ზეადი რაღა. შენ ზეადელდე უნდა ვიხარიდეს ვენაცვალე. ზეადი, მაიკო, ცოდო ხარ, გიგო. ხანდახან ტკივინა შენი გურამი. ხანდახან გიეხაც დაეკერება.

— ... მოხეედი შენ და... მე ხალდა უნდა ზეადეედ, გურამ, როგორც უნდა ზეადედ. მოხეედი შენ და ხულ ადარ მეშინია, ვიეო ვიღაცის ზეადი, ვიღაცის ცოლი, ვიღაცის ზეადა. გიპოვნე შენ და მე ხალდა უნდა ზეადედ, ძვირფასო. მაკოც, გურამ, მიშველე, გურამ მაკოცე, მაკოცეეეე...

ბაბედნიეროდ ქალაქში ჭერაც ცხოვრობს პატარა თბილი ოჯახი. რომელმაც ზეადა მუხას ფეიქეეშ გაგება არ აკადრა და ფერად კენჭებზე დაანჯეს ორი ზეადი (ახალგაზრდა) ტერფი.

თიხის ბრილ დოქში თვალდაქეეტილი ცოცხლობს და იცდის ზეადი.

ქალს ისეე მსუბუქი, თხელი ხელები აქეს და დაუეეედრებელი ღიმილით შეუძლია უცნობ მგზავრს მოუკაცის ზეადრეილი.

მაღლა სხვენზე კი, სხვა ტალოებთან ერთად, ჭადეია ღიღი, ნათელი სურათი: უამრავი, ნაირნაირი ნუგბარით სავსე გალავანში ხოსოკარიკით ფეიმორთხმული ჩაბრალია ბიკი და შოკოლადს შეექცევა. ბიკის პირდაპირ ცოტათი შორით, ცოტათი შიშით მიმზერილი ბავშვები დგანან. მათ ჯეუფს ეს-ეხია უნდა: გამოეკის ვარდისფერკანიანი გოგო. მისი პატარა, ლამაზი ფეხი ჭერ არ ზეადია მიწაზ.

თქეენ ნახავთ სურათს და გულწრფელად დაარქმევთ ბიკს ხარბს ან ღორმეცელას.

მაგრამ ამ პირველ ნახვაზე რაღა ჭქვია რომელთაგე-ზეადო ბავშვებს დაშორდა?

ვახტანგ ჯავახაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნიდან: „მარტი, აპრილი, მაისი“

●

ამოდის!
ამოდის!
    უყურე!
ღაღანებს,
    ღიღინებს,
    ღუღუნებს.

იზრდება!
იზრდება!
    იხილე!

ღუღუნებს,
    ღაღანებს,
    ღიღინებს.

გათენდა!
გათენდა!
    მახარე!
ღიღინებს,
    ღუღუნებს,
    ღაღანებს.

●

არაფერი დაგვიკარგავს:
    არც რწმენა და
    არც ენა,
ერთადერთი შოთა გვყავს და
    ორად ორი არსენა.

ურწმუნოებს ვედავები
და ვარწმუნებ უვიცებს,
გვყვანან:
    ოთხი ლესელიძეც
    და ცხრა ხერხეულიძეც.

ზოგჯერ უკან მივიხედავ
და თითებზე დავითვლი:
ოთხი ვახტანგ მეფე მოდის
    და თორმეტი დავითი.

ალაგ ჯაჭვის პერანგი ჩანს,
    ალაგ — ტყავის სამოსი
და სამასი არაგველის
    ხმალი ელავს — სამასი.

ისევ რეკავს ძველი ზარი
და ახალი საათი,
ისევ გვიხმობს
    ტეკსელიდან — რვაასორმოცდაათი.

ისევ დგება უხილავი
და შვილივით აღვიძებს —
ხუთი ათას კრწანისელს და
    შვიდი ათას ასპინძელს.

ისევ ისე გალობს მტკვარი
    მას უკან და მანადგეც,
ისევ ომი ენატრება
    ოცი ათას მარაბდელს.

დიდგორიდან —
    ორჯერ მეტი —
    ხელს გვიქნევს და გვამხნევებს,
იმერლები აქეზებენ
    ქართლელებს და კახელებს.

მარუხიდან ბერლინამდე გზაა —
    ტყვიით ნათესი,
უსახელო ჯარისკაცი
    წევს — სამასი ათასი.

გადავლახეთ ერთად ბევრი
    ჭაობი და ჭიორომი,
ერთიც მიყვარს,
    ათიც,
        ასიც,
        ათასების ჭირიმე!

ღმერთს შევნატრი,
    მჯობნის მჯობნი აღარ გამომილიოს;
სამნახევარს ვენაცვალე, —
    სამნახევარ მილიონს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

მაინც ზეცა გაახსენდა
პირქუშ მეოცნებესა:
«Я
в долгу
перед вами,
багдадские небеса...»

იგონებდა
თამადას და
დედოფალს და
ნეფესა:
«Я
в долгу
перед вами,
багдадские небеса...»

და მიზეზიც
გამონახა
დანაღვლიანებისა:
«Я
в долгу
перед вами,
багдадские небеса...»

●

ანა კალანდაძეს

თქვენი
გაწკრიალებული
ხელნაწერის ტყეში
ავმა თვალმაც ვერ იპოვნა
ქვა,
ღორღი და
ხრეში.
თქვენი
გაწკრიალებული
ხელნაწერის ალვებს
ნებიერზე ნებიერი ქარი აშრიალებს.
მაინც როგორ იმორჩილებთ,
როგორ ხიბლავთ მაინც —
ოცდაცამეტ კეთილშობილს,
ოცდაცამეტ რაინდს?!

თქვენ კარს გიღებთ
სხვა საუნჯე,
სხვა მღვიმე და ქვაბი,
თქვენთვის ბრწყინავს
სხვა ოქრო და
სხვა ძვირფასი ქვები.
და სიტყვების სალარაში —
ათასებზე მეტი —
მხვალიკით გელოდებათ
კვლავაც განუწყვეტლივ.
დავთვალე და
გადავთვალე,
როცა თვალი დაცხრა:
ასთორმეტი ათასი და
ცხრაასორმოცდაცხრა.

●

ასეც ხდება:
მიდიხარ...
დარდობ...
ლამის ატირდე...
თვალს მოჭკრავ და
ხესავით
უცებ ზეიფოთლები:
ცარიელი ბოთლებით
დატვირთული სატვირთო
მიირწევა,
ცვლვამენ
ცარიელი ბოთლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ერთი სიტყვა დამეკარგა,
დავალ საძებნ ელ ა დ ა:
გურიაში წყარო ვიცი
და მაღალი ხ ე ლ ა დ ა,
თბილიც ვიცი გურიაში,
ისხამს ხვავრი ე ლ ა დ ა,
პოეტს ვიცნობ,
უსინათლოს,
ლექსმა გაბ ე ლ ა დ ა,
იმ პოეტის სამშობლოა,
იმან ასახ ე ლ ა დ ა
დავეძებ და
ვერ ვპოულობ,
დავალ საძებნ ე ლ ა დ ა.

●

დღევანდელ სასაფლაოებს
როცა ვუყურებ,
უფალო,
ვფიქრობ და
ვამბობ:
უფალსაც
არ ყვარებია უფულო!

●

ოვლისიდან დაიწყო სხვანაირი ცხოვრება:
სამზადისი,
ფუსფუსი,
რეკვა,
დანამუსება...
გაიკრიფნენ
ქვიშხეთში
პოეტების ცოლები,
ფრთა გაშალეს
თბილისში
უბორკილო მუზებმა.

●

ერთიც არ დაუკვნესია,
არც უთხოვია შველა,
არ დაუგმია ერთბაშად
ყველაფერი და ყველა.
არც ღმერთი უსსენებია,
არც უნატრია რამე,
არ დაუკარგავს
სიმშვიდე,
სიმხნე და
სითამამე.
ცოლისთვის არა უთქვამს რა,
არც შვილი დაიბარა,
შვილიშვილების მოყვანაც
არ მოისურვა,
არა.
არც დედა მოლანდებია,
არც მშობლიური კერა,
არც მამის სურათისაკენ
არ გაქცევია მზერა.
არც შურით მიშტერებია
ფანჯრებზე მომდგარ ქუჩას,
ცრემლიც არ გადმოუგდია,
თვალიც არ დაუხუჭავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

თავზე მადგას
თორმეტი დაგეშილი ჯალათი,
მაჩქარებენ ყოველთვის
ძალის-ძალის-ძალათი...
წრეზე დგანან,
ჩაკეტეს ყველა კორიდორი და
მათი ასპარეზია ციფერბლატის კორიდა...
ისე დგანან,
იფიქრებ,
ღმერთმა ჩამოარიგა,
თავზე თოფით მადგანან:
არიქა და არიქა!..
გეშინ ძლივს მივუსწარი
უკანასკნელ პანაშვიდს...
წუხელ დამაგვიანდა
ღამის ყავახანაში...
ლიფტიც უცებ გამისხლტა,
როგორც მეტროს ვაგონი.
ავტობუსმაც გამასწრო...
ტაქსსაც ვერ გავაგონე...
ერთგან წუთით შევყოვნდი...
სხვაგან წამით წავები...
ცირკში წუთი დამაკლდა,
აფთიაქში — წამები...
მივაბიჯებ გამზირზე,
მივაბიჯებ გამზირთან...
სახლიდან და სახლისკენ...
ბაზრისკენ და ბაზრიდან...
ჩამიქროლეს
დამფრთხალმა ჩრდილებმა და
ლანდებმა...
სამსახურში,
სიზმარში,
ზღვაზე მაგვიანდება...
თავზე მადგას
თორმეტი დაგეშილი ჯალათი,
მაჩქარებენ ყოველთვის
ძალის-ძალის-ძალათი...
ჯალათებო!
მთავრდება მხიარული პიესა:
გაკრული ვარ ისრების ჯვარზე,
როგორც იესო...

●

ლამის მეფე ერეკლე გადაბრუნდეს
საფლავში,
გგონება,
გატყუებს თვალი გამჭრიახი:
ერთად სხედან
კრწანისში,
სამეჯლისო ტაბლაზე,
ჯანო ბაგრატიონი
და ირანის შაპი.

●

წარსულს ვეფერები და
წარსულს ვეალერსები,
მახსოვს ძველი გზები და
მახსოვს ძველი ვერსები.
ქუთაისის ბაზარი —
როგორც ბევრი ხოხობი —
ისე მახსოვს,
ბაზარში ყველსა ჰყიდდნენ ოყობით.
მახსოვს ვიწრო დახლები,
დახლთან უჩინმაჩინის
ჯადოსნური ჯოხივით ტრიალებდა არშინი.
მახსოვს ჭრელი ხალიჩა,
ის ნოხი და ის ხალი,
მახსოვს დიდის ბეჭედი —
ზუსტად სამი მისხალი.
ყორე მახსოვს ეზოში —
რიყის ქვებით ნაშენი,
თოვლი მახსოვს ქეჩაში —
ნახევარი საჟენი.
ნახევარი საპალნე —
ღვინოც მახსოვს ჩაფებით,
მახსოვს კვარტის ბოთლები
და სმა გადაჭარბებით.
კარგად მახსოვს,
პირველად როგორ ჩუმად შევთვერი,
ახლაც მახსოვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყლისფერი ჩარეკი და ჩეთვერი.
მახსოვს ქცევა ყანა და
    დესეტინა ვენახი,
მახსოვს,
კოდში ჩავყარეთ ათიოდე ჩანახი.
ათიოდე გირვანქა —
    მახსოვს —
    გვყავდა ბატკანი,
ოციოდე გირვანქას
    იწონიდა ბათმანი...
კმარა!
მოგონებებმა
    დამიმძიმეს ხურჯინი —
ადლიანი ლექსები
    და წიგნები — დუჟინი!..

მეზობლები

რწყავენ პალმებს და კაქტუსებს,
მშვიდად ცხოვრობენ ასე:
ზოგი —
    მეშვიდე სართულზე,
ზოგი —
    მეშვიდე ცაზე.

ჩამოწერილი წიგნების საწყობში

მლიქვნელთა და
    ლაქიათა
ფანტასმაგორია —
არც დევს,
არც ალაგია და
არც აწყვია —
    ყრია.

●

ყმაწვილს მამა ეფერება,
კოცნის,
ავსებს ალერსით,
კოცნის,
კოცნის,
ამქვეყნისა
    არაფერი **არ** ესმით..
მე კი ერთად-ერთი მახსოვს
    უცხო ზმანებასავით,
როცა წვერი ჰქონდა გაუპარსავი.

●

ამ პაწაწინა სახელმწიფოში,
რომელსაც ჩემი ოჯახი ჰქვია,
გასაოცარი ამბები ხდება:
აჯანყებები,
გაფიცვები,
რევოლუცია...
მეზობელ სახელმწიფოებიდან
არანაკლები პროტესტი ისმის,
შუაღამემდე
    ბობოქრობენ და
განთიადამდე
    აღარ ცხრებიან...
დილით კი
ყოველ ღია სარკმელთან —
გასამებული ბავშვის პერანგი
ჰკიდია —
    თეთრი ბაირაღივით.

●

არ **დაჰკლებია**
    არც **სიბრძნე** **და** **არც** **სიმამაცე,**
არ **აჰყოლია**
    არც **სიბერის** **სურვილს** **ჟინიანს...**
მე შევეკითხე:
    — მოგონებებს რატომ არა წერთ?
მან მიპასუხა:
— მე სიკვდილის **არ** **მეშინია!**

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ყველაფერი ცისკენ იწევს:
კაცი,
ჩიტი,
თვითმფრინავი,
ყველას თავის კანონი აქვს,
    განრიგი და
    ტარიფი.

ცისკენ იწევს
    დიდი სახლი,
    დიდი ხე და
    დიდი ნავი, —
    ღმერთი
    რაღა შენ გაგიწყრა,
    ტირიფო?!

●

მუხნარი და კოპიტნარი
    სიომ გაანიავა,
მერე ძალამ უხილავმა
    სიო გაანიავა.
დაუბერა ნიავმა და
    დაემსგავსა ნიავქარს,
ნიავქარი ქარად იქცა,
    ტყე ააფორიაქა.
ქარმა ძალა მოიკრიბა,
    გზა დაუთმო ქარაშოტს,
ქარაშოტი დაერია ხეებს უანგარიშოდ.
გაქარბუქდა,
აიწყვიტა
    აღვირი და არტახი,
მალე ქარბუქს გაასწრო და
    დაეწია ქარტეხილს;
და როდესაც ნამსურვები გადაიანგარიშა,
სარბიელი დაუტოვა ქარტეხილმა —
    ქარიშხალს.
ხოლო,
როცა აირია
    ქვა
    ღორღი და
    ფიქალი, —
სიო არვის არ ახსოვდა:
    გრიალებდა გრიგალი.

●

ამ ხეს
მაგის მოთმინების
რომ ჰქონოდა მეასედი,
იცოცხლებდა,
თუმცა თვალით არ უნახავს
    მას ეს ხე.

როლენი: „მოაზროვნე“

ჯეც რომ ცოტას მასესხებდეს,
არ ვიქნები მე ასეთი,
მივალ,
ვეტყვი:
— ერთი პეშვი მოთმინება მასესხე.

●

ხალხნო,
მოდით,
მომისმინეთ,
არ გეგონოთ მთვრალი,
ღმერთს და სინდისს გეფიცებით,

ჩემი ორი თვალით,
საკუთარი ორი თვალით,
ღამის საათებში,
რესტორანში დავინახე
    გაფრენილი თეფში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანანა ავალიშვილი

მარიამ სტიუარტის გახსენება

ქალაქელი კაცი კოლექტივის ყანების იქითა უბანში ცხოვრობდა. სამხრობისას ჩრდილგაკრეფული კაკლის ძირას ჩაიმუხლებოდა და ,ნიკნებიდან ყვებოდა ჭირელი ძაფით დართული წუთისოფლის ამბებს. მეთექვსმეტე გაზაფხულთან შეყრისას მოისმინა კატომ შოკლანდიისა და საფრანგეთის ულამაზესი ლედოფლის მარიამ სტიუარტის ამბავი. შეაღამის გარინდება ჩაეკვეა კატის კოლიებგაზიდულ თვალებში. წყროს პირს ძენწებში ჩაჯდა, წარმოიდგინა ლედოფალი რეგმატიზმებიანი ფეხებით ეშოყზე რომ ადიოდა და ჩუმად წასკვა ცრემლები. იმ ღამეს ვარსკვლავებთან დაკარგულ ცას ახედა და მარიამ სტიუარტისთანა სიყვარული ინატრა.

მეთექვსმეტე გაზაფხულთან შეყრისას გაათოხოეს კატო ჯანმაგარ, გაჯაგრულ კაცზე. სახლთამსთან გამოთხოვებისას ჩუმად შემოატარა თვალი სიცოცხლესავით ტკბილ შემოგარენს, ერთბაშად იგრძნო, რომ სამუდამოდ კარგავდა იმ განუზომელ სითბოსა და სიახლოვეს, მშობლიურს რომ ეძახიან და გულჩამწყდარი დაჯდა ურემზე. კაბა ჩამოიფარა ლამაზ მუხლისთავებზე და თავზანრილმა ჩაუარა ორლობეში ქინაესავით ადეგნებულ ბაგშვობას.

ახალ სახლობაზე მოზრდილი ვენახი და სიმინდის სურნელით შეზარხოშებული ბეღელი დახვდა.

იღგა კატო აკვამლებულ სამზადში და ფაქრობდა, რომ ურლრბევით შემოესეოდნენ წლები, შეეჩვეოდა ფანჯრიდან ფიფრიანი ბეჭედურის ცქერას, კვამლისგან ფერნაცვალ კედლებს და ისე ახლოს იგრძნობდა თითოეულ ნივთს, როგორც სახლში დარჩენილი და-ძმის სიყვარულს.

სამზადის კარიდან იწყებოდა ოჯახური ცხოვრების ყოველდღიური ომი. ფულებებისაგან გაკრეფილი კატო დაბლა ხრიდა თავისუფლების ალამს და გამარჯვება ლანგარზე დაწყობილი დარჩენელი ხილივით ბესოს ერგებოდა. კატოს თვალი ვეღარ ამჩნევდა გზის დასალიერს ცისკენ ,ფურის სიფთრეს და ერთხელაც არ გახსენებია ნატერა მარიამ სტიუარტის სიყვარულისა.

— კატო, — ეტყოდა ხოლმე კაცი რბილი, დაკუდული ხმით,—კატო, წყალი დამალევინე.

ეს იყო ბესოს შეხმიანება, ნაპირკალგაბნეული სითბოს გამეტება. მაშინ მადლიერება ამოავსებდა ქალის კალოებგაზიდულ თვალებს.

გამთენიისას ჩექმებს მოირგებდა ფეხზე ბესო. ოხშივარავარდნილ ლარს გაგლეკდა და ბაბაკალაკიდებული კოლმეურნეობის ბაღებისაკენ გაუწევდა. გარდვეული ღობეში ხელაკეთილი შემომძვრალ ბიგებს ავყია კაცის ხმით შეეძახებდა და ნამატევად ილიმებოდა. ბიგებს რცხვენოდათ ბესოს მოშტიკეებული ხასიათისა და თავჩაკნინდრული ეშეკრადან გადაიდნენ. ჩამოუვლიდა მეგელე ბაღებს, ნაყოფით წელგაწყვეტილ ხეხილის ტოტებს ეიგოს შეუყენებდა. სალამი ხანს ღვინის გადახუხავდა უბნის კაცებთან და თავშეკავებული ღიღინით შემოეკრიალებდა ეშეკარს. შინ შესულს ახლადამოყვანილი ყეფილის სუნი შეუტოკებდა ნესტოებს. ბეკადი თიხის დოქზე მიეკუდებინა ცოლს. ოთხიოდე წლის გურამი სალოკ თითს აწვდიდა წიწილასავით გაღეღნილებულ ძმას. კართან გაწოლილი ძაღლი მიმლოდინე თვალებით ახედავდა პატრონს. ყოველდღიური ცხოვრების წესრიგი ნეტარებით უვსებდა დაღალულ თვალებს. ოთახში თბილოდა. დიასახლისი მწნილს აწყობდა უბრალო, ფრიალა თეფშზე. გურამი შესაცქერად მამის ღონიერ ხელებს ეა სიმშვიდე ბატონკაცურად ეხატებოდა თვალებში.

წელიწადის ერთ-ერთ სამახსოვრო დღეს იცვამდა კატო პირისფერი ,ბარეშუმის კაბას. ცხვირსახოცში გამოკრავდა ფუფლ და ,ფეხით დაუყვებოდა რაიონის ცენტრისკენ გზას. ჩაუვლიდა სათიბებს, ახალის ბუჩქებს, ფეხშიშველა ბავშვებით დახუნძლულ ეზოებს, გზაზე გამწკრიალებულ ბაგებს. გადაივლიდა ხეოთას. მთებზე შეეფინო სოფლებს და ჩაადწევდა ქალაქს. მაღაზიაში ახალი ფეხსაცმლის, სასკოლო მელნის და შაჭრის სუნი გეცემოდათ. იყიდდა კატო ჩუსტებსა და თბილ ხალათებს

ბიჭებისათვის, დაბამბულსა და დალიანდაგებულ ქურთუკს ქმრისათვის. ასანთს, მარილს სახლისთვის, თვალი გამეცქიოდა ფანელის ჩრელი ხალათისაკენ. ნატვრაც ენანებოდა თავის თავისთვის და ყრუდ ამოიოხრებდა. გზაზე დასხენარებლად მარტვილოის ლუკმას იმყოფნებდა. სახლში მისვლისთანავე შეაგებებდნენ: „სადა ხარ, ქალო, აჭობამდის, გვშია". დაეცდაფდა პირისფერი აბრეშუმის კაბას და ფრთხილად შეაცურებდა იქ, სადაც ოჯახის თავმისაწონებელ ნივთებს ინახავდა. ატკვეულ მუხლებით მიფათურდებოდა კარადასთან, დალილ სახსრებს აამძრავებდა და სუფრას გაწყობდა. მერე ამოალაგებდა ნავაჭრს და ქმარ-შვილს დაულაგებდა თვალწინ. კატს ერთგულება კედელზე მოლოსმდელიყო, მივიწყებული და თვალს შეჩვეული ნივთივით უყალთაგადასული.

მესამე ბავშვზე იყო კატო ფეხმძიმეზე, როცა ომმა სიცივეშეპარული ხმით ამცნო ქვეყანის მწარ, სახლის სითბოს და სისხლხორცეულის დაკარგვის შაში. ტირდა ლოიეტდადებერილი ბიჭი და დედა მომეტებული სითბოთი აწყნარებდა პატარას.

ფრონტზე წასვლისას დიდხანს ჰყავდა მამას მკერდთან მარტოდენ გურამი. ერთი ორკვირ წაეკითკვლი, დანანებით გაუღიმა ცოლშვილს, მერე სცადა ცოცა გასალისებელიყო და გაიცინა. თითქოს აბრეშუმი გაფხრიწესო, ისე გაიცინა და კატომ მალულად ცრემლები ჩაყლაპა. მერე გაძალებულები, ქორს გადარჩენილი ბათმაფითი ჩამოიარა შაშმილმა და გამოფხეული ბეღლები მოსხრიკა.

დარჩა კატას კალთაზე დაწოლილი დამაშვრალი ხელები, თვალებში გაეყინული ცრემლი და ხის ბოსავით მლრღნელი ფიქრი სარჩოს შოვნაზე. ბავშვები ხშირ-ხშირად ჩახედავდნენ ცარიელ კოდს, ფქვილის სუნს იენოსავდნენ და ტახტზე მიეკრებოდნენ.

ზღვისპირეთში ნოყიერი მიწა და მდიდარი კოლმეურნეობანი, გიგანტა კატის, ფიქრებდახვეხებული შუბლით, მოკასკალი ხელებით ერთ ღამეს დაუარა სახლის კუთხე-კუნჭეულს, ყველფერის ჩუმად გამოეთხოვა და დილას ბაეშვები სამგზავრად გამოაწყო. ჩააცვა სკოლაში გადასახული ხალათები, სიძელისა და ნისუფთავის სუნით დანოგიოებულები. როცა თავის სახლის ძეძვიანი ღობე ჩათავდა, ქალი კანონად ხმამალი აბარდა, ძლიკძლიგობით შეიკავა თავი და სიცხისაგან დაგვიფენ ნიადაგს დაიჩრდა. მისდიეს ბიეებმა ფეხმძიმე დედას ტკბილნაგზის სადგურში, აყალმაყალით დარბეულ, თამბაკოსა და ოფლის სუნით გაეღენთილ, სალებავგადაყლილ ვაგონებში. მიდიოდნენ ეტტეხად, მიიკვლეულნენ გზას ნამბერარალეე თვალებსა და გამხდარ სახეებს შორის.

გაბარდნილიყო გოგრა ბოსტანში და ღობეზე თავგადაკიდებული ოკრიოზრად ლუოდა ავტომატების კრიახის დროს.

შრომობდა კატო კოლმეურნეობებში და დადიოდა ლუკმა მოჰქონდა შინ. სამნაწილნი გზამთან ჰქონდა ფიცარული. ერთხელ ფიცარულის კედლებიდან გამომდინარე ტრიალნი შეადოკა შუადღეის მიძინება. გურამი და ვიგა ნაპძინარევი თვალებით მიაჩერდნენ დედას. ახლადმოსული გოგო ტიროდა. ფეხშიშველი ფეხის ფრთხილი ხმაურით მიუახლოვდნენ კატის. გაანაწამებმა ქალმა გაიღიმა და იმედის თვალით შეხედა რვა წლის კაცს.

ერთი კვირის თავზე სამუშაოდ გავიდა და ჩვენი გურამის დაუტოვა. მოშიფვდებოდა პატარას, გამოაკრავდა გურამი რეცხვისაგან გათელილ სამანში, ქორივით ჩაადინებენდოდა ძმის სუსტ მაჯაზე და გაუკვეთიდნენენ გზას კოლმეურნეობის კანტორისაკენ. მიდიოდნენ გზის კიდეზე. სამარგო მანქანაში ძარის ყანყალითა და გამაყრუებელი სიგნალებით ჩაქერილებდნენ ცხვირწინ. გურამს ჩვენი" მკერდზე მიეკრა და მანქანების ბრიალნი მხოლოდ დის ტირილი ესმოდა. მიირბენდა კანტორასთან ნერვიულობისაგან გავერანებული, სახეშეშლილი დედა და ძოძუს აწოვებდა ჩვილს. ისევ მოეკვეთებოდნენ სამანქანო გზას. დედის ძრძი გამაძღარ გოგოს მშვიდად ეძინა. გურამს ხელი უბუედებოდა და ძლივსღა იკავებდა პატარას. სალამის მრეწდებოდა კატო სახლში, თავსაფარში გამაყრუებელი ფქვილითა და წინსაფრის ჯიბეში ჩაწყობილი პარკი ლობიოთი. მეორე დღეს ჩაადგამდა გურამი ლობიოს, ააგუნდავებდა ცომს და პურის ცხობას შეუდგებოდა მშმუნვარე კაცი.

როცა შეიღამების თალში ჩაღრი არეგრაეს პირისახეზე ჩამოეშლებოდა, გურამი ფიცარულის წინ დადგებოდა, გახეღავდა ფეხებთან გაწოლილ გზას, თვალს შეავლებდა დეგებივით მკლავებგადაკვმული მოეხს და ნაღვეკი გულს აუტკივებდა.

„ნეტავი ჩემს სოფელში მამყოფა, ნეტავი იქაური პური მაკამა, ნეტავი ჩემ განიერ ტახტზე დამაწვინა, ჩემი წყარის წყალი დამალევია და..."

კატო უმზერდა ბიჭის სანლილიებერ სახეს და ფიქრობდა. „ულუკმაპუროო, მშიერ-მწყურვალი, მაინც ბატონივით ვიქნებიდი.ჩემ კერაში, რა მომარბენინებდა".

ომის დამთავრებას ალარა უყლდა რა, კატომ იფიქრა, სახლში დავხვდები ბესოსო, წამოყრიფა ჭამები, ქვაბები, ტანსაცმელი. გამოაკრა ფუთაში და ისევ აეიდვენენ მატარებლის მაზეთიან შპალებს. სახლში დაბრუნებულს, თითქოს ცივი დამბაინა ჩაუდეს ხელში, ბესოს დალუპ-

მანანა აპალიშვილი
ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის ცნობა შეაჩერეს და უსიტყვოდ გაბრუნდნენ შთასანი ქალები, ისხდნენ ობმოკოდებულ ოთახში და გურამი დამარცვლით კითხულობდა: დაიღუბა ყირიმში. პატარა გოგოს ღამის პეპელი დაეჯდა ხელისგულზე და სასაცილოდ აქცევინებდა ჩვილი. გაშმაგდა გურამი და ხელეკუოდმა შემოარტყა ბავშვს. დედამ შეგიდა ბიჭის ცივ გულგატეხილ სახეს და ვეღარაფერი შეუბედა. მერე დიდხანს დაიარებოდა მთავრეულივით მამის ლანდი ოთახებში, ვენახში, სოფლის გზაზე და გურამის დარდისაგან გაწყდრული თვალებში. ხანდახან ახლად დანახულივით შეაჩერდებოდნენ კედელზე მამის სურათს.

ტალახიან შუკაში, წელგადრეკილი, ზურგზე შემდადწყობილი მიდიოდა გურამი და ჩამოძონძილი, დამფრთხალი ჩრდილი ბავშვობისა თვალსა და ხელშუა მიუძვრებოდა.

ჭარს გადაყოლილ ყაყაჩოებს ფურცლებივით იფანტებოდნენ წლები და კატოს, — ბრჭყალმაკარ ქორს, გამოუხუნდა კილლებგაზიდული თვალები, გურამი ინაწილებდა დედის დალლილობას და ნუხილს. გიგა რუსთაველი დასახლდა ცოლშვილით. გოგო სხვა სოფელში გათხოვდა. დადიოდა კატო დაჩრდილული გულით. ოთახს ავსებდა წლების მიღმა გადანახული ბმაყრითა და მოგონებით. მოგონება დროშასავით მშვიდად შრიალებდა კატოს ხსოვნაში. წამოწვებოდა გურამი ტახტზე და ყურს მიუდებდა დედის ფუსფუსს.

„ერთი ჯავრიანი, უგულისყურო კაციაო", იტყოდნენ გურამზე სოფელში, მხრებწაბრილი ჩამოუფლიდა ორლობეს.

— თურქული დადის, ძროხები მოიყვანეთ კანტორასთან ასაკრელად. — საყვირივით გასძახებდა და ისევ დაუყვებოდა გზას.

— ბრიგადირი მოჩაჩუნობსო, — დაიძახებდნენ ბავშვები. ერთი ნახტომით ავარდებოდნენ აივანზე და მშობლებს მოუსმობდნენ... გურამი მიდიოდა განურჩეველობის საფარით შემოსილი და არაფერს ამჩნევდა.

— ძროხები გამოიყვანეთო, — იძახდა ნირშეუცვლელად. მიირწეოდა წლები. ქარავანივით დუნედ, ხსოვნაგანდეგნილი და წიგნში ამოკითხულ ნაცნობი სახელებივით უღიმღამო. გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა. ზამთარი. როცა დისშვილები მოაკითხავდნენ სხვა სოფლიდან, როცა ძმისშვილები ჩამოვიდოდნენ ქალაქიდან და ღრანტელივით დაარბევდნენ არემარეს, გურამი ჩავდოდა ეზოში. წაფარდებული მხრებით მიეყრდნობოდა ხეს და გულგრილობით გაშეშებულ თვალებს მოატარებდა ირგვლივ.

იხვების საცურაო გუბეში გაეშვათ ბავშვებს სათამაშო ნავი. ბრუნავდა პროპელერი და დინჯად სერავდა ნავი წყალს. სათამაშოდ დაანტერესა გურამი. მიუახლოდდა ბავშვებს და გამოართვა.

— ბატარეა გამოელია, ბიძია.

— რაა?

— ბატარეაზე მუშაობს.

— ბატარეაზე ხომ! — გაბორატებით ჩაიცინა გურამმა და შინ შეავდა.

ოთახში კატო შემოფაჩუნდა.

— ვაშინა ახაკინი, შვილო.

— ავკონავ, ავკონავ! დამანებე თავი. — მერე შეჩერდა, ქვასავით დაცემულმა სიჩუმემ გამოაფიზზლა. დედის სიმწარეგარეულ თვალებს შეხედა და გული მოეწურა.

ფანჯარაში გიიხედა. ბავშვებს სათამაშო ნავი მიეტოვებინათ და ორლობეში გარბოდნენ. გურამის წელადდელ გაცცხრებას, გულგრილობა დაეპატრონა, მახვილივით ამპყად შემპრთოული.

ტახტზე წამოწვა და ოთახი შეთვალიერა. ტახტის პირდაპირ სარკიანი კარადა იდგა. მის მარჯვენა მხარეს, ბუთრკლის შუსანახ ადგილას, ქალის თავი გამოესახათ. შიშველი ყელითა და გულამოჭრილი კაბით. კირით შეფეთქილი, კვამლით შებოლილი ბუხარი დამკვნარ, დღემოყლე ბერიაკცს ჰგავდა. ოთახის ერთ კუთხეში პატარა მაგიდას კატის ხელით ნაკარგი საფარი ეფინა. ზედ სარკე, წარილმანების ყუთი და სავარცხელი იდო. მეორე კუთხეში მომცრო ზომის წიგნების თარო იდგა, ზედ დადუმებული რადიომიმღები მოეთავსებინათ იდგნენ ნივთები ოთახში, სიფლავის ქვეშივით სიიმდენი, ყამდაან ყამამდე უცვლელად. იდგნენ ოჯახური ტკივილებისა და გაფრენილი წლების ჩირისუფლად. გურამმა ხის ყუთში ჩაკეტილ საათს ახედა. საათი ცხრას უჩვენებდა. ათეული წლების მანძილზე. უძრაობა რჯულდებასავით ჩაკირულიყო სახლში. სიჩუმე მარადიულ სანთელივით დაჰკანკალებდა თავზე, დრო მიძვრებოდა წყლის მცირე ჭავლივით, ეუბრუტანებოდან, ღიად დარჩენილი კარიდან. ობელისკად ქცეული ნივთები ინარჩუნებდენ ხსოვნას უძრაობისას. გურამმა ჩამოხსნა კედლიდან საათი. მტვერს სული შეუბერა. დანის წვერით გახსნა საათი, დაშალა, ნაწილები ცალ-ცალკე დაალაგა და ყურადღებით დაჰაკვირდა.

ალიონის გაწეწილ ნისლში გაყვა კატო სოფლის ნახირს საძოვრებისაკენ. მალე მზემაც წამოიწია. ამოიხედა მთის წვერიდან.

გზისპირს მსუბუქი მაჩანაგი გაჩერდა. კაცი და ახალგაზრდა ქალი გადმოვიდნენ მანქანიდან. იდგა ქალი გზის კიდეზე და ცისკენ ატყორცნილ ხეს ჰგავდა. სიფაქიზე ეტყობოდა კაბის ნაკეცებზე. დაბალა დაშვებულ გრძელსა და სალუქ მკლავებზე. თმა ოდნავ ეხვეოდა კეფაზე. მო-

მინანქრებული პირისკანი ჰქონდა და მელოდიური ხმით ესაუბრებოდა კაცს. კაკოს სურვილი დებიდა რადაც მნიშვნელოვანი, წიგნერი ეთქვა. უცებ მარიამ სტიუარტის სიყვარული გაახსენდა. ისიც გაახსენდა რევმატიზმებიანი ფეხებით ეშოფოტზე რომ იდგა და დედოფალი. შეიჭერდა, ჭვენტანინ ტალოტ შიდან კენჭი გადმოაგდო. კაკოსაც რევმატიზმები აწუხებდა და ბებრული ნაბიჯებით მიუყვებოდა გზას.

ფიქრი ერეკლეზე

ჯერხა ჯაფარიძეს

ხელჩაკიდებული მიყავს პაპას ერეკლე საბავშვო ბალისაკენ. დილაა. ადრეული გაზაფხლის ეროლასტანილი და ხხივგამკრთალი დილა. მიიჩქარიან ბალის ბისკრისკენ ინსფერმიანნი, ტკვივისლაბადიანნი, ქურთუკიანნი, რიხიანი შესახედობისა და შეფერილობის ბშოხლები. ბავშვები მიხტუნაობენ თამამად, ხმამაღალი საუბრით, მოდიან და ხის ფეხსვებივით განტოტილი კითხვებით, მრავალხმიან სიმღერასავით ლამაზი აზრებით, იმორჩილებენ დღე-ღამე, წუთ-წუთ რიგსა და კალენდარულ სიზუსტეს მდევარივით დადევნებულ სინამდვილეს.

დილის ემბაზში განბანილ, სიწმინდედადაფენილ სინათლეზე ლივლივებს დედისა და შვილის მამისა და შვილის ერთსახიბა. ესიტკვებიან ერთმანეთს ფერით, ეერითა და სიახლოვით.

ერეკლე უხმოდ, შემკრთალი მიმყვება პაპას. დიდრონ, ტბასავით კრიალა თვალებში შეირხევა ჩრდილი და ბიჭი იმედის თვალით ახედავს მოხუცს. ქალის ყაყაჩოსფერ ტუჩებს გაკაობს ღიმილის ჩქერი და აღმზრდელისაკენ მოაქცევს მზერას.

— გრძელი შარვალი არ ჩააცვაო, ბატონო, მოკლე შარვალი და წინდები, ან რეიტუზები.

პაპამ საყელოში ჩაუყო თითი ერეკლეს, მიუხვიანა.

— შესცვდება მოკლე შარვალში?

— რეიტუზებთან ერთად, მოკლე შარვალი, ბატონო!

შეუუვარა მასწავლებელმა ქალმა ერეკლეს პაპას და ტუჩებგაბოლილ მშობელს მიუბრუნდა.

წყენის შავი ლაქა დაიჩნდა ბიჭის სახეს. პაპამ ჩაიმუხლა, თბილად აკოცა კისერში შვილიშვილს. „აბა, ეარსალად იყავიო", უთხრა და ზრდელობიანად გაემართა კარისაკენ. ერეკლე ჯგუფში შეეკვა ახმაურებულ ბავშვებს, უყურას სათითაოდ შეაკვლო თვალი და კუთხეში დაჯდა. მასწავლებელი შემოვიდა, ტაში შემოკრა, მხარულად შეუძახა ბავშვებს, აბა, დამზკრავდითო ერეკლეს მაღლიერება ჩაეღვარა თვალებში. რაღაცის თქმა დაპირა, მაგრამ სხეულით, გუმანით იგრძნო, რომ თაეიუფუფად არ გამოუვიდოდა და ბიჭის უეცრად მოვარდნილი სითამამე გაჩერებულ საათის ისარივით გაშეშდა.

მზე ოქროსფერ ისრებს ისროდა განიერ ფანჯარაში და ბავშვების სიცილი გაწყვეტილ მძივებივით ბინეოდა. სიცილი ჰქონდათ ლალი, თითქოს კვაცივით გარბოდა მათი ხმაური მინდორში და უკან მოცელილ ბალახებს ტოვებდა.

იდგა პაპა ავტობუსის გაჩერებაზე და ერეკლეს მწუხარისფერი თვალების ჩრდილი სახეზე ეფინა. ავტობუსში ადგილი დაუთმეს. პაპამ მიიხედ-მოიხედა, სხვისად მიიჩნია ცარიელი სკამი. ახალგაზრდა ქალი ახმინადა.

— დაბრძანდით, ბატონო, რა შუაში გახიდულხართ.

პაპა დატუქსული ბავშვივით სასწრაფოდ დაჯდა.

— ამხანაგო მგზავრებო, შეიძინეთ ბილეთები, სინდისი თქვენი კონტროლია! — მაკროფონიდან ყაჩაღივით გამოვარდნილი ხმა აგუგუნდა ავტობუსში. პაპა ხელში თხუთმეტკაპიკიანს აწვალებდა. აქეთ-იქით იყურებოდა. ეგება ვინმემ შემოცალოსო. ამ სიტყვების გაგონებისთანავე ადგა, თხუთმეტკაპიკიანი სალაროში ჩააგდო და ერთი ბილეთი მოხია.

— Хозяин, гуляет, мęсто теряет — იხუმრა უგერგილოდ ყალაყუდა კაცმა.

მაღალი, რუხი შენობის წინ გაჩერდა ავტობუსი. მოხუცებულნი ჩამოვიდა, შეიღო შუშიანი კარი და ლიფტს დაელოდა. მერე წითელ ჭალტაფხიანი, საფეთქლებთან ლამაზად შეკვლარავებული კაცის წინ იდგა და დარბაისლურად, საკუთარი ღირსების გრძნობით ლაპარაკობდა.

— ორმოცდაათი წელია ვმასწავლებლობ! ბატონო მიხეილ, ოცდაათამდე შრომის ავტო-

მანანა აპალიშვილი
მოგონებანი

რი ვარ, ჩემი მეთოდური ხასიათის წერილები სასკოლო ცხოვრების შესახებ, ხშირად იბეჭდებოდა პრესაში. დამსახურებული მასწავლებლის წოდება მომანიჭეს. ახლა პენსიაზე გავდივარ და...

— და პერსონალურს თხოულობთ ხომ, — შეაწყვეტინა კაცმა,

— დიახ.

— ჰმ, რა გვარი ხართ?

— ქართველიშვილი.

— ჰოო, — ახალგაზრდამ გულისკიბიდან ჯალტეხილიანი ცხვირსახოცი ამოიღო, შუბლზე მიიღო. მანერები ზუსტად ნაინგარიშევი ჰქონდა და ცდილობდა მოძრაობათა ჰარმონია არ დაერღვია.

— დამსახურებული მასწავლებლობა არაა საკმარისი, პერსონალურსაც რომ თხოულობთ? — გამკლავეი თავაზიანობით თქვა კაცმა.

კედელზე ერეკლეს ფერმკრთალმა სახემ გაიელვა. ბავშვის გულისყურიანი მზერა გულამდე ჩასწვდა პაპას' და მოხუცებულმა გამძლეობა შემატა ხმას.

— მე რაც სამართლიანად მეკუთვნის, იმას ვითხოვ.

—ვიფიქრებთ, ვიმსჯელებთ და თვის ბოლოსთვის თუ გამოიელით... წერილ-ჟალსტუხიანის ხმის მდინარეებს სიფრთხილე შეეპარა.

— მართალი მითხარით, ოლონდ მართალი მითხართ, დამინიშნავთ თუ არა, — სიმტკიცე დამპერობელივით მიეძალა მოხუცებულს.

●

პაპამ ხელის კანკალით მოარგო გასაღები კარს. ორჯერ გადაატრიალა, ბეჭითად გაიწმინდა ტილოზე ფეხი და ოთახში შეეყოდა. პალტოს რომ იხდიდა, თვალში მოხვდა გაიელეცილი სახელოები, იდაყვებთან გახეხილი ქსოვილი და გაიფიქრა, «კარგია, რომ გაზაფხულდა, პალტოს გავიხდი, თორემ ამით საბავშვო ბალში სიარული უხერხულია". მერე დივანზე ჩამოჯდა, ჩაფიქრდა. წარმოიდგინა ერეკლეს ბავშვებს შორის. იგრძნო მისი დაყურადღებული სიმარტოვე, ნდობით, გაუზიარებელი ხიკეთით სავსე პატარა გული. იგრძნო ბავშვის ფართოთ ხელისგულების სითბო და თავდაუცველობა. თითქოს კისრის ძარღვები გადაუნასკვესო, სუნთქვა შეეკრა და მოხუცებულ ახრიალდა.

პაპას 1941 წლის აგვისტოში უმცროსი ვაჟის დაღუპვის ცნობა მოუვიდა. 1942 წელს, — უფროსი შვილისა... 1970 წელს ქალიშვილი უკურნებელმა ავადობამ მოუკლა. მაგრამ ახე ძალუმად არცერთხელ სტკენია გული, როცა კაკლის ეიასავით შემოაცოცდა ფიქრი, რომ ერეკლე ძალიან ჰგავდა მას.

ᲐᲕᲢᲝᲠᲝᲖᲘ

საღამოს გაცრეცილი ლანდები მარბიელებნენ ჰაერში. ამ ქუჩაზე ყოველი სახლი სადარბაზოს კარზე გამოსახული ანელილზები დაბალი სართულის ფანჯრებში თვალისმოყვრით შემჩნეული ოჯახური ყოფის, ადამიანთა ცხოვრებისეული გემოვნების პატარა-პატარა ნაგლეჯების დანახვა, ჭკვის საფეხურების ავლა ახსენებდა ცეკვა-ცეკვის ჩავლილ ბავშვობის დღეებს. ყოველ დღე ვაარსებდა თავიანი ღირსებოვანი ფერი. ეს დღეები ახლა მახსოვრობის ფლეგმეებში მთის ბროლივით ელავდნენ და დავიწყებაა არ ეწერათ.

ღიდი ხნის მერე, როცა ქუჩაში შეხვდებოდა თავიანი თაობის ადამიანს, ანდა ნაცნობს მეზობელი სკოლიდან, განწყობილება ღრუბლებგადაფენილ ცას ემგავსებოდა და გულზე გახსენების მსუბუქი ჩრდილი დაეფენოდა. ამ გახსენებისადმი ბოძებული ალტაცება ფანჯრით დაწერილი ბარათივით ფერმკრთალდებოდა, ცხოვრებასთან პირისპირ შესლის გამო, თქვრათქვენით ჩავლილი წყლის გამო. დამიბრალოსელებდა თავს სინანულით, მოზარე ქალივით მწუხარე და გულის კუნკულს მოფარებული.

ხანდახან რუხი, ოთხსართულიანი შენობის დანახვისას შემოეფეთებოდა ბავშვობას, პირველი თოლლივით განსაცვიფრებელს და მზოლოდ ფოტოსურათებზე დარჩენილს.

●

კეთედრასთან დგას ფუთობისგან დატკეპნილ შავ პიჯაკში გამოწყობილი, თმაგათეთრებული მამაკაცი. ხელის ნერვული მოძრაობით გადაშლის ფბის წიგნაკს და...

ჯაში, დიფასთან! —

ნოღარი ზლაზვნით ღგება, ღოლბანდით შეხვეული მარჯვენა ხელი გაშეშებული აქვს.

— გუშინ კიბიდან ჩამოვვარდი და ხელი მეღრძო. მასწავლებელო.

— მაგით რა გინდა თქვა? — თავშეკავებული ხიბრაზე ფეხაკრეფით ეარება ხმაში

— რეკვიციებს ვერ დავწერ, ისე...

მასწავლებელი მცდელად ეუტკივს თვალებს.

— ტკინიც ხომ არ გეღრძო?

— ტკინი არა, მასწ!

— დაჯეკი, დაჯეკი, სამუსაიფოდ არა მცალია.

— პროფესიაცია, მასწ!

გაისმის ბოლო მერხიდან. ერთ წუთს მასწავლებლის თვალებში გულისწყრომა ნაპერწკალივით გაიკვეთებს და აუვარდება.

— პროფესიაცია, დეგრადაცია, ამბიცია, გნოსეოლოგია.

ნიკო მასწავლებელმა სული მოიოქვა, ცხვირსახოცით შუბლი მოიწმინდა და განაგრძო ჩამოთვლა.

— ინოქოსფრია, კამზოლი, კანიბალიზმი, პანეგირისტი — კლასში ფარდასავით ეშვება სიჩუმე და მოსწავლეები საინტერესო ამბავს მოელიან.

— ილაპარაკეთ რაც შეიძლება უცხოურად. თავი მოიჩენენთ ულეელს, რომ ნასწავლი ხართ, თქვით რაიმე შესაშინებელი სიტყვა, აიზრიოვნეთ მბეჭდოსნად, კატეგორიებით, განყენებულად. დაგიჯერებენ, რომ გონიერი ხარ და უბადლო. ახე მიაღწევთ ფინიშს და დაგემარჯვებათ ფრონტატი. გასაგებია?!.

კლასში სიჩუმე ახლა უფრო მბრძანებლური გახდა.

—მე თუ შემძლია დავიჯერო, რომ ჯაშს ხელი ეტკინა, რომ ჩიჯოვაძეს ბებიის ორმოცი ჭკნება და ბაკვეთილი ვერ მოაშზადა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ იმ დღეების სიკეთე და ნათელი მომდევს, — ბავშვობა რომ ეძახიან. გამახსენდება, როგორ ჩაშავდებოდნენ ბაღში ალუბლები ბინდისას, დასიცხულ შუკაში როგორ ზანტად მიმოდიოდა დაუღლელი ღორი. გამახსენდება. შეორდამაზე მეწყმულისაგან გადაფერილი ფოები, გამეხსნება გული, მაშინ გვაკიოთხთ უკუღმართობას, მეკრა სიმარილისა.“ — ნიკო მასწავლებელის ხმა მოეწყალა. გრძნობამ შეაჯერინალი სიტყვები.

— მთავარი ცხოვრებაში კომფორტი, გამოჩენილობა, ჩინ-მედლები ან არაა, მთავარია სიკეთილამდე ხელშეუფებლად, ავგარიზეიით ატართ ერთადერთი საუნჯე — პატიოსნება, გასაგებია?

ზარი ირეკება, ბაშვები უხმაუროდ, თავჩაზრნილები მიეშართებიან კარისკენ. ერთმანეთის ეშას უთმობენ. მასწავლებელი დაღლილი ზის კათედრასთან და მოსწავლეებისაკენ ერა იხედება.

მერე ქართული ლიტერატურის გაკვეთილი იწყებოდა.

„მიხეილ ჯავახიშვილი მე-20 საუკუნის ქართული მწერლობის სახელმოხვეჭილი ოსტატი“.

დფნდდ, მოსახვევში გახრიგინებული ტრამვაიეთ იწყებს თხრობას მასწავლებელი. უცებ მოსწავლისაკენ მიტრიალდება და დამცინავად ამბობს.

— რაო, დეგენერატო, უკან ეიურები დეიჯდენები? — ანდა, — ვინ არიან ბიჭო შენი მშობლები?

ერთხელ ქარბორბალასავით შემოიჭრა უცხო კაცი საკლასო ოთახში დირექტორის, ხასწავლო ნაწილის დამრიგებლის თანხლებით. უცხომ თვალეი ი ბ ი ბ ა ა ა

ტაციის დაცვაზე და ქალიშვილებივით ესეოდა ფიქრები.

მაღალ კათედრაზე გამომწვევი სილამაზის ქალი იდგა და წარმატებას შეჩვეული გამომტკველება წითელი ძაფით ამოქარგა სახეზე.

„ამ ქალისათვის სულხან-საბა მხოლოდ მე-18 საუკუნის მოდვაწეა. გალაკტიონი კი ლექსების „მერის“, „შესაფლავეს“, მე და ღამეს“ ავტორი. ლეკ ტოლსტოი — ეგნალური რუსი მწერალი. ალბათ არ იცის, რა გახელებული ტემპერამენტითაა დაწერილი „კრეიცერის სონატა“ არ გაუგია, რომ მწერალი მთელი სიცოცხლე პანიკური შიშით ფიქრობდა აღსასრულზე. ვერ გრძნობს, რა უზადოდ, ტკბილნარევი სიყვარულით აქვს აღწერილი მას კატაუშა მასლოვას ოდნავ ელამი თვალების სილამაზე, ამ თვალების სწრაფი მიმოვლება სასამართლო დარბაზზე და წამიერი სამორცხვე თავიანი ბედიდსწერის გამო. არასოდეს დაეკვებულა, რომ ნეხლიუდოვის ქრისტიანული მორალი, ზოგადი მნიშვნელობით, კეთილშობილური და ადამიანური იყო, მაგრამ ამასთანავე ღრმად ეგოისტურისა და პირადულობის დამდეთ მოსეირნეგებული. არასოდეს განცვიფრებულა, რომ შემოქმედის ნათელხილვა ღრმა ადამიანური სამართლითი. წარმოსახავდა დიდებული გრაფისა თუ უბრი ელეხის, ქალწულისა თუ მრავალშვილიანობით დალლილი ცხოვრების ყოველდღიურობას გადაყოლილ დოლი ობლონსკაიას დედფრი და ქალური პატიოსნებით ალსავსე შინაბუნებას.

ამ ქალში ერთხელ ანგარიშიანობის ეჭვი აჩოჩქოლდა. მაგრამ ანგარიშიანობამ არ დაანება ეჭვს სამზეოს ხილვა და გრძნობების კუთხე-კუნჭული მეკუჭნავეესავით ძველმანებით ამოქოლა, ამოქოლა და სულის ბაუქმებული სარკმელს ობი მოედო.

ობმოკიდებულმა გრძნობებმა საშველი არ მისცა დაენახა თარაშ ემხვარის არსებობის ნაპრებმორღვეული სევდა. არასოდეს დფიქრებულა რომ თარაშ ემხვარს, გრძნობაშემოხარჯული, ცივილიზაციისა და განათლების ხიდრმეში გზაგაკვალულს, სიძველისადმი, ტრადიციისადმი, სიყვარული ჩაკარული ჰქონდა სხეულში. მემკვიდრეობით ნაანდერძევი და საუკუნეებით დათარილებული არისტოკრატიზმი ხელს უშლიდა ახალ გარემოს შერწყმოდა, ტრანსფერ სიყვარულით ასამრეგდა ღვთისმოსავ თამარ შარავაშიეს. როგორ თბილად მიიღო მისი სხეული წყალმა და რა ლამაზად მოიტაცა ენეკურმა მთვარე, არ უგრძვნია, რა წარუზოცელი ნელსურნელება სიძველისა დაკარავდა თამარის აღზრდას, ჩვევებს, ბუნებას. არ დაუნახავს ამ ქალის სულიერი სიმარტოვე და სასოწარკვეთა ადამიანებთან — ყოფნისას და მისი სიყვარულის ტრაგიზმი, თარაშის ნიძველით გაპოზიერებული რწმენიდან წარმომობილი.

იდგა კათედრაზე ტრაში გამარკვებული მსრალელივით და მოლოდაცალა ელოდა. უეცრად გაკრული ასანთივით ებადებოდა თვალებში სიხარული.

ნანას მოეჩვენა, რომ დარბაზში ნიკო მასწავლებელი იჯდა. აი, წამოდგებოდა მასწავლებელი, ავდოდა კათედრაზე კარგად მოვლილ პიჯაკში გამოწყობილი, სუფთად გაპარსული, ინტელიგენტური სახის კაცი და გულისხმიერი ხმით ეტყოდა შეკრებილთ.

„მთავარია ავგარიზოვით ატაროთ ერთადერთი საუნკე — პატიოსნება“.

●

მძიმე ნაბიჯით მიუყვებოდა ქუჩას. დაბალი სართულის ფანჯრებში იცქირებოდა. აი, ახლა გამოჩნდება კედელზე გაკრული გობელენი, ტახტი, გრძელი მაგიდა. მაღალზურგიანი სკამებით შემოკარული. მაგიდასთან ზის მოხუცი კაცი. გაშლილ კარტებს დფიქრებული დაჰყურებს. უცებ შეძრწუნებული წამოიყურებს.

— ზაქარია!

ოთახში შემოდის მხედრული გარეგნობის, გრაუზათმანი, ლამაზი მოხუცებული.

— ზაქარია სიკვდილი ამოვიდა კარტში.

— ვინა?

— შენი, ზაქარია, შენი!

კაცმა იცის, რომ ეს არაა მთავარი, მთავარი ახლა იწყება.

— უცნობი ბანოვანი დგას ბნელ კუთხეში და ტირის.

— ნეტა ვინ უნდა იყოს? — უსიდად დაინტერესდება ზაქარია. ქალი იხსნის სათვალეს. ხელს გადიხვამს თვალებზე და ხმისაწევით ამბობს.

— ზაქარია!

კაცი შეჰყურებს მეუღლის ნაოვებით მოგვრისტებულ ლამაზ თვალებს, ამოოიხრებს და დაუვავებით მიუგებს.

— რაღა დროს ექვიანობაა, ჩემო ქალბატონო! — ნინა მოშორდა ფანჯარას. გუნებაგამოკეთებულმა გადაჭრა ქუჩა და შეაღო სადარბაზოს მძიმე კარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცა ჩემთან

ახლოს მომდგარხარ,
ლურჯო ცაო,
აღარ მიწყრები,
ჩემი მაღალი აივნიდან,
ვხედავ, იწყები,
შენი სხივები
ჩემს ეზოში თოვლებს ალხობენ,
მაგრამ ვერ ვცანი,
რას მიქადის ეგ სიახლოვე.

მზეო, მაღალო!

მე შენი ვალი მმართებს და მმართებს:
სისხლით და ხორცით,
სულით და სხეით,
დღით ბინდამდე მთოვს შენი მადლი,
რასაც ვიქმ—შენით,
რასაც ვჭვრეტ — შენით.
უნდა დავიწვა, რომ დაგიბრუნო
ჩემზე ნახარჯი ცეცხლი უკლებლივ,
თორემ წამყვება იქ, საუკუნოდ,
მე შენი ოქროს თამასუქები...

ფერიცვალება

პირგაზაფხულო,
თუ გახსოვს ის დრო,
თავდავიწყებით რომ ერთად ვრბოდით.
შენ ყაყაჩოებს მინთებდი დიდრონს,
მომიჩრდილებდი ალუბლის ტოტით...
ატაცებული ვტოვებდი შინას
და ქალაქგარეთ მოგდევდი ცისფერს,
დავსველებულვართ წვიმებში ხშირად,
გავცივებულვართ,
გვქონია სიცხე...
შენ დღეისდღემდე დარჩი შენებრი:
წმინდა თვალებით,
აბურცულ ტუჩით,
მე ჩავიკეტე,
ვერ გეჩვენები
დაღარულ სახით, ცივით და ლურჯით.
მაინც მიხარის, რომ გხედავ გაღმა,
რომ დახვალ შუქით
და ქალწულთ ატფობ,
ო, გაზაფხულო,
შენდამი ახლა
მე დედობრივი გრძნობა მაქვს მარტო...

ქართლის გამოსალვა

გარსმა წვიმისამ
მოიარა მიწის ზემოთი,
ვერცხლის მოყვარე
ფშატიანი და ვერხვიანი,
ოქროს მოყვარე ჯეჯილები,
გზები მეოტი,
ტყის სახურავი,
ჭალაკების გრძელი ხვიარი.
და როცა წვიმამ არეები
სულ გადააბა,
უცებ გადიღო
და ველები გაბრწყინდა ნათლით.
და ორ ქედს შუა,
როგორც თვალი
გრძელ წამწამთაგან,
მწვანეზე მწვანე,
ლურჯზე ლურჯი
გამოკრთა ქართლი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

დროო წარსულო,
ვით ნიადაგი, ეგრე ხარ ჩემთვის,
შენით ვიზარდე, შენით დავსრულდი
და მოველ დღემდის...
მაინც შენს გამო გამივლის ხოლმე
შიში მალ-მალე,
რამეთუ ჩემი,
რამეთუ ჩემი
ხარ მომავალი!

უმზეოდ...

ცისფერ სუფრაზე წითელ ვაშლთა
ლხინი ნათობდა.
გარეთ გათოვდა,
გათოვდა და მნათობი დაშრტა.
მაგრამ ცისფერი მქონდა სუფრა
ვაშლების მზითა.
სიამეს მგვრიდა
მათი გროვა, მეტისმეტ ტურფა
მერე ჭიშკარი აჭრიალდა
და ლურჯთვალება
ჩემი თავნება
მეგობარი შემომზიანდა.
ლამაზ კბილებით სულ ნარჩევი
შემუსრა ვაშლი
და მერე გზაშიც
წაიტანა ის დანარჩენი.
ჭაბუკს წაუღო, ყოვლად სათნოს,
ის ძოწეული,
მქვია ეული,
წაწყმედილი და თოვლი მათოვს...

თეთრი ქვა

მინდორს გდია თეთრი ქვა,
ლვთაებრივად თეთრი,
მთვარესავით ზორით ჩანს,
ქვას რა უნდა მეტი,
მაგრამ, ვაი, უგრძნოა,
არ ჰქონია ბედი,
დაღუპულა მინდორზე,
როგორც ზღვაში გედი.

●

შარა დასავლეთით ილტვის,
დაისს უერთდება შარა,
მივალ აღკაზმული წითლით,
ბაბუაწვერების ჯარით
და, თუ მომეხმარა ქარიც,
მზეში, მზეში შევალთ ჩქარა!

ბ ი ლ ი კ ზ ე

აქა ჰყვაოდნენ გასაკვირველი
დიდი, ბრჭყვიალა ლილიფარები.
შემოდგომაზე ის ყვავილები
ყვითელ ფოთლებით მიმოიფარენ.
მგრე ფოთლებზე თოვლები დადო,
მაღალი, თეთრი და საესავი,
დღეს იმ თოვლებზე
მეტისმეტ სათნოდ
მზე აფენია ყვითელ ბზესავით.
ამ ლბილ საწოლზე
საოცრად ნეტარ
ფარფატებს ჩემი მოშავო ჩრდილი,
ვაჰ, თუ ეს არის ის სახე, დედავ,
რაცა ვარ მზისთვის
მე, მიწის შვილი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზაფხული მიდის

ღობის გასწვრივ
ქლიავები ამოყვავდნენ,

როგორ ჰგავდნენ,
როგორ ჰგავდნენ რძის ხეებს!
მერე თითქოს ადუღდნენ და ამოქაფდნენ,
გადმოვიდნენ,
მოეფინენ სივრცეებს.

შავი მიწა გაათეთრეს
ლამაზებმა,
დალოცვილნი, სულ ჩემს გზაში
მოგროვდნენ,
აქ თავს იყრის გაზაფხული
წასასვლელად
და მე ახლა
შორით ვუვლი ორღობეს...

●

ვით ორიანი იმეორებს ერთიანს ორჯერ,
ჩენთვის ყველაზე მახლობელი მე ვიყავ,
დედა,
ვით ორიანი იმეორებს ერთიანს ორჯერ,
ასე ორმაგად ვიმეორებ
შენს ტკივილს, სევდას.

მაინც არ ვღელავ,
ხარ ბუნება და მე მოგყვები,
ვგრძნობ,
შენი სული ფეხმძიმეა ჩემს სულსა ზედა.
და ემზადები,
შენი გზითა და მეოხებით
მაგ ქვეყანაშიც რომ ვიშვა, დედა!

გოდერძი ჭეიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



აგვისტოს სამი დღის ქრონიკა

ჩანაწერი პირველი

შაბათს თითქმის მთელი შუადღე აბაზანაში გავატარე. ბაზრიდან შინ დავბრუნდი თუ არა, ჩემი ნავაჭრი—იმერული ყველი და ბოსნტეული მაცივარში შევალაგე, ტანსაცმელი გავიხადე და ფანჯრებს ვეცი, აგვისტოს ბრდღვიალა მზე ცეცხლივით რომ შემონთებოდა, ფარდები დავუშვი, მერე ვენტილატორისაკენ წასვლა დავაპირე, მაგრამ უმალ გამახსენდა, განუწყვეტელი ბზრიალისაგან გადახურებული. წუხელ რომ გადაიწვა; სულშეხუთულმა და დასიცხულმა აბაზანას მივაშურე და ეს ბრწყინვალე აზრიც, იქ მოვუჩებულიყავი, თავში სწორედ მაშინ მომივიდა. გამოსავლის პოვნაა ძნელი, თუ იპოვე, მერე აღარაფერი გაქვს საფარდებელი, მთავარია, დაოსტატდე, დაიხვეწო, გამოიქექო გამოსავალთა ძიებასა და პოვნაში, როგორც ჩემი რედაქტორი იყო დოსტატებული და კიდევ ბევრი სხვაც...

საბაზანოში დიდებულად მოვკალათდი! —გრძელზონარიანი ტელეფონი სკამზე დავიდგი, მაჯის საათი, ახალი გაზეთები, სიგარეტი, სანთებელა და საფერფლე იქვე მოვათავსე (საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგ ისე ხშირად აღარ ვეწევი, როგორც წინათ, მაგრამ მთლად მაინც ვერ შეველიე) და

საცურავივნად ჩავჯექი გრილი წყლით ნახევრად სავსე აბაზანაში... საცურავიანად-მეთქი, რომ ვამბობ, საგანგებოდ კი არ ჩამიცვამს, თითქოსდა აუზის ან ზღვის წარმოსახვა მდომოდეს, არა, საცურავს დიდი ხნის წინათ, მოწაფობისას შევეჩვიე, ცურვაზე რომ დავდიოდი და ჩვეულებრივი ტრუსის ჩაცმა ვერც კი წარმომიდგენია, ასე უფრო შეკრულად, მობილზებულად ვგრძნობ ხოლმე თავს.

აბაზანაში ვერ ვიმართებოდი, თავი ონკანის გვერდით ჩამოვდე და ფეხები აბაზანის კიდეს მივაბჯინე.

ვტოტვებოდი წყალში და ეს ისე სასიამოვნოდ მეჩვენებოდა, თვალებიც კი მომღულა, წამთვლიმა... არ ვიცი, რამდენ ხანს ვიყავი ასე, ვიღაცამ დარეკა და გამოვფხიზლდი, ყურმილს გადავწვდი, მაგრამ ხმა არ გამოდიოდა. კიდევ კარგი, ვინმეს დარეკვას არ ველოდი, თორემ ნერვები დამაწყდებოდა, ზოგჯერ, რადა ჩვენი ტელეფონი და რადა რეპროდუქტორი, მომაკვდავივით ხმა რომ ჩაუწყდება ხოლმე... იმან, ვინც რეკავდა, ყურმილი რომ დადო, უცებ დამეცხლა: იქნება ჩემი სიდედრი იყო, მაკას რამე ხომ არ მოუვიდა? აბაზანის კიდეზე ჩამოვჯექი და დავრეკე... მაკას განსაკუთრებული ორსულობა აქვს: ორსტაბილური წნევა. ჰეულის აჩქარება და გამოვარდნა, ყოველ წუთს სჭირდება ყურადღება და ერთი თვეა, დედამისთანაა. არ უნდოდა წასვლა, როგორ მიგატოვოო, მაგრამ მეც რომ ვუთხარი, ასე სჯობია-მეთქი, გადასვლაზე დაგვეთანხმა, ეხედავ მაინც ვერაფერს გიკეთებო (ციდევ კარგი, არ მითხრა, აღარ გჭირდებაიო, თორემ გული დამეთუთქებოდა) და იმ პირობით წავიყვანეთ, დილით და საღამოთი მასთან ვყოფილიყავი. დღე დღეზე უნდა იმშობიაროს და ისიც ამ სიცხეში იხრუკება. მე და დედამისი, ქალბატონნი ანა დაძაბულნი, ფარული შიშით ველოდებით ამ დღეს და ვერსად წაგვიყვანია. კაცმა რომ თქვას, ასეთ შემთხვევაში თბილისში თავს უფრო მშვიდად გრძნობს ადამიანი, ვიდრე სხვაგან, რომელიმე გრილ აგარაკზე. ნეტა ყველაფერი კარგად დამთავრდეს და არც აგარაკს ვმფაქალებ და არც არაფერს.

ყურმილი თვითონ აიღო და თავისუფლად ამოვისუნთქე.

— შუადღე მშვიდობისა, ჩემო ძვირფასო.

ბოლო ხანებში, მუცელი რომ ბურთივით გამოებერა, ტანი და სახე ჩაუმრგვალდა, როგორც იტყვიან, ყალმით ნახატი ტუჩები რომ გაუმსხვილდა და გაუუფერულდა, ქათინაურებს მოვუხშირე, ამ ცვლილებამ არ შეაშფოთოს, გული არ ატკინოს-მეთქი. ცივად არასოდეს მოვქცევივარ, თვითონაც არ მოუცია ამის საბაბი, ახლა კი, სულ ალერსიანად ველაპარაკები, ვეხვევი, ვკოცნი. ასე, განსაკუთრებით მას შემდეგ ვიქცევი, ერთი მეზობელი „სასაწნახლე მორიგით დაგორებულ“ ცოლს ყოველ საღამოს დედამამის სულს რომ უტრიალებდა. საწყალ ქალს ნერვიულობისაგან მუცელი მოეშალა და კინაღამ თან გადაყვა.

— შენა ხარ? — სევდიანი, როგორღაც მოთენთილი ხმა ჭმინდა, ბურანიდან გამორკვეულთ რომ აქვთ, ისეთი.

—ხომ მაგრად ხარ?

— გაბრუებული დავფარფატებ ოთახიდან ოთახში, ჰაერი აღარ მყოფნის... ნამდვილად მოვკვდები! ნეტა ჩქარა მოხდეს, დავისვენებთ ყველანი.

— რა სასულელეს ამბობ, ეგ მეორედ აღარ თქვა! რა მოგვიდა, მოხდა რამე?

— არა, არაფერი.

— წნევა როგორი გაქვს?

—დილით ხომ ნორმალური მქონდა, ერთი საათის წინ კი ასოთხმოცზე ამივარდა: „გიპოტიაზიტი“ დავლიე. შენც იცი, წამლებს როგორ ვერიდები, ბავშვს რომ არ აწყინოს, მაგრამ სისხლი ისე მომაწვა კეფაზე და თვალებ-

გოდერძი ჭეიშვილი
აგვისტოს სავი დღის ქრონიკა

ში, ვედარ გავუძელი... ახლა უკეთად ვარ. შენთან სამსახურში ახალი ხომ არაფერია? თუმცა დღეს შაბათია, საიდან გაიგებდი. ნეტა სასამართლოს დადგენილება მიიღეს?

— არ ვიცი, ამას წინათ რომ ველაპარაკე ნათელა შანიძეს, მას მერე აღარ დამირეკავს.

ნათელამ მაკასთან ერთად დაამთავრა უნივერსიტეტი, გულღია, საქმიანი და ცოცხალი გოგოა.

— ნათელა მივლინებაშია.

— ჰოო? ჯონდო ჩხიკვაძე ჩემს ადგილზე პოზიციას იმაგრებს, ბეჭდავს და ბეჭდავს გენიალურ წერილებს... შენც ხომ წაიკითხე. მაგ ბრიყვს ჰგონია, ლაქუცი ვინმეს სიამოვნებს.

— ნათელამ როგორ გითხრა? რედაქტორის მოადგილის კაბინეტში ზისო, არა?

— ჰო, მოადგილე ავად ყოფილა და მის კაბინეტში მოყუჩებულა, აქაოდა, სიგარეტის სუნს ვერ ვიტანო. ჩემი ადგილი რა არის, ბიჭი, ალბათ, უფრო ზემოთაც უმიზნებს.

ამ ამბავზე საუბარი აღარ გამიგრძელებია, ზოგჯერ, წონასწორობის შესანარჩუნებლად, სიამოვნებაზე ხელის აღებაც საჭიროა, მაკას გავართობ-მეთქი, და ვთქვი:

— ამასწინათ, დონ-კიხოტს ვფურცლავდი და იცი, რა ვიფიქრე?

— რა?

— ამ კაცს კლიმაქსი ხომ არ ჰქონდა-მეთქი.

— რა ჰქონდაო?

— მოჩვენებებით და წარმოსახვებით რომ ცხოვრობდა, კლიმაქსი ხომ არ ჰქონდა-მეთქი.

— შენ კი რა გითხარი, საიდან მოიტანე!

იცინა და იცინა.

— ა, სერვანტესი რომ გააცოცხლა, არ გაგიჟდება, ეს კაცი ჩემს გმირს რას აბრალებსო?

— კლიმაქსი საიდან ეცოდინებოდა!

— როგორ არა, ამ ავადმყოფობას ძველი ბერძნებიც კი იცნობდნენ. პლუტარქეს მოთხრობის მიხედვით, წინა აზიაში ამ სახელწოდების ქალაქი ეწოდა ზეუსისადმი, ეს ადგილი ... ...

— მაგას არ გეუბნები. ნორას ენაზე რა დაამაგრდება, ქვეყანას მოსდებს.

— მოსდებს და მოსდოს მერე, რა არის ამაში ცუდი?

— ისეთი კილოთი ელაპარაკებოდა დედას, ზომერიაი სხვანაირად გიყურებს.

— როგორ სხვანაირად?!

— სხვანაირად... — მაკა აქვითინდა, — მერე მე მკითხა, თამაზი როგორ არის, იმას ვენაცვალეთ.. ვიცით მაგის ქვეტექსტები...

— აბა, გასაგებია! წეღან ტყუილად არ დავეჭვებულვარ, ისე ლაპარაკობს, რაღაცაშია საქმე-მეთქი.

— მინისტრთან აპირებს შესვლას, თუ შევიდაო...

— ეს ნორამ დაუმატა, თუ ზომერიკმა? კარგი, ვთქვათ და მინისტრთან შესვლეფაცი ან ამაში რა არის ცუდი?

— არაფერი, მაგრამ...

— რა მაგრამ? იქნებ შენც სხვანაირად მიყურებ!

ეს რომ ვუთხარი, უარესად აქვითინდა, ეს როგორ თქვიო, უსინდისო ხარო, კარგა ხანი დამშვირდა, ვიდრე დავამშვიდებდი.

— არ გრცხვენია? გეყოფა ახლა, მოიწმინდე ცრემლები!.. მოიწმინდე? კარგი გოგო ხარ!

— მაპატიე, ჩემო კარგო! ვერ ავიტან, შენზე რომ ცუდ რამეს ფიქრობდნენ.

— მაგაზე ნუ იდარდებ, არსად არ დავიკარგები!

— ჰო, ვიცი, მაქვს შენი იმედი, გკოცნი. შენ?

— მეც, რა თქმა უნდა.

— წერილს წერა არ დაგიწყია?

— რომელი წერილის?

— შენ ხომ ამ თემაზე წერილის დაწერას აპირებდი.

— ჰოო... ვაპირებდი და დავწერ კიდეც!

— არ დაგიწყია?

— ოჰ, არა. ამ სიცხეში სადა მაქვს წერის თავი.

ჩანაწერებს ვაკეთებ-მეთქი, აღარ მითქვამს.

— როდის მოხვალ?

— მზე მთებს იქით ჩაეშვება, ისე არა, მანდა ვარ, ჩაცმული დამხვდი.

— ჰო, არ დაიგვიანო, კარგი?

— როგორც კი მზე ჩაეშვება, მანდ გავჩნდები!

მოშვებული ვიყავი, არ ვიცი, ალბათ, წყლის ბრალიც იყო და გერონტის და ნორას ნაბეკუტურევი მაშინ სერიოზულ ამბავად არ ჩამითვლია, ჯანდაბის იქით მაგათი თავი-მეთქი, ეს კი ვთქვი და აბაზანაში ჩავწექი. თავი ისევ ონკანის გვერდით ჩამოვდე და ფეხები აბაზანის კიდეს მივაბჯინე. ერთი სიტყვით, ხუთის ნახევრამდე განცხრომაში ვიყავი — სიგრილე, სიხუმე... ხან გაზეთებს ვკითხულობდი, ხან ვთვლემდი... მაგრამ რომ მომშივდა, (დილის აქეთ ერთი ნაჭერი პურის და ჭიქა მაწვნის გარდა არაფერი მიჭამია) ზუსტად ხუთის ნახევარი იყო, აბაზანიდან ამოვედი, ტანი შევიმშრალე და სამზარეულოში გავედი. მაცივრიდან ყველი, კიტრი, პამიდორი, მწვანილი გამოვიღე და გავრეცხე. მერე ბოსტნეული ცალკე თეფშზე დავჭერი, მარილი მოვაყარე, ძმარი მოვასხურე, დავჯექი და გუშინდელ ნაყიდ საკმაოდ გამხმარ პურთან ერთად მადიანად შევექეცი. ორი ჭიქა ცივი წყალი დავაყოლე, ახლა გავაბოლებ-მეთქი, სამაზანაში დავბრუნდი და სიგარეტს რომ მოვუკიდე, ტელეფონის ზარი აწკრიალდა. ყურმილი ავიღე, ალლო-მეთქი, და ოთარ კალანდაძის მეექვსე ხმა მომესმა: გამარჯობა, თამაზნინო! როდის ჩამოხვედი, მადლობა ღმერთს-მეთქი, გახარებულმა შეკმახე. არა, ბიჭო, თბილისში არა ვარ, ოდესიდან ავტომატით ვრეკავო... სავაჭრო გემი, რომელზეც ის მუშაობდა, დღეს მოსულიყო შეერთებული შტატებიდან, ზეგ უკანვე მიდიოდა... როგორა ხართ, რას შვრები—

ბოდერაძე ბეიფშვილი
აბჯილიტოს სამი დღის ქრონიკა

თო. არა გვიშავს-მეთქი. ხმაზე გატყობ, კარგად ხარ, მიხარიაო, თქვა, მაკა მოგიკითხეო. აუცილებლად-მეთქი. მერე მკითხა: დედაჩემი თუ იცი თბილისშია? ვერაფრით ვერ დავურეკეო. ბოროკოშში ისვენებს, ეუთხარი, შენ კი, მთლად რომ გამეზღვაურდი, რეისიდან რეისში რომ დადიხარ (შარშანს მერე თბილისში არ ყოფილა), მშობლიურ მიწაზე სიარული აღარ მოგენატრა-მეთქი? როგორ არა, ბიჭო, სიზმრად გადამეცქცით ყველა და ყველაფერი, ახლაც, ჩამოსვლას რომ ვერ ვახერხებ, საშინლად მწყდება გული, მაგრამ მეორე მხრივ კმაყოფილიც ვარ, (ასე რომ არ იყოს, გამოვიქცოდი), ხომ იცი, შორიდან ნაცნობი გარეშო და ხალხი უკეთესად მოჩანს და რაც ამ ერთ წელიწადში დავწერე, ამდენი ჩემს სიცოცხლეში არ დამიწერიაო... აბა შენ იცი-მეთქი!... ხან ეს ვთქვით, ხან ის... ბოლოს მითხრა: ჩემი წიგნი მეორე კვარტალში უნდა დაბეჭდილიყო, უკვე გამოსული იქნება და ასე, ოცი, ოცდაათი ეგზემპლარი მიყიდე, ახლობლებს ხომ უნდა ვუსახსოვრო, პატარა ტრიაჟი აქვს და ოქტომბრის ბოლოს, მე რომ ჩამოვალ, მაღაზიებში, ალბათ, აღარ იქნებაო...

საუბარს მოვრჩით თუ არა, სკამი და რაც ზედ ელაგა ოთახში გამოვიტანე, ახლავე წავალ მაღაზიაში, წიგნებს ვიყიდი, შინ მოვიტან და ამასობაში მაკასთან წასვლის დროც მოვა-მეთქი. ჩავიცვი, თეთრი ტილოს კეპი დავიხურე, ნაომარ თავს ვუფრთხილდები, ექიმმა დამარიგა, მზეში უქუდოდ ნუ იქლიო, კარი დავკეტე, ქვევით ჩავირბინე, და მანქანა გარაჟიდან გამოვიყვანე... ეზო ნელი სვლით გავიარე, ბავშვები ფეხბურთის თამაშობდნენ, და სახლის კუთხესთან მარჯვნივ გავუხვიე, ქუჩისკენ... ერთი მაღაზია ხომ აქვს! აგერ ისიც!.. მაღაზიაში აღწერა იყო. სად წავიდე? ოპერის თეატრის მოპირდაპირე მაღაზიაში!... ოთარის მოთხრობების კრებული იქ თუ არ ექნათ, მერე მოედანზე ჩავალ-მეთქი, გავიფიქრე და მანქანა რუსთაველის გამზირისაკენ გავაქროლე. გამლღვალ ასფალტს მაზუთის სუნი ასდიოდა, მანქანის სიჩუმეებს ეწებებოდა და ისევ ხმაურიანი სცემდა, თითქოს ნაწვიმარი იყო. ფანჯრების მინები ორივე მხარეს დაფენე და სალონში ჰაერი დატრიალდა, ქუჩაში კი სიცხის ბუღი იდგა, ოფლად გახვითქული, სახეაპარხლებული, მოთენთილი ადამიანები უხალისოდ მიაბიჯებდნენ ტროტუარებზე. წინა წლებზე მეტად არ ცხელოდა, მაგრამ ასე ზაფხულში, როგორც ახლა, ჯერ არ გამჭირვებია. ეს, რაღა თქმა უნდა, ნაწილობრივ ჩემი ჯანმრთელობის ბრალიც იყო, ჯერჯერობით თავს ისე მხნედ ვერ ვგრძნობდი, როგორც წინათ, სიცხეც რომ ფეხებზე მეკიდა და სიცივეც. თუ ქუჩაში უმანქანოდ ვიყავი, ადგილს ვერ ვპოულობდი, როგორ მეთქვა მაკასთვის, თორემ ჰაერი აღარც მე მყოფნიდა... ამას წინათ, მაკასთან მიმავალი ვარაზის აღმართის ფეხთან რომ მივუუყვებოდი, — მანქანას მუხრუჭები მოეშალა და გარაჟში მეყენა, — ზუსტად ამ დღეში ვიყავი და სწორედ მაშინ მომივიდა თავში ქუჩების გასწვრივ პატარა აუზების აშენების იდეა, დასიცხული ხალხი სახელდახელოდ გაგრილდება და სულს მოითქვამს-მეთქი, ხომერიკეს კი, თურმე გიჟი ვგონებივარ. არ ვიცი, როგორი ფიზიონომია მქონდა, ის კი კარგად მახსოვს, ისეთი არაფერი მითქვამს, ასე რომ „გამანადგურა“, არც ზედმეტად აღგზნებული ყოფილვარ და არაფერი... გასაგებია, ყველაფერი გასაგებია!... ხელს არ აძლევდათ და ერთ კაცს მკვდარი რომ არ იყო ეს არ დაუჯერეს, მე კი, ალბათ, იმავე მიზეზით და იმის გამოც, ოთხ თვეზე მეტი რომ საავადყოფოში გავატარე (პირველ დღეს თითქოს არა მიშავდა რა, შემდეგ და შემდეგ გამირთულდა მდგომარეობა — გულის რევა, ხშირი უგონობა), თავის ქალა ამხადეს (ამის წარმოსახვაზე კბილების უნებური ღრჭიალი ამიტყდება ხოლმე) და ათა-

სნაირად ვიწვალე, მერე კიდევ ოთხ თვეს ამბულატორიულად ვმკურნალობდი და დღესაც პიულტენზე ვარ, გიჟად მაცხადებენ. დიდებულია, ვერაფერს ვიტყვი! აჯ? თუმცა, აქ, იმ კაცის ამბავთან შედარებით, მკვდარი ხარო რომ ეუბნებოდნენ, უფრო იოლად იყო საქმე, უფრო მარტივად: ხომერიეს, რამდენიმე წლის წინათ დაბეჭდილი ჩემი წერილის სიმწარეს რა დაავწყებდა (მაშინ სამშენებლო ტრესტში მუშაობდა მთავარ ინჟინრად და გაჭიანურებული მშენებლობის გამო საკადრისად ავუსუსე კანჭები) და ვერ მიტანდა. თუმცა, შეხვედრისას მესალებოდა, ერთ-ორ სიტყვასაც გადმომიგდებდა, რითაც უნდოდა თავისი დიდსულოვნება ეგრძნობინებინა. მან, რა თქმა უნდა, იცოდა ჩემი ავადმყოფობის და პიულტენზე ყოფნის ამბავი და ნაწილობრივ თავისი ნათესავის ჯონდო ჩხიკვაძის მხარის გამაგრებისთვისაც ჩათვალა გიჟის ბოდვად, რაც ამ დილით ველაპარაკე და თუ აქამდე ეს ბრწყინვალე აზრი თავში არ მოსვლია, მხოლოდ იმის გამო, რომ ჩემთან შეხვედრის ბედნიერება არ ქმნია, პირდაპირ არ შემოუხედავს თვალებში... იგი არც ისე სულელი იყო, არ სცოდნდა, რას მოიმკიდა ამით. მისთვის მთავარი იყო ჩემს გარშემო მყოფი ადამიანების, მათ შორის, განსაკუთრებით რედაქტორის, დაეჭვება და ალაპარაკება, უს კი უკვე მისი შურისძიების ჭიის დასაპურებლად საკმარისი იქნებოდა... თუ გამოვედავებოდი, თავის დაცვაც შეეძლო, ცერებრალური კომოციო, თანაც ისე გართულებული, მე რომ მქონდა, ამის საშუალებას მისცემდა...

წამლის დალევა ისევ დამავიწყდა. ზოგჯერ თავში გამაბრუებელი ტკივილი გამკრავდა (სასამართლოს შემდეგ აღარ მომსვლია, გურგენიძის დანახვისას რომ ავდელდი) და პროფილაქტიკისათვის, მერაბ ჭელიძეს, — ჩემი მკურნალი ექიმია, — ალბათ, ეპილეფსია ჰქონდა მხედველობაში, დღეში ერთხელ „დიაკარბის“ აბს ვყლაპავდი. უკვე მომბეზრდა, მავიწყდებოდა ხოლმე, მაგრამ ისიც ვიცოდი, დღე არ ეწყნა გამომეტოვებია და დილით იყო, თუ საღამოთი მაინც ვახერხებდი მასთან ურთიერთობას... ახლა უკან რადას მივბრუნდებოდი, ვმირთა მოედანი მანქანებით იყო გაჭედილი. თვითმცლელს ტაქსისთვის საბარგო შეეჭყლიტა, მოძრაობა შეწყვეტილი იყო და ბენზინის, რეზინის და ასფალტის სუნით ყარდა ოქაურობა. მანქანების გამონაბოლქვი კვამლი კი, აქეთ-იქით ნელა, მთის ქათქათა ნისლივით იშლებოდა. ბოლს ჩემი მანქანაც უშვებს? კი ბატონო, მაგრამ გაფილტრულს. ოთარმა ჯერ კიდევ შარშან, სექტემბერში რომ იყო ჩამოსული მაშინ ჩამომტანა რამდენიმე ცალი იაპონური ფილტრი, სინგაპური ეყიდა. მაშინ სად მქონდა ამის თავი, მერე, როცა მოვიკეთე, თვალში გამოვიხედე და ამქვეყნიური ამბებით დავინტერესდი, მაკამ მაჩვენა. ასე რომ, ოთხი თვეა, ჩემი მანქანის ბოლს არავინ შეუწუხებია...

როგორც იყო, თვითმცლელი და ტაქსი წრეში შეიყვანეს და მოძრაობაც განახლდა... აქ რომ კიდევ ცოტა ხანი ვმდგარიყავით, სხვისი არ ვიცი, მე კი, ალბათ, გავიგუდებოდი...

მეტროს სადგურს რომ გავცდი, გვერდით რომან მანჯგალაძემ ჩამიარა „ვოლგით“ და ხელის აწევით მომესალმა. თავი ისე დავიჭირე, თითქოს არ დამენახოს. ვერ ვიტან ამ ჭროღთვალა, კისერჩამრგვალებულ კაცს, რომელიც ლუდის გამყიდველს უფრო ჰგავს, ვიდრე ეურნალისტს ან მწერალს. ერთხელ, — ეს შარშანწინ იყო, — ჩვენთან კარგა მოწრდილ დოკუმენტურ მოთხრობას გაგრძელებებზე ბეჭდავდა და ხშირად მოდიოდა ხოლმე, ანაბეჭდები ხან შინ მიჰქონდა, ხანაც ჩვენთან შემოტანდა, ჩემს მაგიდაზე გაწლილი ან რომელიმე ლიტმუშაკის ადგილს დაეპატრონებოდა და კითხულობდა. ასე

ოყო თუ ისე, არ შეიძლებოდა, ჩვენს მოუნახულებლად რომ წასულიყო, მოყვებოდა ანეგდოტს ან ახალ ამბავს, მერე ფანჯრიდან თავის მანქანას გადახედავდა (მაშინ გერმანული „ფოლქსვაგენი“ ჰყავდა), კარგად განახეთო, იტყოდა და ძმიმე ნაბიჯით კარიისკენ მიდიოდა. იმ დღეს, ალბათ ანაბეჭდები ტყავის უზარმაზარ ჩანთაში ჩადო, ჩვენთან შემოვიდა, რა თქმა უნდა, ფანჯრიდან მანქანას გადახედა და გამობრუნდა...

— ერთი მეზობლის ცოლი მიზის მანქანაში, — ეშმაკურად ჩაიღიმა და თვალი ჩამიკრა. სიტყვებს ხშირად გაგრძელებულად წარმოთქვამდა, მის ნაამბობს რომ მეტი ემოცია მოეხდინა, — ხოშიანი გოგოა, მაგრამ მომბეზრდა უკვე, ორი თვეა... ამეკიდა, არ მეშვება... გინდა გაგაცნობ! არ გცალია? კარგი, სხვა დროს იყოს, შენთვის ახალი ხილი იქნება.

რომ გავიდა, მერე გავბრაზდი. მეზობლის ცოლიო! ამით თავიც მოსწონდა, მის ქმარს კი, ალბათ, ყოველდღე ღიმილით ხვდებოდა... მას მერე ვეღარ ვიტან ამ ტიპს, არ შემომელოხოს-მეთქი, და ვერიდები მასთან პირისპირ შეხვედრას...

ბავშვაძის ქუჩაზე ავუხვიე, მანქანა მოვაბრუნე, მაღაზიის გვერდით გავაჩერე და გადმოვედი. ვიტრინებს ჩავუარე. ის განყოფილება, სადაც ახალ გამოცემებს ალაგებენ ხოლმე, გულდაგული მოვათვალიერე, მაგრამ ოთარის წიგნი არ აღმოჩნდა, თუმცა, მეორე კვარტალში გამოცემულ წიგნს ახალიც ადარ ეთქმოდა და აიღებდნენ-მეთქი! მოიცა, რა ჰქვია? — კიბესთან შევჩერდი და სიგარეტს მოვუკიდე... „სიყვარული“... ჰო, „სიყვარული!...“ მშვენიერი სათაურია! „სიყვარული“.., აქეთ-იქით მიმავალ ხალხს გავაკვირდი, სიგარეტს ვაბოლებდი და ვფიქრობდი: რამდენნაირი სიყვარული არსებობს? მას შემდეგ, რაც თავში ჩამარტყეს, ხშირად ყველაფერს სხვანაირად, სიმბოლურად აღვიქვამ და ვხედავ, უფრო სწორედ, შებრუნებულად, მეორე მხრიდან და ასევე გამოვხატავ, მაგრამ თვითონ ვგრძნობ, რომ ამით მსჯელობის ლოგიკა სრულებით არ იცვლება. პირიქით, და, რაც მთავარია, ასე უფრო მომწონს...

სიგარეტი ზედიზედ მოვქაჩე და ბოლი ღრმად ჩავისუნთქე... ოთარმა იქნება სულ სხვა რამ დაარქვა თავის წიგნს? მაგრამ როდისღა შეცვლიდა! შარშან, გამეზავრების წინა დღეს ამბობდა, „სიყვარული“ დავარქვეო, ერთ-ერთი მოთხრობის სათაურია. ეს მოთხრობა გოგოსა და ბიჭის სიყვარულზეა დაწერილი, მათ წმინდა, ერთი შეხედვით, დადაჭარბებულ სიყვარულზე... კარგი მოთხრობაა, თვითონ ოთარს კი, ძალიან მოსწონდა.

სიგარეტის ნამწვი სანაგვეში ჩავაგდე და მაღაზიაში შევედი. დახლებთან თითო-ოროლა მყიდველი იდგა, ეტყობა, პაპანაქებამ დააფრთხო ხალხი, რა გვეწიგნებაო! გამყიდველს დახლის კუთხეში ვენტილიატორი დაედგა და ფრილდებოდა, საშუალო ტანის ქალი იყო, შუაზე გაყოფილი, ქერა, გადატეხილი თმა ჰქონდა, უკან პატარა, შავი ბაფთით შეკრული.

თაროებს თვალი მოვავლე და გამყიდველს ვუთხარი:

—ქალბატონო, „სიყვარული“ გაქვთ?

— რა თქვითო?! — ქალს მარჯვენა თვალი მოეხუჭა, ვენტილატორისაგან მონაბერი ჰაერი იქიდან სცემდა, ვერ გაიგონა, რა ვუთხარი ან შეკითხვა სხვანაირად გაიგო-მეთქი, გავიფიქრე და ვთქვი:

— ოთარ კალანდაძის მოთხრობების კრებული მინდოდა, „სიყვარული“ ჰქვია.

ქალმა თავი გააქნია.

— არა, ბატონო, არა გვაქვს.

— არც გქონიათ?

— ვერ გეტყვით, შვებულებიდან ახალი დაბრუნებული ვარ, ალბათ გაიყიდა.

მაღაზიიდან გამოვედი, მანქანაში ჩავჯექი და მოედნისკენ წავედი, უნივერმაღის მშვენიერ შენობას რომ გა-

ვცდი მანქანა ოქვე, ბეღურასავით შეუუფული პატარა მაღაზიის პირდაპირ დავამუხრუჭე და გამყიდველს, მოვარდისფრო ტონით სახეგათხეპნილ გოგოს, კარის ჩარჩოს მიყრდნობილი რომ გაზეთით ინიავებდა, გავძახე:

— გოგონა, „სიყვარული“ გექნებათ!

— სიყვარული?

— არის ერთი ახალგაზრდა მწერალი, ოთარ კალანდაძე, „სიყვარული“ მისი წიგნია?

— ა�ა. ვნახავ თუ გვაქვს, მოითმინეთ!

გოგომ გამიღიმა, მაღაზიაში თავი შეპყო და ვიღაცას, ალბათ, მეორე გამყიდველს, რომელიც აქედან არ ჩანდა, შეეკითხა, მერე ისევ ჩემკენ შემობრუნდა და თქვა:

— ვწუხვარ, მაგრამ არ მიგვიღია და რა ვქნა? — სახეზე კეკლუცი, სევდიანი ღიმილი გამოეხატა. არ დამდნო თავისი გულკეთილობით!...

— რას იზამთ, როცა გექნებათ, მაშინ მოვალ.

— შემოიარეთ ხოლმე.

მოდდანს შემოვუარე, კაფეს გვერდით რომ მაღაზიაა, შეიძლება იქ ჰქონდეთ ოთარის წიგნი-მეთქი. მაღაზია დიეტეთ და მანქანა არც კი შემიჩერებია. კოლმეურნეთა მოედანზე ჩავედი და ვიწრო ქუჩით გამოვბრუნდი უკან, მაგრამ მანქანების ჭედვა იყო და კარგა ხანს ჯერ რუსთაველის მოედანზე შეეყოვნდი, მერე ფილარმონიის შენობის წინ. მივქარე, სანაპიროთი უნდა წამოვსულიყავი.

როგორც იქნა, შინ მივაღწიე. „დიაკარბის“ ამი ჩავყლაპე და გარეთ გამოსულმა საათს რომ დავხედე, გულს შემოეკარა, ცხრის წუთები იყო. მანქანაში ჩავჯექი და მაკასკენ მოვუსვი...

იგი. ღია ფანჯარასთან იდგა, რაფას მიყრდნობილი, ხელები იღლიებქვეშ ამოედო და ქუჩას მოწყენილი დაჰყურებდა. მანქანიდან გადმოსული რომ დამინახა, თვალები გაუბრწყინდა, თავის აქეთ-იქით ქნევა დაიწყო, როგორც იცოდა ხოლმე. ჩემი დანახვით გახარებულმა.

კიბე ავირბინე და კართან შეგეგრდა სულის მოსათქმელად. პირი გაშშალა მქონდა... რას ჩავყლუნწავდი ახლა კართა ცივ ლუდს, ხო, ხო! ერთ-ორჯერ კინაღამ სულმა წამძლია, რა მოხდა, დავლევ-მეთქი, მაგრამ მერაბ ჭელიძე გამახსენდა და ლუდის დარბაზს გულდაწყვეტილმა ჩავუარე... ცოტა ხანი კიდევ მოითმინეო, მეუბნება მერაბი და მეც ვითმენ, სხვა რა გზა მაქვს! ორშაბათს წამლის სმას მოვრჩები, სამშაბათს, ალბათ, ბიულეტენს დამიხურავს და მერე კი მოვიჯერებ გულს... სულ ასე ხომ არ ვიქნები!...

კარი ღრიჭოდ იყო დატოვებული, შევალე და... თუმცა, არა, ვიდრე შევიდოდი, გავიფიქრე, ნორას კარზე მივუკაკუნებ, ჩემი ავადმყოფობით შეწუხებულს გავამხიარულებ: საგიედან გამოვიქეცი, დამმალეთ-მეთქი! მაგრამ სისულელე იყო ამ ქალთან თავის გაყიდრეა, ხომერიკს კი, ხომერიკს სხვანაირად მოველაპარაკები...

მაკა ჰოლში შემეგება. დაბალქუსლიანი საზაფხულო ფეხსაცმელები ეცვა, თეთრსაყელოიანი, ვარდებით მოჩითული ხალათი.

— მზადა ხარ?

— აჯა.

— ისეთი მოძრაობა იყო, ძლივს გამოვაღწიე, — მოვეხვიე და ვაკოცე. სახლში ჩამიჩუმი არ ისმოდა. — მარტო ხარ?

— არა, — ტუჩზე თითი მიიდო, — დედაჩემს სძინავს, საწყალი ღამეებს ათენებს, წეღან ჩაეძინა.

დედამთილები ძალ სიდედრები წინათ და ახლაც, ზოგჯერ მიზეზით, ზოგჯერ უმიზეზოდ, ერთმანეთის წამებედურობით — იმას არ უყვარს და მე რატომ შევიყვაროო, ყოველთვის მოდაში იყვნენ და არიან კიდეც. თავს არ ვიდებ, შემომხედეთ, როგორი კეთილი და დი-

გიოდერძი ჭეიშვილი
აკადემიკოს სამი დღის ძმრნიკა

დსულოვანი სიძე ვარ-მეთქი, მაგრამ მაკას დედაზე ცუდს ვერაფერს ვიტყვი. იმიტომ კი არა, საავადმყოფოში რომ ვიწექი და მთელი ერთი თვე მაკას ენაცვლებოდა თავდგმურობაში. ქალბატონი ანა — ეს მაღალი, დახვეწილნაკვთებიანი ქალი, (მაკა ძალიან ჰგავს) წყნარი და მზრუნველი დედა, ჩემი აზრით, საკმაოდ განათლებული ფილოლოგი, ერთ-ერთ ინსტიტუტში რომ ლექციებს კითხულობს, კარგი ადამიანია, გულისხმიერი, სამართლიანი. მახსოვს, ერთხელ, მაკას რომ უსაყვედურა... ერთმა თანამშრომელმა მეორე თანამშრომელზე დაურეკა, ქმარმა მიატოვო და მაკა ლანძღვას მოჰყვა... სულ აქებდი იმ კაცს და ახლა გახდა საზიზღარი? — უთხრა ქალბატონმა ანამ, — ჯერ გაიგე, რა მოხდა და მერე გაამიჟღეო!... სხვა დროსაც მიგრძნია მისი სამართლიანობა სტუდენტებთან, მეზობლებთან ურთიერთობაში, მაგრამ ამ დეტალმა განსაკუთრებით, ალბათ, იმიტომ იმოქმედა ჩემზე და დამამახსოვრდა, თვითონ ვიყავი ამის მოწმე. და კიდევ ალბათ იმიტომაც, რომ იყო რაღაც მის ნთქვამში მამაკაცური, რაც ქალბატონ ანასავით ადრე დაქვრივებულ ქალებს, სიკვდილამდე რომ ქმრის ერთგულნი რჩებიან, ცხოვრების აუცილებლობით გამოუმუშავდებათ ხოლმე.

— ძვირფასი ნორა რასა იქმს, როგორ ბრძანდება?

— ბათუმს გადაფრინდა ქალბატონი, ნათესავის ქორწილში. საზიზღარი, მომიშალა ნერვები...

— დედაშენმა, რაო?

— არ იცის, თუ გელაპარაკე. ნურაფერს ეტყვით, მაგრამ ვეღარ მოვითმინე, მაღაზიაში რომ გავიდა, მაშინ დაგირეკე... ღარ გვინდა ამაზე ლაპარაკი, მოდი გასადილებ და მერე წავიდეთ, კარგი?

— არ მშია. დედაშენმა იცის რომ მივდივართ?

— წერილი დავუტოვე.

კარი გამოვიკეტეთ და ქვემოთ ჩავედით. მაკა ჩემს გვერდით დაჯდა მანქანაში. ფანჯრები საჭის მხარეს ღია დავტოვე, მაკასკენ კი, ორქარმა რა გაკრას-მეთქი, აწევა დავაპირეს. მაგრამ არ დამანება, დავიხუთებიო.

გამზირზე რომ გავედით, მაკამ მითხრა, კუჭ ტბაზე ავიდეთო. ფუნიკულიორი არ ჯობია, ვუთხარი მე, კინოთეატრში შეიძლება რაიმე კარგი ფილმიც ვნახოთ-მეთქი. ფუნიკულიორი იყოსო.

მზე მთუნს მოეფარა, მაგრამ ასფალტი და შენობების კედლები ისე იყო გახურებული, გადასასვლელებზე რომ ვაჩერებდი მანქანას ან სალონ ვანელებდი, ცხელი ჰაერი სახეში მცემდა და ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს უზარმაზარ თონეში ვიყავი. ჯანდაბას ჩემი თავი, მაკა მებრალებოდა!... თუმცა, ისე ყოჩაღად და მხიარულად გამოიყურებოდა, შესაბრალისი რა აქვს-მეთქი და ლოყაზე ხელი მოვუთათუნე.

ვაეკონა.

— ყურმილს რატომ არ იღებდი? — მკითხა მერე, — გასული იყავი, თუ ზარი არ გამოდიოდა?

— გასული ვიყავი, — სიგარეტი ამოვიღე, მაგრამ არ მომიკიდებია, კოლოფში ჩავბრუნე, — ოთარმა მოგიკითხა.

— რომელმა ოთარმა?

— ოთარ კალანდაძემ.

— ჩამოვიდა?

— ოდესიდან დარეკა.

— გაუტკბა ხომ გემზე ყოფნა?

— ჰო, ძალიან. ბევრს ვმუშაობ, ვწერ და ვწერო. წიგნი მიყიდეო, მთხოვა, ვერ ვიშოვე. წელან სწორედ ამის გამო ვიყავი გასული.

— რა წიგნი?

— თავისი წიგნი.

— უკვე გამოვიდა? საინტერესოა. ოპერის პირდაპირ რომ მაღაზიაა, იქ უნდა გეკითხა.

— არ ჰქონდათ.

— სხვა მაღაზიებში შეიარე, ხვალ, ზეგ.

ვიწრო ქუჩები გავიარეთ, რესტორან „სამადლოსთან“ მარცხნივ ავუხვიეთ და ფუნიკულიორის პლატოს მიხვე-

ულ-მოხვეულ გზას დავადექით.

— გინდოდა რამე?

— როდის?

— დავრეკეო, წეღან რომ თქვი.

— მერაბ ჭელიძემ დარეკა, ჯერ შენთან დაურეკავს,—თქვა მაკამ, —შინ არ არისო, შენი ჯანმრთელობა აინტერესებდა.

— არ უთხარი, ლომიგით არისო?

— როგორ არა! ლომი, ვეფხვი, ტახი... სათითაოდ ჩამოვუთვალე.

— ბიულეტენის დახურვაზე არაფერი უთქვამს?

— არა.

— იმ კვირაში დავახურინებ! ავადმყოფობის განწყობა ყელში ამომივიდა, სამსახურში უნდა გავიდე.

— აბებს, მორჩი?

— ორი ცალიღა დამრჩა.

ფუნიკულიორი. მანქანა სადგომზე გავაჩერე და გადმოვედით. გრილი ნიავი უბერავდა. ნათურებით გაჩახჩახებული რესტორნის დარბაზი და აივანი, აქეთ კი, საბაგირო გზის სადგურის პირდაპირ კაფე-სანაყინე ხალხით იყო გაჭედილი, ვერც შიგნით და ვერც გარეთ მჭიდროდ ჩარიგებულ მაგიდებთან ადგილს ვერ იშოვიდი, არც სხვაგან იყო ტევა — კარუსელებთან და ელექტრომანქანებთან, ხეივნებში კი, ბავშვები, ახალგაზრდები, მოხუცები, ჰაერს და სიგრილეს დახარბებულნი, ერთმანეთს გვერდს ძლივს უვლიდნენ.

ჩვენ ქალაქში გადასახედი მოაჯირის გასწვრივ ვსეირნობდით, ხან ვჩერდებოდით და ქვეკით ვიცქირებოდით უთვალავი ნათურებისაკენ თონეში გაღვივებულ ნაკვერჩხლებს რომ ჰგავდა. მერე იქვე ჩამოვლილი მენაყინე ქალისაგან ნაყინი ვიყიდეთ და ხეივანს კინოთეატრისკენ გავუყევით... ისეთ ფილმს უჩვენებდნენ, არ ღირდა, საათნახევარი ვმჯდარიყავით და იმ აბდაუბდისათვის გვეცქირა.

ვიდრე მაკა არ დაიღალა, ვსეირნობდით. მერე ისევ ხომალდივით გაჩახჩახებული ფუნიკულიორის შენობისკენ წავედით, იქვე, შენობის პირდაპირ, ხეივანში ცარიელი სკამი ვიპოვეთ და დავსხედით. მაკამ თავი მხარზე დამადო და ერთ ხანს ასე ვიყავით. რესტორნიდან გამოსული მუსიკის ტაქტს ღიღინით ხმას აყოლებდა, მშვენიერ გუნებაზე იყო. სეირნობისას თავს კარგად გრძნობდა, შუადღისას და ღამით უჭირდა ხოლმე.

შენობიდან ორნი გამოიდენენ, მაღალი და დაბალი, იქვე შეჩერდნენ და სუფრაზე დაწყებული კამათი განაგრძეს, მიხრა-მოხრაზე ეტყობოდათ ნასვამები იყვნენ, ერთმანეთს ცხვირწინ ხელებს უტრიალებდნენ, რაღაცას უმტკიცებდნენ. მაღალი, ათლეტური აღნაგობის ახალგაზრდა მეცნიერა, მგონი ლევან ჩხეიძვილი იყო, გურამ მიქელაძის კოლეგა, მსახიობის, შარშან მოსკოვში მიმავალს მატარებლის რესტორანში რომ შემხვდა, მიმტანთან რომ მოგვიყიდა უსიამოვნება...

ისინი საკმაოდ შორს იყვნენ და დაბეჯითებით ვერ ვიტყოდი, გინდა თუ არა, ლევანია-მეთქი, რამდენი ვინმე ჰგავს ერთმანეთს!... ნეტა ცოლს თუ გასცილდა? გურამი ამბობდა: დიდი ღრჯუ ცოლი ყავსო, თავნება და უსაქმური, მაინცდამაინც არც შვილებს აქცევს ყურადღებას, — ქალ-ვაჟი ჰყოლიათ, — ქმარი კი ფეხებზე ჰკიდიაო. მე მგონი, დასძენდა გურამი, განგებ იქცევა ასე, დედამთილს ვერ იტანს, ცალკე ცხოვრება უნდაო. ამ ამბების და სხვათა და სხვათა გამო, ხშირი უსიამოვნება ჰქონიათ. ამ გაზაფხულზე კი (გურამი ორი თვეა, აღარ მინახავს, „უზბეკფილმის“ მოწვევით გადაღებაზე იყო), მაგრად დასჯახებიან ერთმანეთს, საქმე განქორწინებასა და გაყოფაზე მიმდგარა, მაგრამ დაბალჭერიანი, ვიწრო ბინის გაცვლა ვერ მოუხერხებიათ და „ბადმუაზელისთვის“, — გურამი ასე იხსენიებდა, — იქვე გამოუყვანიათ ერთი ოთახი. ცოტა ხნის მერე „ბადმუაზელს“ ოფოფები თავი-

დან გამოფრენია, ქმარს შერიგებია (მე თვითონ დავინახე, თქვა გურამმა, ეს ბითური მეორე ოთახში როგორ ეხვეოდა...) ოღონდ ფარფლად, როცა დედამთილი, სამოცს გადაცილებული, პატიოსანი, მშრომელი ქალი სამსახურში მიდიოდა, როცა შინ იყო, თითქოს ყველაფერი ძველებურადაა, მოქუფრული და ცხვირაბუზებული გამოდიოდა თავისი ოთახიდან... მოხუცი, ალბათ, გუმანით გრძნობდა ამ მასკარადს, აღარ იცოდა, რა ექნა, ნერვიულობდა. თავი ზედმეტად ეჩვენებოდა... რა საზიზღრობაა!.. ასეთ ცოლ-ქმარს იმდენი უნდა ურტყა, სიგრძე სიგანედ ექცეთ, ერთმანეთი ვეღარ იცნონ... ფუი!...

— რა მოგვივიდა, თამაზ?! — მაკას შეშფოთებული ხმა მომესმა.

— რა იყო?

— ლევანისკენ იკქირებოდი და იგინებოდი.

— ლევანისკენ? შენ საიდან იცნობ" აჰ, ჰო, ალბათ გადაცემებში იწვევთ ხოლმე.

— ამას წინათ დედა მოუკვდა...

— დედა მოუკვდა?

— ჰო, სისხლის ჩაქცევით.

— უჰ, ეს რა მითხარი!

— იცნობდი?

— გურამ მიქელაძისაგან გამიგია...

უცებ თავში ელვასავით გამკრა, თვალები ამიბრჭყვიალდა და თავბრუ დამეხვა. გადმოვარდები-მეთქი და სკამის საზურგეს ხელი წავატანე. საავადმყოფოდან ახალგამოსული ვიყავი, ასე რომ მომივიდა და იატაკზე მოვადინე ზღართანი. მას მერე სულ მეშინია... მაკა გაგიჟდება!.. უკვე გამიარა... კიდევ კარგი!

— ისევ იმ ქალთან ცხოვრობს?

— არ ვიცი, ჰო, ალბათ. რატომ მკითხე?

— ისე.

ისინი იქ აღარ იდგნენ. პარკი თითქმის დაცარიელებულიყო, მხოლოდ წყვილები დასეირნობდნენ. ცოტა ხნის მერე ჩვენც ავდექით, მანქანაში ჩავსხედით და ქალაქისკენ დავეშვით.

ჩანაწერი მეორე

დილით, მაკადან რომ წამოვედი (რვიდან ათის ნახევრამდე, ვიდრე მზეს არ დაკახუნა, ვაკის პარკში ვასეირნებდი), მანქანა ნელი სვლით გამზარის გავუყენე (წიგნის მაღაზიას რომ არ გავცდენოდი) გურამიშვილის ქუჩისაკენ, დაბოლოსი ვიყავი და ეგრეთ ტი ხომერიკს ყურს ავუწევ-მეთქი. ეს ქეციანი... თუმცა, სამართლიანობა, სიზუსტეს მოითხოვს, ლამაზი კაცია, ორმოცდაათს მიღწეული, საშუალო ტანის, საფეთქლებთან თმაშეჭალარავებული, ფართო ცისფერი თვალები აქვს. რა თქმა უნდა, უსაქმურიც არ არის, რადგან მშენებლობის სამინისტროში მაღალი თანამდებობა უკავია. გუშინ საბურთალოში შემხვდა, ტაქსების გარაჟის გვერდით, ბენზინის კოლონასთან, მანქანით რომ რიგში ჩავდექი, გრძელი რიგი იყო, კარგახანს მომიხდება ლოდინი-მეთქი, მანქანიდან გადმოვედი და აგერ ისიც! ჩემი მანქანისთვის თავისი „ვოლგა" მოეყენებინა. უკან ხომ არ მომდევდა-მეთქი, რატომღაც გავიფიქრე და მივესალმე. გამარჯობათ, — მიპასუხა, — ჯანმრთელობის საქმე როგორაა? გმადლობთ, კარგად, თქვენ როგორღა ბრძანდებით, ცოლ-შვილი, რა თქმა უნდა, აგარაკზე გეყოლებათ-მეთქი. კი, სოჭში არიან, — ხვნეშით მიპასუხა, კარი გამოალო, მანქანიდან არ გადმოსულა, — მაკა როგორ არის, ხომ არ უმშობიარნიაო. ჯერ არა-მეთქი.

მიწისქვეშა გადასასვლელს ავცდი და წიგნის მაღაზიის პირდაპირ გავაჩერე მანქანა, მაგრამ არ გადმოვსულვარ, მაღაზია ჯერ კიდევ არ გაეღოთ. (ჩვეულებრივ, კვირაობით მაღაზიებს დასვენების დღე აქვს, მაგრამ თვის ბოლოს, განსაკუთრებით აგვისტოში, დასასვენებლად გაკრეფილი ხალხი რომ თბილისში იწყებს დაბრუნებას, როგორც წესი, გეგმის შესასრულებლად,

ყველა მაღაზია მუშაობს). და

ანმა“ ჟურნალისტმა (იმ ხანებში, წარილი რომ გამოვაქვეყნე, თანამშრომლებში თურმე ასე მიხსენიებდა) ყური აუწია თანამდებობის კაცს, ისიც რატიანის მეგობარს (ჩემი რედაქტორი რატიანია) და რაც მთავარია, ჯონდო ჩხიკვაძის ნათესავს!..

— ჯონდო! ეს ოცდათუთმეტი წლის, ცოლ-შვილიანი კაცი, პროფესიით ეკონომისტი იყო, მაგრამ სპეციალობის მიხედვით არსად არ უმუშავნია. ვისი რა საქმეა, რამდენი ინჟინერი, ეკონომისტი და ექიმი წერს ახლა და არც თუ ურიგოდ. მე ამის თქმა მინდა, ამ ღმერთგამწყრალმა რაღა მაინცდამაინც ჟურნალისტობა ამოიჩემა-მეთქი! რატომ? რისთვის? რა უნდოდა? თავისი მოწოდება აქ იპოვა? ისემე მაგას რა ვუთხარი! ყოველ შემთხვევაში, მის ნაწერს საამისო არაფერი ეტყობა... მთავარი, ჩემი აზრით, რაძაც იგი აფორიაქა, დასძრა და ამ მოიყვანა, ცნობილ პიროვნებად გახდომის, ყურადღების ცენტრში მოქცევის სურვილი იყო, იმათ მიბაძა, იმ ექიმებს და ინჟინრებს, ახლა რომ შვენიერი მწერლები არიან, მე-რითი ვარ მათზე ნაკლებიო. იგი ჯერ ერთ-ერთ გაზეთში კორესპონდენტობდა, მერე ფოტოჟურნალისტობას მიჰყო ხელი, ერთ მშვენიერ დღეს კი, ჩვენ გამოგვეცხადა, როგორც ლიტმუშაკი და რედაქციაში მაშინვე როგორღაც ეპვიანმა სიჩუმემ დაისადგურა, ისეთმა სიჩუმემ, ახალი თანამშრომლის მოსვლა რომ იწვევს, ამ შემთხვევაში კი, თანამშრომლის, რომელიც ჭრაბუს ქვემოდან იცქირება თევზის თვალებით და დამუშავებული ღიმილი აქვს, გვერდზე მახედებისთანავე რომ უქრება ხოლმე.

— მოგზავნილი ხომ არ არის? — აჩურჩულდნენ თანამშრომელი გოგონები და რის გოგონები იყვნენ, არ გამოეძიათ ამ კაცის ასავალ-დასავალი, მაგრამ მისი „მოგზავნილობა“ რომ ვერ დაადგინეს, ეჭვი განახევრდა, სიჩუმე კი, ჩვენს შორის ჩამოვარდნილი, მაინც სიჩუმედ დარჩა თავისი მანძილით და ბზარით.

— რატიანის კაცი ყოფილა! — თქვა ერთ დღეს კორექტორმა, ისე ჩუმად, რადაც წერილს ვწერდი, დასასრული არ გამომდიოდა, დერეფანში მიმოვდიოდი ჩემსა და კორექტორების ოთახს შუა და რასაც იქ ამბობდნენ, ძალაუნებურად თითქმის ყველაფერი მესმოდა.

— მართლა?

— ვინ გითხრა?

— ჩემი მეზობელი მაგის ნათესავის ქალიშვილის მეგობარი ყოფილა, — თქვა იზამ, — წუხელ დაბადების დღეზე მასთან იყო და რატიანი და ჯონდო იქ უნახავს.

— ვინ არის მაგის ნათესავი?

— მშენებლობის სამინისტროში დიდი კაცია, გერონტი ხომრიკი.

— ა�ა.

ჩემში, რატიანთან ჯონდოს ნათესაურ-მეგობრულ ურთიერთობას, თითქმის არავითარი რეაქცია არ გამოუწვევია, რადგან იმ ამბავში ახალი და მოულოდნელი არაფერი ყოფილა, სხვანაირად ვერც კი წარმომედგინა.

კიფე „ოცნებას“ რომ გავუპირდაპირდი, ფანჯრებისკენ მივიხედე როცა აქ ჩავივლი, არ შეიძლება, ფანჯრებისკენ მიუხედავად განვაგრძო გზა, ჩვეულად გადამეძეცა. ერთხელ, ეს ამ სამი წლის წინათ იყო, ოთართან მივედი და შინ არ დამხვდა, დედამისმა, დეიდა რუსუდანმა კი მითხრა: ნაბახუსევი და ჰაერზე გაიარა, შეიძლება კიფეში იყოს, მაინც შეიხედეო. შევიხედე და იქ იყო... მეორედაც იქ დამხვდა, მესამედაც.

კიფეში შევედი. ბუფეტს რომ ჩაეფარე, მიმტან ქალს, რომელიც იქვე იდგა და ნელსაცხებელწასმულ უკბეგსა და შუბლზე თითებს იპატკუნებდა, ვუთხარი: იქ დავჯდები, — დარბაზის ბოლოს, კუთხეში მდგარი მაგიდისკენ ვანიშნე — ერთი უნალექო ყავა მომიტანეთ-მეთქი.

ჭერზე მიმაგრებული ვენტილატორები, რა თქმა უნდა, კიფეს გალებისთანავე ჩართეს და დარბაზში სამოთხე იყო, ისე გრილოდა. მაგიდასთან მივე-

დი და დავჯექი. მარჯვნივ, გვერდით მაგიდას ორი ხანშიშესული ქალი უჯდა, საუზმობდნენ, ჩემს მოპირდაპირე მაგიდას კი, მელოტი, გამხდარი მამაკაცი ზურგშექცევით მისჯდომოდა და შამპანურს სვამდა. ერთი ბოთლი გამოეცალა, მეორე ნახევრამდე ჩაეყვანა... დარბაზში დანარჩენი მაგიდები ცარიელი იყო. ისევ მელოტს შეეხედე. თანამესუფრე გავდა ან ლოთი იქნებიმეთქი, გავიფიქრე.

ქალმა ყავა მოიტანა, წინ დამიდგა და მკითხა:

— სხვას ხომ არაფერს ინებებთ?

— არა, გმადლობთ.

ქალი გაბრუნდა. რაიმეს ხომ არ დალევთო, რა თქმა უნდა, ეს ჰქონდა მხედველობაში. მომტანი, რომელმაც კარგად იცის თავისი მოვალეობა და ზრდილიცაა, შემოთავაზებას აუცილებლობად თვლის, თუმცა, ამას არა მხოლოდ შენი სამოვნებისთვის სჩადის, ვაჭრობის გეგმა აქვს შესასრულებელი და საკუთარიც... რასაც მეტს მიირთმევ, ამით მით უფრო უქუქუნდებათ თვალები... საინტერესოა, ამ ქალს სამჯერ მეტი ხელფასი რომ მისცე, ვიდრე ახლა აქვს, მაშინაც იცელქებს?

ჭიქა ავიღე და ყავა მოვსვი.

დარბაზში შუახნის, თმათეთრი, მსხვილწარბებიანი მამაკაცი და ახალგაზრდა, ქერათმიანი ქალი შემოვიდნენ. ქალს მოკლე კაბიდან მზეზე გახუხული, აშხვართული ფეხები მოუჩანდა. მელოტი რომ იჯდა, იმ რიგის პირველ მაგიდას მიუსხდნენ, სულ ცოტა ხნით, თითო ჭიქა კონიაკი დალიეს, გაზიანი წყალი დააყოლეს და წავიდნენ. ყავა ისევ მოვსვი, ჭიქა დავდგი და წყვილს თვალი გავაყოლე... კაფედან გასულები მანქანაში ჩასხდნენ...

— უკაცრავად, — მომესმა და გამოვერკვიე. ჩემს წინ ის მელოტი კაცი იდგა, მოპირდაპირე მაგიდასთან ზურგშექცევით რომ იჯდა და შამპანურს სვამდა. ახლა, სახეში რომ შეეხედე, ძლივს ვიცანი, ექიმი იყო, გია გურაბანიძე, საშინლად გამხდარი და დაჩიავებული. ხელში სიგარეტი ეჭირა. — შომიკიდეთ, თუ შეიძლება.

ჯიბიდან სანთებელა ამოვიღე და ამოვუკიდე.

— გმადლობთ. — არც შემოუხედავს, ცხვირში წაიღუდუნა, სიგარეტი ზედიზედ მოქაჩა, ფეხი კი არ მოუცვლია, ბოლში გახვეული მაგიდის კუთხესთან იდგა სახემორღვეული და შეწუხებული, თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა და ვერ მოეხერხებინა... სათვალიდან წამოსცოცებული და ნაოჭებისაგან დასერილი უპეები მოუჩანდა, მახვილი, ცოცხალი მზერა, ტელეეკრანიდან რომ მახსოვდა, მოჩლუნგებოდა. ცოლს რომ გაცილდა ვიცოდი, მაკამ მითხრა, მაგრამ ასე გასაცოდავებულ-ი თუ იყო, არ მეგონა. გული მომეწურა.

— დაბრძანდით, ბატონო გია!

— თქვენ მიცნობთ?! — გაკვირვებით შემომხედა, — ჰო, თუმცა, გასულ წლებში ტელევიზორში მნახავდით.

— დიახ, დიახ, სხვა დროსაც მინახიხართ, თქვენი სახე დამამახსოვრდა.

— მეც გიცანით, სხვა ყველაფერი დავკარგე, ცნობიერება კი, სამწუხაროდ, უცვლელი შემრჩა. ჯობდა, პირიქით, მომხდარიყო, ვერაფერს ვიგრძნობდი...

სასიამოვნო ხმა ჰქონდა, დინჯი, აუჩქარებელი მეტყველება. ეს ალბათ, ნაწილობრივ, ნასვამობის ბრალიც იყო, თავს ძალას ატანდა, ნათქვამისთვის რომ მეტი დამაჯერებლობა მიეცა.

— საავადმყოფოში გნახეთ, მაშინ გეძინათ, — განაგრძობდა ექიმი, — მერე ორჯერ კიდევ ვიყავი, მაგრამ პალატაში შემოსვლა ვეღარ შევძელი... — ალფერფლისკენ გადაიხარა, ავიღე და წინ დავუდე. — გმადლობთ. იცით, რისთვის მოვედი?... თუმცა, ღირს კი...

— ბრძანეთ, ბრძანეთ!

— ეჰ, — უხერხულად დაიწყო, სახე მოეღრეჭა, თითქოს პირში უმწიფარი

გოდერძი ჭეიშვილი
აგვისტოს სამი ღლის ქრონიკა

ხურმა ედო. — თქვენს ადგილზე მე არ ვიტყოდი...

— რას, ბატონო გია?!

სიგარეტი ისევ ზედიზედ მოქაჩა, ისევ ბოლში გაეხვია და გაბზარული ხმით თქვა:

— კუპეში რომ იმ ცხოველთან ერთად დალიც იყო.

— აჰ, გასაგებია! მაგრამ ცდებით, ბატონო გია, მე არ მითქვამს, უფრო სწორედ, არ გამიმხელია... რა თქმა უნდა, იცით, რაც მოხდა და როგორ მოხდა, გამცილებლის მიერ ჩემს შესახებ შედგენილ იმ მონაჩმახ, სულელურ აქტზე ხომ თქვენი მეუღლის ხელწერაც იყო! რაკი ეს აქტი გამოძიების საქმეებში ჩაერთო, ბუნებრივი იყო, ქალბატონი დალის დაკითხვა და სასამართლოზე გამოძახება, ასე რომ ტყუილად შეგაპარვიათ ჩემზე ეჭვი. მიუხედავად იმისა, რომ მქონდა ამის მორალური უფლება, თქვენს მეუღლეზე სიტყვაც არ დამცდენია, არ ვიცი კი რატომ? ალბათ თქვენი პატივისცემის გამო და შეიძლება იმიტომაც, რომ ქალების მიმართ უფრო ლმობიერად ვარ განწყობილი, ვიდრე მამაკაცებისადმი.

ჩლუნგი მზერა მომაპყრო. იდგა ერთ ხანს ასე, ხმის ამოუღებლად. არვიცი, რას ფიქრობდა, უნებლიეთ, მაგრამ მისი უბედურების მიზეზი ხომ მეც ვიყავი და ვეზიზღებოდი? მისი თვალები ცარიელი და არაფრის მთქმელი იყო. მერე შუბლი შეეკუმეხნა, გვერდზე მიიხედა და თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო, თქვა:

— ხავსს ვეჭიდები. თქვენ არ იცით, როგორ მიყვარდა, არც მის სიყვარულში მეპარებოდა ეჭვი... ახლაც მიყვარს, მაგრამ, ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრდა... საშველი აღარაა... აღარც ხავსია... ეჰ, მაპატიეთ! — მიბრუნდა და გასასვლელისაკენ წალასლასდა... ნაბიჯი ერეოდა, ალბათ, ღვინო ახლა უფრო მიეკიდა ან მისთვის უკვე სულერთი იყო, როგორ გაივლიდა, ვინ რას იტყოდა... მაგიდას დაეჯახა, კინაღამ იატაკზე გაიშხლართა, ძლივს შეიკავა თავი. წამოვეწევი და შინ მივიყვან, გავიფიქრე, მაგრამ უმალ გამიელვა: აბა რა სასიამოვნო იქნება ჩემი ქმრის გვერდით ყოფნა, ტკივილი სულს უარესად აუწეწავს-მეთქი!

კაფედან გულდამძიმებული გამოვედი. ჰაერი არ იძეროდა, მანქანას მივაშურე, დავძარი და სული მოვითქვი. გამზირიდან გურამიშვილის ქუჩაზე ჩავუხვიე და მანქანა დაღმართზე მივუშვი...

მარცხნივ გავუხვიე, აქვე, გამზირზე წიგნების მაღაზიაში შევიარე-მეთქი. მზე ულმობლად აჭერდა, დუღდა ყველაფერი. მანქანა ეზოში შევიყვანე და ხეივნის ბოლოს, სახლის ჩრდილში გავაჩერე... მაღაზიასთან ყველაზე იოლად აქედან შეიძლებოდა მისვლა, გამზირი ისევ გადათხრილი იყო. მეტროს გვირაბის გაყვანა წელს უნდა დაემთავრებინათ, მაგრამ მშენებლობა ისე გაჭიანურდა, ალბათ კიდევ სამი წელი დასჭირდება...

მაღაზიის გამყიდველი გოგონები ნაყინის ჭამით ისე გართულიყვნენ, ჩემი შესვლა არც კი გაუგიათ. წიგნების დახლს მივადექი და ვთქვი:

— უკაცრავად, ერთი წუთით შეიძლება?

— ახლავე! — თქვა ერთმა, დაბალმა, ქერათმიანმა, ცხვირპაჭუა გოგომ, ნაყინი თეფშზე დადო, ტუჩები და ხელები ქაღალდით გაიწმინდა და მოვიდა. — გისმენთ!

— ოთარ კალანდაძის „სიყვარული“ გაქვთ?

— არა.

— სად იქნება, თუ იცით?

— ვერ გეტყვით. სხვა მაღაზიებში იკითხეთ... კარგი წიგნია?

— ძალიან.

— როდის გამოვიდა?

— არ ვიცი... ალბათ, ორი თვე იქნება...

— რადაც არ გამიგია... ბაზაში ექნებათ, დარეკეთ.

— დღეს თქვენი ბაზა მუშაობს?

— არა, მაგრამ საქონელმცოდნე იქ არის, მორიგეა. წამობრძანდით.

გოგონა დირექტორის კაბინეტში შემიძღვა, დირექტორი სადღაც გავიდაო. მითხრა, ნომრები აკრიფა და ყურმილი გადმომცა.

— ალლო!

— გისმენთ!

— მაპატიეთ, რომ გაწუხებთ.

— რა გნებავთ?

— ოთარ კალანდაძის წიგნი, შეიძლება, რამდენიმე ეგზემპლარი მომცეთ? იტტორმა მთხოვა, თვითონ აქ არ არის.

— კალანდაძის?

— დიახ.

— არ მიგვიღია.

— არ მიგიღიათ?!

— არა მგონი... მოითმინეთ, ახლავე ზუსტად გეტყვით... —საქონელმცოდნემ ყურმილი მაგიდაზე დადო, ცოტა ხნის მერე აიღო და თქვა: — არა, ბატონო.

— გამოვიდაო, მითხრეს

— ჯერჯერობით ჩვენ არ მიგვიღია, წელს გამოსული წიგნებიც სია აგერ მიდევს.

— აბა. უკაცრავად.

ყურმილი რომ დავდე, გოგონამ მკითხა:

— არ მოუღიათ, ხომ?

— არა. თქვენ კი, შეგაწუხეთ.

— რას ბრძანებთ!

— კარგი გოგო ხართ, გმადლობთ!

— რაშია საქმე? — ვფიქრობდი მაღაზიიდან გამოსული, წიგნი არ დაბეჭდილა, თუ დაიბეჭდა მაგრამ სტამბიდან ჯერ არ გადმოუტანიათ? ეშმაკმა იცის!... ხვალ გამომცემლობაში მივალ და ყველაფერს იქ გავარკვევ!

მანქანა ქუჩაში გავიყვანე....

მოასფალტებული ეზო წყლით გადაერეცხათ და მტვრის სუნით გაჟღენთილი სიგრილე ცხვირში მეცა. მანქანა გარაჟში შევიყვანე და სახლში ავედი.

ტბა, როგორც ყოველთვის, ახლაც მღვრიე იყო, ნაპირებთან ლაქაშებით სავსე. სამხრეთით და დასავლეთით ნახევრად ხრიოკი მთები, მოპირდაპირედ არც თუ ხშირი ნაძვნარი. ქალაქთან შედარებით წმინდა, გრილი ჰაერი და, რაც მთავარია, სიმყუდროვე იზიდავდა ხალხს აქ ზაფხულობით, თორემ ეს წყალი გულისამრევ ჭაბურობს უფრო ჰგავდა, ვიდრე ტბას. რა მშვენივრად შეიძლება აქაურობის მოწყობა! — ტბის გაწმენდა, ირგვლივ სილიანი სანაპიროს შემოვლება, კოტეჯების და დასასვენებელი სახლების აგება...

ტბას ორჯერ შემოვუარეთ, მესამედაც არ აწყენდა, მაგრამ მაკამ იუარა, რომც მომისაჯონ მესამე წრეზე წამსვლელი აღარა ვარო.

— დიდი ზარმაცი მოსწავლე მყავხარ, მე კი, ცუდი მწვრთნელი ვარ, — ვუთხარი, — ხომ იცი, რაც მეტს იმძრავებ, უკეთესია, უფრო გაგიადვილდება...

— კარგი რა, შენი ჭირიმე, — ვედრებით მითხრა, — ტერფები მეტკინა... მოდი, ცოტა ხანი ნაძვნარში დავსხდეთ... თუმცა, რომელი საათია? ათიდან თორმეტამდე კონსულტაციაში ჩემი ექიმი უნდა ვნახო, მერე აღარ იქნება.

— თორმეტი დაიწყო.

— წავიდეთ. — მკლავში ხელი გამომდო და გამოვბრუნდით. მანქანა იქვე მეყენა, მოედანზე, ჩავსხედით და დაღმართზე დავეშვით. ეთნოგრაფიული მუზეუმი გავიარეთ, სტადიონს გაცცდით და გამზირზე გავედით.

— დღეს როგორი ვეგეტები გაქვს? — მკითხა მაკამ, — მინდა რეალური გარემოსა და სიტუაციებში წარმოგიდგინო.

— შენ რომ სახლში მიგიყვან, გამომცემლობაში წავალ, გავარკვევ ერთი, რაშია საქმე.

— ჰო, მართლა! საინტერესოა... ალბათ არ დაბეჭდილა.

— მივალ და ყველაფერს გავიგებ.

— მერე?

— რა მერე?

— მერე სად მიდიხარ?

— შინ ავირბენ, ბებიას დალევა დამავიწყდა.

— უკანასკნელია ხომ?

— უკანასკნელი.

— მერაბ ჭელიძეს არ ურეკავ?

— რა თქმა უნდა, ბიულეტენს დავახურინებ.

მაკა კონსულტაციაში დიდ ხანს არ დაყოვნებულა, ექიმმა გასინჯა, წნევაც გაუზომა და მოსაცდელში გახარებული გამოვიდა, ნორმალური მაქვსო.

გამომცემლობაში რომ მივიდი, მთავარ რედაქტორთან შევალ-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ არ დამხვდა და მისი მოადგილის კაბინეტის კარი შევაღე.

მოადგილე მაღალი კაცი იყო, შავგვრემანი, ჭაღარა. ჩემი მისვლის მიზეზი რომ ავუხსენი, თქვა: ოთარის წიგნი კარგა ხანია მოვამზადეთ და საწარმოო განყოფილებას გადავეცითო.

— სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, ახლა რა მდგომარეობაშია... დაბეჭდვით კი, ნამდვილად არ დაბეჭდილა. საინგნალოს მივიღებდით, მოითმინეთ!

ყურმილი აიღო და დარეკა. არ პასუხობდა.

— სულ დამავიწყდა,—თქვა მერე და ყურმილი დადო, — საწარმოო განყოფილების გამგე კომიტეტშია, ორი საათის შემდეგ იქნებაო, სად ზის-მეთქი? აქვე, დერეფნის დასაწყისშიო.

თორმეტის ნახევარი იყო. ორ საათზე მეტს აქ ხომ არ ვიყურყუტებდი, გარეთ გამოვედი, მანქანაში ჩავჯექი და შინ წავედი... მერვე სართულზე ლიფტიდან გამოსული ჩემი ბინის კარს რომ ვაღებდი, ტელეფონის ზარი მომესმა. შევედი და ყურმილი ავიღე.

— ალო!

— გამარჯობა, თამაზ!

ნათელა შანიძე იყო.

— ოოო, გამარჯობა, ნათელა! რა-გორა ხარ, კუდრაჭ?

— რა მიშავს, ჯერჯერობით ვუძლებ ამ პაპანაქებას.

— მივლინებაში ყოფილხარ...

— ჰო, წუხელ დავბრუნდი. შენ რას შვრები, სამსახურში როდის გამოდიხარ?

— ამ კვირაში გამოგეცხადებით.

— რა კარგია! ეიღან ტელეფონით მაკას ველაპარკე, მგონი, შინ იქნებაო, მითხრა და დაგირეკე.

— კარგი გოგო ხარ, კუდრაჭ!

— რატიანი დაეჭვებულია... გაიგეთ ერთი, ის კაცი როგორ არისო!

— აჰა, ხომერიკი დაურეკავდა, ასეც ვიცოდი.

— რა თქვი?

— რატიანს არაფერი შეეშალოს, მე ჩემს ადგილზე უნდა დავბრუნდე.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, ამ დილით სასამართლოს დადგენილება მივიღეთ...

— ამ დილით?! ამდენი რატომ დაგვიანდა, სასამართლოს შემდეგ თითქმის ერთი თვე გავიდა!

— არ ვიცი, დილით მივიღეთ, რატიანი გუნებაზე ვერ არის.

— არ ელოდა?

— შენს ადგილზე თურმე ჯონდო ჩხიკვაძე დროებით ჰყოლია დანიშნული.

— მართლა? მაგ ასოკიკიტას ეგ როგორ მოუვიდა! შენ ეს მითხარი, თვითონ ჯონდო თავს როგორ გრძნობს?

— დაბოღმილია, უდარდელი კაცის როლს თამაშობს, მაგრამ არ გამოსდის, უგერგილოდ იღმეფება.

— ისევ რედაქტორის მოადგილის კაბინეტის ჰაერით სუნთქავს, თუ დაწყო სიგარეტის წევა? გამოაბუნძულეს?

— როგორც კი დაბრუნდა მოადგილე, მაშინვე აუკრა გუდა-ნაბადი. სიგარეტის წევა ჯერ არ დაუწყია, მაგრამ დაიწყებს ალბათ... გამარჯობთ!

—ეტყობა, ოთაზში ვიღაც შევიდა, — ესე იგი, ამ დღეებში გამოხვალ?

— ასე ვფიქრობ.

— კარგად იყავი, თამაზ!

— კარგად, კუდრაკ!

სამზარეულოში გავედი და მაცივრიდან „დიაკარბის“ წვრილი შუშა გამოვიღე. ღმერთო, მეტად ნუღარ დამაჭირვებ-მეთქი, და აბი ჩავყლაპე, ცივი წყალი დავაყოლე, მერე ისევ ოთახში, ტელეფონთან მივბრუნდი და მერაბ ჭელიძეს დავურეკე.

— დიახ. — დეკლამატორივით დახვეწილი ხმა ჰქონდა.

— გამარჯობა, მერაბ!

— ოჰ, თამაზ! როგორა ხარ?

— ბრწყინვალედ! აბებს მოვრჩი...

— ტკივილები აღარა გაქვს?

— არავითარი.

— ძალიან კარგი! კომისიაზე გაგატარებ და ბიულეტენს დაგიხურავ.

— როდის მოვიდე, დღეს თუ ხვალ?

— დღეს აღარ მოხერხდება, გამოძახებებზე გავრბივარ, ხვალ დილით მოდი.

— კარგი.

— აბა, ნახვამდის.

— ნახვამდის.

საათს დავხედე, პირველს ოცი წუთი აკლდა. ვინტილატორი ავიღე, ეზოში ჩავირბინე და მანქანა ქუჩაში გავიყვანე. ხად მივიტანო ეს ჯართი?... კოლმეურნეთა მოედანზე რომ საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატია, იქ ჯობია, აქეთობას რომელიმე კაფეში შევივლი და რაღაცას შევეკამ-მეთქი. ათ წუთში კომბინატში ვიყავი... ვენტილატორი გავაბარე და იმავე გზით უკან დავბრუნდი.

მოედანი. რუსთაველის გამზირი... „ინტერესტის“ კაფეში შევედი... ისე მშიოდა, კატლეტს და ძმარმოსხურებულ სალათას ვიღრე არ მოვუღე ბოლო, თავი არ ამიწევია. ჭამას რომ მოვრჩი, შეგრილებული ყავის წრუპვა დავიწყე, თან მაგიდებთან მსხდომთ ვათვალიერებდი, რა ხალხია-მეთქი. დარბაზი შერეული ხალხით იყო სავსე. ახალგაზრდები, ხანშიშესულები... არც ერთი ნაცნობი... მოიცა! ის ქალი მეცნობა, ბუფეტის მარჯვნივ, გრძელ-ცხვირა, ნიკაპმოკლე მიეთან ერთად რომ იჯდა. სად მინახავს?

ჩემს მაგიდასთან რომ გოგო და ბიჭი ისხდნენ, ადგნენ და კაფედან გავიდნენ. სიგარეტს მოვუკიდე და ისევ იმ ქალს გავხედე... ალბათ ჩემი მზერა იგრძნო, თვალი მომაშტერა... ის არის! ეს დიდთავა, კანჭმოკლე ქალი, ყველას რომ თვალებს აშტერებდა, სასამართლოში ვნახე და დამამახსოვრდა. ქმარი, წარმოსადეგი კაცი იყო, თუ არ ვცდები, ისტორიკოსი, სწორედ იმ დღეს გაიყარნენ, ჩემი და გიგა გურგენიძის საქმე რომ ირჩეოდა. ამ ქალს, კაცსა მოკლედ, ბოლმაშერეული იუმორით უამბო სასამართლოს, ოცი წლით უმცროს ბიჭთან დაუწყია საყვარლობანა, თვითონ ორმოცს გადაცილებული ყოფილა, ქმრის მეგობრებისაგან ფულს სესხულობდა, თითქოს და ზოგისგან ბინის რემონტისთვის, ზოგისგან საოჯახო ნივთების შესაძენად, სინამდვილეში კი, საყვარლისთვის ძვირფას საჩუქრებს ყიდულობდა... მეგობრების წრეც ასეთი ჰყავს, ასე აცვენილი, დაუმთავრებელი, გონებაშეზღუდული ქალებიო. დაუმატა: რიგიანად კითხვაც არ იცის, ენებავთ შეამოწმეთო... საწყალი კაცი საშინლად იყო დაბოღმილი...

სიგარეტი მოვქაჩე. ქალი და გრძელცხვირა ბიჭი იქ აღარ ისხდნენ, წასულიყვნენ. კაფეში ხალხი შეთხელებულიყო. შესვენება დამთავრებულა-მეთქი, გავიფიქრე და საათს დავხედე, ორი სრულდებოდა. მიმტანი ვიხმე, ფული გადავიხადე და გარეთ გამოვედი. მანქანაში რომ ჩავჯექი, რესტორნიდან გამოსული განუყოფელი მეგობრები დავინახე: დოდო თავაძე, ნანა ღლონტი და ლალი ფარულავა, ვიღაც საზაფხულო კოსტუმებში გამოპრანჭული მამაკაცები ახლდათ. დიდებულ გუნებაზე იყვნენ, იცინოდნენ, მამაკაცებს ეკვროდ-

გიორგრაკი ჟღენტილი
აგვისტოს სამი დღის ეკონომია

ნენ. ფანჯრისკენ გადავიხარე და გავძახე:

— გამარჯობათ, ჩვენო სახელოვანო ქალბატონებო!

სიცილი შეწყვიტეს და ჩემკენ შემობრუნდნენ. ხელი დავუქნიე და ისევ გავიმეორე, ჩვენს სახელოვან ქალბატონებს გაუმარჯოს-მეთქი, და გაზის პედალს ფეხი დავაჭირე. დოდომ მიცნო, ჯერ გაეღიმა, მერე მოიქუფრა... მერე ალარ დამინახავს, რა მოხდა, ჯორჯაძის ქუჩიდან გამოსულ ტროლეიბუსს კინაღამ შეეახეთქე მანქანა და უკან ალარ მიმიხედავს. მიმბარუნა და მათი სიფათები მანახა, მეტი არაფერი მინდა. ალბათ მლანძღავენ, მაქიაქებენ... ამ შუქნიშნებმა პირდაპირ ტვინი წაიღო, ყოველ სამას მეტრზე უნდა გაჩერო მანქანა, გადასასვლელია... წეღან კავშირგაბმულობის სამინისტროსთან გავჩერდით, ახლა ოპერის თეატრთან.. მოიცა, ეს ხომ ჯონდოა! — წითური, გრძელტუჩა, გამელოტებული, გადასასვლელზე გადმორბის. მანქანას რომ გაუპირდაპირდა, დავუძახე:

— ჯონდო! სალამი!

მოიხედა. არ ელოდა ჩემთან შეხვედრას და ნირი წაუხდა. მერე უცებ ისე გაეღიმა, თითქოს ახლა მიცნო, ოჰ, გამარჯობაო, თქვა, მოირბინა და ხელი ჩამომართვა.

— როგორ ხარ?

— კარგად, ჯონდო. რა იყო, შე კაცო, ისე მიყურებ, თითქოს გეზიზღები.

აილწა, რაღაცის თქმა უნდოდა, აღარ დავაცალე.

— კი, ჯონდო, მაგრამ მე სიყვარულს არ გთხოვ... — ამ დროს გზა გაიხსნა და დავიძარით. — შენთვის ეს ჩინური ანბანია, — ვთქვი, მაგრამ არ ვიცი, გაიგონა თუ არა. სარკიდან დავინახეს, გაფიორებულმა ავტობუსს ძლივს გადასწრო ტროტუარზე.

გამომცემლობაში სამის ხუთ წუთზე მივედი. საწარმოო განყოფილების გამგემ, შუახნის, სასიამოვნო გარეგნობის ქალმა, როგორც კი ვუთხარი, ვინ ვიყავი, დიახ, დიახო, თქვა, მთავარი რედაქტორის მოადგილეს ჩაუყენებია საქმის კურსში. უქაღალდობის გამო დაყოვნდა წიგნის აწყობაო. არც ახლა აქვთ ქაღალდი-მეთქი? აქვთ, გავგზავნით წიგნს ასაწყობადო. კარადიდან თეთრი, დანომრილი საქაღალდე გამოიღო, რომელშიც ოთარის მოთხრობები ელაგა და მაგიდაზე დადო. ხვალ გამომშვებს გავატანო. მე რომ წავიღო? — ვუთხარი, — ავტორი გულის ფანცქალით ელოდება, დაბეჭდილი ჰგონია, იმათ ავუხსნი მდგომარეობას, დავაჩქარებინებ-მეთქი. კი ბატონო, თქვა ქალმა, საქაღალდე აიღო და მოძეგა. ვმადლობთ, კარგად ბრძანდებოდეთ-მეთქი, ვუთხარი და წამოვედი.

წიგნი სტამბაში რომ დავტოვე, თავისუფლად მხოლოდ მაშინ ამოვისუნთქე. ჰატარა კრებულია და ერთ კვირაში ავაწყობთო, მითხრეს... ესეც ასე! რა მოხდა, რა ალმოვაჩინე ან რა ავამენე, მაგრამ ისე ვიყავი გახარებული და კმაყოფილი, გავფრენილიყავი მინდოდა და მანქანას მთელი სისწრაფით მივაქროლებდი სანაპიროზე... წიგნი ვერ გიყიდე, მაგრამ არა უშავს, ოთარ, — ვფიქრობდი. — სამაგიეროდ, ჩამოხვალ და გამოსული დაგხვდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

მზრებზე მოვისხამ ნაბადივით
დარდს და სიხარულს
და მკლავდაკუნთულ სამშობლოს მთებში
ვივლი ამაყად,
ვითარც ადრე დავაბიჯებდი.

და... წარსულიდან თუ ყელყელა
სალამურიდან—
სულს გამოვიხმობ —
მივწყებულ მწყემსი ბიჭების.

ᲓᲘᲝᲡᲙᲣᲠᲘᲐ

აქ, ცისარტყელის, დაწყვეტილი
ქვითინებს სიმი
და მწარე წარსულს დასტირის კოლხთა,
ქარი ტორებს სცემს შავითმოსილ
ღრუბლების ბექობს.

აქ, ზღვის ძახილი
და ტალღის ოხვრა
მომესმის მუდამ,
დაღუპული მამულის ექოდ.

ᲪᲐ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲜᲐᲚᲛᲣᲚᲘᲐ

იური გაგარინს

ციდან მომესმის —
შორეული შენი ფეხისხმა,
დადიხარ...
და გზას კვლავ გინათებს
მზე — მშობლიური...

ახლა ღამეა...
ქუხს აპრილი და... აღლუმია.
ფრთხილად იარე! —
გეგედრები, ძმაო იური,
ცა ვარსკვლავებით დანალმულია.

ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲘ

სისხლიან პირით უცინიან ორლესულები—
შუამდე გაჩეხილ მტერს და მოძალეს...
და წარსულიდან —
კვლავ მოისმის—ლოცვა და კვნესა:

„ჩემს საქართველოს აარიდე
ლახვარ-ბოძალი
და ისევ ისე მოიდე ჩემსა“.

ᲓᲒᲐᲡ ᲒᲝᲠᲒᲐᲡᲐᲚᲘ

ჩემს თბილისს ადგას დადაფნული
მთების გვირგვინი...
არსით სულთანი,
არც ამირა,
და არც ვასალი.

გამქრალა მტერი და მაწყვეარი.
აქ ნადირობით დაღალული —
დგას გორგასალი
და მტკვარი ფეხქვეშ გაწოლია,
როგორც მწყვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1941-1971

წრიალებს ხსოვნა...
    დაბრუნების დუმს მოღოდინი...
    დედავ! დღეები —
შავითმოსილ ფიქრში გადიან,
მოხუცი გული ვეღარ უძლებს სევდას
                მოწოლილს
და ბნელ ფაცხაში ოცდაათი წელიწადია
    ანთია შენი ცრემლის კოცონი.

ჭყის იდილია

მიმწუხრის პირზე—
    აღარ ისმის ხეთა გალობა,
    ვით სამლოცველო ტყე დამხობილა,
აღარსად ბრწყინავს მარიხ ვარსკვლავად —
კურკანტელების მწიფე კუმპალი.
და სულთმობრძავი ნაკადულის
    ციცქნა საფლავთან
ვდგავარ ვითარცა, გულდამწვარი
                ჭირისუფალი.

რამაز კობლიძე

ბათუმი-თბილისი

საერთაშორისო ვაგონის კუპე ორადგილიანია. ეს ყველამ იცის. ისიც ცნობილია, რომ როდესაც საერთაშორისო ვაგონში მარტო ამოდის ახალგაზრდა, სანდომიანი ქალი, სხვა მგზავრებს — ქალებსაც და კაცებსაც — ცნობისწადილი იპყრობთ და ჩუმი ფიქრაჟი შეუდგებათ ხოლმე: მართლა მარტო მგზავრობს? — არ ეშინია? თუ ახლავს ვინმე? არა, მაინც რაშია საქმე?

ცნობისწადილითა და ჩუმი ფიქრიანქით საქმე არ თავდება. ყველა მამაკაცი, ვინც ამ ვაგონით მგზავრობს, ახალგაზრდა იჭნება თუ ხანდაზმული, სულერთია, ყველა ხმაამოუღებლად ნატრობს, — ღმერთო, ეს ქალი ჩემს კუპეში მოახვედრეო. ვის რატომ უჩნდება ეს სურვილი — ეს მარტო ღმერთმა იცის. მაგრამ ქალი ერთია და ამიტომ ბედნიერებაც მარტო ერთი მამაკაცის ხვედრია. სხვები განგებ ბულგრილ სახეს იღებენ, გამცილებელს რატომღაც მეტისმეტად მკაცრად სთხოვენ, — ლოგინის თეთრეული მოგვიტანე, გვეძინებაო, და წითელი ხით მოპირკეთებულ, სარკიან კუპეებში გუნებაარეულნი იკეტებიან.

ამჯერად ის იღბლიანი მამაკაცი მე გამოვდექი. ახალგაზრდა, მოხდენილმა, გემოვნებით ჩაცმულმა ქალმა ჯერ კარზე მიკრულ ნომერს შეავლო თვალი, მერე ჩემს კუპეში შემოიხედა, შემოვიდა და კარგა მოზრდილი წითელი ჩემოდანი იატაკზე დადგა. კუპე ძვირფასი ნელსაცხების სუნით გაავსო. მე მყისვე ფეხზე წამოვდექი.

— ბრძანდებოდეთ... — ქალმა გამიღიმა და კრიალა, მიჯრით მიწყობილი კბილები გამოაჩინა, მერვე ადგილი არის ეს?

— ეს გახლავთ.

— დიახ. გმადლობთ. მე ვიცოდი, რომ ზედა ადგილი მჭერდა.

— ქვედა ადგილი ჩემია. სიამოვნებით დაგითმობთ.

—რატომ წუხდებით!

— არაფერია, მომეცით თქვენი ჩემოდანი.

— გმადლობთ!

ჩემოდანი არც თუ ისე მსუბუქი გამოდგა. მე იგი ზედა თაროზე შევდგი და ქალს გავუღიმე:

— ესეც ასე. ეს სავარძელი საერთოა. შეგიძლიათ დაბრძანდეთ.

— გმადლობთ. — ქალი მსუბუქად ჩაეშვა სავარძელში და ისე გულღიად გამიღიმა, — სულ ერთი წუთია, რაც კუპეში შემოვედი, მაგრამ აღარც კი მახსოვს, მადლობა რამდენჯერ გითხარით.

— მგონი, მე მადლობა ერთხელაც არ დამიმსახურებია.

— მართლა ასე გგონია?

— ჩემს ადგილზე ყველა ასე მოიქცეოდა.

— და ყველა მადლობას მიიღებდა!

ერთმანეთს თვალებში შევხედეთ და ორივეს გულიანად გაგვეცინა.

მერე ქალმა ძვირფასბეჭდიანი ნატიფი ხელი გამომიწოდა:

— ზეინაბი.

— თეიმურაზი.

ხელზე ვეამბორე. ასეთი ნატიფი, თბილი თითები იშვიათად თუ შემხვედრია.

— თბილისში მობრძანდებით? — ზეინაბი სავარძელში უფრო მოხერხებულად ჩაჯდა.

— დიახ. უფრო სწორედ — დიდუბეში.

— მაშ, თბილისის სადგურში მე მარტო ჩავალ?

— ალბათ, ვინმე დაგხვდებათ.

— რატომ გგონია?!..

— ლამაზ ქალებს მუდამ პატრონი ჰყავთ.

— აი, მე არავინა მყავს. მოხუცებული დედის მეტი.

— და თბილისშიც არავინ დაგხვდებათ?

— სრულიად არავინ. ხომ ჰხედავთ, ბაკაც არავინ მაცილებს.

— ცოტა უცნაური ამბავია.

— შეიძლება.

— ნამდვილად.

— თქვენ მაინც არ მითხარით, თბილისამდე ჩამყვებით, თუ არა?

— —უსათუოდ

— აი, მაგისთვის მართლაც. გმადლობთ. დიდ სადგურებზე ჩასვლისას მუდამ საშინლად ვიბნევი. არა, ვიბნევი კი არა, რაღაც უსიამოვნო გრძნობა მიპყრობს. ყველა სადღაც გარბის, არავის შენთვის არა სცალია, ხმაური, ყვირილი, ალიაქოთი... ტაქსის შოვნა არ შეიძლება... ერთხელ, ათ საათზე ჩავედი და თორმეტამდე ტაქსს ველოდებოდი.

— ამჯერად ეგ აღარ დაგემართებათ.

— ვნახოთ. ახლა ერთი საათზოვარი მაქვს.

—მიბრძანეთ!

— ის ჩემოდანი უკანვე ჩამომიღეთ, თქვენ კი ორიოდე წუთით გარეთ მიბრძანდით. კარგი?

— სიამოვნებით.

ჩემოდანი ქვედა საწოლზე დაედგი და ტალანში გამოვედი. ვაგონის გამცილებელი ქერა, წითელსახიანი, მხიარული გურული უკვე საწოლების თეთრეულს არიგებდა. შორიდანვე ძმაკაცურად ჩამიკრა თვალი, ვითომდა, ვიცი, რა იღბალიც გეწვიაო, და ვეება შეკვრა თეთრეული პირველ კუპეში შეათრია.

ცოტა არ იყოს, დაბნეული ვიყავი. მშვენიერად ვიცი, რომ ჩვენი ქალები ერიდებიან კუპეში უცხო მამაკაცთან ერთად მგზავრობას. იწყება ხოლმე ალგილების გამოცვლა, ხვეწნა-მუდარა, ნერვიულობა და ალერგრთ. ეს ჩვენ ზეინაბი კი ვითომ იმდენად მსუბუქი ყოფაქცევის ქალია, რომ უცნობ კაცთან მგზავრობა არაფრად უჩანს? აჰ, ასეთი ფიქრისგან ღმერთმა დამიფაროს! ინტელიგენტი ქალია, სადა და სასიამოვნო მანერები აქვს. ცოდვაც კი, ასეთ ქალზე რაიმე უკეთესი იფიქრო. მაგრამ ასეთი სითამამე? რა ვიფიქრო?

კუპის კარი გაიღო და ზეინაბის ღიმილმა გამოანათა. ნაზი იისფერი ხალათი ჩაეცვა, რომელიც ძალიან უხდებოდა მის შავ მბზინავ, ორად გაყოფილ თმას ფეხები წითელი ხავერდის ქოშებში ჩაეყო. თავი დამიქნია და მანიშნა, შეგიძლია შემობრძანდეთო.

— მე უკვე მზადი ვარ. — ორივე ხელები თავზე გადაისვა, თუმცა თმები ისედაც უნაკლოდ ჰქონდა გადავარცხნილი, — ახლა, თუ გნებავთ, მე გავალ და თქვენ მოეშზადეთ.

— მხოლოდ ერთი წუთით.

ზეინაბმა თავი დამიქნია და კარი გაიხურა. სწრაფად გავხსენი ჩემი ჩემოდანი, ლურჯი სათხილამურე კოსტუმი და ჩეხური „ბოტასები“ ჩავიცვი, ჩემოდანი ზედა თაროზე შევაგდე და კარი გავაღე. ზეინაბი ფანჯარასთან იდგა და ბინდით მოცულ აჭარის მთებს გასცქეროდა.

— მეც მზად გახლავართ, ქალბატონო ზეინაბ!

—ჰოდა, ძალიან კარგი.

ამასობაში გამცილებელმა ჩვენს კუპემდე მოაღწია. ორი შეკვრა თეთრეული მოჰქონდა. ერთი შეკვრა ზედა საწოლზე დაადგა, მეორე, — ქვედაზე და,... ცოტა არ იყოს, უტიფრად შემოგვცინა:

— გაგიშალოთ? თუ თქვენ თვითონ გაიშლით?

ზეინაბმა სწრაფი მზერა მესროლა. მერე, სანამ მე რამეს მოვიფიქრებდი, გამცილებელს თვითონვე მოკლედ მოუჭრა:

— ჩვენ თვითონ გავშლით.

ის-და დამრჩენოდა, რომ შემეცბარი, სწრაფად გატრიალებული გამცილებლისთვის მრისხანებითა და მუქარით აღსავსე მზერა გამეყოლებინა. ზეინაბმა მოკლედ ჩაიღიმა და ისევ ფანჯრისაკენ შეტრიალდა.

მატარებელი სწრაფად შორდებოდა ლეჯჯ ბინდში გახვეულ, უამრავი ნათურებით მოციმციმე ბათუმს. ვაგონში კუპეების კარები უკვე თითქმის ყველა დაკეტილი იყო. ჩვენს თავზე საამოდ რიწყინებდა ლითონის ჩარჩოში ჩასმული ნათურა. მე და ზეინაბი უხმოდ ვიდექით თეთრფარდიან ფანჯარასთან. არ ვიცი, რას ფიქრობდა ეს მოხდენილი, ნატიფი ქალი. მე კი...

მე ვერც გეტყვით, თუ რას ვფიქრობდი.

არაერთხელ მსმენია ჩემი ამხანაგისაგან, თუ რა ადვილია საერთაშორისო ვაგონში... თუმცა, რაღა ამხანაგისაგან, ორი თუ სამი შემთხვევა მე თვითონაც მქონია და ხელმოკარული დავრჩენილვარ ახლა კი... არა, ახლა საქმე სულ სხვანაირად იყო. ამ ქალს, ისე მშვიდად, რომ იდგა ტალაზში ჩემს გვერდით, ამ ზეინაბს, წყლან უტიფარ გამცილებელს ოღნავშესამჩნევი, დამცინავი მზერა, რომ შეავლო, — არა, ამ ქალს მე ვერაფერს გავუბედავდი. მაგრამ თვითონ ეს ქალი რაღას ფიქრობს?!...

.. მომშვიდა, — მითხრა უცბათ ზეინაბმა და გულიანად გადაიკისკისა.

— ვაგონ-რესტორანი აქვეა.

— აჰ, არა! გაყინულ ხორცსა და კონსერვებს ვერ ვეწყობი. ჩემოდანში რაღაცეები მაქვს.

ზეინაბმა ჩემოდანი გახსნა, გაზეთში შეხვეული თეთრი პურისა და შეეიცარიული ყველის ნაჭრები ამოიღო, ბუტერბროტი გააკეთა და მომაწოდა, მეორე ბუტერბროდი თავისთვის გაიკეთა და ისე მადიანად ჩაკბიჩა, რომ გეგონებოდათ, მთელი კვირის უჭმელიაო. თავი ვეღარ შეიკავა და ისევე გულიანად გადაიკისკისა.

— მატარებელში ფეხს შემოვდგამ თუ არა, საშინლად მომშივდება ხოლმე, აი, ახლაც, ერთი საათი არ გასულა ბენება, რაც ვისადილე. გჯერთ? — და გულიანად გადაიკისკისა.

— ეს მარტო თქვენ კი არ გემართებათ. მატარებელმა მოშივება იცის. ილფსა და პეტროვს ეს აღწერილიც აქვს „თორმეტ სკამში“.

— ილფი და პეტროვი არ მიყვარს.

— რატომ?

— რა ვიცი... ფელეტონისტები არიან.

— კარგი ფელეტონისტი ცუდ მწერალს სჯობია.

— ესე იგი, ისინი, თქვენც ფელეტონისტებად მიგაჩნიათ. ხომ?

— არა.

— მაშ, ვერ შევთანხმდებით. მაგრამ ეს არაფერი. ერთი ეს მითხარით, თეიმურაზ: ხვალ რომ თბილისამდე ჩამყვები, ამით ხომ არაფერი გაგიფუჭდებათ?

— აბსოლუტურად არაფერი. პირიქით.

— პირიქით — რა?

— თქვენთან უფრო დიდხანს ვიქნები.

— ოჰო!

— არა, სერიოზულად. სრულიად არაფერი გამიფუჭდება.

— ჰოდა, ძალიან კარგი, იღბლიანი მგზავრობა გამოდის. საერთოდ, მე იღბლიანი ქალი ვარ.

— მე სხვა ეპითეტს ვიხმარდი.

— მაინც?

— თქვენ მომხიბლავი, მომაჯადოებელი ქალი ხართ.

— ოჰო! ოჰო!

—ნამდვილად.

— კარგი-მეთქი! თუმცა...

— თუმცა — რა?

— არა, არაფერი, თქვენ მატარებელში გძინავთ ხოლმე?

— ხან კი, ხან არა.

— მეც ასე ვარ. ერთხელ მოსკოვი-

დან მოვდიოდი და ორი ღამე თვალი არ მომიხუჭავს.

— საერთოდ, ხშირად მოგზაურობთ?

— ახლა ისე აღარ. წინათ უფრო ხშირად ვმოგზაურობდი.

— სამსახური გამოიცვალეთ?

— არა... იმავე სამსახურში ვარ, ოღონდ... დავწინაურდი. ახლა დიდი ბობოლა ვარ. ხა-ხა-ხა!

ამ ქალს გადამდები სიცილი ჰქონდა.

— ბევრი ხელქვეითი გყავთ?

— საკმაოდ.

— ბათუმში საქმეზე იყავით!

— არა, მახინჯაურში ვისვენებდი სანატორიუმში.

— კმაყოფილი ხარ.

—ფუჭ, საზიზღრობაა! აღარასოდეს წამოვალ.

— რატომ?

— ბევრი რამის გამო. გახსენებაც აღარ მინდა.

— თქვენი ნებაა.

— თქვენ?

— მე საქმეზე ვიყავი.

— მერე? რატომ არავინ გაცილებთ?

— ვინ უნდა გამაცილოს?

—რა ვიცი... აქაურებმა... ვინც შეამოწმეთ. პროვინციელებმა ასე იციანროცა შეამოწმებთ, თუნდაც მაგრად ვამოლანძღოთ, მაინც გაგაცილებენ. საადგურის რესტორანში გაგიმართავენ ვახშამს. მე ერთხელ მთელი ვახშამი იატაკზე გადავუყარე.

— ვის?

— იყო ერთი... კომპანია.

— საქმე ცუდად ჰქონდათ?

— საშინლად.

— მერე?

— აქტი შევუდგინე. ისინი კი ხელებს მოკოცნიდნენ, აქაოდა, ძალიან კმაყოფილნი და ბედნიერები ვართო, ასე პრინციპულად რომ შეგვამოწმეთ და ბევრ რამეზე მიგვითითეო. მერე საადგურის რესტორანში შემიყვანეს. ღმერთო, რამდენი ხალხი დაგვხვდა! ცოლები, შვილები, მგონია, ვიღაც ბიცოლებიც.

— მერე?

— არაფერი. რაღა უნდა მექნა? სუფრასთან ვიჯექი და ბრაზისგან კი სული ვცახცახებდი. მერე თავი ვეღარ შევიკავე, მაგიდის გადასაფარებელს ხელი წამოვუსვი და მთელ პუმარილს იატაკზე გადავუთახე.

— ხა-ხა-ხა! მერე?

— რა მერე?

— რით გათავდა ეს ამბავი?

— არაფრით. აპატიეს.

— რატომ აპატიეს?

— არ ვიცი. მე მითხრეს, რომ არ გადაგეყიარავებინა, უფრო მაგრად დავსჯიდითო.

— თქვენ რაღა გიყვეს?

— მიმითითეს.

— რისთვის?

— თავშეუკავებლობისათვის.

— ხა-ხა-ხა! ძალიან ღრმად მოაზროვნე უფროსები გყოლიათ.

— ნუღარ იტყვით...

მატარებელი შეუჩერებლივ მიჰქროდა სიბნელეში მოტლაშუნე ზღვის გასწვრივ. მე და ზეინაბი ერთმანეთის პირისპირ ვიჯექით სანახევროდ ჩაბნელებულ კუპეში; ის — სავარძელში, მე ქვედა საწოლზე. ვიჯექით და ვმასლაათობდით.

— თქვენ, ალბათ, ცოლშვილიანი ხართ, ხომ?

— დიახ, ცოლშვილიანი ვარ?

— რამდენი შვილი გყავთ?

— ორი.

—ცოლი ხვალ დაგხვდებათ?

— არა.

— მადლობა ღმერთს!

— გენა მაგას რაიმე მნიშვნელობა აქვს?

— რა თქმა უნდა!.. წეღან არ მითხარით, მომაჯადოებელი ქალი ხარო.

— თუ გინდათ, მაგას ათიათასჯერ გაგიმეორებთ.

— მერე? რა სასიამოვნოა ცოლისთვის, როცა მისი ქმარი ორადგილიან კუპეში მთელი ღამე მომაჯადოებელ ქალთან ერთად მგზავრობს?..

— მართლაც, ვერაფერი სასიამოვნოა.

— ჰოდა, ეგრე. ხვალ დილით დიდუბეში თვალებს არავინ დამიბრიალებს.

— არავინ, არავინ.

— აკი გითხარითო, ილბლიანი ქალი ვარ-მეთქი!

—ხა-ხა-ხა!

— ხა,-ხა-ხა-ხა! — იცინის ზეინაბიც.

უცნაური ხასიათი აქვს ამ ქალს. პირველ შეხვედრისთანავე მოახიბლა და დამატყვევა. მერე კი... ბარე ათჯერ მაგრძნობინა (და მუდამ თავისდაუნებურად), რომ ამ კუპეში მასთან ერთად თენდება მთელი წელიწადი ვიმგზავრო, წინ ერთ ნაბიჯსაც ვერ წავდგამ... და მასზე ვერავითარ უფლებას ვერ მოვიპოვებ. ჰოდა, ძალიანაც კარგი! ბოლოსდაბოლოს, რა მოხდა? მე ვაქაცი ვარ, თუ არა? ზეინ საწოლზე ავალ, გულიანად გამოვიძინებ, დილით ზეინაბს სახლამდე მივაცილებ და სამუდამოდ დავემშვიდობები. დამრჩეს მოსაგონრად ეს ღამე.

— მიამბეთ რამე. თუ გეძინებათ?

—არა, ამაღამ იქნებ სულაც არ დამეძინოს.

— შეიძლება არც მე დამეძინოს, იცით, რა?

— დიახ?

— მოდით, ლოგინებში ჩავწვეთ. თუ გუნებაზე იქნებით მერე ვილაპარაკოთ. კარგი?

— ბატონი ბრძანდებით!

ტალანში გამოვედი და ფანჯარასთან გავჩერდი. არა, ძალიან უცნაური ქალია. ეტყობა, ქმარი არა ჰყავს, მაგრამ.. მაინც... უცხო კაცთან ორადგილიან კუპეში ასე არხეინად ღამის თევა? ვინ იცის, სხვები რას იფიქრებენ? ვაგონში რომ ამოდიოდა, კაცები თვალებით სჭამდნენ. არა, ძალიან კარგია, რომ ჩემი არ ეშინია და საკუთარი თავის იმედიცა აქვს, მაგრამ... ავი ენები? რამდენი სიცოცხლე გაუმწარებია ავ ენას!

— თეიმურაზ!

— ბატონო!..

— მე მზადა ვარ.

ზეინაბი უკვე ლოგინში იწვა. მის თეთრ ბალიშზე გადაყრილი შავი მბზინავი თმები, ელვისებური ღიმილი და თხელი საბნით ოდნავ დაფარული ხეფსერთი სხეული რომ დაგენახათ, ალბათ, თავს რატი დაგესხმებოდათ. ღმერთო ჩემო, ეს ქალი ხომ არ დამციხის?! — ლოგინში გამოტილა, თმები ბალიშზე გადაუფენია და მეუბნება, მე მზად ვარო. ეს როგორღა გავიგო?!.. — თვალებს ვხუჭავ, თქვენ კი ზედა საწოლზე ახტით. აბა: ერთი, ო-ორი, სამი!

ზეინაბმა „სამის“ თქმა ვერც კი მოასწრო, მე უკვე ზედა საწოლზე ვიჯექი. გადმოვიხარე და ზეინას ზევიდან დავხედე:

— სინათლე ჩავაქრო?

— ჩაავქრეთ.

სინათლე ჩავაქრე. სათხილამურო კოსტუმი გავიხადე და რბილ საწოლზე (გულადმა გავიშოტე). ჩაბნელებული კუპის კედლებზე გარედან შემოჭრილი სინათლის სხივები ათამაშდნენ.

— ესეც ასე. თავს როგორ გრძნობთ?

— კარგად. თქვენ?

— შესანიშნავად. იქნებ, დავიძინო კიდეც, ა?

— ვინ იცის...

— თეიმურაზ!

— დიახ

— ახლა იქნებ დავიძინო. თუ არ დაგვეძინა, მერე ვილაპარაკოთ. კარგი?

— ბატონი ბრძანდებით.

შემომესმა, ზეინაბი გასწორდა თავის ლოგინში. ღრმად ამოისუნთქა და მიყუჩდა. მეც უფრო მოხერხებულად დავწექი, ორივე ხელი თავქვეშ ამოვიდე და თვალები დავხუჭე. მატარებელი რბილად, შეუჩერებლივ მიჰქროდა სიბნელეში...

როცა გამომეღვიძა, მზის სხივები პირდაპირ სახეში მცემდნენ, ვაგონის ფანჯრიდან ჯვრის მონასტერი მოჩანდა. ერთი წამით მომეჩვენა, თითქოს ეს მონასტერი კი არა, ვიღაც მუზარადიანი ბერიკაცი იყო, რომელმაც მშვიდად შემოიხედა ჩემი და ზეინაბის კუპეში და მერე ნელა, გულდინჯად გაგვშორდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲑᲝᲚᲝ ᲓᲦᲔ

ქანაობს მიწა და ირხევიან
შემკრთალ მინდორზე მდგარი მწყემსები
აყვავებული ტანი ხეივნის
ირხევა ნელა და იწყწება.
ქანაობს მიწა და აჩხრიალებს
რიყეს, კუბოს და ხავსიან კრამიტს.
ბნელდება უცბად და მოშრიალე
ცოცხლებს ამინებთ სიკვდილის ჩქამი.
ქანაობს მიწა და არხევს მზისკენ
გაფრენილ ქვდებს, ცას და ვარსკვლავებს,
ჩვენც გვახსენდება, რომ არცთუ ისე
მყარად ვდგევართ და შიშით ვკანკალებთ.
კანკალებს მიწა და მაღალ ძეგლებს
ერყევთ ტანი მძიმედ და მკვეთრად.
მარადისობის სახელით შექმნილთ
იქნება დღესვე უწიოთ ბედმა,
რომ მას, ვინც ქვეყნად ჩვენს შემდეგ მოვა
არარა დახვდეს, არარა ექნას
და უძლურს სავსეს, შიშით და თრთოლვით.
თავისი თავის ასწავლოს შექმნა .
დასაწყისია ეს დასასრული
ახლის და ნორჩის, განუწყვეტელის,
ჩვენც, კაცთა მოდგმა, უკვე ზრდასრულნი,
მომავლის იქით აღმოვცენდებით.

როცა მიაღწევს თავის სიმაღლეს
ხე კვდება, რადგან არ ძალუძს გაზრდა
და თუ მივდივარო, ჩვენც ნუ ვინაღვლებთ,
დასრულებულა საგალი გზათა.
უკვე აშენდა და ამ შენობას
ვერ დაუმატებ თუნდაც ერთ ქვასაც.
უკვე მოვფრინდით ბოლო ველობთან
და გასაფრენი არ დაგვრჩა არსად.
შენ ტირი, ცრემლი გიდგას თვალებში,
რომ სიყვარული ვერ მოვასწარით,
მაგრამ დრო გაგა და სხვა მხარეში
კვლავ აიგება ლურჯი ტაძარი.
ცა განათდება სხვა მზით ნაქარგი
და ისევ შეცვლის დილა ღამეებს,
იმ სიყვარულით, ჩვენ რომ დაკარგეთ,
ერთმანეთს სხვები შეიყვარებენ.
ქანაობს მიწა, ცეკვავს და როკავს,
ნაპირებიდან ღამე გადმოდის.
დარჩეს პატარა ბიჭი და გოგო,
დანარჩენები ყველა წამოდით.
ჩამკიდეთ ხელი, ჩვენ ერთად წავალთ,
რამეთუ ერთად ვიყავით დღემდე.
ჩამკიდეთ ხელი, ჩვენ ერთად წავალთ,
რომ თითო-თითოდ დავბრუნდეთ შემდეგ.

●

სადღაც მიდიან,
გადაჯეგეს თავთუხის ყანა,
გადაუარეს აყვავებულ ველსა და მინდორს.
ბრბო მაშხალებით ისე მოჩანს ამ შუადამეს
ცა ვარსკვლავებით დახუნძლული,
მოდისო თითქოს.
ხან სიმღერებით, ხან სიცილით, წყევლით და კენესით,
აახმაურეს გალურსული სივრცე მეზავრებმა
და ბილიკებზე, ხიდებზე, გზებზე
სიცილ-ტირილით მიზრიალებენ.
მოაქვთ დროშებად დაპირება კარგი დღეების,
მერე შენც დიდხანს გეძახიან,
გხმობენ და გხმობენ.
შენც ხელს ჩაიქნევ და მორჩილად აედევნები
სადღაც ყაყანით მიმავალ სოფელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი მეგობრის ვაჟიშვილს — ჯურიკოს

შენ პატარა ხარ და მთხოვ სათამაშოებს —
ცხენს, თოფებს, გემებს და მატარებლებს.
ისინი სწყურია შენს ხელებს ბავშვურს,
ისინი, ფერადნი და პატარები.
საიდან გიშოვო ძვირფასი ნივთები,
როგორ აგიხდინო ყველა მონატრება.
დაიცა ცოტაც და როცა გაიზრდები
სათამაშოები აღარ მოგაკლდება.
ცხენი? — დიდი გზის გავლა მოგიხდება
ცხენითაც, ფეხითაც, ცხადშიც და სიზმრადაც,
იმდენი გეყოლება, რომ მოგწყინდება,
სანამ მიხვიდოდ მიზანთან.
გემებიც იქნება და ნავებიც წყალქვეშეთის,
ზღვა და ოკეანე სათარეშოდ,
დროება თუ იცვალა ხშირხშირად შენსობას
უარყოფილი ღმერთებიც შეეგზდება სათამაშოდ.
მამულის გარდა სხვა მხარის ჭირიც გეწყინება,
კაცი იქნები და გეყვარება დედამიწა სრულიად.
შენც წახვალ საშველად, მაგრამ დაგეცინებენ: —
„შენი ეზოს გარეთ თამაშობა აკრძალულია“.
ბედი შენც გარგუნებს ასულს ალვისტანას,
ნახავ სიყვარულსაც. ცრემლსაც და კუბოსაც,
იქნებ გადიდგაცდე, ცამდე აგიყვანონ,
იქნებ აგირჩიონ თამაშის უფროსად.
ამქვეყნად, იცოდე, ზოგი რამ თამაშია,
რეგვნების მოგონილი ჭკვიანთა სახელით.
შენ დიდი ნათელი უნდა აირჩიო,
სიმართლის, კაცობის, სინდისის ნათელი.
...ახლა სად გიშოვო ძვირფასი ნივთები,
როგორ აგიხდინო ყველა მონატრება.
დაიცა ცოტაც და როცა გაიზრდები
სათამაშოები აღარ მოგაკლდება.

ჯურენგი გრანელის მონოლოგი

ქაშთა ცვლას მხოლოდ იგი გადარჩა,
იდუმალ ნათელს რაც შეეწირა...
მეც დავდიოდი აქ, ამ ქალაქში
და მკლავზე მკვდარი მთვარე მეწვინა.

ეს დღე ათასჯერ წამონაყვედრი
ღამდება და ცის ცისფერ წიგნს ვხურავ.
ვის გააგონებ დარდს და საყვედურს,
ვის გააგონებ, ქვეყანა ყრუა.

ჩემი სიმდიდრე — რაც ზედ მაცვია,
შემოფლეთილი ნაგლეჯი ღამის.
ჩემი სიცოცხლე — ცა ნაწვიმარი.
ჩემი სასმელი — ცრემლი და შხამი.

რა ვუყოთ, თუკი სევდად გეწვიეთ,
ვცხოვრობდი, როგორც იღბალს ენება.
ისე მივსდევედი თქვენს პროცესიებს —
თითქოს ჩემს ცხედარს მიასვენებდნენ.

ჩამომჭკნარს, ყვითელს და განაწამებს,
მეხვევა ნისლი, სიზმრად ხილული.
ღრუბლები — ზეცის წამწამებია,
მთვარე ცრემლია — ზედ შეყინული.

გადამსხვრეული ბედის მიზეზით,
მე მომიყარეს უკანვე ფრთები.

მშვიდად ადიან სხვები კიბეზე,
მე კი კიბის ქვეშ ვდგივარ და ვკვდები.

მაგრამ ცა მოვა დიდიხნის მერე,
ექნება სითბო საყვარელ ქალის.
ცა მოვა, მომხვევს ბეჭებზე ხელებს
და ამ მიწიდან გამიყვანს მალვით.

•

ნოემბრის მწუხრი უკვე სწვევიათ
მიწად მიქცევის და მიბრუნების
და ხეივნები იცრემლებიან
ფრთებდამსხვრეული მოლაღურებით.
თქვენ ტირით ახლა, ტირით ბაგშვივით,
ციდან მწუხარე ღამე ეშვება
და ობოლივით მარტო დარჩენილს
არვინ გაკითხავთ სანუგეშებლად.
ეს ბედისწერა არის ყველასთვის,
უნდა დავბერდეთ და მიგვატოვონ.
ყვითელ ფოთლებში დგეხართ ყელამდის,
დღეს ყვითელ ფოთლებს თოვს,
ქალბატონო.

გარეთ სულ მალე მოვლენ წვიმები
და ატირდებით თქვენ კიდევ ერთხელ,
რომ ხეების ქვეშ მდგარი წყვილები
მოლაღურებში ურევენ ფეხებს,
რომ არ იციან, მოლაღურები
თბილი ნეშოა ჩავლილი წლების,
რომ მათ ვერასდროს დაიბრუნებენ
ხეები — თქვენი გამხდარი დები.
ნება მომეცით, დავუშვა ფარდა
და გთხოვთ — როდესაც მარტო დგატოვებთ,
ნუ გაიხედავთ გარეთ, — იქ ბარდნის,
იქ ყვითელ ფოთლებს თოვს, ქალბატონო.

ბია ლომაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეტერინარი...

მოთხრობა

მატარებელი ნიაღვარივით მიარღვევდა ხევში ჩამოწოლილ სიბნელეს. სარკმლებიდან გადმოღვრილი შუქი ხან ხეს გამოსტაცებდა ღამეს, ხან კი ეულად მდგომ სახლს.

მეოთხე კუპეში ახალგაზრდა კაცის გარდა ყველას ეძინა. ჭაბუკი ზემოთ იწვა, კარგა ხანია ჩამოსვლა უნდოდა, მაგრამ სხვების დაძინებას უცდიდა. ქვემოთ მწოლი უცნობი ქალის ერიდებოდა. ახალგაზრდა კაცი სადგურზე, წამოსვლის წინ ნაყიდ წიგნს კითხულობდა; სიყვარულზე იყო, განცდებზე და კიდევ ათას რაღაცაზე. უკვე ნახევრამდე ჰქონდა წაკითხული მაგრამ, იგივე აზრი ჰქონდა რაც წაკითხვამდე.

საწოლიდან გადმოიხარა, კედლისკენ გადაბრუნებულ ქალს დახედა. ქალს შიშველი მხრები მოუჩანდა. ჭაბუკი ფრთხილად ჩამოვიდა ქვემოთ. ფეხები ფეხსაცმელებში ჩაჰყო, კუპედან გავიდა, სკამზე ჩამოჯდა და სიგარეტს მოუკიდა. სარკმელში არეკლილ თავის მკრთალ გამოსახულებას შეხედა...

მატარებელმა ხიდზე გადაიარა. თვლების მონოტონური მიგუდული ხმაური აირია. ახალგაზრდა კაცი სარკმელს მიეკრო. მდინარეს გადახედა...

შესცივდა. კარები ფრთხილად გამოაღო. სინათლის ვიწრო ზოლი მძინარე ქალის კეფას დაეცა. ჭაბუკმა გარკვევით გაარჩია ხალი ყურთან. ხელი კე-

დელზე მიაფათურა, პიჯაკი ჩამოხსნა და კარი გამოიხურა. გამცილებლის კუპესთან კედელში ჩამონტაჟებული ონკანი მოუშვა. წყალი თბილი იყო და სპეციფიკური გემო დაჰკრავდა. ჭიქა ნახევრად დასცალა. გამცილებლის კუპეში შეიხედა. სათვალიანი მოხუცი იყო, მოლურჯო ფერის სახაზინო ხალათში. რაღაც ქაღალდებს ქექავდა. ქიმიურ ფანქარს ენაზე ისველებდა და ქაღალდებზე მსხვილ ციფრებს წერდა. ჩავარდნილი მკერდი და მოხრილი ზურგი ჰქონდა.

ახალგაზრდა კაცი ტამბურში გავიდა. მატარებელმა სვლას უკლო, პატარა სადგურთან გაჩერდა. ორიოდე ლამპიონით განათებულ ბაქანზე, გრძელ ყვითელ სკამზე სხვა მატარებლის მოშლოდინე ოჯახი იჯდა: დედა, მამა და პატარა ბიჭი. ქალს მამაკაცის პიჯაკი ჰქონდა მოხურული, ძძინარე ბავშვის თავი მუხლებზე ედო, კაცი ფეხებგაჩაჩხული იჯდა და ჩაფიქრებული სიგარეტს ეწეოდა.

ჭაბუკმა ვაგონის კარი გამოაღო, კიბეზე ჩამოჯდა. ღამის გრილ ოხშივართან ერთად ვაგონში სადგურის სიჩუმე, ლამპიონების ზუზუნი და თრითინების თრითინი შემოიჭრა.

ჩაფიქრებულმა კაცმა თავი ასწია. თვალები ერთმანეთს შეხედნენ. ჭაბუკმა გაუღიმა. კაცი ცოტა ხანს დაბნეული უყურებდა, მერე გვერდზე მიიხედა, სიგარეტი მოისროლა, ფეხები ერთად მიადგა, ჩემოდანზე შემოაწყო და თვალები დახუჭა. სადგურის შენობიდან წითელქუდიანი დაბალი კაცი გამოვიდა. სპილენძის ზარს სამჯერ ჩამოჰკრა. ზარს წკრიალა ბგერა მოსწყდა, ვაგონებს ჩამოუარა. მატარებელი ჭრიალით დაიძრა. სპილენძის ზარიანი პატარა სადგური უკან დარჩა. ცოტა ხანს კიდევ მოჩანდა მოციმციმე ლამპიონები, მერე თვალს მიეფარა...

ახალგაზრდა კაცი წამოდგა, კარი დახურა. ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო, სიგარეტი ხელში მოსრისა, მაგრამ მოწევა გადაიფიქრა და ისევ კოლოფში ჩადო.

კუპეს კარი ფრთხილად შეაღო, თავის საწოლზე აძვრა, წამოწოლა. მატარებელი გვირაბში შეავიდა. ახალგაზრდა კაცმა თვალი დაიწყო. ბავშვობაში ასე თვლიდა, რამდენ ხანს იქნებოდა მატარებელი გვირაბში. მაშინ სიხარულით აღარ იყო, მატარებელი გვირაბში რომ შევიდოდა, თან ეშინოდა, მაგრად მიეკვრებოდა დედამისის მკლავს და ითვლიდა...

სამოცდამეშვიდე თვლაზე გვირაბი დამთავრდა. ისევ თვლების მონოტონური, ბოგუდოული რახრახით აივსო კუპე. ახალგაზრდა კაცს ჩაეძინა...

სოფლის წვიმამგარი დედაკაცები იყვნენ. შევიდნენ თუ არა კუპეში, უცებ აივსო ყველაფერი. აუარება ბარგი ჰქონდათ. მეოთხე გაჩერებაზე ამოვიდნენ, ხმამაღალი ლაპარაკი ერთი წუთითაც არ შეუწყვეტიათ. ხასხასა ფერის კაბები ეცვათ, ქალაქში მიდიოდნენ, ვიდაცას სოფელში ნიშნობა ჩაშლოდა და იმაზე ლაპარაკობდნენ. ყველაფერი თქვეს, ერთი წვრილმანიც არ გამოუტოვებიათ. კუპეში კიდევ ორნი იყვნენ; პენსიონერი და ახალგაზრდა ქალი. პენსიონერი გაზეთს კითხულობდა, აშკარად ვული სწყდებოდა ეს ქალები რომ შემოვიდნენ, იმედი ჰქონდა, ვიღაცას პოლიტიკაზე შეეკამათებოდა, ახლა უკვე ხელი ჩაქნია. ახალგაზრდა ქალი კუთხეში იჯდა, წიგნს კითხულობდა, მაგრამ სულ ერთი და იმავე გვერდზე იყო.

სოფლელები მოხერხებულად მოეწყვნენ. პენსიონერს შეწუდეს საგარეო ფეხსაცმელები გაიხადეს, ფეხქვეშ გაზეთი დაიფინეს. ორივეს დაკოჟრებული ფეხები ჰქონდა. ისევ ნიშნობას დაუბრუნდნენ. ახალგაზრდა ქალისთვის უკრადღება არ მიუქცევიათ.

მოხუცი გაზეთის კითხვას მორჩა, დაამთქნარა და საათს დახედა — ორ საათში ვიქნებით, — ჩაილაპარაკა გამომწვევად. ახალგაზრდა ქალმა მხრები

ანჩჩა, გვერდი გადაფურცლა. სოფლელებს არც გაუგიათ.

გამცილებელი შემოვიდა, ბილეთები შეამოწმა. მოთმინებით იცდიდა, სანამ ქალები ცხვირსახოცის ნასკვს გახსნიდნენ. ახალგაზრდა ქალმა სიგარეტი ამოიღო, ხარბად მოსწია. დედაკაცებს გუნება გაუფუჭდათ, კრუხებივით აიფეხორნენ. პენსიონერს ჩასძინებოდა. კუპეში სიჩუმე ჩამოწვა. ქალმა წიგნი დახუჭა, დაბნეულად გამოიხედა. პირმოკუმული ქალები ჯიქურ უყურებდნენ. ვერ მიხვდა, რა მოხდა. კუპედან გამოვიდა და ფანჯარასთან დადგა. გაქცეულ ხეებს, სახლებს, მაღალი ძაბვის ბოძებს უაზროდ მიაჩერდა. მთვრალი კაცი მეუახლოვდა, რაღაცის დაყინებით ახსნა დაუწყო. ყურადღება არ მიუქცევია. მთვრალი მხარზე წაეპოტინა. ხელი ჭრა და კუპეში შებრუნდა.

სოფლელებმა ინტიბარი არ გაიტეხეს, მასზე ლაპარაკი გააგრძელეს. ყმაწვილი ქალი დაიბნა, გაწითლდა კიდევაც. სიგარეტი გადაადგა, ისევ წიგნი გადაშალა.

პროვინციელებმა ჩანთიდან საჭმელები ამოალაგეს. ახალგაზრდა ქალი მიიწვიეს. არ უნდოდა, მაგრამ ხათრი ვერ გაუტეხა და ცოტაოდენი ხაჭაპურა წაატეხა. პენსიონერიც გაეღვიძა, გაბრაზება დააპირა, მაგრამ ჭაქის დანახვაზე გადაიფიქრა.

ერთი ჭიქის შემდეგ მოხუცი სავსებით გამოცოცხლდა. ახალგაზრდულად, ასაკთან შეუფერებელი, ხმა ჰქონდა. ახალგაზრდა ქალი ჩუმად იჯდა. არაყი მიაწოდეს, ცოტა მოსვა, ხველა აუტყდა.

სოფლელი ქალები რიგრიგობით უყვებოდნენ პენსიონერს თავიანთი ნათესავების ამბებს. მაზლთან მიდიოდნენ ქალაქში, ძმებში ყველაზე უმცროსი იყო. ქალები ერთმანეთის რძლები იყვნენ. ერთს რაღაც აწუხებდა და გასასინჯად მიდიოდა. მაზლი ექიმი იყო, არაყიც მისთვის მიჰქონდათ.

მატარებელი დიდი ქალაქის სადგურში შევიდა. ახალგაზრდა ქალი ყველაზე ბოლოს ჩამოვიდა ვაგონიდან. არავინ ელოდებოდა.

ტაქსების გაჩერებასთან კიდევ ერთხელ მოჰკრა თვალი ხმამაღლა მოლაპარაკე წვივმაგარ, სოფლელ დედაკაცებს...

წვიმა

— ისევ იწვიმებს, — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა ახალგაზრდა კაცმა. — წვიმის წინ მოსვენებას ვერ ვპოულობ, რაღაც მაწუხებს.

— მაისის წვიმაში ოთახში, ღია ფანჯრებთან ჯდომაა კარგი. ზიხარ და წვიმას უყურებ, თან რაღაც ძალიან კარგზე ფიქრობ, — ქალიშვილს გაეღიმა.

— მეც ვფიქრობ, ბავშვობა მახსენდება.

— წვიმას თავისი სურნელება ასდის. მთელი ინსებით ვგრძნობ, მათრობს და ტირილი მინდა. მერე ფეხშიშველა სირბილი მინდა, დიდხანს ვირბენდი, ძალიან დიდხანს — ქალიშვილმა ასანთის კოლოფი აიღო და ღერები მაგიდაზე გადმოყარა. — თამაზ! — თქვა ცოტა ხნის შემდეგ — თამაზ!

— ჰო, რა იყო?

— არაფერი, ისე დაგიძახე, — ქალიშვილს გაეცინა.

ოთახში სიჩუმემ დაიბუდა. თამაზი სავარძლიდან წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა. ქვემოთ, ქუჩაში, წვიმის წინდელი არეულობა იგრძნობოდა. მოპირდაპირე სახლის სადარბაზოს წინ ფეტრისქუდიანი მოხუცი გაჩერებულიყო და უნდოდა ასაქცეროდა ცას. მერე სადარბაზოში შევიდა, კედელთან მიდგა...

ბია ლომაძე
მოთხრობები

— ნათია! — თამაზი მოტრიალდა.

— გისმენ, თამაზ.

— ნათია, წავალ ახლა, სანამ გაწვიმებულა.

— დარჩი! ხომ გამოიდარებს? ერთად ვისადილოთ.

— არა, წავალ შინ მელოდებიან.

— დასველდები და გაცივდები.

— რა გამაცივებს, — გაეცინა თამაზს, — წავალ ამა. ხვალ, საშუადღევს გამოგივლი, კინოში წავიდეთ ხომ წამოხვალ?

— კი, წამოვალ.

თამაზმა მაგიდიდან სიგარეტის ნახევრად ცარიელი კოლოფი აიღო. ჯიბეში ჩაიდო. კარამდე უხმოდ მივიდნენ.

ნახვამდის, — თქვა გასვლისას, კიბე სწრაფად ჩაირბინა.

ქალიშვილი ოთახში შებრუნდა, მაგიდაზე გაბნეული ასანთის ღერები ერთად შეაქუჩა და კოლოფში ჩაწყო.

— ნათია! — ოთახში სუსტი, მხრებში მოხრილი ქალი შემოვიდა.

— თამაზი წავიდა?

— კი დედა, წავიდა.

— სადილად რატომ არ დარჩა?

— არ ვიცი, მეჩქარებაო, თქვა.

— ასეთი მორიდებული ყმაწვილი ჯერ არ მინახავს, — ქალი დაიხარა, ნოხის აკეცილი კიდე გაასწორა. — ნახევარ საათში ვისადილოთ, შვილო.

— მაგიდის გაწყობაში დაგეხმარები.

— არა შვილო, უკვე გავაწყე; მეგონა თამაზი დარჩებოდა და ადრინდან გავაწყე. — ქალი ოთახიდან გავიდა.

ნათია საკარძელში ჩაჯდა. თვალი კედელზე ჩამოკიდებულ სურათს შეავლო. პატარა მაგიდიდან ახალი ჟურნალი აიღო. სარჩევს გადახედა, გადაფურცლა, მაგრამ კითხვა გადაიფიქრა და ისევ მაგიდაზე დასდო.

გაწვიმდა. ჯერ გაუბედავად, მერე თანაბრად ახმაურდა წვიმის წვეთები. ქალიშვილი ფანჯარასთან მივიდა, არ გამოუღია, ქუჩას გადახედა. თავზე გაზეთწაფარებულმა კაცმა ჩაირბინა. სადარბაზოში შეაუღრებულმა, ბეღურასავით მობუზულმა მოხუცმა რაღაც დაუძახა. გაზეთწაფარებული შეჩერდა, მოხუცს გახედა; იმან ხელით საბანაკოზოზე აჩვენა, თანაც სალოკავ თითი მაღლა ასწია, ცისკენ. კაცმა ხელი ჩაიქნია და ისევ სირბილით გაგრძელდა გზა...

— ნათია! — მოისმა მეორე ოთახიდან. — ნათია, მოდი, ვისადილოთ.

— როგორ არის საქმეები? — ჰკითხა მამამისმა.

ნათიამ გაიღიმა და მხრუბი აიჩეჩა. სადილმა უხმოდ ჩაიარა. ქალიშვილი ყველაზე ადრე ადგა სუფრიდან. თავის ოთახში გავიდა, ფანჯრის რაფაზე ჩამოჯდა.

წვიმას ფანჯრის მინები ნამტირალევი ლოყებივით დაეღარა. მოხუცი ისევ სადარბაზოში იდგა. გვერდით სადარბაზოდან შავებში ჩაცმული წითელქოლგიანი ქალი გამოვიდა. ქუჩის პირას დადგა. სასაციელოდ აუწია შავხელთათმანიანი ხელი მანქანას. არ გაუჩერეს. ქალი ზემოდან შავღეროიან სოკოს ჰგავდა.

ქუჩაში გუბეები გაჩნდა. წვიმის წვეთები ასფალტზე დაცემისას პატარა ბუშტებად იბერებოდა. მერე სკდებოდა, ისევ იბერებოდა და ყველა ერთად ქუჩის ბოლოსკენ მიცურავდა. გზაში ისევ სკდებოდა.

ქოლგიანმა ქალმა მანქანა გააჩერა. საბურავებმა ხაოიანი კვალი დატოვა სველ ასფალტზე. ნაკვალევი თანდათან დაიფარა, მერე სულ გაქრა.

ნათია რაფიდან ჩამოხტა. საკარძელში ჩაჯდა, ჟურნალი აიღო და კითხვა დაიწყო. გული ვერ დაუდო, ადგა და ლოგინზე წამოწვა. მუხლები მოხარა, ხელები გულზე დაიკრიფა. ოთახში შეუმჩნევლად შემოიპარა სიბნელე...

— ნათია!

— რა მოხდა, დედა?

— არაფერი, შვილო, შუქს რატომ არ ანთებ-მეთქი.

— არ მინდა.

— კარგი, შვილო, — ქალი საწოლის

კიდეზე ჩამოჯდა. — უხასიათოდ რატომ ხარ, შვილო?

— არ ვიცი...

— ცუდად ხომ არ ხარ?

— არა, — ნათია კედლისკენ გადაბრუნდა, — დედა! თამაზი მოგწონს?

— კარგი ბიჭია, შვილო, თავაზიანი, მორიდებული... ძალიან მორიდებული. რატომ მეკითხები?

— ისე, უბრალოდ გკითხე.

— ქალს გაეღიმა. — გიყვარს? — ჩუმად იკითხა.

ნათია გაირინდა. მუხლისთავები კედელს მიაყრდნო. — არ ვიცი, — გაუბედავად ჩაილაპარაკა.

— რახან მასე ამბობ, გიყვარს, — ქალმა გაიღიმა, დაიხარა და ქალაშვილს თავზე ხელი გადაუსვა. — „რა შეუმჩნევლად გაიზარდა“, — გაიფიქრა და ლოყაზე ცრემლი ჩამოუგორდა.

— მას? მას უყვარხარ?

— არ ვიცი... არაფერს მეუბნება.

— გეტყვის, შვილო, ან თქმა რა საჭიროა, ისედაც არ ეტყობა? უყვარხარ. მაგაზე ნუ დარდობ... „რამხელა გაიზარდა, არც ვიფიქრებდი, რომ უკვე დიდი ქალდა... შვილები მუდამ ბავშვებად რჩებიან“.

— დედა!

— რა იყო, შვილო?

— რომ არ ვუყვარდე?

— უყვარხარ, შვილო, რატომ არ უნდა უყვარდე? ხვალ გეტყვის, აუცილებლად გეტყვის! დაიძინე ახლა, — ქალმა აკოცა, — დაიძინე... — ფეხაკრეფით გავიდა ოთახიდან.

— რა გატირებს? — კაცმა გაზეთი გვერდზე გადადო.

ქალმა თვალები შეიმშრალა.

— მარიამ! რა გატირებს-მეთქი! — გაკვირვებით ახედა კაცმა.

— არაფერი, — გაიღიმა ქალმა, — არაფერი, უბრალოდ, თვალი ამიცრემლდა.

— ჰოო... — თავი დაიქნია კაცმა და ისევ გაზეთს მიუბრუნდა.

გარეთ წვიმდა. წვიმის წვეთები ისევ ქარგავდა ფანჯრის მინებს.

მოლოდინი

— დაიძინე! თქვა ახალგაზრდა კაცმა. — დაიძინე! რატომ არ გძინავს? სადაცაა გათენდება.

— მეშინია დაძინების...

— ნუ გეშინია, გაგეღვიძება, — გაიცინა კაცმა. გაბზარული სიცილი იყო.

ბზარებში კი შიში იდგა.

— არა! ამდენი ხანი ველოდი და ახლა დავიძინო? რომც მეძინებოდეს, არ დავიძინებ!

— კი, მაგრამ, რაღა მაინცდამაინც დღეს?

— ვგრძნობ, რომ ამედამ იქნება.

— რომ არა, არც ხვალ დაიძინებ?

— არ დავიძინებ! არც ზეგ... მაგრამ მაინც დღეს იქნება!

კაცი წამოჯდა. ფეხები საწოლიდან ჩამოაცურა.

— სად მიდიხარ? — ჰკითხა ქალმა.

— სიგარეტს მოვწევ.

— აქ მოსწევ.

— ააქ? — დაბნეულად იკითხა, — აქ არ მოვწევ და, საერთოდ, არ მოვწევ. — ცივ იატაკზე გაიარა...

— სად მიდიხარ? — ხმაში ვედრება იყო.

— დარაბებს გამოვაღებ.

— გეშინია? ჩუმად იკითხა ქალმა.

— არა!.. არ მინდა, მარტო ვიყო... დახურულ დარაბებში მარტობა და სიჩუმე. — ხმადაბალა, თითქმის ჩურჩულით ჩაილაპარაკა.

— რა თქვი?

— არაფერი, მიხარია-მეთქი.

— მეც მიხარია! პირველად რომ ამოძრავდა, იმაზე ძალიან მიხარია.

კაცმა დარაბები გამოაღო. ნაცრის-

გია ლომაკაძე
მოთხრობები

ფერ მდუმარებაში ჩაძირულ ქუჩას გადახედა. მოპირდაპირე სახლის სადარბაზოს სფინქსივით ჩაცუცქულ კატას შეავლო თვალი...

— წყალი მინდა!

— შეიძლება?

— კი, — გაეცინა ქალს.

ჭიქა ნახევრად აავსო. ქალი ფანჯრიდან გადმოღვენთილ მკრთალ შუქში ხედავდა. ისევ გაეცინა. — მაკოცე! — უთხრა სანამ ჭიქას გამოართმევდა.

— კიდევ... კიდევ...

კაცმა ჭიქა გამოართვა. წყალი თვითონაც დაისხა.

— საავადმყოფოში რომ არ შემოგიშვებენ?

— შემომიშვებენ.

— არა, არავის არ უშვებენ.

— მე შემოვალ!

— კარგი. — დაეთანხმა ქალი. ხელი საბანზე გააცურა და მოეფერა.

— გტკივა?

— არა, ჯერ არა...

— ოდნავადაც, სულ ცოტაზეც რომ აგტკივდეს, იმწამსვე მითხარი და დავრეკავ. „რომ არ დაირეკოს? ტელეფონი რომ გაფუჭდეს?“

— იმწამსვე გეტყვი.

ისევ ფანჯრასთან მივიდა. სფინქსი კატა სადღაც წასულიყო. ჩაბნელებულ, ფარდებჩამოშვებულ ფანჯრებს გახედა...

— ჩემებს შეურიგდები?

— კი, შეურიგდები. „ოღონდ ყველაფერი კარგად იყოს და აუცილებლად შეურიგდები“.

— არ გწყინს ამდენი ხნის განმავლობაში რომ არ მოვიდნენ?

— არ მწყინს. თავიდან მწყინდა, ახლა კი არა.

— დედაჩემი სულ მოდიოდა.

— როდის?..

— შენ რომ არ იყავი სახლში, მაშინ.

— მერე?

— შენ მოსვლამდე მიდიოდა.

— მამა?

— არა. ერთხელაც არ მინახავს...

ქუჩის მეორე მხარეს თეთრ ლამპადინმა კაცმა გაიარა. ბარბაცით მიდიოდა. სახლის კუთხეში, საწვიმარ მილთან შედგა. მიმოიხედა. კედლისკენ შეტრიალდა. ცოტა ხანს იდგა და ქანაობდა. მერე გაიხედ-გამოიხედა და ისევ ბარბაცით გაუყვა ქუჩას...

— ხომ შეურიგდები ჩემებს? დაივიწყე ყველაფერი. ჩემი გულისთვის დაივიწყე.

— ჰო, დავივიწყებ. „თუ შევძელი“...

ქუჩაში დიდი ძალი გამოჩნდა. თავჩაღუნული, მძიმედ მიძუნძულებდა.

თვალი გააყოლა თუ როგორ მიეფერა სახლის კუთხეს...

— დაიწყო...

— რა თქვი? — სწრაფად მოტრიალდა. — რა თქვი? — თითქმის იყვირა.

— ამტკივდა, — გაიღიმა ქალმა. — კიდევ... ახლა უფრო მაგრად...

ტელეფონთან მივარდა. ფრთხილად აკრიფა. ზუმერი უსაშველოდ გაგრძელდა, მერე სიჩუმე გაიწელა და გაწყდა. მშრალ, პროფესიონალურ კითხვებს ხმის კანკალით უპასუხა.

— გტკივა? — მუხლი მოიკეცა საწოლთან.

— ჰო მტკივა... —გაიღიმა ქალმა და თვალები თბილი ცრემლებით აევსო.

— ახლავე მოვლენ! — ხელზე ხელი მოუჭირა კაცმა. — ახლავე მოვლენ, ნურაფრის გეშინია!

— არ მეშინია... შუქი აანთე!

— ნუ ტირი! ცოტა მოითმინე! ახლავე მოვლენ...

— არა ვტირი. დიდხანს, დიდხანს ველოდი და ახლა მიხარია!

ქუჩაში მანქანა გაჩერდა. კაცი ფანჯრასთან მივარდა. ხმაურით გამოაღო.

— აქეთ! ჩვენთან! ექიმო, ჩქარა!

სადარბაზოდან აჩქარებული ნაბიჯის ხმა მოისმა.

სანამ კარის გასაღებად წავიდოდა, ქუჩას გადახედა. ღამე სახლებს მიღმა გადაკარგულიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქომაგი

ერთბაშად ჩამობნელდა. გაჭირდა სიარული. შუა ტყეში დარჩენა, დამრეცზე, სადაც ჩამოსაჯდომ ადგილსაც ვერ იპოვი, შეუძლებელი იყო. მონადირეს თითქოს შიშიც შეეპარა.

— „გავღწევ?! — ხმამაღლა იკითხა კაცმა. მერე ისევ განაგრძო ფიქრი. ისე ელპარაკებოდა თავის თავს, როგორც თანამგზავრს. — თუ იმ ნაშალ ფერდას მივაგენ, იქნებ ღელემდეც უვნებლად ჩავიდე. მერე წყალს გავუყვები ბილ ხეკამდე. იქ საურმე გზა შემოდის, ქოხს თუ მივაგენი, ხომ კარგი. თუ არა, საათ-ნახევარში ქალაქის გზაზე გავალ... — ნაშალ ფერდას არ ასცდე. თავს გაეპასუხა მონადირე, — არ შეგეშალოს. ხევში გასვლის მაგიერ კლდეზე არ გადაჩეხო...“ — მონადირე გაჩუმდა. ძლივს მიბღოტავდა უკუნში, ისეთი ადგილები იყო, ერთი ფეხის დაცდენა სიკვდილს უდრიდა.

„— არა, თუ სრული ჭკუისა ვარ, რას დაეეხეტები მარტოდმარტო?! რამდენჯერ მითხრეს, არ შეიძლება, სადმე ჩაიჩეხები და მკვდარსაც კი ვერ გიპოვნიანო.

— მკვდარს მიპოვნიან თუ არა, მაგის დარდი სულაც არა მაქვს. სანამდე მოვკვდები, კი მიჭირს... თურმე მყავრებია თავი. ხან კი მგონია. სულერთია ჩემთვის სიკვდილიც და სიცოცხლეც... არ გაწვიმდეს მაინც...

— მოიცა! გააფრთხილა თავისი თავი მონადირემ. — მგონი ეს არის ნაშალი ღელე. მეორეში მოვხვდი?! ძალიან ჰგავს ეს ადგილები ერთმანეთს. დღისით გაუპირდება კაცს გარჩევა...

— ფრთხილად! შეცდომა სიკვდილია! მერე როგორი სიკვდილი: დამტვრეულ-გაუბედურებული გდიხარ ხევში, განძრევის თავი არა გაქვს! ვერც ხედავ ვერაფერს, აი, სანთლის ლუჯი ზოლი აინთო, მერე მეორე წყვილი. ჯერ შორიდან გიელავენ. მერე თანდათან ახლოს მოდიან. გინდა თოფს მისწვდე. არაქათი არა გაქვს, ვერ ინძრევი, ან თოფი რას გიშველის?! იმდენი წყვილი კიაფობს! საადგომო წერტა ვეგონება. ისე ახლოს მოდიან, სილუეტებსაც არჩევ. აი, გიდგანან წინ. არკ გერჩიან, აღარც ყმუიან. ჯერ კიდევ ვერ ბედავენ შეხებას, მაგრამ საკმარისია ერთი გაბედვა, ერთი გაბედვა და. მერე უნდა უცადო, სანამ გრძნობას არ დაკარგავ, სულ არ გამოგხრავენ, ძვალზე არ დაგიყვანენ... მერე შემოგიხსდებიან გარშემო, გულისწამღებ ყმუილს ასტეხენ. ისე გულსაკლავად დაგვიტირებენ, როგორც საკუთარ სისხლხორცს...

— „რეებს ვბოდავ?! ჰოპაა!“ — მონადირემ ძლივს მოასწრო ხის ფესვზე ჩამოკიდება, კინაღამ დაგორდა. ფეხი მოიმაგრა. გამხმარი კუნძის წვრილ, გრძელ ფესვზე ეკიდ. ჯირკი საცაა მოსწყდებოდა. მონადირემ კარგად გადგა ფეხები. კუნძი მოგლიჯა. ყველა ფესვი შეაცალა. მხოლოდ ერთი დაუტოვა, სამ-ოთხმეტრიან ფესვს ბოლოში ჩაავლო ხელი. კუნძი წინ გადაადგო. მერე თვითონაც უკან მიჰყვა ნელ-ნელა.

„— თუ კლდეზე გადაეკიდა. ცოტა დერე შევიტყობ. იქნებ მოვასწრო თავის შეკავება“

ფესლის ჩხრიალი მოესმა. წამოდგომა მაინც ვერ გაბედა, მანამდე არ გიმართა წელში, სანამ ფეხები წყალში არ ჩაყო. წამოდგა. გასწორდა. წყალი მუხლზე სცემდა. ცოტა ხანს აჭყაპუნა წყალში ფეხები. მერე დაუყვა ზდინარეს. თითქმის ყოველ ნაბიჯზე ეცემოდა. ყურადღებას არ აქცევდა არაფერს.

დიდ ხევშიც გავიდა. წამოიენჯღლა, ფეხი დაეტყო ლოდებს. არა, კი არ ხედავდა, გრძნობდა, ხანდახან მგონი ბილიკსაც პოულობდა.

შეჩერდა. ჩაიმუხლა. მიწაზე ხელების ფათური დაიწყო. წამოდგა. კიდევ ჩაიხოჭა. კიდევ მოსინჯა, მერე კიდევ...

— „მგონი მალე საურმეზე გავალ“. — წამოიძახა გახარებულმა მონადირემ.

კარგა ხანს იარა. ელდანაყრავი შეჩერდა.

— ჩამესმა თუ მართლა ვინმეა?! — ჩერჩულით იკითხა და მიაყურა. ფაჩუნი ისმოდა. — არა, ალბათ მელანდება. მეშინია და მელანდება. საოცარია. როცა უფრო მეტი საშიშროება იყო ნადირის, მაშინ ნაკლებს ვფრთხილობდი. ახლა კი, სადაც თითქოს ადამიანის სუნი იგრძნობა, სიფრთხილეს ვუმატებ. აქ ახლა ვინ უნდა იყოს?!“

— დამეხსენ, თორემ ვიკივლებ! — მოესმა ქალის ხმა.

— იკივლებ თორემ, ჯარი არ მოვიდეს საშველად... იკივლე!

— რატომ მიკეთებ ამას?! რა დაგიშავე?! რაზე მაუბედურებ?!

— ?!

— შეგირცხვეს ვაჟკაცობა! აკი, სიყვარულს მეფიცებოდი?! აკი, ცოლობას მპირდებოდი?! — კაცი ხმას აღარ იღებდა. ქალიც გაჩუმდა. თავგანწირვით კი იბრძოდა.

— უხ, შენი! — იყვირა კაცმა. ხმას მძიმე მუშტის ბაგვანი მოჰყვა. ქალი მიყუჩდა.

— ასე მოგიხდება! ასე გინდა... — ძძახდა აქლოშინებული კაცი.

თითქოს ყველაფერი მიწყნარდა. გაოგნებული იდგა მონადირე. ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო...

— მიშველეთ! მიშველეთ, ხალხოო!! — უცაბ იკივლა გონსმოსულმა ქალმა. გაშტერებულმა მონადირემ უნებლიედ თოფი ისროლა. მეორე მიაყოლა. კიდევ დატენა და ისროლა. კიდევ დატენა.

— მიშველეთ! მიშველეთ!

— ვანო, თავს დაუარე! რატომღაც იყვირა მონადირემ.

ტყიდან გლარჯუნით გამოვარდა ვიღაც. მონადირეს სულ ორ-სამ მეტრში ჩაურბინა. მოშორებით მანქანის მოტორის ხმა გაისმა. მერე სინათლე აინთო. მანქანა ერთბაშად მოეფინა ადგილს. მონადირემ კიდევ მიაყოლა ორი ტყვია. ისევ დატენა თოფი.

— ვინა ხარ მანდ?! აქეთ გამოდი! არ გეყურება?! გამოდი აქეთ, ხმაზე წამოდი, გზასთან ახლოს ხარ! — თან თვითონ წავიდა მისკენ. არაფერი ჩანდა, იგრძნო, რომ ვიღაცას მიუახლოვდა. მერე ცრემლები დაინახა. მხოლოდ ცრემლები, არც თვალები, არც სახე, არც ქალი, მხოლოდ მბრწყინავი ცრემლები.

კაცმა ხელი გაიწოდა. მხარზე შეეხო ქალს. ხელჩაკიდებულნი გამოვიდნენ. გზაზე. გაჩერდნენ. უკუნი უკან არ იხევდა.

ბნელი ზეცა და ქათქათა ქალი ერთნაირად იცრემლებოდა. კაცი გაშტერებული იდგა. პირუტყვივით ნესტოები უთამაშებდა, ხარბად სუნთქავდა. თითქოს მხოლოდ შიგნით იწოვდა სურნელ ჰაერს. რეტი გაუდგა. ვერც ხმას იღებდა, ვერც ინძრეოდა. მხოლოდ ხარბად ისუნთქავდა ქალს. მთელი ტანით ცახცახებდა...

— მადლობთ! — თქვა ქალმა.

— ?!

— წავიდეთ?! — ისევ თითქოს იკითხა ქალმა.

მონადირემ ხელი გაიწოდა. ქალმა თავისი შეაგება. დაიძრნენ.

— თქვენი ამხანაგი სადღაა?! — იკითხა ქალმა.

— მე მარტო ვარ!

— მარტო?!

— კი!

ხელიხელჩაკიდებულებმა ხმისამოუღებლად განაგრძეს გზა.

— აქ სადღაც ქოხი უნდა იყოს. სჯობდა რიცარაკამდის დაგვეცადა.

ქალს ხმა არ ამოუღია. შემოფლეთილი და მობუზული ძლივს მიბრაცუნებდა გრილულა.

ორივე ფიქრმა წაიღო... მიდიოდნენ ალალბედზე. ეხლებოდნენ, ეცემოდნენ, დგებოდნენ. უკუნი იყო, მაგრამ ხედ-

ავდნენ კიდეც ერთმანეთს. და ამ თვალხილულ უკუნში ირეოდა ფიქრები.

„რამოდენა ხელები აქვს“...

„რა პატარა და სუსტია“...

„ხელებზე თითის სიმსხო ძარღვები დასდევს, ჩემზე თითქმის ერთი თავით მაღალია. რა ძლიერი მხრები და კისერი აქვს. კი მაგრამ, საიდან ვიცი ყველაფერი ეს?!“ — შეკრთა გონება.

„ეოხდენილი კია, თან საოცრად ფაფუკი და თეთრი კანი აქვს... არა, არ ვიცი, რომ თეთრია?! ეხედავ?! მინახავს?! ვიცნობ?! არა, მაგრამ საოცრად თეთრი კანი აქვს“...

„იქნებ მინახავს“?!

„იქნებ ვიცნობ“?!

იხლართებოდნენ ფიქრები.

გული მიხალათდა თითქოს. იგრძნეს, პატარა მინდორზე გავიდნენ. კაცმა გეზი იცვალა. გაიწია და ქალიც გაიყოლა. ქოხი ზაფხგათ წინ. მონადირემ ხელით მოსინჯა საკეტი, კარი გახსნა და შევიდა. ასანთი მოიჩხრიკა. ისე იყო დამბალი, ცდაც არ ღირდა ასანთებად. კაცმა ხელის ფათურით განაგრძო სვლა. ქოხში მაყრული ტახტი იდგა, ხშირად უნახავს ზედ თქვა და მხარტყავიც გდებული. კუთხეში იპოვა ნამდიძველი და ტყაპუჭებნი. კარისკენ შეტრიალდა. ქალი ზღურბლზე იდგა. მკრთალი სილუეტი მოჩანდა.

„აკი ვთქვი, ნახე რა კოხტა გოგოა“

— შემოდი! — ჩამოვარდა სიტყვა.

ხელებგაშვერილი ქალი ფრთხილად დაიძრა. გუმანით პირდაპირ ვაჟისკენ მიდიოდა. ტახტზე მჯდომი კაცი ისე ეგებებოდა, თითქოს პატარა ბავშვს ეუბნება: „ძოდი, გამახარე“! თითქოს ეგ არი გულში უნდა ჩაიკრასო. ქალმა წელზე ვეება თითები იგრძნო. ვაჟს ჯერ თავზე დაეყრდნო მისული, მერე მხრებზე ჩამოაცურა თითები და გაჩერდა.

„პერანგის ამარა დარჩენილა საცოდავი“. — ვაჟს ხელის გულებზე ცეცხლი წაეკიდა. გალღვა ვეება ტორები და ძირს ჩამოცურდა. მრგვალმა თვალთ თავებმა დააკავეს. „რა თეთრი ქალია“... — არ ასვენებდა ადუღებული ტვინი.

„ვაიმე“! — კინაღამ ხმამაღლა ამოიღოვნდა ფიქრი. — „ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე... იმას ვიცნობდი მაინც, ამას?!“

„ახლა მე რომ დავუწყო ჭიდაობა... ვითომ ვიხსენი, გამოვესარჩლე და... გაგიჟდება საწყალი“...

ქალი დაჰყვა მის ნებას და გვერდით მიუჯდა კაცს.

არ გადიოდა ქოხიდან უკუნი. ქალის სითეთრე კი ღვიოდა. მკნთალად, ფოსფორივით ფწვოდა სხეული, მხოლოდ თავის თავს ანათებდა, იფერფლებოდა პატარა ჭერდი, სავსე თეძოები, მრგვალი მუხლისთავები, კელაპტრებად ჩადგმული კანჭები. საკუთარ აღზე ათათხახებულ სანოლებს ჩამოჰკავდა თითები...

— არ შეგცივდეს. აგერ წამოწექი. ტყაპუჭი გდია და დაიხურე. — ისევ თქვა ვიღაცამ და ქალი დაჰყვა: ორივე ფეხი ტახტზე აიკეცა. მუხლისთავებს ნიკაპით დაეყრდნო. აკანკალებული ხელები წვივებზე შემოიშვდო. წამით შეჩერდა, თითქოს აცალა კაცის თვალს კარგად შეეხედა. მერე უკან გადაჯდა: ხელით მოსინჯა ადგილი, მიწვა და ზედ ტყაპუჭი მიიგდო.

„მე ვთახთახებ თუ ტახტი?!“

„სიცხე ხომ არა მაქვს?!“

„ვიძალაო?! რას იტყვის?! არ გავეკარო?! შევძლებ კიო?!“

— შენ როდემდის იქნები ასე?! გათენებამდის ჯერ კიდევ დიდი დრო იქნება დარჩენილი. — თქვა ვიღაცამ.

კაცმე გაიძრო ფეხზე. ისევ აიკეცა ტახტზე, როგორც წეღან ქალმა. მერე უკან გადაჯდა და დაწვა. შემთხვევით ქალის შიშველ მხარს შეეხო. ვეღარ აიღო ხელი, დაუმძიმდა. თითქოს დადნა ზედ. არც ქალი შერხეულა. ასე გაუნძრევლად დარჩა ორივე. ისე ახლოს ეღო თავი, რომ მისი ნესტოები საბერველივით სწორედ იქ დაქშინავ-

---

ალი ალიაშვილი
ბოლაბი

და, სადაც მინი ხელი დასდებულიყოდა ქალის მხარს. სახეს ულეწავდა სხეულის სიმაო. საამო სურნელი გულმკერდს უმღვრევდა, ტვინში უვარდებოდა...

ნელა ღვიოდა ფერფლში გახვეული მუგუზალი. უნდოდა გაწეულიყო. მხარი გაეცადებინა. არც კედელი უშვებდა, ვერც თვითონ ახერხებდა დამძიმებული სხეულის დაძვრას...

„რა ვქნა?! როგორ მოვიქცე?! — ბუღრაობდა ფიქრი.

ორი ანთებული მუგუზალი ერთმანეთს მიდებული ღვიოდა, ცეცხლს უყიდებდა ერთმანეთს, იფერფლებოდა... სიმძივით დაიჭიმა და ათახთახდა ორივე სხეული.

— გცივა?!

— ?!

„ცოლი მე არა მყავს და შვილი. არავის წინაშე არაფრით ვალდებული არ ვარ. რა იქნება ვითომ, დავსვე ცხოვრების ნებას?! ასე ხდება ხომ საცოდაობა?! ეს ხომ წაწლობაზე უარესია. აქ არც წესი გაკავებს, არც ადათი.

ტრიალებდა ქოხში ფიქრი. მხოლოდ აზრი დაბორიალებდა კუთხიდან კუთხეში. ყველა დანარჩენი ქვად ქცეულიყო. განაბულ-გასუსული ელოდა მოქცევას... ფიქრი კი ბდღვინავდა...

...უცებ ავარდა კაცი. დაიწყადა ქალს. ქალი ჯერ გონს ვერ მოვიდა. არ ელოდა?! აბა, რა ეგონა?! გაფთრებული ბრძოლა დაიწყო. ამაოდ. ეს ბევრად ღონიერი აღმოჩნდა. ისე მოხერხებულად და მაგრად შემოხვია ხელი, ძალებმა ლაწუნი დაუწყეს. განძრევის საშუალება აღარ მისცეს. ხორბლისფერმა უზარმაზარმა სხეულმა თითქოს შეიშრო პატარა თეთრი ღრუბელი... როდის გაშიშვლდნენ, არავინ იცის... ახლა კი კუმშავს ამ პატარა ბამბის ქულას, განძრევის საშუალებას არ აძლევს. ქალმა ერთხელ კიდევ გაიბრძოლა. ხელიც ვერ გააღოა. არაქათი აღარ ჰქონდა. აღარც სურვილი ჰქონდა წინააღმდეგობის. ერთბაშად მოეშვა. თვალებიდან უნებლიედ ცრემლი დასკდა. სანუზე ნაღველი და ზიზღი ჩამოექცა. ამ ზიზღმა წუთით შეაყოვნა. კიდევ ქალი ხმას აღარ იღებდა. ეს კი გულარძნილი ჩასძახოდა ყურში:

„შევარცხვინე შენი კაცობა. ეს რა იკადრე?! არ მერჩია, მას გავეთელე?! შენ ვინა ხარ?! პირუტყვო... ღორო... ფუი... ფუი“...

ბორგავდა, იბრძოდა ორი სხეული. ებრძოდა ერთმანეთს, საკუთარ თავს, ცხოვრებას...

...კაცს ვიღაცამ მხარზე ხელი დაადო, ღონივრად შეანჯორა. უცებ წამოჯდა ტახტზე. მიიხედ-მოიხედა. ნათელი იდგა. ქოხში არავინ იყო მზის სხივის გარდა. თვალღია გოგონა გაუნძრეულად იწვა. მის შიშველ, თეთრ მხარზე ახლადგამოღვიძებული ვაჟის ხელს ვარდისფერი კვალი დაეტოვებინა.

ცისფერ თვალებში მზის სხივი გაკრთა.

„სიზმარი თუ ნახა“.

„რა მოხდა“?!

ვაჟი წამოდგა. გარეთ გავიდა. ცოტა ხნის მერე შემობრუნდა. ხელში ბამბაზეის სპორტული ტანსაცმელი ეჭირა. ცარიელ ტახტზე უხმაოდ შრიალებდა ბრეზენტის სანადირო კოსტუმი...

სამხრობის დრო იყო. გულღია შარაზე ახალგაზრდა ქალ-ვაჟი მიდიოდა. ყველა წამოწეულ მანქანას ხელს უწევდა. გადახურულმა სატვირთო მანქანამ გაუჩერათ. ორივე სწრაფად შეიმალა ძარაში. ბიჭმა თოფი მიაგდო და კუთხეში მიჯდა. გოგონა გვერდში მიუჯდა. ზურგით მკერდზე მიეყრდნო, თავი უკან გადასწია და ლოყაზე მიადო. გაინაბა. ბიჭმა მკლავებზე მოხვია ხელი. მთელი ღამის უძილარ გოგონამ: ამავე წუთში ჩაეძინა. ვაჟი ფხიზლობდა.

ისევ განმეორდა ძალადობის სიზმარი. ახლა გოგონა შეანჯორია ვიღაცამ. ფარეთოდ გაალო ცისფერი თვალები.

— სიზმარმა შეგაკრთო?!

— ?!

— ვინდა პირდაპირ ჩემთან წავიდეთ, ჩემს მშობლებს გაგაცნობ?!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲖᲘᲕᲘ ᲑᲔᲠᲐᲫᲔ

ᲑᲣᲑᲐ, ᲘᲒᲘᲕᲔ ᲘᲝᲗᲐᲛᲘ

1.

— ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲠᲘᲗ ᲗᲐᲕᲘᲗᲘᲡ ᲓᲠᲝ ᲐᲥᲕᲗ,— ᲘᲡᲔ ᲗᲥᲕᲐ ᲜᲘᲚᲘ ᲛᲝᲐᲯᲐᲓᲔᲚᲘᲗᲐ. ᲣᲤᲠᲝ ᲩᲣᲠᲩᲣᲚᲘᲗ ᲜᲐᲗᲔᲑᲐᲕᲓᲐ. ᲓᲦᲔᲡ ᲠᲝᲛᲚᲘᲗ ᲨᲔᲣᲞᲧᲠᲔᲑᲐ ᲓᲦᲘᲡ ᲩᲘᲠᲓᲔᲚᲘ, ᲛᲔᲠᲘ ᲨᲔᲛᲘᲡᲐᲠᲐᲒᲐᲓ ᲛᲘᲪᲔᲚᲔᲑᲐ... ᲗᲣᲛᲪᲐ ᲔᲑᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲒᲠᲫᲜᲝᲜᲔᲑᲐᲖᲔ, ᲛᲐᲜᲘᲪᲔᲚᲓᲐᲛᲘᲜᲪ ᲐᲠ ᲓᲐᲪᲘᲠᲮᲝᲜᲐ, ᲑᲣᲑᲐ, ᲘᲒᲘᲕᲔ ᲘᲝᲗᲐᲛᲘ, ᲤᲠᲗᲮᲘᲚᲘᲐᲓ ᲩᲐᲤᲘᲫᲐ:

— ᲠᲝᲒᲝᲠ ᲗᲥᲕᲔ?..

— ᲠᲐ ᲕᲗᲥᲕᲘ? — ᲜᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲐᲯᲐᲓᲔᲚᲘᲗ ᲩᲐᲘᲪᲘᲜᲐ, ᲠᲝᲚᲘᲪᲘᲜᲐᲠᲔᲑᲐ ᲣᲜᲓᲝᲓᲐ, ᲝᲠᲬᲛᲣᲤᲣᲚᲐᲓ, ᲑᲣᲑᲐ, ᲘᲒᲘᲕᲔ ᲘᲝᲗᲐᲛᲘ, ᲐᲠᲪ ᲘᲡᲘᲗᲝᲜ ᲑᲜᲔᲣᲚ ᲘᲧᲝ. ᲧᲕᲝᲚᲔᲑᲘᲗᲘᲡ ᲘᲛᲘᲡ ᲐᲛᲪᲘᲜᲝᲑᲐᲡ ᲪᲓᲔᲚᲝᲑᲓᲐ. ᲠᲐᲪ ᲡᲘᲠᲛᲘᲗᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲚᲔᲑᲝᲓᲐ.

— ᲭᲐᲛᲔ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲣᲧᲝᲤ ᲒᲕᲘᲠᲔᲑᲘᲗᲐᲜᲘ,— ᲬᲐᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲧᲐ ᲘᲕᲘᲗᲘ ᲒᲣᲚᲐᲠᲬᲘᲜᲔᲑᲐᲖᲔ, ᲡᲐᲚᲐᲧᲣᲓᲝᲓ. ᲜᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲐᲯᲐᲓᲔᲚᲘᲗᲐ ᲩᲘᲡᲢᲚᲘᲗᲐ ᲘᲒᲠᲫᲝᲜ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲜᲘᲪ ᲓᲐᲣᲛᲘᲗᲧᲛᲐ.

— ᲔᲒᲠᲪᲔ ᲐᲠᲘᲡ... ᲗᲣᲛᲪᲐ ᲡᲮᲕᲘ ᲗᲕᲐᲚᲨᲘ ᲑᲣᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲨᲔᲜᲨᲔᲜᲔᲑᲘᲗ,— ᲔᲡᲔᲪ ᲓᲐᲐᲧᲝᲡᲔ ᲓᲐ ᲗᲘᲗᲘᲗᲘᲗ ᲓᲐᲣᲕᲘᲜᲔᲠᲝᲓᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲜᲘᲨᲘᲜᲘᲡᲛᲘᲗᲒᲐᲜᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲣᲕᲘᲜᲔᲠᲝᲓᲐ.

ᲬᲕᲐᲚᲔᲑᲘ ᲮᲛᲝ ᲐᲠ ᲨᲔᲣᲓᲒᲐᲛ? — ᲠᲐᲢᲛᲝᲚᲪᲘ ᲒᲐᲒᲘᲪᲘᲜᲐ ᲑᲣᲑᲐᲡ, ᲘᲒᲘᲕᲔ ᲘᲝᲗᲐᲛᲘᲡ. ᲧᲠᲘᲗᲘᲡᲐᲜᲘᲗᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲛᲘᲩᲜᲘᲗᲘ ᲨᲔᲚᲘᲠᲘ ᲒᲐᲩᲘᲓᲝᲓᲐ, ᲛᲔᲠᲘ ᲨᲔᲘᲜᲘᲪᲕᲐᲓᲐ ᲜᲐᲠᲐᲛᲐᲜᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲛᲘᲪᲔᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲣᲛᲘᲗᲧᲛᲘᲡ.

— ᲔᲒᲠᲪᲔ ᲐᲠᲘᲡ... ᲗᲣᲛᲪᲐ ᲡᲮᲕᲘᲡ

მივაწუდიო. უკუიქცა. ოღონდ არ შეიმჩნია, ისე უკუიქცა.

— შენ ეგრე ფიქრობ?.. — უბრალოდ ჰკითხა და თვალი აარიდა. ბუბამ, იგივე იოთამმა, ამჯერად დუმილი ირჩია. ორეულიანი, სილრმიდან მზერალი, როგორც დაუმაყოფილებელი ექმენ... იქნებ ნიკო მოადგილეს საკუთარი ნიადაგის მოსინჯვა სწადიაო? — ესეც გაიფიქრა. ვითომც, ცარიელ სიტყვას გადმოაგდებენო; უსიცოცხლოს, უსისხლოს, მხოლოდ სიტყვისათვისო. თანაც ჩაგისაფრდებიან, გალურსულნი, თვალმოკვეტულნი... ხადიაც მიიმალე და იქიდან უთვალთვალებდი; სულშეერაული ხდ ძალკამკრთალი, რა იქნება, ან რა მოხდებაო. და როდესაც ყველაფერი იმ ლენინს ჰპკიდეს ღია კარში გულდაგული რომ შეალეჯა, შეიჩურუნებულმა ისიც ეიღარ მოიფიქრა, იქაურობას დროზე გასცლოდ... შენც თავს არწმუნებდი, თუ დამჭირდება, იმასაც დავივიწყებ რაც ნამდვილად ვიცი‍ო. განა ამიტომ, იმ ლენინს, ის ქალიც რომ ახლდა, რომლის ქმარსაც თვალებში შეხედაც-ნებებდი. იქნებ სხვა არჩევანიც არ გქონია?.. ინსტინქტის მორჩილი სწორედ იმ ბილიკს დაადექი, ფოთს მიმაყენებსო... ისიც ხომ შესაძლებელია, ადამიანი უსინდისოდ იყოს მაგრამ ვთქვათ, ქოიშვილესაც ფეხს არ დაადგამსო. მამა აბრამის ბაკანაო... სხვის ტკივნეს შეძვრება და იქიდან ნეკვრიტეს. ფიქრმოძალებული და ექვაღერილი. ეწყინარ გამოხედვასა თუ უმნიშვნელო სიტყვაშიც გაგრძალვეს ეძიებ. თანაგრძნობასაც... ჯოტა მოთმინებით მიმართული მზერა, გამომტკივნელებაც. მომლელი გულისაურით ყოველ სიტყვას ხარბად იჭერს. ვითომდაც გულწრფელად ილიმეს, ოღონდ მოსაფარე გაამხნევს. იმაში დაარწმუნოს მაინც, ყველაფერს მართალს ამბობო...

ჩაბნელებულ ფსკერზე დამორიალებდი, ამაოდ ცდილობდი ზევით ამოტივტივებულიყავი, მეტი სინათლე შეგეგრძნო, არსებობის აზრსა და მიზანს ჩასწვდენოდი, მაგრამ ძალა არ ეყოფოდა, თავს შებრძოლებიდი. იმ შინაგან ალშფოთებას მიჰყოლიდი, კაცს კაცობასაკენ რომ უბიძგებს. თუმცა დროდადრო სული გეხუთებოდა. ჩაკეცულ კაცს მკერდზე მუხლს რომ დაჭერენ ისე. საკუთარ სილრმეში ვიღრჩობიო. რაღაც უნდოლოლაზე სჩიოდი, შეფარულ ზრახვაზე თუ ეშვზე. უგულწრფობაზეო, ზოგჯერ რომ ვვგონიაო ვინიცრულთას ჩავდივარო. ესეც ხომ ადამიანურია, უფრო მისატევებელი, ვიდრე გასაკეცხიო? ანდა უსაფრეკ ყოფაზე, როდესაც თავადაც არ იცი რას წარმოადეენ, რა იყავი და რა ხარ. ან რისკენ ისწრაფეო... სულს ვერ ითქვამდი. სულის მოსაკმეევად რომ შეჩერდებოდი, დაეინებით შემოგეკქეროდა შენი არსებობა. ხაზობი შენი ბედისა და უბედობისაც. ყოფერს რომ ყოფიერჰყოფს. იმ ტკივილისაც, რომელსაც სხვა ვერც იგრძნობს, ვერც წარმოიდგენს, განა მრავალი ოთხკუთხედის წარმოდგენა შეიძლებაო?.. ამხურდიაო... ვითომ?.. გაიფიქრა ბუბამ, იგივე იოთამმა. იქნება ისეც მოხდა, როგორც წარმოიდგინა. ზოგჯერ მოგონილი ამბავიც სარწმუნოდ ჩეერქეტებს. ერთ იცის?.. ჩაიცინა, ჩაიღიმეო უფრო საკუთარ ჩრდილს ბაღლიმა, ის მეორეს, გვერდით რომ მიდევდეა. ძალლივით ადევნებული და ამეზარი.

Ე

მთელი დღე უმოძრაობით გაბეზრებული, მხნედ მიაბიჯებდა და რაღაცნაირი შეგრძნება ბერეობდა. საკუთარ თავს ვემპვნენო. ერთფეროვნება ანაჩანაკეს სულსაც და სხეულსაც. უმაკნინი ზზრებიც, ქვეელი ქაღალდებივით რომ ლეკვიან... თუმცა, ქუჩა სავსე იყო გამყარუებელი ხმაურითა და მოძრაობით. მძაფრი დაუნდობელის შეგრძნება. რაღაც ერთიანინ, საოც

მაინც აკერდა. სამყაროს უწამებამ თვალი ყველაფერს ალხობს და აორთქლებს. ჩვენ სულსაც.

3

ბაზრის შესასვლელთან სახელგახელილ გამართულ დახლებს ჩაუარა. თეთრ ხალათში გამოწყობილი ჩასუქებული დედაკაცები, ოფლში გახვთქოლები, ბყიდველის მოლოდინში გაბეზრებულნი, ყოველდღე აქ დგანან. ის მოხუცი კაციც, ლატარიის ბილეთებს რომ ბყიდის. იმედსაც. ცხელოდა. გაბურებული ასფალტი შავად ლაპლაპებდა. მიშრალებენ მანქანების საბურავები. მზეზე ალელვარებული, გაკრიალებული მანქანები ერთმანეთს მიხდევენ. ადამიანების დასაცხელი სახეები გონებაში გაიელვებენ და მოჩვენებებივით ქრებიან. ბუბამ, იგივე იოთამმაც, შადრევანთან წყალი დალია, ხელს მოვთიქვამო. მერე წყურვილი რომ მოიკლა და წასასვლელად შებრუნდა, ვიღაც ქალს შეეჯახა. ხელიდან ჩანთა აიღო, მოხრილმა გაუწოდა.

— მაპატიეთო, — რაღაც ამისმაგვარი წაიდუდუნა. ქალი მუქად შეღებილი თვალებით უკმეხად მისჩერებოდა. ფაროო პირი ჩქონდა, ხქელი ტუნები, ჯიუტი და თავნები. ამაყად აზიდული მკერდი, ღრმად ამოქარი გულისპირიდან, ვნებიანნად ამობუზებოდა. მარად შეწყვლეტელნი, იქნთკენ რომ იხრაფვიან, გაბიშვლდნენ. დაუფლების ენინე აგიძიძარ, ისიც გაგრძნობინონენ, ძუძუმწოვრები რომ ვართ. ბუბამ, იგივე იოთამმა, ძარღვებში ხისხი როგორ გადაელვარა ისიც იგრძნო. იქნებ მზის მბურვალეს, ერთდროულად სიშორისა და სიახლოვის შეგრძნებაა, სხვა არაფერი?.. გრძნობებიც. რატომღაც მხრებში აიწურა. დაიბნა და წამოწითლდა. თითქოს ურცხვობაზე წაუსწრესო. მერე შერცხვა კიდეც. უეცარმა აღტყინებამ გონება რომ დაუბინდა. სულწასულობა სულსაც აშიშვლებს. რა უბადრუკები ვართ მაშინ?... ალბათ ბუბამ, იგივე იოთამის დარცხვენილმა სახემ დაუკბრო ქალს გულისწყრომა. ან საკუთარი მიმზიდველობის შეგრძნებამ. ჩანთა უმბოდ გამოართვა და ჩკვირცხლად გაბრუნდა... როგორი მოკნილიაო, — გაიფიქრა ბუბამ, იგივე იოთამმა. ისიც მოეჩვენა კიდეც გამიღიმაო... ოცდათხუთმეტი წლის მამაკაცი... განა სიბერეა?.. კიდეც შეიძლება რამე წამოიწყო. სიყვარულიც... მაშინ მზეც სხვანირად დაგწვავს, წყურვილიც, შიშვლიც... ნაოვლიანად ჩაიცინა. თავისთავი დაინახა, თუმცა ოცდათხუთმეტი წელია უთვლთვალებს. ახე ნათლად არ დაუნახავს, როგორც ახლა... ბინდს რომ გამოეკო. ჩრდილივით უჩემჩად კიბეზე ადიოდა. საკუთარი ფეხის ხმაც ჩაესმა. წინ უსწრებდა, ვიღრე უკან რჩებოდა...

— ვიცოდი მოხვიდოდი.

— ვითომ მელოდებოდი?..

— რა მნიშვნელობა აქვს, — იდუმალი მრავლისმეტყველი თვალებით უთხრა ქალმა. — უფრო საკუთარ თავს მიპყრობილი. „ჭიშკრის“ და არც გიმზერს. თითქოს შენკენ მოიდგახეს, რომ შენად იქცეს. ერთ არსებად, სრულყოფად, მაგრამ შენში სრულად ვერასოდეს მოთავსდეს. ერთდროულად სურვილსაც ადგიძრავს მისგან თავი დაიცვა, იმის სურვილსაც, დაეუფლო. თუკინდაც სრულყოფის იელვნი იყოს, სევდა, ორპოფობაც, მასში დაფარული უფლებაც დაუფლებინა, მაგრამ იმის შესაძლებლობაც, ხელიდან დაგისხლტეს და ხელახლა ამხედრდე. დროის სრბოლაა თუ ბედფსწერის ეგი ისეე გამოსატაცო. თუმცა დაუოკებელი სურვილი ვნება არცაა, უფრო ენინა, ძალა კი არა, ულონობა. სინანულიც, ძარტგბლასავით მოტკბო და მომწარო დროდადრო ნელელ სიეოცხლის სურნელით ისიც გაგაბრუებს. იქნებ სევდაც მოუკლავ წყურვილია შურისძიებისა. ბუნებამ სიმღერის ნიჭი რომ არ მოგამადლა, მაინც შენსას გაჰყვარი, რადგან ღმერთმა განა მარტო ამაზე იზრუნა ადამიანს გონება ჰკონდა. — სამყაროს იდუმალეთის და სიდიადის ნაწილი. ხხეულზეც იზრუნა — დაუოკებელ სწრაფვაზე, დაეუფლოს ყველაფერს, იმიტომ რომ სიცოცხლე და სიკვდილი უსასრულოდ მიიღო, ნეტარებისა და ძრწოლვის მომგვრელიც, როგორც მწუხრი, დამცხარი და მოღლილი მზის გვირგვინი, მაგრამ რაიმე ხომ უნდა უარყო, ან აღიარო, — იტყვის ხოლმე ეოფილი ვექილი თუ ეოფილი მოსამართლე — შეიძლება ესაა არსებობა, იქნებ არსიცო... იქნებ ასეეაა?.. — გაიფიქრა ბუბამ, იგივე იოთამმა. საკუთარ წიალში ხელების ფაფოფრთა ბზაბ ვიკვლევთ.. ზოგჯერ სიცსადეეი ისეეთივე მტანჯველია, როგორიც გაუოკეველობაო... — ეხეეე თქვა ეოფილმა ვექილმა თუ ეოფილმა მოსამართლემ.

4

საღამოობით, ეოფილი ვექილი თუ ეოფილი მოსამართლე ეზოში ძლივს გამოთრევს უმიძრაობით დამძიმებულ და გაგეზრებულ სულსაც და სხეულსაც. ელენეც, ივანაზე სკამს გამოიტანს. საღამოს სიგრილეში გახურებულ სხეულს იგრილებსო. სამსახურზედან დაბრუნებული ბუბა, იგივე იოთამი, თვალებს ბუტკავს. თითქოს სინათლეშ მოსჭრაო. ოდნავ იხრება და ელენეს ესალმება, მერე ეოფილ ვექილსა თუ ეოფილ მოსამართლეს მოკრძალებით მოიკითხავს ხოლმე.

— როგორ ბრძანდებით?..

— ჰო... — გაგაგრძელებს, ეოფილი ვექილი თუ ეოფილი მოსამართლე. ძილის ბურანიდან ამოტივტივდება.

— როგორ ბრძანდებით-მეთქი, — ხმამაღლა ამეორებს ბუბა, იგივე ითათმი.

— ვცოცხლობ...

ყოფილი ვეკითხი თუ ყოფილი მოსამართლე რაღაცნაირად ისეე გაირინდება. მზერა შორეული, შეუცნობელი უხდება. თითქოს საკუთარ თავში უკეთქცაო, როგორც ძმინია ხე. ზეფრვით რომ მიერდნობია. ყოველდღიური სანრსაფავით დამძიმებული, დამცხარელი... დღეც, რაღაც სიკრეკეს შემოხაზავს ცა ჩვენში მთავრდება. მზის კვალი. ბუნება ყოველდღე თავისთავს ამეორებს. მკაცრი აზეცილებლობა; ძმინია ხის უწყინარი ფოთლები, მზის ჩასვლისას მარაოსავით დაიკეცება და თავს მისცემს უშფოთველ ძილს. ზზეს ისეე შეეეეერებითო... წიკ... წიკ... წიკ... ისეე აქ ვართ და ვარსებობთ... დროს ვითვლით... თუმცა ეს ყველაფერი უტაუტარი და ჩვეულებრივეა, მაგრამ მაინც შეფარული ეკვითა და ინტერესით ვუთვალთვალებთ. უფრო დაფარული ვეძიებთ, მიდმეურს, შეუცნობელს. ვითომ სინამდვილის ნამდვილობასო. შეიძლება უზნამო სიამაყის გამოც. ჩვენი არსებობა ყოველისშემძლეც, ყოველისმომცველიც გვინდა წარმოვიდგინოთ. ერთმანეთის გაგებას ასე უკეთ შეეძლებთოო... — ბუბა, იგივე, ითათმი ჩაიცინებს, ჩაიღიმებენეს. ელენეს გაბედავს. ახლა ეგი სარკეს ჩასცქერის. დროდაროა ვიწრო და მოკლე კაბას ქვეეეთ ეკაჩეს. ამაოდ ცდილობს მოხდენილი მუხლებს სიმაშვილე დაიფაროს. მხლოდ შეფარული მზერას აღიზიანებსო, ჯანიანი სხეულეეი. ფორმის სისრულესა და დაუფარავ სუფეთეს რომ ამზეურებდა...

ერთხელ ბუბას, იგივე ითათმს, ელენეს ჩეეთხა, უფრო ლალმანი, ადგებულად. ესე, გულს რომ გატკენს, მაგრამ რაღაცნაირ იმედსაც აღგიძავს... მოხვეელ-მოხვეელმი გატარება ვიდრე პირისპირ არ შეეეხებიი...

— ნუთუ შეეეარებული არასდროს ყოფილხართ?..

— შეეეარებულიო?.. — ბუბა, იგივე ითათმი, რატომდაც შეცბა. ელენეს სიცილი წასდგა.

— ბავშვობაში მაინდაც... — ღია კარიდან გამოეჩინელ შუქში იდგა. ელენე თხელ, სიფრფანა კაბაში ნათლად იკვეთებოდა მისი სხეულის თბილი მოხაზულობა.

— ჰო... ბავშვობაშიო... — თქვა ბუბამ, იგივე ითათმმა და მის სულში რაღაც შორეულის, მიუწვდომელისა თუ დაკარგულის სევდა ეიშალა... თვალწინ წარმოუდგა ამ გოგოს მოფიმარი სახე, ლმობიერი, მაგრამ ეშმაკეარეა... ელენეც ასევე იღიმებს... სავმარისია, გამოელპარაკოო... მასზე ამბობდნენ ავეია ბიეეი. უცოდველი მზაკვრობითა თუ გულფარფარობით, ანდა საკუთარი თავი უნდოდათ გაეზვიადებინთ და ისე წარმოეედგინათ. იქნება უმწეფრობის მტანჯველი შეგრძნება იყო, წრფელ ბიელწსიტეკვარობაში რომ ვლინდება. მხლოდ ბუბას, იგივე ითათმს, გულს უმოწეალოდ უსერავდნენ. მითუმეტეს, ისიც, რომ იცი, რაი უარაყოფს, რაადგან ძალა არ შეეწეეს მიუახლოვდე მაინც. ეს ბიეეი ერდიათ სუნთქვაც გამიეერეფდა... ელენე ოთოფარ ღა მოაბრუნებდა. ან ბმა, რაც უნდა ეოქვა, დროც ვერ დიატეკვდა. ანეთივეე დარჩა მეხსიერებაში ის გოგო სიზმრის ხილვას რომ ჰგავდა. სინამდვილისაც. უცხოც იყო და ახლობელიც... მხლოლო ერთხელ მისი მზერა დაიკრა და ისიც იგრძნო, თვითონაც რომ არის და არსებობს...

— მერე?.. — იღიმება ელენე.

— გაგვების გულეარელობამ გვიან შემახვედრა, ოდესღაც გზაკვარედინზე მიტოვებულ და მივიწეუხეულ მეგობართან ერთად... იქნება ახეეე უნდა მომმდარიყო?..

— სასაცილო კაცი ხარ... — იღიმება ელენე.

— რატომ გინია?..

— მე ასე მგონია...

— მაინც...

— მე ვიცი... — იღიმეეს ელენე.

— ისეე ბავშვობის მოგონება... მაგრამ სიცოცხლეე თავიდან რომ დაიწყოს, ვითომ იგივე განმეორდება?..

— ყველაფერი უფერულდება, — იცინის ელენე, — ბავშვობის მოგონებაც... ისეე უფერულდება, როგორც სამზარეულოში დაგებული ლინოლეუმის ფერია... ლინოლეუმის ფერია... სწორედ ასე უთხრა... რატომღაც ბუბა, იგივე ითათმი, დამამცირებელმა უაზრობამ შეიპარა...

5

ზხარი ზომ არ მეეკაო — უცეტ ბაიფიკრა, ისეე ბატონი ბეგო რომ დაინახა. ქუჩის მეორე მხარეს ბავშვთან ერთად მიაბიჯებდა თავაღეულები, წელში გაპრანეული. თითქოს მის ვეერდით მარადისობა მიაბიჯეესო.

— ახლანდეი ახალგაზრდები ოჯახს ვეღარ ეგუებიანო, — ესღა თქვა ბატონმა ბეგომ, მისმა ქალიშვილმა შეიღი რომ მიატოვა და ვიღაც კაცს ვეეეიდა — დროც ადარ ყოფნითო, ვინმეზე იზრუნონ, თუნდაც საკუთარ შვილზეეო.

— შენ ამბობ, როგორ მოვიქეცეთო, — უთხრა ცოლმა მიმქრალი თვალებით შორიდან რომ მისჩერებოდა. იქნება ვეღარეე ხედავდა? არც რისიმე მეეთხეეი და არც გამეკითხავეი. განტეევებული სისხლისა და ზორცისაგან. ზიზღისა და სიყვარულისაგანაც გამოცარიელებეული. უკურნებელ სენს დიდხანს უმკლავდებოდა, უფრო თანდათან ნებდებოდა, ვიდრე მალად არ მიენდო, როგორც მოსიყვარულე ქმარს მიენდობა ქალი.

— მაშ ასე... — თქვა ბატონმა ბეგომ და ცოლს ნაღვლიანად შეხედა. ოდესღაც სიყვარულით შეერთო. მერე ავადმყოფობამ მოლად გათელა მისი სულიეეი და არსებობაც. შვილოსნობაზე დასნეულდა. თუმცა დრომ თავისი გაიტანა. ცოლის ავადმყოფობას შეეჩეეა. ისიც ირწმუნა, აღარაფერი აეშველებოდა, მაგრამ ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უქნელ ხელებს დელა-შვილზე ზრუნვაც დაავწყა, ღვეული არა და არ დაუცხრა. შემდეგ მის მოყოლილს მოიმენდა და დათმობაც... შეიძლება იმ გოგოს დედის ავადმყოფობა დაანნდა კვალად. იმიტომ გამოვდა ასე თავნება, დოფოკელელი, ყველაფერს ერთბაშად უნდოდა დასწყვეტოდა. ანდა ადამიანი დედის საშობივე დამოუყოფელელ არხებად იქცევა. თავის სახეს მიიღებს. თავადვე იტვირთავს საკუთარ ხვედრსა და რამას. ამას მაშინ მიხვდა, როდესაც იმ პატარა გოგოში ქალი შეიქნა. მომწიფებული, დასრულებული ქალი. მუეელი ზომაზე მეტად რომ ფამრგვალებოდა. გულში ტკივილმა გაკრა. საკუთარი შვილი უცნო მოეჩვენა. ასე ურცხვად ამზეურებდა დედაკაცურ მშვენებას. არაფერად აგდებდა ჯორს თუ მოთქმა-მოთქმას. ბრალიანს და უბრალოს პირში ერთნაირად რომ ლენინან. თუმცა ეს უდღეური გატაცების ნაყოფი აღმოჩნდა. იმ ვიღაცამ გოგოს დაკმაყოფილება კი შეძლო, მაგრამ იმდენი ძალა არ ეყო, ქალს დაუფლებოდა.

— ცხენრეოზოცავი ლაწირაკი, ბოლო მაინც არ ექნებიოდათ, — ზაზღით თქვა ბატონმა ბეგომ.

— შენ ამბობ ბოლო არ ექნებიდათო, — წამოოლაპარაკა ცოლმა. ბატონმა ბეგომ საკვავილში შემკენარ ყვავილის შეხედა. ნელ-ნელი ეშინიკებოდათ არსებობის ძარღვი. ჩუმად ქანცებოდნენ თავისთავთან გამმარტოებულნი.

— მაშ ასე... — ამოიხვნეშა ბატონმა ბეგომ. გულგატეხილი იყო. თუმცა იმ გოგოს არც ტკეცა აკლდა. ქალური მიმიტო

ELEKTRONIKA

უნდო, დაუთრგუნავი შეგრძნებაა ეს. მოთხოვნილებასა და სურვილებში რიგ ირეკლება. იმ დროსა და სივრცესაც ქმნის, რაშიც თავად თავსდება, მაგრამ იგივე თავდაჯერებასაც მატებს, ურცხვობასაც. იმიტომაც სულში მძვრება, ვითომ მიმნდობი და უწყინარი, შეფარვით გითვალთვალებს, ჩრდილივით აფეთებენი ექვი. თუ მოგიხელთა გულფუტკური ნაპუპეთით გადგიხვრის, თუმცა ისიც შესაძლებელია, მერე ხელიც კი შეგაშველის. ბრაყვული დიდსულოვნობა თუ თავმდაბლობა გაითამაშოს. ოღონდ კეთილმოძალეობითაც, ანუ მოგაჩენენს. თუ გინდ. მოკლეც იყოს, რომ მფლეველობის კალთა გადაგაფაროს...

7

ხაკუთარი ფეხებით დავაბიჯებო. დაატარებდი იმედს იმ ადამიანებისაც, რომლებმაც მარადიულობიდან მოგიტანეს. მზის პატარა ნაწილი. ნაყოფი ყოველთა. ოვითონვე მიწა. სრულყოფილ ქეციელი. არსებად. მაო მთელემარე სულს ანლაც დაატარებ. სახელსა და ძეს, როგორც სისხლს. ბეღნიერი ქალის თბილ ამოოხვრასაც, რომელის რძესაც ხარბად ეწოვებოდი. მერე მაშინვნა სოფელში სახლი გაყიდა, წყაველის ჩრდილში ჩაფლულ დედაშენის საფლავთან ერთად. თავად ქალაქში გადმობარდადა და სორონი შეძენა. თუგინდაც ბარაკი დაუპახე, ეკედერზე მინაშენი.

— რადგან მასში ვცხოვრობთ, ღირსნიც ვართო. განა ათი შვილის გამოზრდა არ შეიძლებოდა?.. — რობროხებდა მამაშენი. მადანი ქმაც უკვანდა. ღვინოც...

ანლა ალარ არის ის სახელი, ის ეზოც. ლეღვის ფოთლებში მზე რომ ბაეხვეოდა. მტვერში ჩაწვეებოდა ჩრდილი. ის ბეტბეიც, ყოველ ღილით მზეს რომ ეგებებოდნენ, ამეტკველებულნი რომელიღაც ენაზე. ანდა მეზობელი, ჩია, მელოტი მამაკაცი. ექიმი იყო თუ ექიმმაშენ. ღროდაღრო სადილზე რომ მოიპაატეეებდნენ. ყოველთვის წუხდა და ჩიოდა... ხაკმეისა ძველებურად ვერ ვცვეთავო... ყაეთაფერ თვალებში სევდა ჩაუდგებოდა. როდესაც მამაქენის თეფშზე გამოხრულ ძვლების გროვას უყურებდა, გაუერებელ ეტბებსა და გაკონილ ტუჩებს დაიკქერდებოდა.

— სიკვდილის ზომ არ გეშინია? — რობროხობდა მამაქენი.

— სიკვდილისაო?.. — თვალებს ახამხამებდა ექიმი თუ ექიმმაშენ.

— ათი წლით ადრე მოკვდები თუ ორმოცდაათი წლის შემდეგ. განა მზეს დაეწვეეი ან დაშორდები?.. — რობროხობდა მამაქენი. გულარხეინად, უდარდელად. გამაღიზიანებლადაც. ასეც ცხოვრობდა. თუმცა შენი სამყარო მაშინ არ იქმნება, როდესაც თავად იქმნები. სულიც, ყველგან რომ დაატარებ, როგორც ხაკუთარ ხელს სითბოს.

— მე მინდოდა ხხვანაირად მეცხოვრა, მაგრამ... — ექიმისა თუ ექიმმაშის ყავისფერ თვალებში მოღელილი ღიმილი აბეუტდებოდა. გაწელეული სიცოცხლე, — არ გამიმართლაო. თუმცა ეგ კარგ ყველას უნდა გაუმართლოსო.

— ეგ ძველი ამბავიაო, — რობროხობდა მამაქენი, დამტკბარი თავის არსებობით. ხარცოთა და სისხლით. მერე დრომ დავთარი დინჯად გადაფურცლა. არსებობის ყოველ წამს გულმოდგინედ რომ აენუსხავს... გაგრძელება ისილეთ მეორე გვერდზეო...

8

ღვინომ დაალრჩოო, ახე თქვეს... რას მოერეოდაო. ექიმისა თუ ექიმმაშის ხელზე განუტეევ სული. უშფოთველად და უთქმელად. ბუბას, იგივე იოთამს, კარგად ახსოვს, ექიმმა თუ ექიმმაშმა რომ წამოიყვირა, მოკვდაო... თვალები მანვე დაუხუმა და ისეთნაირად ამოოხენეშა, თითქოს სული მოითქვაო... მერე ისიც კარგად ახსოვს. ცხედარს კი არ მიარბენინებდნენ, ეპრიბუფლებს ცხედარი მიერეკებოდაო. ჭირი თუ თავსატეხი სწრაფად მოეწელებინაო. კუკეთ მოინელებენო, — ამბობდა ექიმი თუ ექიმმაშო და ახე ზაზღილი ებრიცებოდა, მაგრამ მწუხრის სუფრას თავადაც ხარბად დაატარა. ეკიმდა სულმოუოქმელად. თითქოს სიცოცხლე ანლა შეიგრძნოო. შეიძლება ეილაჯობის მტანჯველი შეგრძნებიდან თავის დაღწევის ამაო სურვილი იყო მარადიულის არსებობა რომ იწვევს ჩვენში. სხვისთვისაც უტაეუარი უნდა იყოს კაცო, მაგრამ ზზრინდა მხოლოდ ჩვენი თავისთვის ვარო ყველაზე უტაეუარიო, — იმ დღეს ეუბნებოდა ყოფილი ვექილი თუ ყოფილი მოსამართლე. მერე მის ყურთან დაიხარა და ზუშნარეი ზმით უთხრა:

— ოქნებ ჩემთან შემოიარო?.. — მთხოვნელის ღიმილით დანაოეებული ახე ეურეებოდა მომლოდინე დუშილში.

— ხიამოვნებით, ხიამოვნებით... თუ კი ეს... — ბუბამ, იგივე იოთამმა, მის თვალებში ისიც წაეკითხა, რისი თქმაც მას არ უნდოდა.

— რასაკვირველია, მეზობლებს ერთმანეთისა კარგად უნდა გაგვეგებოდეს, — იღიმება ყოფილი ვექილი თუ ყოფილი მოსამართლე, — თუმცა დღეს ნანეს მთელი დღე თავი სტკიოდა. ოთამმაა გამომხრჩვალი... ჰაერზე გაიარე-მოიქე, სად არის ჰაერიო... შემომიტია... ძლივს გამოვასწარი... ზოგჯერ თავს ვუკვირდები, სრულ ეკუაზე თუ ვარ-მეთქი... ხედავ, ნანეს, ჩვენთან მეზობელმა შემოიხედა, — კარიდანვე ვაცდასა ცოლს, ახლა მისი ხმა, მკვეთრია, მბრძანებლურიც — შეიძლება თავისტკივილსაც გადაუაროს, — მრავალმეტყველად თვალს უკრავს ბუბას, იგივე იოთამს — ჩვენ ხომ მეზობლებიც ვგენერტრუბა... ახე არაა?.. რას იტყვი, ნანე?..

— ეგ რომელია... რომელი... ჰო... — მერე ოთახიდან ძლივს გამოტეტვა ნანე. მარტოობით გაბეზრებული, მაგრამ კეთილი სახე ულიმის.

— ხელი ხომ არ შეგიშალეთ... მაშინ... , — მოკრძალებით ეუბნება ბუბა, იგივე ოითამი, და უხერხულად იღიმება.

— როგორია?.. შეგიშალეთო?.. დაბრძანდით, დაბრძანდით, — გულწრფელად იღიმება ნანე.

— აბა!.. სტუმრის გამასპინძლებიაც უნდა... სამსახურიდან მოვიდა კაცი... მოშიებული იქნება...

— როგორ დავიღალე ამ კაცის მოსმენით, — წამოძახებს ნანე, — ორმოცი წელია ვუსმენ, ასე იცის...

— თუკინდ ასე ვიცოდე, მერე?.. განა რაიმე შეიცვლება?..

— ვითომ რა უნდა შეიცვალოს?.. — წყენარად ამბობს ნანე და სამზარეულოსკენ მიდის. ყოფილ ვექილსა თუ ყოფილ მოსამართლეს სიამოვნებისაგან თვალები უბრწყინავს.

— ხომ გითხარი, თავის ტკივილი გაუვლისმეთქი. შეიძლება ტკივა კიღეც, მაგრამ ხმასაც არ ამოიღებს, არც გაგრძნობინებს. ასეთია. ხულიც ასე ამოხდება... მგონი მამაშენი სიმთვრალეში გაიპარაო... ასეა თუ ისე, ყველანი ჩიტებივით გადავფრინდებით... იღიმნდ სიმთვრალეში, ამას ვნატრობ ხოლმე... მაშ, სიმთვრალეშოო, არა?.. მამაც და აღმზრდელიც ხომ?.. ჩვენი ბიჭიც შენი ხნისა იქნებოდა, იქნებ იმ ქვეყანაშიც იზრდებიან?...

...მამაც და აღმზრდელიცო, — ფიქრობდა ბუბა, იგივე ოითამი, — ყოველთვის თანატოლივით მეკეცოდა... მაგრამ ღროდადრო მის გამოხედვაში თუ ქცევაში სიბრალულიც გამოეონავდა ხოლმე... თუმცა წრფელი, მაგრამ მოეკნილი. ზოგჯერ სიამაყითაც კი ამბობდა, უდიდიდ გავზარდეო... მარტოობის გრძნობას უფრო უმახვილებდა... თუ, სეედა იყო ეს?.. უმწეობა?.. ან სიძულვილი საკუთარი თავისადმი. ისეთი შეგრძნება ეუფლებოდა, თითქოს მის სულს ცივი ხელებით ეხებიანო. თავისთავში იკეტებოდა. ყოველთვის ცდილობდა, შეუმჩნეველი ყოფილიყო. ღიდის ლანდს ამოფარებული, რომელსაც მისი გონება წარმოსახავდა და მასთან ერთად განიცდიდა იმ ტკივილსა თუ სახარულს, ბავშვის გულს შეუღნობელი სინამდვილე ყოველდღე რომ უმზადებდა. მხოლოდ სოციალის შენარჩუნების ინსტინქტი კარნახობდა ცხოველივით მინდობოდა საკუთარ მამას და არა გულითა და გონებით. იქნებ ისეც იცნობდა მხოლოდ სალმით რომ იცნობენ კაცს...

— მამაჩემი ოპტიმისტი იყო, — ეუბნება ბუბა, იგივე ოითამი.

— ოპტიმისტიო?..

— ის მოკვდა კიღეც... — ეუბნება ბუბა, იგივე ოითამი... ახლაც კარგად ახსოვს მეცადინეობულის მხნეობის ავსება სახე. „ალბა წამოდგება და ვიდაცას შეუტევენ. ინ სახლიც, რკინიგზის პირას. მაგარიენი რომ ჩაიკრონლებდა, სახლიც რიტმულად ირყეოდა. მეტადრე ღამღამობით, ძილმორეულ სიჩუმეში უფრო მკვეთრად ისმოდა მატარებლის ბორბლებიან დაგადგეო. მერე ნელ-ნელა მიილეოდა. სადღაც მიწყდებოდა, რომელიღაც ბგერას მიეყენებოდა. ისეე დისაკუთრებდა გამკრთალი. სიჩუმე, სასოება, იმედიც, პეშეში მოქცეული მედუზასავით გამქვეირვალე და მოთიმთიმე. ამორფული, მოუთავებელი შეგრძნება... მომლოდინე ღუმილში, ღრო ზარგბივით რეკდა ღროს.

— ოპტიმისტი იყო, — ეუბნება ბუბა, იგივე ოითამი.

— ვაუკაცური სიკვდილია, მეც კაცი ვარო, განა ვიკვიოო...

ე

მეც კაცი ვარო, განა ვიკვიოო, — გუნებაში გაიმეორა ბუბამ, იგივე ოითამმა და უსიამოვნო გრძნობამ შეიპყრო. პირში მწველარტე გემო, ყელის სიმშრალე რომ აღვიძრავს, ანდა კაცის ძორნილი მზერა, გამომტყვეელებაც ძორნილი. გრძნობებს რომ იოკებს, ხურვილსაც მოიკლავს, ასე მჭირდებოო. არსებობს და არც არსებობს. სიცარიელე. ერთი სიტყვით არაფერი... პირდაპირ კი არ იმზირება, ზურგსუკანაო. ნიკო მოადგილეზე ეს ჯერ კიდეე მაშინ თქვეს, უცაბ რომ დაეწინაურეს და შესაფერისი თანამდებობაც გამოუნახეს უფრო გამოუგონესო, მაგრამ რას არ იტყვიან. ნელლი ფიზიკით რომ შიშინებენ და ხრჩოლავენ... ისიც შეუძლიათ, მიდგნენ და ამტკიცონ, თეთრი შავიაო. თუმცა ზოგჯერ თავს მცირეოდენი თავისუფლება მაინც უნდა მისცეს კაცმა. არც ისაა გასაკვირი, კვერიც დაგიკრან. „თეთრი შავიაო", იქნებ ესაა გონიერება?.. ვინ იცის?... ყოველშემოხვევაში ნიკო მოადგილე ტყავში ძვრებოდა სხვისი ეზა და კვალი განეკვრიტა. უფრო საკუთარი სულის ანალოგიით ისე წარმოედგინა, რომ ნანდვილს დამგვანებოდა.

უფრო ღროის' მოთვალთვალეიო, ამასაც ამბობდნენ. უტყუარი ალლის კარნახით... შიშიც, ჩარაზული კარის თვალთვალიდან ამ კაცის დარაც, რომ იკვრიტება — ჯერ კარს რომ გაადებს. მხრებში მოხრილი, დაძაბული

ბიბი ბერაძე
მოთხრობები

და გაფაციცებული. უზილავ საცეცებს შიგნით გამეფებულ სიჩუმეს მიაპყრობს და მიაყურადებს. მერე წელში გაიმართება და ზღურბლზე ისე გადაბიჯებს. იმასაც უყურებდა, მარცხნივ ფეხით არ შევაბიჯოო. საკუთარ სახლშიც ასევე იქცევა. ესაა მისი არსებობა, ყველა არსებულზე, არსებული. ყოველგვარ წესრიგსშიც რომ იჩენს თავს და მოგაჩერდება, ვიღაც გაუცხობელს შიშველი სურვილისა და კმაყოფილების მარჩენალი თვალებით. თუმცა შენი, კუთვნილი ლუმბა თავად თუ არ მოიპოვე. განა ასე არაა?.. ბუბამ, იგივე ოთთამმა, ჩაიცინა, ჩაიღიმლა... — იმიტომაც სწორედ მაშინ გამოჩნდი, როდესაც გეგონა, ჩემი დროც დადგა, მაგრამ ის კი არ იცოდი, ჩაბნელებულ სიღრმიდან რომ შემოგაკერდნენ. როგორც სცენაზე გამოსული მსახიობს, როდესაც ყველაფერს შემოიძარცვავს ერთი სურვილით სულნაღგმული, ძალმორეული არსების მსგავსად, წარმოსდგება გაშიშვლებული, სულთა და ზორცით...

10

ბუბა, იგივე ოთთამი მხრებში მოხრილი მძიმედ მიაბიჯებდა, აღმართზე მიმავალი კაცივით, იმასდა რომ ნატრობს, ნეტავი მუხლებიც არ მომეკეცოსო. იმ გზით კი არ წავიდა, რომლითაც ყოველ საღამოს ბინა ბრუნდებოდა. მარცხნივ შეუხვია და ბოდიალ ქუჩას გასდევდა. საღამო ხანი იყო. ქუჩა უჩვეულოდ ახმაურებული და გამოცოცხლებული მოეჩვენა ჯგუფ-ჯგუფად მიმავალმა ხალხმა ჩაუარა. ხმამაღალი ლაპარაკი, მხიარული შეძახილები, ცნობისმოყვარეობა, ღიმილი...

საღამოდაც მანქანები გამოიტანა და ქუჩაც ჩვეულებრივ ახმაურდა. მერე ბუბამ, იგივე ოთთამმა, დაინახა მისკენ მანქანა. რომ გამოექანა. შეიძლება მოეჩვენა კიდეც. მაგრამ ისიც იგრძნო, მან არაადამიანური ნახტომი რომ გააკეთა. შიში იყო ეს თუ განწირულობის შეგრძნება. მოულოდნელობისაგან სულშეკუმშულმა გამაკრეებელი ტკივილი გაიგონა. მანქანამ ხე გადაამსხვრია და ტროტუარზე აიჭრა...

საღამაც იწურებოდა, თვალეზდახრილი, მიმცხარალი მზე. მშვიდად ჩაკრებოდა, ჩაიფერფლებოდა, ვიღრე დადგებოდა ღამე, კვლავ მიწიდან ასხლტებოდა, რომ მოლიცლივე უსაზღვრობებიდან, ხელახლა გაღმოდერილიყო. ახალი იმედებითა და საჰრწუნავით, განმსჭვალულა.

ᲓᲐᲗᲕᲘ

ბიჭმა ქალს მკლავები გადაუგრიხა. ცალი ხელით, ხელები ზურგს უკან დაუჭირა, მეორე წელზე მოხვია და სხეულზე მაგრად მიიკრა.

— გამიშვი შე ხასიკვდილე!.. — გაიბრძოლა ქალმა. ბიჭი თოვლივით ლუღლუღებდა. კვნესოდა ქალი.

— მეველე ჩამოიკლის, თავი მომეკერება, გოგია...

ბიჭი გაშმაგებული იყო. არაფერი ესმოდა. გახელებული კოცნიდა: სახეზე, მხრებზე, მოღერებულ ყელზე. ხელი მდუმარედ იდგნენ, ჩრდილებადაქცეულნი. სავსე მთვარე ღელეში იქვრიტებოდა. ქალი იბრძოდა. წელში ისხვრეოდა. მთელი სხეულით ეგრიხებოდა. მერე ღონე გამოელია. გახელებულმა ბიჭმა ძლიერი მკლავებით გაათავა. სიმინდის ყანაში რბილ მიწაზე გაგორდნენ. მერე ფერდობზე ღორღი ეაშალა. ღორღმა ქვები აიყოლია.

ქალი ბანაც იბრძოდა. ახლა უფრო სუსტად, მაგრამ მაინც იბრძოდა. ბიჭმა იმარჯვა, მაგრამ მოძრავ ღორღზე ფეხი ვერ მოიკიდა. ქალი მოღუნდა, მოეშვა. გამწარებული ბიჭი, ფუხლებით მთელი ძალით ებჯინებოდა მიწას, მაგრამ მოძრავი ღორღი ნელ-ნელა ქვეიოეენ ითრევდა, მიაცურებდა. ბოლოს სხეული ვეღარ შეიმაგრა, ქალს ხელი უშვა. ქვევით ჩაეშვა. კბოდე ჩამოპოტნა, ქალი კბოდეზე შერჩა. კიდევ აიშალა ქვები. ფერდობზე ლაწალუწით დაეშვნენ.

— ბეი!.. ბეი!.. — გაისმა მეველე ივანეს გამეკვანი ხმა.

— ბეი!.. ბეი!.. გამოეხმაური ექო.

— ბეი!.. ბეი!. აყოვნდნი ღელეს გაღმა მეველეც.

— რა ჭირი გაღრიალებთ ნეტავი, — ჩალაპარაკა ქალმა და კბოდეზე ჩაცურდა. ბიჭი ქვევით გაშხლართული იწვა. მის გვერდით ჩაცუოცქდა. სახეზე ხელი მოეთათუნა.

ახლა ივანე კეტს ურტყამდა სასიმინდეს კედელს. ხმელი ხის ძელები საცოდავ ხმას გამოსცემდნენ.

— იტკინე რაბე? — ჩაეკითხა ქალი.

ბიჭი ძლივს წამოდგა. ქალმა გაიცინა. ბიჭს სიცილის თავი არ ჰქონდა. ხელის გულები ეწვოდა. მუხლის. თავებიც ეწვოდა. წელში ტკივილს ვრძნობდა. ქალი მოეხვია. ბიჭმა ცივად მოიშორა. წამოდგა, წელი ძლივს აიორა.

— ბეი!.. ბეი!.. დროდადრო შესძახებდა

ივანე და სასიმინდეს კედელს, კეტს გულდაგული ურტყამდა. სადღაც ლელაში, მიზარე ქალებივით კიოლნენ ტურები.

მერრე დღეს სალალკოში ენად გაიკრიფა ივანე. მე რომ მარჯვედ არ დავხვედროდი, დღეი ყანებს მოლად გაიხრეტდაო.

— ნამეტანი უტიფარია დათვი, — თქვა ხაბამ და ცალიერი ეშმაკურად აუცინცინდა, — ერთ წელიწადს, პირდაპირ სასიმინდეზე მოგვეპრა. მაშინ კირილემ იმარჯვა, წელდიდ გაუპო თავი.

— მეი, ბიჭო!.. — წამოიკივლა კირილემ. — გოგოს ხელი ვიყავე. ჩემი მაკანე იმ წელიწადს მოვიყვანე. ღმერთმა აცხონოს, — ამოოხრა.

გოგოამ ხელები ნამძინარეკ ხაბეზე ჩამოისვა. დაკაწრული ხელის გულები ოხეკ ეწოდა.

ქ ი რ ა ფ ა

ჩემზე ორი წლით უფროსი იქნებოდა, მაგრამ ერთ კლასში ვსწავლობდით. გაკვეთილებზე შტერივით იჯდა. უყურადღებოდ, გაბრნყული. თვალებს ხვრეცეს მიაპყრობდა და, ვინ იცის, რაზე ფიქრობდა. მასწავლებლებს ათვალწუნებული ჰყავდათ. ყოველთვის კონებაგაფანტული პასუხობდა. ცუდ ნიშნებს იღებდა, მაგრამ აინუნშიც არ აგდებდა.

ძალა და მოხერხება ბიჭებში ძვირად ფასობდა. ეირაფს არც ერთი გააჩნდა, არც მერრე. მოუნელი და უმზეო იყო. წვრილი, წაგრძელებული კისერი, ზღარბივით ამოგრძგნილი თმა, უფრო უსუფთს ანენდა. სიარულის დროს, საოცრად გრძელ ხელებს დაუდეგრად მიაფარაზუნებდა. ბიჭები დასცინიდნენ, მასხრად იგდებდნენ. მშვიდი, უწყინარი ეირაფა ყველფერს მოთმინებით იტანდა. განსაკუთრებით ის დამოხვეული ჭიკო მოსვენებას არ აძლევდა. შეა გაკვეთილზე, უჩუმრად კალმით უჩხვლეტდა. შემკერთალი, დაფეთებული ეირაფა გამწარებული შეპკვირებდა. ატყდებოდა ერთი ხარხოცი და ღრიანცელი. ყველაფერი ამით მთავრდებოდა, მასწავლებელი ეირაფას გარეთ გაალეკვებდა. ჭიკო ვითომც არაფერი. გიტერუნებდა... კიდეე რას არ იგონებდა, ეირაფა რომ გიემწარებინა. დაბრიყვებული ჰყავდა. ერთხელაც ეირაფას ყელში ამოუვიდა ჭიკოს გიოცა. გაოფებულები დაედევნენ. ჭიკოსაც ეს უნდოდა. ვინ დაეწეოდა? ქაჯივით დარბოდა. ჩვენი ჯგუფის ყოჩი იყო. მოპკვნა ამბავლალობას. საცოდავ ეირაფას თავგზა აუბნია, ხან მარცხნივ გაუსხლტებოდა, ხან მარჯვნივ. გარშემო ურტენდა და გიეივით ხარხარებდა. ეირაფა დარეტიანებული დაბორიალებდა. ხასა�eლოდ აჩონჩხალი, მოუხეშავი. საფრთხობელას ჰგავდა. ბოლოს, ჭიკოს მოსწენდა მიიმუნობა. სიცილის თავიც აღარავის ჰკონდა. ეირაფას წინ გამოეჭმა, გამომწვევად მიაჩერდა. ეირაფას, სახეზე შეშფოთება და სასოწარკვეთა ასახვოდა. ერთხანს ყეყეჩივით იდგა, გაშტერებული. მერე მიბრუნდა და წაანანჩალდა.

ბუნებით წუნარი ბიჭი ვიყავი, მაგრამ შურისძიების წყურვილმა ამიტაცა, მოუთმენლობამ, სიბრაზემ. უცებ ჭიკოსთან მივეკერი, წიგნებით ხავსე ჩანთა, მთელი ძალით თავში ჩავარტყი. ვიღრე გონზე მოვიღოდა, მოვკურცხლეი, მაგრამ ჭიკოს ხად გაეკეცოდი? სკოლაში მაინც გამომეჭერდა. რა გაეწყობოდა: ან ჩემი ბიჭობა უნდა დამეცვა, ან მხლალვით ზურგი მექცია. ამის წარმოდგენა მზარავდა, თავზარს მცემდა. — მოკლედ, მერრე დღეს ქანცგაწყვეტამდე ვიჩხუბეთ. ძმენი მირტყა, სახე ნილაბივით მომექცა. ბოლოს, ერთი ცხვრ-პირში მეც ჩავხალე, სისხლი წასკდა. მერე მუცელში წინლიც მივაყოლე, ტკივილისაგან ლეკვივით ალრაალდა. ჭიკოს ყოჩობიდან ალარაფერი დარჩა. მას შემდეგ ეირაფა ველრდიდან არ აშორდებოდა. თვალებში შემომცქეროდა. ჩემი სურვილის ამოცნობას ლამობდა. გამთავაკვანებელი იყო. თანაც ისეთ რაღაც-რაღაცეებზე ოცნებობდა, ჰკიცხავდა თავის ბავშვობას, მშობლების მეურვეობიდან თავის დაღწევა რომ არ შეეძლო. თავისუფალ ცხოვრებას ნატრობდა, წინააღმდეგობით აღსავე მოხტიალე ცხოვრებას, ტურისტებივით მთელ ქვეყანაზე რომ დაძრწიან. ადგილი ვერ ეპოვნიათ. ერთი სიტყვით, მოგზაური ეირაფა ისეე ვერ წარმომედგინა, როგორც კოსმონავტი-ეირაფა. მოწყალე ღიმილით ვუსმენდი ზოლმე. უამრავი ამბავუზდით გვარიანად მართობდა. ეირაფა ჩვენი ქუჩის ბოლოში ცხოვრობდა. მათი სახლი სხვა სახლებიდან განცალკევებით იდგა. შემდეგ მოტიტვლებული მინდორი იწყებოდა და მთის ტერფამდე აღწევდა. ზაფხულობით სიცხე რომ იმძლავრებდა, მინდორს ღია ყავისფერი გადაეკრნენოდა. გავარვარებულ

ბეჟი ბერაძე
მოუსხრებელი

სიგრცეში, მწვანეში ჩაფლული სახლი მირაყოვით მოჩანდა. ერთ ადამიანაც მე და ეთრაფა მიხი სახლის უკან მინდორზე ვიყავით წამოგორებული და ცას მივშტერებოდით.

მაისი იდგა. თბილი, ალერსიანი. ირგვლივ გაზაფხულის სურნელება ტრიალებდა — ნეფელი ბალახის, გაღვივებული მიწის სურნელება. ის იყო მზემ სხივები აიკრიფა, მრგვალ დისკოდ ქცეული, მთის წვერზე შედგა. სადღაც ცის სიღრმეში თვითმფრინავმა იქუხა. კარგად დავაკვირდი. ვერცხლისფრად მოლაპლაპე წერტილი სივრცეს ხვრეტდა. მანამდე ვუყურებდი, ვიდრე თვალთახედვიდან არ დაიკარგა. რატომღაც გული დამწყდა. ნაღვიელი შემომაწვა. ეირაფას ალსარებები მტკნარ სიცრუედ მომაჩნდა, მაგრამ იმასაც ვგრძნობდი: ისეთ საგნებზე მსჯელობდა, ჩემთვის უცხო, ახალი იყო. მაკრთობდა და მაოცებდა, ეკვს მიღძრავდა საკუთარი ეოფიხა და მიდრეკილებების მიმართ, მაგრამ არ ვიმჩნევდი. ერთ რამეში კი ეულწრფელად ვეთანხმებოდი. სასკოლო ცხოვრების ერთფერადობა მეც ეელში მქონდა ამოსული...

— სულ ზეკვი და ზეკვი უნდა იფრინო, — თქვა ეირაფამ.

— მერე?

— არაფერი.

— არ შეგეშინდება? — გავიცინე. ხმა არ გამეცა. უსაზღვროებას მიშტერებოდა. ცა სუფთა და ღრმა იყო.

— ლექსი თუ დაგიწერია? — მოულოდნელად მკითხა ეირაფამ.

— ვითომ რად უნდა დამეწერა?

— რა ვიცი ... მე ვწერ ხოლმე. — წამოჯდა. ისეთნაირად შემომხედა, თითქოს ამოწმებდა რა შთაბეჭდილება მოვახდინეო. ანგარიშგამაღიზიანა და ადგილებულად ფეთხაობა.

— ალბათ ტვინზე პატარა სიმსივნე გაქვნია, ხელად ამოგაკეთეს.

— არ გკერა! — გამწარდა, მერე ჩემს პასუხსაც არ დაელოდა. წამოიტა და სახლში გაიქცა. კარგი სისულელეები იქნება, გავიფიქრე. ჭიკოს რომ სცოდნოდა, მაშინ ენახათ რა მოხდებოდა? მალე დაბრუნდა. უბის წიგნაკი გამოიტანა...

პირველი ლექსი რომ წაიკითხა, ელავდა, ხმა უწყდებოდა. მივხვდი, ისეთი რაღაც გამანდო, რაც ეველაფერზე მეტად მიაჩნდა. თანდათან გათამამდა, ხელებს ზლიდა და ხმამაღლა გაპუყეროდა. ასე უფრო მომეწონა, უფრო იგრძნობოდა პირველეოფილი მიმზიდველობა. ლექსები მოუწონეთ და გაუმართავი იყო, მაგრამ რაღაცნაირი ძალით გიტაცებდა, სიმხნევით გავსებდა. ჩემდა უნებურად მთელი გულისყურით ვუსმენდი. საოცარი იყო ეირაფა, ამოწოლილებულ ცის ფონზე მკვეთრად გამოკვეთილი. ამაყი, შეუღრეკელი, დაუოკებელი ეინით შეპყრობილი. შევცქეროდი და რაკმლაც სიძულვილს ვგრძნობდი, თან მრცხვენოდა, მრცხვენოდა ჩემი უბადრუკი არსებობისა...

იმ დამეს ვვიან დავიძინე, დიდხანს ვწრიალებდი ლოგინში. ოთახის სიბნელეში ეირაფას ვხედავდი. ყოველ კუნჭულში ჩასაფრებულიყო. მდევნიდა, ვერა და ვერ მოვიშორე. სადღაც საათი რეკავდა, შუაღამის საათი. მარტოობას ვგრძნობდი — ტკივილივით მწვავე იყო, როგორც არსებობა...

ღილით სკოლისკენ მარტო გავწიე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოთოლცვენა ოლოლების ტყეში

უდაბნოში წყლის მონატრება და მერე პოვნა, სიცოცხლის ზეიმს ჰგავდა. მართლაც და, ქარებით გადაგვალ უდაბნოში იგრძნო თავი ბეგამ, როცა გადაბეგნილ და ზემოდან ნაცარგადაყრილ ბანზე შეიდა შიშველი ფეხი. ბანი ვრცელი იყო, ერთგან კი, როგორც თიხის ბომონნი, მოჩანდა საკვამური— თითქოსდა მიწიდან ნახეკრად ამოწეული ქვევრი.

ქვევრის თავი ედგა საკვამურად ტახა ბებოს დარბაზის ბანს.

ხის ჯიხუნი გადამჯდარი ბიჭი უდაბნოში მოგზაურობდა, ქარებით გადასილავებულ დიუნებზე მიათოხარიკებდა აქლემს, წყურვილით შეღონებული მოგზაური ქვევრის პირთან მიიკრა, რაკი ჭა ეგონა და ზედ გადაემხო. ალბათ ელოდა, სილრმიდან მომზირალ კაბკაბა წყაროსთვალს დაინახავდა, მაგრამ სულ სხვა რამ იხილა:

დაბლა, სადღაც ზორს, შავთავშლიანი დედაკაცი ტრიალებდა შუა ცეცხლთან. ცოტა ოქით დარბაზის კედელი მოჩანდა — ფერადი განჯინა და მის გვერდით კრიალა ჭურჭლით სავსე თარო. თაროსთან გოგონა იდგა და ბარზე გადაკიდული ტილოთი ქაშანურის ჯამს წმენდდა.

—თეთნუ! — გასძახა დედაკაცმა გოგოს.

გოგონამ თავი ასწია და რატომღაც მაღლით მომზირალ ბიჭს შეხედა.

იქნებთ მოსატყვლი მხიარული ჩითის კაბა ეცვა თეთნუს, კაბის კალთა და შიშველი კანჭები წყლით ჰქონდა მოწუწული, სუსტ მხრებზე დაყრილ ოდნავ მხვიარა თმაში წყლის წვეთებთან ერთად ოქროც ერია.

— თეთნუ!...

უდაბნოში წყლის პოვნაზე მეტი იყო მისი ხილვა სულ პირველად...

ბეგას გამოეკვიძა. მოეყურა თუ მართლა, ვილაც ეძახდა უკუნეთი ღამიდან. თვალი გაახილა და ძლივს მიხვდა, სად აოვედა ღამეს.

„როდის აქეთ გახდა უცხო ჩემთვის მამისეული კერა?“ — გაუკვირდა.

ღამის სანათის მკრთალ შუქში ბუნდოვნად მოჩანდა საგნები: ძველებური კომოდი, შიფონერი, ლიმის ფეხებიანი მძიმე მაგიდა, კედლებზე გაკრული, დელის ახალგაზრდობის დროინდელი, პრიმიტიული ნაკარგობანი...

ბეგამ მერიდა შენიშნა მამა: საწოლზე წამომჯდარიყო და ჩიცმას ამირებდა. ღილ-კილო შემოძარცვული დაკემსილი პერანგი ეცვა. ასაკს ერთთან დაეთრთვილა: თმაც და ა ჯაგრული გულ-მკერდი თანაბრად გასთეთრებოდა.

— ამ უთენია, რამ აგაყენა, კაცო? — გასძახა ბეგამ და ოდაყუზე წამოწია.

— ძილი გამიფრთხა. შუადამის შემდეგ ასე ვზიავარ ყარყუმივითა. ვიფიქრე, გაღმა მინც გავიარენ-მეთქი, წერაქვი დამრჩა გუშინ, — ნელი იცვამდა.

ბეგა ისევ მიწვა, თვალები დახუჭა და სიზმრის გაგრძელება სცადა, მაგრამ ადარ გაეკარა ძილი. იწვა და ისევ თეთნუზე ფიქრობდა. მივიწყებული ამბების გახსენება რაღაცით ჰგავდა სიზმარს...

ბეგა და თეთნუ მდინარისპირა სილაზე ლამაზ სახლს ხატავდნენ. უფრო სწორედ, ბეგა ხატავდა ცად ასულ შუქიან სასახლეს, თეთნუ ოთახებს ალაგებდა და მაღალი ფანჯრების რაფებზე ქოთანში ნახარეს ყვავილებს დგამდა...

ეს იყო ყველაზე მზიანი დღე.

წვიმიანი დღეც გიახლენა ბეგას...

ბიჭი შუაცეცხლთან იჯდა ბებოს გვერდით და მაღლა წასულ კვამლის ფარტენებში ის ლამაზი სახლი ელანდებოდა, მაგრამ მაღლა ზანტად მიმავალი კვამლი საკვამურს ეხებოდა და წამიერად ჩკარავდა ფორმას...

და სწორედ ამ დროს ჩამოიხედა გოგიმ ცით განათებული საკვამურიდან.

ანაზდად შეირხა ძველი დარბაზის ჭერი, გოგონამ იიცვა და ძირს წამოვიდა ნამწლვლევად ერთად...

— თეთნუ! — იყვირა ბეგამ და შეაცეცხლთან ჩამოშვაებულ ნანგრევს ეცა...

მამის ხმამ გამოიყვანა ფიქრებიდან.

— ბეგო, შვილო, დაბლა არ ჩამოხვალ? გათენდა უკვე.

ბეგა მიისურისამარა გავიდა აივანზე და ცას გახედა — ხოსანისფერი დაჭკრავდა ღრუბლიან აღმოსავლეთს. მზეს ელოდნენ ბათოვზე მონბივრე ფერადი გოგრები: დალაშშოლულნი, ყვითელნი, მეტეპიანები თუ ზოლიანები, კაბკაბა თეთრები და კუპრავით შავები. მათ დანახვაზე მაშინვე ძველი სათონე გაახსენდა ბეგას... საახალწლოდ შემწყარი დიდი გოგრა სუფრის მშვენებად ითვლებოდა მაშინ.

იაკობინელებმა ლუკიანეს ტექსტში საკუთარი ვულისწადილი ამოიკითხეს და ეს ლუკიანეს (ისევე როგორც მეორე შემთხვევაში — მორწმენს!) კი არ ამცირებს, არამედ მის ნაწარმოების უკეთდაფაზეზე მეტყველებს, რაც გამოიხატება იმვიათ უნარში — მისცეს ყველას მისი საკადრისი სულიერი საზრდო, გაეუნწილოს თავის წიაღში დანთქმული სიმდიდრე, გაალვიოს და წაათამამოს მასთან ნაზიარები ადამიანის შემოქმედებითი ინიციატივა, რათა, თუ პასკალის განიცლერ სენტენციას ისევ გამოვიყენებთ, ყველამ თავის პიროვნებაში ღმერთიჩინს მონტენი.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ იაკობინელები სრულებითაც არ ცდებოდნენ, როცა ლუკიანეს სიტყვებს ასე კითხულობდნენ. ყოველი სიტყვის წიაღში ცხოვრობს მეორე სიტყვა, უფრო სწორად — მეორე მნიშვნელობა ამ სიტყვისა, რომელიც, სავარაუდებელია, თვითონ ავტორმაც კი, არ იცოდეს. თუნდაც, მხოლოდ და მხოლოდ, იმიტომ, რომ წერის დროს ამაზე არ ფიქრობდა. სიტყვა კი ხესავით იზრდება და თავის ჭეშმარიტ არსს თანდათანობით აჩენს.

ასე რომ, არაკინ არ არის დაზღვეული, ნაწარმოების კითხვისას, იაკობინელების როლში ამმოჩნდეს, მაგრამ ეს არც ისე სამარცხვინოა, გაცილებით მიღებლად მიმაჩნია ის ფაქტი, რომ ერთი ან ორი მეცნიერის მიერ ოდესღაც წაკითხული ტექსტი, ოდესღაც გამონანილი მსგავსი ნაწარმოებზე, დღემდე ბა-

ტორობს ჩვენს ლიტერატურაში, როგორც შეურყეველი, კანონზომიერული დოგმა.

„შუშანიკის წამება“ ამ ფრაზით იწყება: „და აწ დამტკიცებულად გითხრა თქუენ ალსასრული წმიდისა და სანატრელისა შუშანიკისი“. სწორედ ამ ფრაზას ზოგიერთი ჩვენს თვალსაჩინო მკვლევარს აფიქრებინა, ტექსტი ჩვენამდე არასრული სახით არის მიღწეული. ამ ბოლო ლრის ასეთი შეხედულება კიდევ ერთხელ გამოთქვა აკადემიკოსმა ალექსანდრე ბარამიძემ სტატიაში „ათასხუთასი წლის მეგლი“, (ლიტერატურული საქართველო, 16 ივლისი, 1976 წელი).

აკადემიკოსი წერს: „ტექსტი ჩვენამდე ნაკლულად არის მიღწეული. თხრობა იწყება მოულოდნელი განცხადებით: „და აწ (ახლა) დამტკიცებულად გითხრა თქუენ ალსასრული წმიდისა და სანატრელისა შუშანიკისი“. მასასადამე, შემორჩენილია თხზულების ის ნაწილი, სადაც გადმოცემულია შუშანიკის ალსასრული ამბავი. ალრე კი ტექსტი უფრო სრული უნდა ყოფილიყო. ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ ცოტათი ქვემით იკითხება, შუშანიკი იყოო „მოშიში ღმერთისა, ეითარცა იგი ეთქუთო, სიყრმითგანან თვისითა“. შუშანიკის სიყრმის თაობაზე კი ტექსტის გადარჩენილ ნაწილში არაფერია თქმული“.

ასეთი შეხედულება ბუნებრივად გამომდინარობს აკადემიკოს ა. ბარამიძის მეორე მოსაზრებიდან, რომლის მიხედვით „შუშანიკი“ „მხატვრულ-ბიოგრაფიულ ხასიათის ნაწარმოებად“ არის მიჩნეული. ბიოგრაფია კი, რასაკვირველია, მოითხოვს ამბის დასაწყისსა და დასასრულს.

ამ შემოხეცვაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, რომ „შუშანიკი“ „წამებაა“ და არა „ცხოვრება“.

თუ ტექსტს კარგად დავაკვირდებთ, თუ გავითვალისწინებთ იაკობის სტილის თავისებურებას, მისი წერის მანერას, დავრწმუნდებით, რომ ასეთი დასაწყისი ბუნებრივია „წამებისათვის“. იაკობ ცურტაველისათვის ხომ ამბის ძირითადი მოვლენა საინტერესო, ყველაზე დაძაბული ლრამატული კვანძები. მისთვის საინტერესოა არა საერთოდ ლროს სიგრძე, რომელშიაც განფენილია ამბავი, არამედ, სპორტული ტერმინი რომ ვიხმაროთ — „სუფთა ლრო“.

იაკობი ისე თავისებურად გადადის ერთი სიტუაციიდან მეორეზე, რომ ზოგმა შეიძლება იფიქროს — ტექსტს არა მარტო დასაწყისში, სხვანაგაც აკლია რაღაცაა. მოვიყვან ორ მაგალითს: როდესაც ვარსქენი სპარსეთიდან დაბრუნდება, მეორე ლღესვე („და ხვალსა ღღე ვითარ ალღგა პიტიახშიმ“) მოიხმობს თავისთან ხუცებს, მათ შორის იაკობსაც, და აი რას ეტყვის: „აწ ნუ რას მერიდებით მე და ნუ ეგზავ“. დამეთანხმებით, რომ „ეგზავ“ სავსებით მოულოდნელია ჩვენეული ტექსტის კაკლიკენ. საქმე ის არის, რომ ჩვენ (და არც არავინ) არ ვიცით, რა მოხდა იმ ღიღეთ პიტიახშის სასახლეში, რაზე მორიდნენ ვარსქენი და ხუცები (რაღაცაზე კი ნამდვილად მორიდდნენ. მორიდნენ თუ შეთანხმდნენ), მაგრამ ამჟამად სხვა რამ გვაინტერესებს:

ვარსქენი ხუცებს უბრალო მიერიკენთან გაგზავნის შუშანიკთან, დაარწმუნეთ, შინ დაბრუნდესო. ტექსტში გამოოვებულია მეფეი ამბავი ხუცების წამოსვლისა, შუშანიკთან მასელისა, ამბის გადაცემისა, რასაც რომელმე (განსაკუთრებით ღღევანდელი) ბელეტრისტი მეფე თავს დაუთმობდა. აქ კი — „წამებაში“ — ვარსქენის სიტყვების მერე პირდაპირ შუშანიკის პასუხი მოდის: „...და თუ მრავალი ტანჯვი მოაწოო ჩემ ზედა, მე არ ვეზიარო საქმეთა შენთა“.

მეორე მაგალითი ზუსტადაა აღნიშნული ნიკოლოზ ჯანაშიას საყურადღებო ნაშრომში: „შუშანიკის წამების“ ანტონისეული რედაქცია („მრავალთავი“ 4. გამომც: „მეცნიერება“, თბილისი, 1975 წ.). მე მხოლოდ ერთხელ კიდევ დიდი სიამოვნებით გავიხსენებ ამ უბრწყინვალეს პასაჟს: ხუცებისაგან შუშანიკის პასუხს რომ მოიტანენ („ხოლო ჩუენ ესე ყოველი მიეთხართ პიტიახშსა“), ვარსქენი შუშანიკთან ახლა თავის ძმას, რძალსა და ეპისკოპოს აფოცს გაავზავნის და აქ იწყება ერთ-ერთი შესანიშნავი ადგილი რომანისა, რომელსაც, თავს ნებას მივცემ და მთლიანად მოვიყვან:

„და ვითარ მიიწიეს და შეეიღეს წინაშე დედოფლისა და მრავალსა დასაჯერებელსა სიტყუასა ეტყოფეს მას, მაშინ წმიდამან შუშანიკ ჰრქუა მათ: „აღცანო ბრძენნო, თქუენ კეთილად იტყვეთ, გარნა ნუ დაჯერებიეს, თუმცა მე მაჩი ცოლადღა ეოყავ. მეგონა მე, ვითარემედ იგი ჩემდა მოვაქცეო და ღმერთი ეშმარტი აღიაროს და აწ მე მიძეძულებთ ამა ყოფოდ? ნუ იყოფენ ესე ჩემდა! და შენ, ჯოჯოგ, არღარა ჩემი მაზლი ხარ, და არცადა მე შენი ძმის ცოლი, არცა ცოლი შენი დაა ჩემი არს, რომელნი მის კერძო და მისთა საქმეთა ზიარ ხართ. „ჰრქუა მას ჯოჯოგ: „უწყი მე, აწ მოალენნეს მსაზარნი და თრეკეთო წარგიგუანოს შენ“. ხოლო წმიდამან შუშანიკ ჰრქუა: „უკუეთუ შემკრსა და მითრიოს, მიხარის, რამეთუ მით სახითა იყოს განნინებაი ჩემი მოსვან“.

და ვითარცა ესმა ესე მისგან, ცრემლოოდეს ყოველნი. და ჯოჯოგ ადგა და ცრემლით გარე განეიდა. ხოლო წმიდამან შუშანიკ ჰრქუა ეპისკოპოსსა: „ვითარ მეტყვი მე დაჯერებად

ჩემდა, რამეთუ მან ლმერთი უვარ-ყო?! “ ხოლო ჯოჯოგეთსა ეეედრებოდა და ეტყოდა: „ღაი ჩუენი ხარ შენ, ნუ წარსცემდ სახლსა ამას სადღეოფლოსა“. ჰრქუა მას წმიდამან შუშანე: „უწყი, ვითარმედ ღაი ვარ და ეროვნან განჩრდილნი, ხოლო მოგას ვერ ეპყოფ, ვითარცა მოსისაწესებიან იქმნა, და თქუენ ყოველნი თანამფლან იქმენითნ“.

ამ პატარა მონაკვეთში უამრავი მეტად საინტერესო დეტალი და ნიუანსია, თუნდაც ის რად ღირს, რომ ეპისკოპოსი ავოცი ცდილობს დაარწმუნოს შუშანეი — ურჯულო ქმართან დაბრუნდეო, ამიტომაცაა გაკვირვებული შუშანეი, შენ მაინც როგორ მეუბნები ამასო. ყველაფერი ეს კარგად აქვს შენიშნული ნიკოლოზ ჯანაშიას, რომელიც ჩვენთვის ამკიმად საინტერესო საკითხსაც ეხება და ამბობს: „როგორც ვხედავთ, იაკობი ჯერ ამბობს, ცრემლმოღვრეულ ჯოჯოგი გარეთ გავიდოო, შემდეგ კი ისე ჩაჩთავს მას საუბარში, რომ სპეციალურად არ აღნიშნავს მის უკან შემობრუნებას“. და დასძენს: „ჩვენთვის ეს შმევნიერი მადალითია იაკობის გასოფლური ოსტატობისაო“.

დიახ, ეს მწერლის ოსტატობის დამამტკიცებელია და არა ის, რომ ტექსტი ჩვენამდე „ნაკლულადაა“ მოღწეული. ასეთი ხერხი თანამედროვე პოეტურ პროზაში თითქმის ჩვეულებრივ მოვლენადაა ქცეული, მაგრამ მისი არსებობა უძველესი ქართული პროზის ძეგლში, მხოლოდ ავტორის გენიალურობაზე მეტყველებს. აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე წერს: „შეიძლება უფრო ახლოს ვიქნეთ სიმპათოლესთან, თუ ვიფიქრებთ, რომ იაკობს დაწერილი ჰქონდა რაღაც ისტორიული ზრთა, რომელშიც შუშანეის შესახებ გაკვრით იყო ლაპარაკი. ისე როგორც გაკვრით იხსენიებს მას მეტბარნე“. („ქართული ლიტერატურის ისტორია“, ტ. 1, აკადემიის გამომცემლობა, 1954 წ.). ასე, მართლაც „შეიძლება უფრო ახლოს ვიქნეთ სიმპათოლესთან“.

ახლა, რაც შეეხება ფრაზას „ვითარცა იგი ეოქუთ“! სხვათაშორის, ანტონმა, ამ ტექსტის ერთ-ერთმა რედაქტორმა, ეს ფრაზა ამოიღო, რადგან გრძნობდა, რომ ტექსტს კლებით ამფერი აკლდა, ზედმეტი, ჩამატებული ფრაზა კი ბევრი იყო (იხ. ნ. ჯანაშიას დასახელებული ნაშრომში).

იაკობ ცურტაველი აღზრდილია წინაქრისტიანული ქართული ლიტერატურის ტრადიციებზე. ის ისე თავისუფლად ფლობს მასალას (ეგულისხმობ ფაქტის გადმოცემის ხარისხს), რომ მას უსათუოდ გაელილი აქვს მეტად საინტერესო სკოლა მწერლობისა, რომელიც საგრძნობლად განსხვავდება ბიზანტიური საეკლესიო მწერლობის სკოლისაგან, ამიტომაცაა, რომ ამ ფაქტის გაეთვალისწინებლობამ ჩვენ მიგვიყვანა ნაირთოდ აგიოგრაფიული მწერლობის წინაადმდეგ გალაშქრებამდე, იმაზე კი არ ვიფიქრეთ, რომ ეს ნაწარმოები (და არა მარტო ეს!) ეკუთვნის მსოფლიოდ ავტორიტეტულ მწერლობის ქართულ ფრთას, მაღალ ორიგინალურსა და, შეიძლება ითქვას, უნიკალურ მოდელსა.

ალნი კი არ ქმნის მწერალს (თუმცა გარკვეულად მოქმედებს მასზე), არამედ მწერალი ქმნის მნიშვნელოვნად ამა თუ ამ ალნის. ამიტომაც არ შეიძლება ალნის კულტად ქცევა. ამის თაობაზე მეტად საინტერესოა სტატია გამოაქვეყნა ენობილმა მწერალმა ვახტანგ ჭელიძემ „ჩარჩოები“ (იხ. „ვაზი „ლიტერატურული საქართველო“, № 23, 1976 წ.).

რასაკვირველია, კატეგორიულად არ შეიძლება ითქვას, რომ „შუშანეის წამება“ აგიოგრაფიული ალნის ყველა ნიშნის ატარებს (როგორც ქვემოთ დავინახავთ, არც შეიძლება, ასე რომ ყოფილიყო), მაგრამ იმის უარყოფა, რომ მასზე ამ ალნის გარკვეულად არ იმოქმედა, უფო მეტიც, ვთქვათ, რომ ის ამ ალნის არ ეკუთვნის, იგივეა, რომ უარეყოთ, საერთოდ, ამ ალნის მნიშვნელობა. ეს კი, თავის მხრივ, იქნებოდა მეტად მაქსიმალისტური მიდგომა საკითხისადმი.

პატივცემული ვ. ჭელიძე თავის სტატიაში გადმოგვცემს აგიოგრაფიული მწერლობის „ტიპიური ნიმუშის“ (მოთხრობა წმინდა ალექსეზე) მოკლე შინაარსს.

ჩვენ არავითარი უფლება არა გვაქვს, არ ვერწმუნეთო პატივცემულ მწერალს, რომ „შუშანიკი“ მხატვრული ღირსებებით გაცილებით მაღლა დგას, ვიდრე „წმინდა ალექსის ცხოვრება“. მაგრამ ეს უფრო პრინციპული საკითხი ჩნდება: მხოლოდ იმის გამო, რომ ძნინი მხატვრული ღირსებებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, შეგვიძლია მათი სხვადასხვა ალნრისადმი მიკუთვნება? უფრო სავარაუდებელია, რომ ამ შემთხვევაში ხელთ გვაქვს ერთი ალნრის ორი, არათანაბარი ღირსების ნაწარმოები. აქ სამე ტალანტის ხარისხს უფრო ეხება, ვიდრე ალნრს.

მაგრამ ხუთე მარადისი ასეთი უფერული ნაწარმოებია „ალექსის ცხოვრება?“ ვახტანგ ჭელიძე ასე გვიყვება წმინდა ალექსის, ამბავს: „დიდი ხნის წარწყალის შემდეგ ალექსი რომში დაბრუნდა და უბადრუკ ადამიანს მამის სახლში შეიგრძოდენენ. რაღა თქმა უნდა, მას ვეღარავინ იცნობს. ჩვიდეტი წელი გაატარა ალექსმ მამის სახლში — მოთმინებით იტანდა თავისივე მსახურებისგან უკიდურეს დამცირებას, შეურაცხყოფას...“ აქედან ხომ ის დასკვნაც შეიძლება გამოვიტანოთ, რომ ეს ალექსი მეტად სინტერესო, ძლიერი და ნიჭიერი კაცი ყოფილა. იყო, იქნებოდა ჩვიდეტი წელი მახლობლებს შორის და ვერ გიცნონ,

ვერ შეგამჩნიონ, ეს არც ისე უბრალო რამ არის. ეუნებლეგო გვახსენებენ ოდისეასი, რომელიც ასევე ცხოვრობდა მახლობლების შორის შეუმჩნეველად, ოღონდ გაციცდით ეოტა ხანს და, რასაკვირველია, სხვა მიზნით. ოდისეუსს კი „მოკვდავთა შორის უკეკვანესს“ ეძახდნენ.

მართალი ბრძანდება ვახტანგ ჯეელიძე, როცა წერს: „ადამ დაყენება არ იქნება, ბაბის გენიალური ქმნილებანი, თუნდაც ბეთჰოვენის მესაცხი — მხოლოდ იმის გამო, რომ სიფუძვლად ლტტურგიის ტექსტები უდგეთ, — საყოლტოსაეკლესიო მუსიკის ჟანრის ვიწრო ჩარჩოში მოვამწყვდიოთ და მისში თავისუფალი ადამიანის უმაღლესი იდეალებისაკენ სწრაფვის საგალობელი ვერ შეენიშნოთ“? ამასთანავე, თუკი მათ გენიალურობას შეუმჩნევთ, თუ გიგრძნობთ „თავისუფალი ადამიანის უმაღლესი იდეალებისაკენ სწრაფვას“, ეს ხომ იმას ნიშნავს, იმის ალიარებაა, რომ ამ ჟანრის ჩარჩოებშიც შეიძლება შეიქმნას „ადამიანის უმაღლესი იდეალებისაკენ სწრაფვის საგალობელი“.

კაცობრიობის მოძრაობა მომავლისაკენ, მისი ინტელექტის დიადი მდინარება რთული და მრავალმხრივი. ჩვენი დიდი მხატვარი ლადო გუდიაშვილი თავის „მოგონებების წიგნში“ წერს: „ადამიანი წარსულისაკენ ხშირად იმიტომ იხედება, რომ სწორად იქ უნდა დაინახოს ის სხვი, მის ამქვეყნიერ ცხოვრებას მომავალთან რომ დაკავშირებს.“ ჩვენ შეგვძლია (და გავკუთხო კიდეც) ჩვენი საქმიანობისაგან სრულიად განსხვავებულ სფეროში ალმოვაჩინოთ ჩვენთვის ხელსაყრელი, გამოსადეგი, სადღეისო თუ ხვალის პრობლემებისთვის უეცლებელი მაგალითები. გავიხსენოთ წარსულის დიდი გაკვეთილები ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროდან. აგიოგრაფიაში კი, მარალიც, ეისოკიანი მაგალითები ადამიანური სიმტკიცის, ნებისყოფის და, რაც მთავარია, სხვების ნაცვლად წამების ატანის, სხვებისთვის თავის გაწირვისა. აქ ისიც არის ზნეშეფენელობანი, რომ ჩვენ ვხედავთ ერთი ადამიანის დაუშრეტელ ენერგიას, ერთი ადამიანის უნარს, ერთი ადამიანის ძალას, რომელიც ბევრისა და ბევრის მაგვრად უპირისპირებას ბოროტებას. და თუ ჩვენ ღღეს მის ქმედებას ჩამოვაშორებთ რელიგიურ-მისტიკურ საბურველს, ხელი შეგვიწვეს ცოცხალი გაკვეთილი ადამიანის სულის სასიკეთო ძალისმგებელია.

ვიცით რა, რომ ყოველი დიდი ეზრი ტანჯვით იბადება, ლტტაცებულნი ვართ რა დიდი პოეტებისა და ფილოსოფოსების ნაწარმოებებით, მაინც ჩვენს შორის ძნელად მოიძებნება ვინმე, მათი ბიბადი ზეედრის გაზიარების მომხრე რომ ყოფილიყო. მაგრამ ადამიანის ქმედებას, ეზრს ერთი თვისება აქვს — ყველას მეტუფნის ყველანაი!

აგიოგრაფიული მაგალითები, რასაკვირველია, წვეთია კაცობრიობის სიურთო ცხოვრების ოკეანეში, რაც თავისთავად სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენი ცხოვრებიდან დამამსახურის, არც ისინი უნდა დავგიიწყდეს, როდესაც სრულიად განსხვავებულ (მაგრამ მაინც მონათესავეს!) შემთხვევებს ვიხსენებთ ადამიანის საქმიანობის სრულიად სხვა სფეროებიდან. დამბრწყინებიათ, ძნელი სათქმელია სოკრატეს უკანასკნელი სიტყვები: „თუმცა უკვე დროა წავიდეთ: მე რათა მოვკვდე, ოქვენ — რათა იცოცხლოთ“! მაგრამ ეს სიტყვები მთელი კაცობრიობის ამონათვალებია, მთელი კაცობრიობის ღირსებაზე მეტყველებს. ამერიკელმა კოსმონავტმა ნილ არმსტრონგმა თქვა: „მთვარეზე პატარა ნაბიჯი ადამიანისა — მთელი კაცობრიობის გიგანტური ნახტომიაო“.

საქმე ის არის, რომ ქართული აგიოგრაფიული მწერლობა ძალიან, ანდა საგრძნობლად მაინც, განსხვავდებოდა ბიზანტიური აგიოგრაფიული მწერლობისაგან. ამ შემთხვევაში ერთეული მწერლობის ტრადიციებმა (რომლებიც უთუოდ ძლიერი იყო) თითქმის გადამწყვეტი როლი თამაშა და ჩვენ მიეიღეთ თვისობრივად ახალი, სრულიად თვითმყოფადი აგიოგრაფიული მწერლობა (ამითაც ახსნება ღღეს სხვა და სხვა ქვეყნების მეცნიერების ასეთი დიდი ინტერესი მისადმი). თუ ბიზანტიურ აგიოგრაფიულ მწერლობაში ბელეტრისტიკას ჯარბობს (ანდა მიღრეკილება აქვს ბელეტრისტიკისაკენ), ქართული აგიოგრაფიული მწერლობა პოეზიის სამფლობელოა, აქ პოეზია ბრძანდებოდა, სწორედ ეს გახლავთ მისი მრავალფეროვნების საფუძველი. დიდი ილია ამბობდა: „როგორც ცალკე კაცის გული, ისე გული ერისა ბევრში სხვა ცალკე ერის გულს არა ჰგავს. ამის გამო ჯელისთქმაც, გულის გამოტეტყველებაც სულ სხვა არის ხოლმე და ყოველ ერს თავისი ყილო, თავისი ჰანგი აქვს ამ სხვადასხვაობისათვისაო“.

თანამედროვე კულტურული მსოფლიო ჩვენს აგიოგრაფიულსა თუ ჰიმნოგრაფიულ მწერლობას სამართლიანად თვლის ქრისტიანული რელიგიისთან დაკავშირებული ლტრეული მოცულობის ამსახველ, შესანიშნავი ნიმუშებით მდიდარ მწერლობად, რაც მეტყველებს ჩვენი ერის იმდროინდელ მეტად მაღალ კულტურულ დონეზე.

ნიკოლოზ ჯანაშია ნარკვევში „შუშანიკის წამების“ ანტონისეული რედაქცია“ წერს: იმის მიხედვით, თუ რა დაუმატა, რა დააკლო, ან რა შეცვალა ანტონმა „წამებაში“, შეგვიძლია ვიმსჯელოთ, თუ რა აკლდა, ან რა არ სჯიროდა მას, როგორც აგიოგრაფიულ ნაწარმოებს ანტონის თვალსაზრისით“. დაწერილებით იხილოს რა ამ ცვლილებებს, რომელიც შეუტანია ანტონს „წამების“ ტექსტში,

მგალობელი დასაბეჭდნი: „სწორედ ის ცვლილებები, რომლებიც შეუტანია ანტონს, რათა აგიოგრაფიული ენაჩის ფარგლებში მოექცია იაკობის თხზულება, გვიჩვენებს, როგორ სცილდება ეს უკანასკნელი ალნშნულ ენაჩს და როგორ ჩეშმარტსად მაღალი ლიტერატურული ღირსება აქვს მას". უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ნარკვევში ნიკოლოზ ჯანაშიაც საეჭვოდ მიიჩნევს აგიოგრაფიული ენაჩის ლიტერატურულ შესაძლებლობებს.

თუ კარგად შევისწავლით ამ ცვლილებებს, რომლებიც ანტონს „წამების" ტექსტში შეუტანია („ბუნთა შრომა ძალიან მოგვაგონებს X ს. ბიზანტიელი მწერლის სვიმონ მეტაფრასტის საქმიანობას), დავინახავთ, რომ ანტონს (ერთერთ პირველთაგანს ჩვენს ლიტერატურაში!) შეუმჩნევია, რომ ეს გენიალური ნაწარმოებია და რომ ეს გენიალური ნაწარმოები აშკარად აგიოგრაფიული ენაჩის მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს, ანდა უფრო სწორად, აგიოგრაფიული ენაჩის მოთხოვნებს ბრმად არ მისდევს. კათალიკოსმა ალბათ იგრძნო, რომ რომელიმე ლიტერატურული მიმდინარეობის ტიპიური ნიშნები უფრო მომდევნო მწერლობის ნაწარმოებში უნდა ვეძებნოთ, ვიდრე ამ მიმდინარეობის დამწყების შემოქმედებაში." პროფესორნალი ლიტერატორის ალღოს სწორ დასკვნამდე მიიყვანა ანტონი, მაგრამ ის მაინც შეცდა, როცა მიმდინარეობის მამამთავრის ნაწარმოებშიც ამ ტიპიური ნიშნების გადმოტანას შეეცადა.

მე ამჟამად არ მაინტერესებს არც იმის განსჯა, რამდენად მართალი იყო კათალიკოსი (საერთოდ, იღვოლიციური ბრძოლის ისტორიამ ბევრი მასზე ღიღი ინტერპოლატორის სახელი იცის), არც მისი შრომის შეფერვა, ოღონდ ის ფაქტი კი საყურადღებოა, რომ, როგორც ეს ალნშნული აქვს ნიკოლოზ ჯანაშის, ანტონმა, არსებითად, პირველმა წაიკითხა „შუშანეკი" ისე, როგორც ამ ნაწარმოებს ეკადრებოდა, მან პირველმა შეამჩნია ამ წიგნის ადამიანური ხასიათი. ანტონმა დაინახა გასაოცარი სიბაზე იქ, სადაც სხვები მხოლოდ სიმკაცრეს ხედავდნენ, დაინახა ცრემლის ოქნი ღიმილი და ღიმილის ოქნი ცრემლი. იხილა მრისხანების ჯაჭვაშში შემაღული სითნეები და სიკეთის ლეჩაქით თავდახურული მზაკვრობა.

ანტონმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა ძველსაქელი სიბრძნე, რომ რასაც ებრძვი, კარგად უნდა იცოდე და გესმოდეს კიდეც. სტრაქონები, რომლისაც ანტონი შლიდა და ასწორებდა, გვიჩვენებს და წარმოგვიდგენს ორი პირნენების — მწერლისა და მისი რედაქტორის — შეხვედრის მეტად მნიშვნელოვან მომენტს, გვიჩვენებს რა ერთის გენიალურობას, ალნშნავს მეორის უნარს ამ გენიალურობის შეცნობისას. თუკი გავითვალისწინებთ ანტონის ბრწყინავს, მის რელიგიურ სიმტკიცეს და მის ორთოდოქსალურ დამოკიდებულებას მწერლობისადმი, ეს მართლაც საყურადღებო ფაქტია ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში.

ალსანშნავია, რომ ანტონი უფრაფრაფ ფალ-ა ნიკოლოზ ჯანაშვილსა და ლეტარტს ამბობენ. ამავე დროს, ძალზე სათნტერესოა და საკვირველიც კი ამ ეკლესიის მამისაგან ადამიანთა ენებიდის სალრმეთა ასეთი ცოდნა, ამ ენებათა ლაბირინთების საიდუმლოებათა ასეთი წვდომა.

ანტონმა დაამტკიცა: მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე ნაკლებად ალენნდა აგიოგრაფიული მწერლობის ნიშნებს, ეკლესიისთვის სასურველი იყო, სწორედ „შუშანეკის წამება" ყოფილიყო აგიოგრაფიული ნაწარმოები. მართლ იმიტომ კი არა, რომ ეკლესიას ეწყოდა გენიალური ნაწარმოებნი თავის ბალიდან ეტქვა, არამედ იმიტომაც, რომ ასეთი სურვილის საფუძველს თვითონ ნაწარმოებიც იძლეოდა! ამ ნაწარმოებში, მართალია, სრულიად ვანსხვავებულად და, მე ვიტყოდი — ახლებურად, მაინც იდგა წმინდანობის პრობლემა. და თუ წმინდანსა და მის ჯალათს ერთმანეთი ბოლომდე უყვარდათ, ანდა, ყოველ შემთხვევაში, აშკარად ებრალებოდათ (რის კვალსაც ანტონი დაენდობოდა ზეიდან), ეს კიდევ არ იყო საკმარისი საფუძველი იმისათვის, რომ ეკლესიას მასზე სულ ჩაეშალა ხელი და ეთქვა: „ამალოდ დაშვრაო", იქე, როგორც ეს რუსთაველმა მიმართ თქვა.

გენიის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი სითამამეა. სწორედ ეს ანსხვავებს იაკობს სხვა აგიოგრაფებისაგან, რის გაუთვალისწინებლობამაც, ჩემი აზრით, ზოგიერთ მეტად სერიოზულ ლიტერატურს აფეკრენინა, „წამება" აგიოგრაფიულ მწერლობას არ ეკუთვნისო. უნდა ითქვას, ეს სრულებითაც არ არის მოულოდნელი, იმდენად აშკარაა ამ ნაწარმოებში აგიოგრაფიული მწერლობისათვის სავალდებულო კანონების რღვევა. მაგრამ ამ საკითხს მეორე მხარეც აქვს: არცეეედა რა იმდროინდელ ქრისტიანულ სამყაროში ყველა მწერლისთვის სავალდებელო კანონებს აგიოგრაფიისას, იაკობ პარალელურად ქმნნდა ახალს, ქართული აგიოგრაფიული მწერლობისათვის სავალდებელო კანონებს. უპირველეს ყოვლისა კი უარყოფდა ბელეტრისტიკას და ამკვიდრებდა ბიოგრაფიას. მწერლობაში, ისევე როგორც ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში, უარყოფდა მხოლოდ და მხოლოდ მაშინ კარის მნიშვნელოვანი, მაშინ იძენს დიალეტიკურ ხასიათს, რიცა გულისმობს ახლის წარმოშობასა და განვითარებას. ამრიგად, ქართული აგიოგრაფიული მწერლობა თვისობრივად განსხვავდებოდა, ეთქვათ,

თამაზ ჭილაძე

იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება"

ბერძნული ავტორებისგან, აწყვე, ლმბთ, სიმბერი ავტორებისაგანაც, თუმცა ამით სრულებითაც არ მინდა უარყოფ ერთის ან მეორის უუქვეი ღირსებები. ოღონდ ეს კია, მათთან შედარებით, იმდროინდელ ქართულ მწერლობას პირობითად თუ შეიძლება ვუწოდოთ ავტორიფიული, რადგან უამრავი შეხედბის წერტილი აქვს საერო მწერლობასთან, შეხების წერტილი კი არა — თავის თავში შეიცავს როგორც საეკლესიო, ასევე საერო ხასიათის მწერლობას და, ამდენად, ეალიარები რა ქართული ავტორიფიული მწერლობის არსებობას, ვალიარებთ ქართული საერო მწერლობის არსებობასაც. ეს ერთდროული ფაქტია.

ვახტანგ ჭელიძის მდევლარე სტატიამ („ჩარ-ჩოები") ბევრი თანამეგრძნობი გაიჩინა, ბევრს „ჯავლი" და „ბუშენა" გამოაცალეკინა, რაც, თავისთავად, ძალ ღირსებაზე ლაპარაკობს, მაგრამ, ჩემი აზრით, მაინც სადავო უნდა იყოს ამ მეტად საყურადღებო სტატიის ავტორის ის პოზიცია, რომელიც კატეგორიულად უარყოფს ავტორიფიულ ნაწარმოებების მაგალითებზე ღირსებებს. ვახტანგ ჭელიძე წერს: „ავტორიფიული ნაწარმოებების გმირთა ასეთი ზოგადი დახასიათების მიხედვითაც კი შეგვიძლია ვივარაუდოთ ამ ნაწარმოებთა სქემატურობა, ერთფეროვნება და საერთოდ დაბალი მხატვრული დონე". ეს საკმაოდ გავრცელებული შეხედულებაა, როგორც ქართული ავტორიფიის მაგალითზე არ მტკიცდება და, სხვათაშორის, არ მტკიცდება არც ბერძნული ავტორიფიული მწერლობის მაგალითზე. აი, რას წერს ბერძნული ავტორიფიული მწერლობის სპეციალისტი ტატიანა პოპოვა სტატიაში „ანტიფონი ბიოგრაფია და ბიზანტიური ავტორიფია": „კომპოზიციისა და სიუჟეტური მოტივების სქემატურობამ წარმოშვა საერთო გავრცელებული შეხედულება ცხოვრებებზე, როგორც ნაკლებორიგინალურ ნაწარმოებებზე, რომლებსაც, უმრავლეს შემთხვევაში, არ ვაიჩნიათ განსხვავებული მხატვრული ღირსებანი. ასეთი შეხედულების მიდგომა ნათელი გახდება შემდგომში" (იხ. კრებული: «Античность и Византия», М., «Наука»,", 1975).

სტატიის ავტორი, მართლაც, ასრულებს თავის დაპირებას და უამრავი მეტად მეტყველი მაგალითის მოშველიებით წარმოგვიდგენს ბიზანტიური ავტორიფიული ლიტერატურის მაღალმხატვრულ ღირსებებს. ამასთანავე გვარწმუნებს, რომ ბიზანტიელი ავტორიფები არ იყვნენ ამ ჟანრის კანონებით შეზღუდულნი და აბრძოლ: ამაე ჟანრის წიაღში მრავალი მიმდინარეობა არსებობდაო.

უსათუოდ აქვს მნიშვნელობა იმ ნიუანსს, რომ ტ. პოპოვა ლაპარაკობს შედარებით ვეიანდელ ავტორიფიიზე, რომელმაც თავისი კლასიკური, კანონიზირებული, სხვ. მხოლოდ მეექვსე საუკუნეში მიიღო (იხ. ზიმბოგის ფასხელეთელი ნაშრომი). „შუშანიკის ზეცხოვრება" კი მეხუთე საუკუნეში დაიწერა, ამიტომ მას ავტორიფიული მწერლობისათვის საერთო კანონით ვერ მივდგებეთ. მითუმეტეს, რომ ასეთი კანონი, ასეთი საერთო ნიშანი მაშინ, როცა ის იწერებოდა, არც არსებობდა. ის რომ „შუშანიკი" არ ვიფუ, ანდა განსხვავდება სხვა უკვე კანონიზირებული ავტორიფიული ნაწარმოებებისაგან არ ნიშნავს იმას, რომ ამ ჟანრს არ ეკუთვნის. თუ შეიძლება ითქვას, „წამება" ამ მწერლობის მაჭრობის პერიოდის ძეგლია, ამიტომაცაა ძნელი მასში ავტორიფიული ჟანრის კანონთა კარკასის განშეკრეტა, უფრო სწორე ვიქნებინ, თუ კიტყვი, რომ მასში ამ კარკასის მხოლოდ ჩანასახი არსებობს. „შუშანიკი" არა მარტო ბერძნული, სომხური, ან სირიული ავტორიფიული ძეგლებისაგან განსხვავდება, არამედ განსხვავდება მომდევნო ქართული ავტორიფიული ძეგლებისგანაც, მაგრამ ამავე დროს ფაქტია, რომ ის მათი წინამორბედია.

ვახტანგ ჭელიძე წერს: „ურთიერთ კეთილმოყფელი გავლენა, რაღა თქმა უნდა, ჩვეულებრივი მოვლენაა ყველა ქვეყნისა და ხალხის კულტურისათვის. ეს კულტურის ცალკეულ დარგთა განვითარების ბუნებრივი და კანონიერი გზაა. ასეთი სასურველი გავლენით მუდამ მდიდრდება და ვითარდება ამა თუ იმ ხალხის თვითმყოფადი კულტურა".

ცნობილი მთარგმნელი განაგრძობს (სწორედ მთარგმნელობაა ურთიერთ გამდიდრებისა და გავლენის ყველაზე აქტიური და ნაცადი ფორმა!): „ეს სულ სხვა საკითხია, აქ ლაპარაკია იმ კომპოზიციტურ განწყობილებაზე, რომლის ნიმალილაბი პპოოსი გარკვეულ პერიოდში უფალებელყოფდა ყოველგვარ თვითმყოფადს, და უსათუოდ გავლენას ეძიებდა აქ, სადაც აშკარა იყო მისი ალმოცენები ბის ეროვნული ნიადაგი. ალბათ კვლევის ასეთი კომპოზიციტური მეთოდის შედეგად ჩამოყალიბდა და დამკვიდრდა ის მეფარი კოდეფეცია, რომ V-XI საუკუნეებში შექმნილი და ჩვენამდე მოღწეული ყველა ლიტერატურული ძეგლი უსათუოდ ბიგიორგაფიულია... ეს უბრალო მიზეზის გამო, რომ მეზობელი ქვეყნების ლიტერატურაში ამ დროს ბიგიოგრაფიულ ჟანრს ეხლდაფთ... მეთორმეტე საუკუნიდან კი, სპარსული ლიტერატურის გავლენით ჩვენში საერთო ლიტერატურა ჩაისახა და განვითარდა. ამთავე იყო ნაკარნახევი „ვეფხისტყაოსნის" სიუჟეტის სპარსეთში ძიების პპოოსი, ოღმაც კურიოზული ხასიათიც კი მიიღო და რაც ისე ძლიერი გამოდგა, რომ ინერციით ლამის დღემდე მოდის"...

უფალოდ სწორეა ვახტანგ ჭელიძე, როცა „ვეფხისტყაოსნის" სიუჟეტის სპარსეთში მა-

ძიებელთა წინააღმდეგ ილაშქრებს. მართალია, კერძოებული ხასიათისაა ეს ძიება და, მართლაც, დღესაც მოპაოვებიან ადამიანები, რომელთა გულშია ძიების ეს დაუმცხრალი ჟინი (ასაკოვ ობიექტურობის მარკით გვთავაზობენ) ეკრან ა ჩამცხრალა. ესენი არიან მეცნიერები, რომლებიც, ნებსით თუ უნებლიეთ, ჩვენს ლიტერატურას ეპიგონიზმის ჭაობში უწევთიან.

რასაკვირველია, არ შეიძლება მხოლოდ პიროვნული თავისებებებით, თუ უცნაური იდეის აკვიატებით ავხსნით მათი მისწრაფება, რომ სპარსული დინასნორ იქ, სადაც ქართული ნიადაგი, ფესვი, ფოსტი აშკარაა. ეს, ჩემი აზრით, უპირველეს ყოვლისა, შედეგია ჩვენი ჩოგიერთი მეცნიერის (ანდა მთელი სკოლისაც კი) მიერ არჩეული მეცდარი მეთოდისა, მეცდარისა იმიტომ, რომ მას საფუძველად ედო ცალმხრივი მიდგომა ლიტერატურული ნაწარმოებებისადმი, ამ ნაწარმოების ზერელე, მხოლოდ ოფიციალ განსაზღვრულ ფაქტობრივი ინფორმაციის შემცველი წყაროს გაცნობა, ძიებისა თუ შესწავლის სფეროდან პოეზიის, როგორც ადამიანის ფსიქოლოგიის, ადამიანის სულის მოძრაობის ზუსტად აღმნიშნელი ფენომენის სრული გამოთიშვა, სიუჟეტური ქარგების ხელოვნური შედარება და დაკვშირება, განსაზღვრულ ეპოქაში მსგავს სიუჟეტთა წარმოჩენის საერთო კანონია ძიების შედეგად არასწორი დასკვნების გამოტანა.

აშრიგად, ვახტანგ ჭელიძე მართებულად ებრძვის ეპიგონობას, ებრძვის პროფანიკაციზმს მეცნიერებაში, მართებულად აყენებს ჩვენი ლიტერატურის თვითყოფადობის საკითხს, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ „ეეფუნიტაკოსანის“ სპარსული სიუჟეტის მოძიება და მეხუთე — მეთერთმეტე სიუჟეტების ქართული მწერლობის აგიოგრაფიულობის საკითხი ორი სხვადასხვა პოლუსია და, ჩემი აზრით, მათი ერთ სიბრტყეზე დაყენება მართებული არ უნდა იყოს.

ვახტანგ ჭელიძის სტატიის პათოსი ძალიან მახლობელია ჩემთვის, გარდა ამისა, სტატიის პოზიცია და, განსაკუთრებით, მოსაზრებანი ცნობილი მთარგმნელისა იმდენად ახალია და მნიშვნელოვანი, რომ მეტისმეტი სითამამეა ალბათ ჩემგან მათთან კამათი. თავის ვასაბრალებლად (უფრო გასაჩნევებლად!) ერთი მწერლის სიტყვებს გავიხსენებ: „რაც უფრო ძლიერია აზრი, მით უფრო მეტ ძალას ჰმატებს მოკამთესო“.

მაშ ასე, ვახტანგ ჭელიძეს მიაჩნია, რომ აგიოგრაფიული ნაწარმოებები „სქემატური“, „ერთფეროვანი“ და „საერთოდ დაბალი დონისაა“, ამიტომაცაა იგი წინააღმდეგი, რომ მეხუთე-მეთორმეტე საუკუნის ქართული მწერლობა ამ ჟანრს მიეკუთვნოთ.

უკვე აღვნიშნე, რომ აგიოგრაფიული მწერლობის შესახებ სხვა, რადიკალურად განსხვავებული აზრიც არსებობს. ეს არის უმთავრესად ამ მწერლობის სპეციალისტთა აზრი, მაგ., ვისაც უფრო (ჩემთან შედარებით!) მოუწედებათ ხელი ამ ჟანრის ყოველ საიდუმლოსა და ჩემთვის (ბერძნული ენის არცოდნისაგან!) ძნელად შესაძიებელ ნიუანსებზე.

ჩვენ, როგორც პატივცემული ვ. ჭელიძე აღნიშნავს, ზოგჯერ, მართლაც, გადამტმტბით ვიცით ხოლმე გავლენების მნიშვნელობის წარმოდგენა, მაგრამ გავლენების მნიშვნელობის საერთოდ უგულველყოფაც ხომ მეორე უკიდურესობაა? ლიტერატურულ გავლენებს „ჩარჩოებში“ თვითონ პატივცემული ვ. ჭელიძე ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, ოღონდ როგორც კი საქმე ქართული და ბერძნული აგიოგრაფიის კავშირს შეეხება, მაშინვე გადაჭრით უარყოფს ყოველგვარ გავლენას, იმდენად, რომ საეჭვოდ, საექვად კი არა, კატეგორიულად შეეძლებელად თვლის ჩვენნი აგიოგრაფიული მწერლობის არსებობას.

მე ასეთი კამათისთვის მეტად უეფექტო, აშკარად უხეირო პოზიცია ავირჩიე. ჯადოკის ტერმინი რომ ვიხმარო — „შავეიანი ვთამაშობ“, მაგრამ აქვს ჩემს პოზიციას ერთგვარი უპარატესობა — იზიარებს ეს ტრადიციულ შეხედულებას, ის თავიდანვე უდგიდან მიიჩნევს „წმიენის“ იმდროინდელ მსოფლიო ლიტერატურის ორბიტაზე არსებობის ფაქტს. ბერძნული, ეფითიური, სირიული, სომხური ლიტერატურის სამყაროში ქართული ლიტერატურის თანაბაროვნულობისა და თავისთავადობის აღიარებას. რაფაელ, ვაღიარებ რა გავლენას, ამით ვაღიარებ ქართული ლიტერატურის სიძლიერეს. თავს ნებას მივცემ ეა კიდევ ერთხელ გავიხსენებ აკადემიკოს კორნელი კეკელიძის აზრს: „დღეს ვეჩეკ ერთი მკვლევარი, რომელიც სპეციალურად სწავლობს ამგვარ მწერლობას, ქართულ მასალებს ვვერდს ვერ აუვლის“. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქართული „ამგვარი მწერლობა“ თავის მხრივ გავლენას ახდენდა სხვა ქვეყნების ლიტერატურაზე.

როგორც ვიცით, ბერძნული სიტყვა „მარტვილი“ ქართულად ნიშნავს „მოწამეს“. „შუშანიკის წამებაში“ ეს სიტყვა უკვე ისეა „მორჭეულებული“, გაკაპიტულებული („და მაჭიდა ციხედ ნიღვად სანატრელსა შუშანიკ მარტვილოსა...)“, რომ შეიძლება ვიფიქროთ, სხვა ქართულ ლიტერატურულ ძეგლებშიც (რომლებიც ჩვენამდე არ არის მოღწეული) უკვე ზმნიად იყო ნახმარი ამ მნიშვნელობითაო. ეს კი იმას ამტკიცებს, რომ იაკობზეც აღრე იცნობდნენ ჩვენში ბერძნული აგიოგრაფიის ნიმუშებს, კერძოდ, მის ერთ-ერთ სახეობას „მარტვილის“. ამ შემთხვევაში, მთავარი ის არის,

თამაზ ფილაძე
ია კოზ ცურტაველის „შუშანიკის წამება“

ეტყობა, ჩვენი სალიტერატურო ენა იმდენად იყო უკვე მომძლავრებული, რომ უცხო სიტყვას თავისუფლად ინელებდა და ითვისებდა (ეს სიტყვა — „მარტვილი“ — დღემდე, რატომღაც, ყველაზე უფრო ქართული სიტყვა მგონია!).

ცნობილია, თუ რა დიდი განსხვავებაა გაელენასა და ეპიგონობას შორის. გაელენა რომ განიცადო, თვითონ უნდა გკონდეს მძლავრი ნერგხვამალი, მაგარი კუნი და მდიდარი სული.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა იგივე ტარანა პოპოფის სიტყვები, რომლითაც ის თავის სტატიას ამთავრებს: „ეფორმირებუის ეპოქის სიახლოვეს ახალი ძალი შემსტატ ბიზანტიური ლიტერატურის ამ ეანრს, რომელმაც საკმაოდ მნიშვნელოვანი გაელენა იქონია ყველა სლავიანურ ლიტერატურაზე“.

რასაკვირველია, ეს კოსმოპოლიტიზმი კი არა, ობიექტური, მეცნიერული მიდგომაა საკითხისადმი, რითაც სრულებითაც არ მცირდება თუნდაც დიდი რუსული ლიტერატურა. პირიქით, წარმოჩენილია მისი ფესვები ძველ, საერთო ეგროპელ კულტურის წყაღნში. ჩვენ კი, შეიძლება ითქვას (შეიძლება კი არა — ფაქტია!) კიდევ უფრო ძველი ურთიერთობა გვიქვს ბიზანტიურ ლიტერატურასთან, და ეს ურთიერთობა (თავისი მრავალწახნაგოვანებითა და სირთულით) ამტკიცებს ქართველი კულტურის ეგროპელობას, ეგროპასთან უძველეს კავშირს, საერთო ინტელექტუალურ სტიმულებს. ყველაფერი ეს ინარდებოდა, მდიდრდებოდა, გთარდებოდა და დაგვირგვინდა დიადი რესსანსელით. მერე კი, ჩვენი ისტორიის საბედისწერო განვითარების გამო, ეს კავშირი გაწყდა და ჩვენ ალმოვჩნდით ჩვენთვის უცხო — ალმასალური კულტურის გიგანტის სფეროში, რომელთანაც არავითარი კავშირი არა აქვს „ეეფხისტყაოსანს“, რომლის მონათესავე სიუჟეტების სპარსეთში ამაოდ მძებნელებს ასე სამართლიანად კიცხავს ვახტანგ ჭელიძე.

„ეშუშანიკის წამებაში“ აკეოგარფიული მწერლობის გაელენის პოვნა აღვილია, რადგან ის აშკარად ამ ეანრის ნაწარმოებია, მაგრამ ამ რომაშნში გაცილებით საინტერესოა წმინდა ქართული წინაქრისტიანული ლიტერატურის ფესვების ძიებენი, თუმცა ყურადღებიანი მკითხველისათვის არც ეს არის ძნელი. ზემი აზრით, აგრეთვე საინტერესოა აღნიშნენა ამ რომაშნეს კონკრეტული წყაროს გაელენისა. ეს წყანი „სახარებაა“, რომელიც იმ დროისათვის არც თუ ისე დიდიხანია, რაც ქართულადაა თარგმნილი, შეიძლება ეს პროცესი იკამოს თვალწინაც კი მიმდინარე�ა, ან დასრულდა და ის თავბრედამხვევი გრძნობა, რომელიც ზმობლიერ ენაზე მისმა წაკითხვამ წარმოშვა, ჯერ კიდევ არ განელებულა.

ფაქტია, რომ ამ ხუცესმა „სახარებიდან“ ისეთი რამ გადმოიტანა მწერლობაში, რაც ეკლესიას ხელს არ აძლევდა, მაგრამ ჩვენი ლიტერატურის განვითარებისათვის კი [illegible] ნათელოვან ფაქტორად შეიქცა — [illegible] ნითო. იაკობმა ან მეტად საინტერესო ლიტერატურულ სახელოსნოში გაიწაფა ხელი ოყონერი სტილისა თუ მეტსეკეი დეტალის ხმოვნებში, შეითვისა ვარემოსა, ფონის გადმოცემის სახარებისეული ხერხები. მაგალითად „შუშანიკის წამებაში“ პირდაპირ გადმოცემული პეიზაჟი არ არსებობს, გარდა იმ რამეკნიმე სტრიქონისა („ეამსა ზაფხულისასა ცეცხლებრ შემჩუეული იყო მხეროვანითა მზისაგან, ქარნი ზორმაკენი და წყალნი მაგნებელნი...“), რომელთაც განსაკუთრებული სიამოვნებით იხსენებს თითქმის ყველა მკვლევარი ამ რომანისა და რომლებიც, ჩემი აზრით, უფრო მეტორიოლოგიურ ცნობისა ეგავს, ვიდრე პეიზაჟს, მაგრამ თვითეული ჩვენთაგანის წარმოდგენაში, ვისაც ეს ნაწარმოეები წაგვიკითხავს, უსათუოდ შექმნილია ხატი ბუნებისა, რომლის ფონზეც თამაშდება დრამატული ამბავი ნამდვილად გარდაქმნილი სიყვარულისა. პეიზაჟის ამეტყველების ასეთი ხერხი იაკობს უთუოდ „სახარებიდანა“ აქვს ნასწავლი.

„სახარების“ პეიზაჟი მკაცრია, თითქმის ერთი ფერითაა დახატული, თუმცა ამის გამო ის მკაფიოობას არ კარგავს, პირიქით, ტუქსტის მეინარეებში მეტად ცხადად გამოკვეთა ხოლმე. ეს არის უდაბნო, ან ტრიალი მინდორი, პურის ყანა, სადაც თავთავებს გლეჯენ და, გამწარებულნი, ხელისგულზე იფშვნიან ჭრიალტეს მშიერი მოწოფეები. მოულოდნელად გაიელვებს ხოლმე ზღვაც, რომელზედაც ზოგჯერ ქარიშხალი მძვინვარებს, ზოგჯერ კი სუფეთ „დაყეფდება ღიდ“.

„წმიბების“ პეიზაჟს ერთი გაუთავებელი, ნამუშეფარული შემოდგომის ღრუბლიანი ფერი ადევს. ამ ტონს გასაოცრად აეოცებენს „ბეერთი პეიზაჟი“, ფიან, აკ ჩმეი ისმის საოცრად, შეიძლება ითქმებიც რომ, ამ სამყაროს ნიერისფერი ქვის კედლები ირტყია. ვესმის სანთლების ტაცენი, ბაშაალის შიშინი, სენაკასნის ნაბიჯების ხმა ქვეს იატაკზე, ხუცეის ბუნდის ფლატენი ვარსკვნესავან შუშანიკისკენ და პირიქით — შუშანიკისგან ვარსკვნესაკენ. ვესმის, როგორ იმსჯერეგა ჭიქა და როგორ ეხეთქება ყიდელ ასტანი, რომლითაც ეხეცსა შუშანიკს თვალი — „დაუბუშტეს“. აქ „ყველნაირნი ხმა ქმნის ნაწარმოეების სახეთისა და მუსიკალურ გამსა: ქალების მოთქმა, გაცოფებული ვარსკვნის ყივილი, შეშინებული ბერის შეუაზე გამწყლარი სიტყვა, ნაბიჯები იაკობის გამწარებული სუნთქვა, ის ცურტაფეისკენ მა რშოდა, რათა ყველასთვის დაესწრო და პირველ ენახა ხახლიდან წამოსული ღელფფალი. თე რატომ ჩქარობდა იაკობი, ამაზე ქვემოთ ვეკენება ლაპარაკი.

იაკობს ზომიერებისა და კონტრასტის საოცარი გრძნობა აქვს. ამ ნაკრისაფერ ფონზე ერთადერთი კაშკაშა ფერს ვხედავთ — ეს არის შუშანიკის მოსასხამი, რომელსაც ის საპყრობილეშიც კი არ იშორებს (როგორც ჩანს, არც ისე ადვილია მისთვის დედოფლობის დათმობა) და სწორედ ამ ფერის წყალობითაც, ნაწარმოების ნაკრისაფერ წყვდიადში შენიღბულ სხვა სახეთა შორის, შუშანიკი განსაკუთრებული სიცხადით მოჩანს. დახვეწილ, შეკუმშულ ფრაზებში, თითქმის პაროლის მნიშვნელობა რომ შეეძინოთ, ამ მდიდრულ მოსასხამივით ფიცარივებს შუშანიკის დიფფარი სვედა დედოფლობაზე. არის რაღაც არტისტული შუშანიკის სიტყვებსა და პოზაში და ეს მოწიწებას კი არ აღძრავს მის მიმართ, რასაც, ალბათ, მიეტანოდა დედოფალი, არამედ სიბრალულის მწველავ, ტკბილ დამთუქვილ გრძნობას:, როგორც ყოველნაირი, პათოლოგიით შენიღბული უმწეობა. ამიტომაა, რომ ყველა ქვეთხენის წამებული დედოფლის დანაბაზეზე. შეიძლება ითქვას, იაკობს დახატულსა და ზოგიერთი ჩვენი მეცნიერის მიერ „ბამდიდრებულ“ დედოფალს სახეთა შორის დიდი განსხვავებაა.

აშკარაა, რომ შუშანიკს, როგორც პიროვნებას, ორასახარბიელო თვისებებიც გააჩნია, იმდენად ძლიერი, რომ სიტყვაკუნწში იაკობს მოთხრობაშიც კი გამოეოქა, რაც მისი ლიტერატურული ორეულის პორტრეტი მეტად ბეკეთად და სისხლსავსედ წამოაჩინა. ზოგიერთი მეცნიერის მიერ შექმნილმა შუშანიკის კულტმა ერთგვაროვან ხელი შეუშალა ამ მეტად საინტერესო პერსონაჟის ხასიათის საფუძვლიან ლიტერატურულ ანალიზს.

შუშანიკს რომაშნი ორი ტიპი აქვს, ერთი — აშკარა, წმინდანისთვის აუცილებელი და ამდენად სტერეოტიპული, მეორე კი, დაფარული, ადამიანური. ამ მხრივ საინტერესოა შუშანიკის სიტყვა ხუცესის მიმართ. აქ ის თითქოს პატიჰისცან ელჩისად მოსულ ხუცეს ეარსქენთან აბარებს პასუხს, მაგრამ მისი სიტყვების ნამდვილი აზრი იმ ირონიული ღიმილით შეიცნობა, რომლითაც ამ სიტყვებს უბიწოსა ტალაზში შეზეიერი. შუშანიკი აშკარად ხუცეზსაც მიმართავს: რაც ამდენი ხნის განმავლობაში მიკადაგეო, ტყეული ყოფილა, ყოველშემოხვევაში, თქვენი ქცევა ამას ამტკიცებს, თქვენი ღალატი... მე კი არ მინდა თქვენისთანა ეიყო, ბოლომდე უნდა ვატარო ჩემი ჯვარი. შუშანიკს ეს მონოლოგი იმითაც არის საინტერესო, რომ ეს პირველად ვხედებით, რომ დედოფალი შემკრთალია. იგი შეზარა იმ აზრდილმა, რომელიც თავს წამოადგა მის საყვარელ ოჯახს, ნელოვანს, და რომელიც, საბოლოო ჯამში, წარმართველი ალმოჩნდა კიდევ ყოველივე ამისა. ეს არის პოლიტიკა! ამის თაობაზე განსაკუთრებით საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული ნიკოლოზ ჯანაშიას.

უნდა აღვნიშნო: ეითვალისწინებთ, რა ეიმდენადდენილდ მდგომარეობას საქართველოს ეიოლქისას, ეიროშუნდებით, რომ ეს პირველი ქართული რომანი, ამავე დროს, პოლიტიკური რომანიცაა, სადაც დაეფაროვად (როგორც ბრძოლის ველზე) დაპირისპირებულია ორი ძალა — სპასრქთი და საქართველო, თავისი მომხრეებ სომხეთთიეთრთ.

შუშანიკი გრძნობს, რომ ყველა მისი წინააღმდეგია. ამიტომაა, რომ ყველაზე მეკვეხე იმას ელაპარაკება, ვინც მოჩვენებითად კარგად ექცევა. იცის, რომ დათუდლული ღიმილის ეიეთ იმალება ღალატი. დედოფალი ხედავს, რომ უღალატეს, არა, კი არ უღალატეს — გიჩარეს! მართლაც, ფაქტიურად, შუშანიკი ყველას გაჩარეული ყავს: ეარსქენს, ჯოჯიესა და მის ცოლს, ხუცეს. მათ შორის ერთადერთია ეარსქენი, ვინც არ მალავს თავის ნამდვილ გრძნობას, მაგრამ რომელიღაც პოლიტიკური ორგანიზაციის, შეთქმულების აშკარა მონაწილეა, „ფაეკენეტული პარი“ — შუშანიკი აქ, მართლაც, ფანტაკიური სიმტკიცეეს იჩენს.

ამრიგად, რომაშნი ტრიალეს ტრაგედია, რომლის ნამდვილი ხასიასნიე მზოლოდ ღრმა დაკვირვების მეტ ხლეი აშკარა. თავიდან თითქოს ყველაფერი ვასაგენია: ყოველ შემოხვევაში, მთავარ ვგმითია პოზიციეების კონფიეფიციენია ნათელია, აქ ერთიმეორეს პირისპირ დგას მსხვერპლი და მისი ჯალათი. მაგრამ თანდათანობით მსხვერპლთა ხლეი ჯალათი ჯალათისა, თუნდაც თავისი მორალური უპირატესობით, რისი მოსპობაც, გაკმაწყლებაც ასე უნდა ვარსქენს. ტრაგედიის ბადეში ნელნელა ეხვევიან ყველანი, თუმცა, ერთი სიტყვაც კი არ არის თქმული სხვების თანამონაწილეობაზე. შეიძლება, იაკობს არც უნდოდა ამის თქმა, ვითარების ასე მასშტაბურად წარმოდგენა, ან არც კი ფიქრობდა, რომ თვითონაც ტრაგედიის უნებლიე (ანდა შეგნებული) მონაწილე იყო. ეს არის სიტყვის გასაოცარი ძალისმიერება, სიტყვის ბატონობა სქემაზე, ეოეზოის სიღიადე ისტორიასთან შედარებით („ეოეზოა უფრო ფილოსოფიური და სერიოზული, ვიდრე ისტორია“, — არისტოტელე „პოეტიკა“, თარგმანი ბ. ბრეგვაძისა).

ნიკოლოზ ჯანაშიამ სცადა დაენახა ისტორია ეოეზოისა და ფილოსოფიის სარკმლიდან და მეტად სერიოზულ წარმატებებს მიაღწია კიდეც.

იაკობი, თითქოს ქვაში ჭრის ეოეზაილი ადამიანების სახეებს. იმდენად ცოცხალია, რომ ღიეს ალ, ოხუომეტი სიეკენის მერე, დიდი ინტერესით ვაკვირდებით მათ, რადგან ბოლომ-

თამაზ ჭილაძე
იაკობ ცოტაბაელის „შუშანიკის ზამბავა“

დე შეუღნობელნი არიან ჩვენთვის. ისინი იმიდენა სასიცოცხლო ენერგიით არიან დამუხტულნი, ისე სასიცოცხლოდ არიან „მომარჯული“ დიდი შემოქმედის მიერ, რომ დღემდე არ დაკარგვია მათ ხმა ყოფა, მათ თვალს — ცეცხლი და მათ მოქმედებას — ძნიშვნელობა.

შუშანიკი, რომელიც წარმოშობით სპარსელთა წინაალმდეგ მებრძოლთა ოჯახიდანაა, ეს ოჯახი კი ვახტანგ მეფესთანაა დაკავშირებული საერთო ინტერესების გამო, იმ პოლიტიკის ფიზიარეს, რასაც ალარბეგ მამამისი, ბიძეები და ძმები. ხოლო იაკობს თავისი გაზრდილი შუშანიკი დიდიხანია ბრძოლისთვის გამზადებული ყავს.

იაკობი, ჯერჯერობით, ჩუმად იცდის, როგორ განვითარდება სიტუაცია. იცდის, ვიდრე... ვიდრე ეროვნული ტრაგედია დატრიალდებოდეს. ამას, რასაკვირველია, არ წერს, მალაეს კიდევ. მაგრამ დღეს, თხუთმეტი სუკუნის შემდეგ, ჩვენი ისტორიული მეცნიერების განვითარების წყალობით, შესაძლებელი გახდა, წაგვეკითხა მეორე ტექსტი, უფრო სწორად — გალესწრაბვა იაკობისა, ვნებანი იაკობისა, „შნაგანი სახე“ (დავით კაკაბაძის გამოთქმაა) იაკობისა, რომელმაც თავისი სულის მდგომარეობა ობიექტერი თხრობის ნაცარში შეახვია, საიდანაც დღეს ჩაუმჭრალმა ნაკვერჩხალმა გამოანათა.

ეპისკოპოსი აფოცი სამღვდელოების იმ ჯგუფის ეკუთვნის, რომელიც ვარსკვნს ემხრობა, რომელსაც ვარსკვნი აშკარად რადიას დაბარდა. აფოცი არც მალავს ამას, მისი მცდელობა შუშანიკის შინ დასაბრუნებლად მკითხველს სამართლიან გაკვირვებას იწვევს. ჩვენს თვალწინ, დაუნდობელი ბრძოლა მიმდინარეობს სამღვდელოების ორ ჯგუფს შორის. ერთ ჯგუფში არიან აფოცი და სხვა უსახელო ხუცები, მეორეში კი — იაკობი, ეპისკოპოსები სამოელი და იოანე, აგრეთვე ის დიაკვანი, რომელიც შუშანიკის გამხნევებას ცდილობს, მაგრამ, ვარსკვნისაკენ შეშინებული, სიტყვას ვერ ამოავლებს. ამ ბრძოლის შედეგს ნაწარმოების ბოლოს ვხედავთ. სადაც მთავარეპისკოპოსად იხსენიება არა აფოცი, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, არამედ სამოელი. ეტყობა, ვახტანგის მომხრე პარტიამ გაიმარჯვა.

ბეროიუზ დანემი წიგნში „ამირეი და ეროტიკოსები“, წერს, რომ ყანა დარეი მისმა რწმენამ კი არა, ფრანგი სამღვდელოებისა და ინგლისელი მბრძანარმთავრების ინტრიგებმა აიყვანა ტოკიზეო. იმ სამღვდელოების ინტრიგებმა, რომელმაც მეორე წმინდანად შერაცხა ორლეანელი ქალწული. მაგრამ ეს თავისთავად საფუოლსხმო სიტყვები ამიტომ არ გამხსენებია, თითქოს შუშანიკს (ისევე როგორც ყანა დარეს) ბრმა, უმწეო მსხვერპლად, კრავად ეთვლიდე. შუშანიკის საქციელი არის გაანრაბული ქმედება და, ამიტომაც, მისი სიმტკიცე, მისი ფანატიზმამდე მისული ერთგულება ნიშნავს უთუოდ პატივისცემის გრძნობას. ეტყვიან, წმინდანებს, რა თქმა უნდა, „ჭეშმარიტ“, „ჭეშმარიტ“ ამისთვის საფუძველიც უნდა არსებულიყო. ამ შემოხვევაში, შუშანიკის სიმტკიცე, რომელიც შეურაცხყოფილი ქალის სიკეთიდან წარმოიშვა და გაზეთარდა, იყო საფუძველი მისი წმინდანობისა.

ამრიგად, „წამების“ სამყაროო ორ ბანაკადაა გაყოფილი: ერთ მხარეზე დგანან ვარსკვნნი, ეპისკოპოსი აფოცი, ჯოჯიკი და მისი ცოლი. თუმცა მთელი რიგნასს მანძილზე შუშანიკის მაზლი და მისი მეუღლე შუშანიკის თანამგრძნობელებად მოჩანან, მაგრამ ისე მხურვალედ ვვედრებთან შენდობისა და პატიჟისს მოგაკვდავ შუშანიკს, რომ უსათუოდ ექვი უნდა შეგვეპაროს მათი თანაგრძნობის გულწრფელობაში. მეორე ბანაკს შეადგენენ შუშანიკი, იაკობი, ეპისკოპოსი სამოელი და იოანე. რამდენადაც ინელი დასაკვრებელი არ უნდა იყოს, პირველი ბანაკი უფრო იბრძვის, ზურგსაკ შუშანიკის ფიზიკური გადარჩენისათვის, ვიდრე იაკობი, სამოელი და იოანე, თუმცა სწორედ ესენი არ შორდებიან მას საპყრობილეში, ხოლო სამოელი საქმელსაც კი უგზავნის დედოფალს. და ამის მიზეზსაც ქვემოთ მოგახსენებთ.

ვარსკვნნი იმდენად სპარსეთის მეფის მომხრე არ არის, რამდენადაც ვახტანგის მოწინააღმდეგეა. ეს დიდი ფეოდალი თავისი სუვერენის წინააღმდეგაა ამხედრებული, ანდა ამირეს ამხედრებას. ვახტანგ მეფის ზეგიმენი სახელი „გორგასალი“ „მგლისთავეს“ ნიშნავს, რაც ალბათ მარტო ინტიმან არ შეარქვეს, რომ მეზარადზე მგელი ეხატა. აქ მისი გამეჩარაბნა და, თუ ვნებავთ, სისასტიკეცაა ნაგულისხმევი (ვარსკვნის სინინიმიე რომანში მგელია: „და შემდგომად ორისა დღისა მოვიდა მგელი იგი ტაძარად...“). გამჭრიახობის წყალობით ვახტანგი იღებლიან (შეადარეთ!) მმართველი იყო („ავანტაგა მეფე ღმერთს უყვარდაო“ — ამბობს ქართველი ხალხი). ეს ჭკვიანი მეფე, რასაკვირველია, გულწყლფაკრეფილი არ იყოფნოდა. ის ხაფანგისთვის ორმის თხრიდა იქ, სადაც ყველაზე ადვილად გაუმბეზოდა ვარსკვნი — მის ოჯახში!

არა, ვარსკვნნს არ უნდა, შუშანიკი რომ მოკვდეს, თუმცა მალი-მალ კი დასძახის, ამაკვდიო! ის კარგად იცნობს ვახტანგს, უკვე ხედავს მისი ჩანაფიქრის საბოლოსწერო აზრს. ისა და შუშანიკი ახლა ისე არიან გადაჯაჭვული, როგორც არასოდეს. უკვე ზმარად კითხულობს მის ამბავს, პირველსავე თხოვნაზე (თითქის ელოდება კიდეც ასეთ თხოვნას!) ხსნის ბორკილს, აშკარად თვალს ხუჭავს იმ ფაქტზე, რომ ეპისკოპოსი სამოელი შუშანიკს საშველს უგზავნის, თუმცა თვითონვე ბრძანდა, შიშმალი მოკალითო. ეს, ეტყობა, სხვების გასაგონადაა თქმული, სინამდვილეში

კი იქვე, რომდენიც აბზაცის მერე ვრწმუნდებით, რომ ვარსკვნეს შუშანიკის სიკვდილი არ უნდა, არ უნდა, ამიტომ, რომ ეშინია (თუ კარგად დავაკვირდებით, ვარსკვნეკი კი არ კლავს შუშანიკს, შუშანიკი იკლავს თავს): შუშანიკს ცოხვნი რომ ჩასვამს, სამი კვირის მერე დაიბარებს მეცვლე, სწორედ იმის, ვისაც უბრძანა შიშმილით მოკალით და ჩკეთხვეს, შუშანიკი როგორ არილო. მეცვლი უპასუხებს: რა ვქნა, არიფერს ეკმს და მეშინია, შიშმილით არ მოკვდეს. ახლა წარმოიდგინეთ მძვინვარე, ცოფიანი მგელი და ისიც წარმოიდგინეთ, რამდენად შესაძლებელია, რომ მის ბრძანებას არ ასრულებენ!

მაგრამ პატიოსნის შიში ნელ-ნელა აუტანელი ხდება და აი, ერთხელ, გონებაღაკარგული, იყვირებს „უტე, — მოკუდეს!“ და ამით თავის თავს გამოუტანს სიკვდილის განაჩენს, ანუ მსჯეფრალი სჯის ჯალათს!

ოგიე დანეი წერს: „ოთხზეიოერად გაწყვეტილი პირველის პოლიტიკური დეენა, როგორც წესი, იწყება ბრალდებით, რომელიც მეკვთოდ გამოპყოფს, ანალოკვებს მათ სხვა მოკლეკვებისგანო“. ვარსკვნემ ვახტანგის ინტრიგის ერთი სელი სწორად ამოხსნა — მის მოწინააღმდეგეებს ჯარეფთან დიდი დანაშაულებრივი ფაქტი: ვარსკვნემ უნდა მოკლას შუშანიკი, „ჭარაბა“ უნდა მოკლას ცოლი და მთავარი ის არის, რომ ეს, უნდა თუ არა, მაინც უნდა ჩაიდინის. გარდა ამისა, ეს დანაშაულებრივი ფაქტი იმითაც უნდა იყოს შემაძრწუნებელი, რომ „ბერალო ქალი კი არა — დედოფალი უნდა“ მოკვდეს. ვახტანგს ისეთი კოცონნ ჯერდება, რომელსაც ქვეყანა დაინახავს, ამიტომაც არ ანებებს იაკობ შუშანიკს, ქმარს დაუბრეშოს ძეორესეულობა, რომელიც ივიდე სადედოფლო ნიშნებია. მოითმენეო, ეუბნება, თუმცა მოსაფერნი ნამდვილად ლარფერი აქვს შუშანიკს.

ამოიცნო რა მოწინააღმდეგის ეს ჩანფიერი, ვარსკვნემ სასწრაფოდ იაკობის ხელით (ისე უფრო კარგად მოეკა ამბავი ვახტანგს!) დაიბარებინა საკრიწეული ნიშნები, ფაქტიურად, გიეკარი დედოფალს.

აქ არის ერთი მეტად საინტერესო პასაჟი, რომელიც საკამათოდ ხდის ზოგიერთი მკვლევრის მოსაზრებას, თითქოს ვარსკვნეს მეორე ცოლი შეერთოს (ამას ყურადღება მიაქციო ნ. ჯანაშიამ). იაკობი რომ საკრიწეული ნიშნებს მიეტანს, ვარსკვნეი მათ გულდაგული დათვლის და დაათვალიერებს („აღიხილეო და ითვალეო ყოველი გებუულდ“) და იტყვის ფრაზას, რომელიც ეფრო გამეტებულია და გულდაწყვეტილ ყრმას შეეფერება, ეიღრე გამძვინვარებულ მგელს: „მერმეცა ითოოს ვინმე, რომელმან ესე შეიჰკოს“. თუკი მას მეორე ცოლი ჰყავს, ეიღა უნდა ითოვნოს სხვა, რომელსაც ეს საბაკულები დაამშვენებდა? ნ. ჯანაშია წერს: „ტეკსტის ანალიზი საშუალებას იძლევა დამტკიცებული იქნას, რომ ვარსკვნეს მეორე ცოლი ყოველ შემთხვევაში შუშანიკის წყმენილი იყო“. ... რიოფეში, არ ჰყოლია“ (იხ. დასახელებული ნარკვევი).

ამოიგდად, შუშანიკი ვარსკვნეს ცოლი ალარ არის, ვარსკვნეი თითქოს განთავისუფლდა, მაგრამ მან არ იცოდა, რომ ვახტანგის მოკნილ გონებას მეორე, ამ შემთხვევისათვის გათვალისწინებული სესაკ ჰქონდა მომზადებული: ქმრისაგან უარყოფილი დედოფალი წმინდანად უნდა გარდაქმნილიყო. ეს იქნებოდა ტანჯვის გზა დედოფლობიდან წმინდანობამდე. ო, რა შემზარავი ხვედრი ელოდა მას, ეიღ კი გაბეკადად ასეთი წმინდანის ხელყოფას!

როდესაც ეს სელიც ნოფილი კახდი ვარსკვნისთვის, მან ოგრანნი რომ უკვე მაზეში იყო გამმელი, რომ ოდნავი შეცდომაც კი სიკვდილის ფასად დაუჯდებოდა, ამიტომ როგორმე ეს შეეცდომა არ უნდა დაეშვა. ამისათვის ვინებაცა და ღონეც მოსდეედა, მაგრამ ისეთი რამ უშლიდა ხელს, რასაც ეერაფერთ მოერეოდა: მას შუშანიკი უყვარდა! უყვარდა მისი ოთხი შვილის დედა, ლამაზი ქალი. გიიხსენეთ როგორ ეეკითხმს ვარსკვნეი მაშინაც კი, როდესაც ნამდვილად გამძვინვარებულია: ვარსკვნემ შუშანკს შეეთვალა: შენი ნებით დაბრუნდი შინ, თორემ ვერზე შეგსვამ და დარუბანში ისე გიგიგზავნიო. შუშანიკმა უპასუხეს, მაგას რა სკობს, თუკი აქეეურობას მომაშორებო. ვარსკვნეი ჩაფერმდა: „ნუუუუ მოაკლოთანა ვისმე ეცოლოს“ და მიერთგან აღარაეინ მიიკლნა მისა“.

შუშანიკი გრძნობს, თუ მოკვდება, ვარსკვნეიც დაემხობა. ამიტომაც აარჩია სიკვდილის გზა. თანაც, მისთვის უთუოდ მოსმიბილავი იდეა ერთად სიკვდილისა...

ერთი შეხედვით უფრო შუშანიკის ქმედება უფრო შეტეეის ნიშნითაა ალბეკტდილი, ვიდრე თავდაცვისა. შუშანიკი უტეეს ვარსკვნეს, გამწარებეეთი ღრღნის სიბრალეთი თუ სათნოების თოკს, ტრადიციის ბორკელს, ყველაფერს, რაც კი ხელს უშლის. გულდაწყ იგლეკს ზვილებს, როცა ისინი ჩოკუს იცკლიან: „სიხეელიცა მათი სძაგდა სმენად“.

„უფალი მიიგბეს“ ვარსკვნეს სამაგიეროსო, — ამბობს ის. ჩვენ დღეს უკვე ვიცით იმ „უფლის“ სახელი (ისანეეე იცოდა, ვინც ამ სიტყვებს ამბობდა და ისანეეე, ვინც ამ სიტყვებს იწერდა!). ღმერთი ხომ თავისი რჩეულის ხელით ძეიგბს შურს, ვახტანგი კი ღმერთის რჩეულია („ღმერთს უყვარდა!“). ისიც ვიცით, როგორ გადფუბადა „უფალმა“ სამაგიერო ვარსკვნეს (ვახტანგ მეფემ ვარსკვნეი მოაკლვეკინა 482 წ.)

თამაზ ჭილაძე

იაკობ ცუნტაველის „შუშანიკის წამებაზე“

დიდი სიძულვილი თუ დიდი სიყვარული (სხვათაშორის, ამის გარჩევა ამ რომანში ჭირს და ეს არის ავტორის გენიალურობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი) უეცადი სინანულით ავსებს შუშანიკის სულს, თუმცა სწორედ ეს სინანულია, თუ ჯერ კიდევ მფეთქავი სიყვარული, მის ყოველ სიტყვასა თუ ქმედებას უსაშველო ეკიდურესობის ბერს რომ აძლევს. „ოდეს ყოფილ არს ამამიდე, თუმცა მამამა და დედათა ერთად ეშამა ბერი?!" — ყვარის ის და ჯოჯიკის ცოლს, რომელსაც ადრე დას ეძახდა, ფეიხის ჭიქას შეამსგრევს ბერზე. ახლა ის გალიზიანებულია იმიტომ, რომ სასაკვდილოდ გამზადებული, ბარტია დარჩენილი. შუშანიკი მერე რამდენჯერმე დაინიავლებს თავის სიმარცვეზე. სიმარცვეთ კი მასზე გაცილებით ძლიერ არსებას ათქმევინა: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რაისათვის დამიტოვენ მე?" (მათე, 27, 49). ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, შუშანიკი უსამართლოდ ეძცეცა რძალსაც და მაზლსაც, მაგრამ ამ საქციელს გამართლება მაინც შეიძლება. გარდა ამისა, როგორც უკვე ვთქვეთ, შუშანიკის მარტვილობას, მართალეს, თეატრალური იერი დაკარგეს, შუშანიკს აშკარად უყვარს ყურადღების მიპყობა სიტყვითა თუ ქმედით, ანდა თუნდაც ეპოზით: „მიეყოდნა ყურესა: ერისა და მწარითა ცრემლითა ტიროდა". ისევე გაგიხსენთ თუნდაც ბინი ძვირფასი მოსასხამი, რიგელსაც სპეციალურად არ ითხრეს, როგორც სადედოფლო ინსიგნიის (როგორც ჩანს, არც ძვირფასეულობის მოშორება უნდა ყოფილიყო მისთვის ადვილი). ჯოჯიკმა და მისმა ცოლმა შუშანიკი ქმართან შესარიგებლად მოიყვანეს, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ შეეცდებოდნენ ზედმეტად არ გიგმაზაზებინათ. ალბათ ყოველდღე — ჩვეულების მიხედვით — ერთად ჭამდნენ პურს და ასლაც ერთად დასხდნენ პურის საჭმელად. შუშანიკს კი ეს მოულოდნელად ეუცხოვა. რასაც გუშინ მნიშვნელობა არ ჰქონდა, დღეს სწორედ ამან შეიძინა მისთვის გადამწყვეტი მნშვნელობა. შუშანიკის თვალი დღეს გაცილებით მეტს ხედავს, შუშანიკის ყურს დღეს გაცილებით მეტი ესმის, ვიდრე გუშინ. მთელი მისი არსება დაძაბული და შემაშფოთა, რადგან სასაკვდილოდაა გამზადებული და თუმცა ეს სიკვდილი, უფრო სწორად — ასეთი ხალვადი მან თვითონვე ირჩია, თავისი ცხოვრების მოწმოდად აქცია, მისი ახალგაზრდა, ჯერ კიდევ სიცოცხლით სავსე ბუნება (ალბათ მისდაუნებლიეთაც) გაბრაზებით იბრძვის გადასარჩენად და ეს ბრძოლა თუნდაც საკუთარ თავთან (ბუნების ბრძოლა გონებასთან!) მეტად საინტერესო მხარეა ამ დიდი რომანისა.

ნურაგი გიუკვირდეთ, რომ მე იაკობს ასეთი ეტიტური პოლიტიკოსის როლს ვანიჭებ. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. დიდი მწერლები საკმაოდ დიდი პოლიტიკოსებიც იყვნენ. საკმარისია გავიხსენოთ ინტერვიუ (სწორედ დანტესთან ინტერვიუ) ანა ჯოვანი ბოკაჩოს ეს სიტყვები: „ო, მიწიერო, უაზრო პატიმოყვარეობავ, შენ იმდენად ძლიერი ხარ, რომ, მგონი, არც არსებობს ადამიანი, შენგან რომ თავისუფალი იყოს!", თუმცა დანტესგან განსხვავებით, იაკობს დიდი პოლიტიკოსის სახელი არ ადევნებდა და არც პირადი ძალაუფლებისათვის იბრძოდა. უსათუოდ საკვირველი იქნებოდა, რომ ისეთი ზენიერი კაცი, როგორიც იაკობი იყო, მხოლოდ ობიექტური იღმწერლის როლში დარჩენილიყო. მისი რომანი გვიმტკიცებს, რომ ეს ასე არ არის. ჩვენ ხომ არც კი ვიცით (თუ არ ჩავთვლით აკადემიკოს კორნელი კეკელიძის ვარაუდს) იაკობის ბაეპპოლოსებრივ თაობაზე, რაც თვითონაც სათუოდ მიაჩნდა განსვენებულ მეცნიერს), განდეგილს ის ცხრაკვიდან, თუ ვარსკვლის ხელით მოუწია სიკვდილმა (რაც უფრო სავარაუდებელია!). სასაიმფონოა და საამაყოა ეს ფაქტი, რომ სწორედ მაშინ, როცა საჭმოველო ვახტანგის მეთაურობით ფრთებს შლიდა წამოსაფრენად, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან უბანზე დიადი საქმის ოდენ ჯარიკაცად ვხედავთ გენიალურ მწერალს, ჩვენი ლიტერატურის მამამთავარს. შეიძლება, იმ დღიდანაც დაპყავა ჩვენს მწერლობას ეროვნული საქმისათვის ასეთი ეტიტური ბრძოლის უნარი.

ამ მეტად რთული ნაწარმობოს არსს ისე ვერ ჩაეწვდებით, ვერ დავადგენთ მის ფსიქოლოგიურ სიფაქეელს, თუ არ გიგთვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ამ ნაწარმოებში ყველა (თითქმის ყველა!) ერის ამბობს და მეორეს კი ფიქრობს, ყველა ნათქვამს ქვეტექსტი აქვს. სხვანაირად ამ ნაწარმოებს მეტად მარტივ ლიტერატურულ კალაპოტში მოვავლენთ და აკი მოვავლენთ კიდეც — მერეკაილაძეს მოსწავლეებს ვასწავლით, როგორც უმარტივეს ძეგლს.

ამ ნაწარმობის ყველა პერსონაჟი ერთს ამბობს და მეორეს ფიქრობს-მეთქი. გიიხსენთ თუნდაც სპასრეთის მეფის მსტოვარი, სპასსი — მეთვალყურე ვარსკვენისა. გიიხსენეთ მისი დათოფლული სიტყვები. "თქვენ წარმოიდგინეთ, ეს მაზდეანნი სპასრსეი ქრისტიანობასთვის წამებული დედოფლისთვის ბორკილის ახსნასაც კი თხოვს ვარსკვნეს. მაგრამ არც მაგმა სიტყვამ უნდა მოგვაცყეთოს და არც ქცევამ. მას სხვა მისია აქვს დავალებული და კიდევაც ასრულებს: სპასტიანმა ხვალინდელ დღეს უნდა ჩაუყოროს საფეძველი, ანდა, უფრო სწორად — წყალი ჩაიყვნის სპასტიანმის ხვალინდელი დღის საძირკველში. გულუბრყვილობა იქნებოდა ვგვიფიქროთ, რომ ვარსკვნის შვილებს ჯაკეი მისი მცდელობის გამოშე შეუცვლეს.

ახლა მინდა თითქმის სიტყვასიტყვით მოვი-

ყვანო შუშანიკისა და იოანეს დიალოგი, რომელიც ყველა დროის ლიტერატურის მიღწევად მიმაჩნია. ეს ყოველი ფრაზა თითქოს ადამიანის სულის უფსკრულიდანაა ამოსროლილი, რათა ერთი წამით ჩასაფთქოს აქვეკუნული ჰაერი და ისევ სიღრმეში წიალს დაუბრუნდეს.

ეს არის დიალოგი, რომელსაც შეეპარო	q ეი მოაწერდა ხელს:

„და ვარქუ ნეტარსა შუშანიკს: „ღუაწლსა დიდსა შესცალ ხარ, დედოფალო, ეკრძალე სარწმუნოებასა ქრისტესსა, ნუუკეუ, მტერმან ვითარცა სრსკეილმან საძოვარი პოოს შენ თანა“. ხოლო წმიდამან შუშანიკ მრქუა მე: „ხუცეს, და მეცა დიდსა ღუაწლსა განშუადებულ ვარო“. და მე ვარქუ მას: „ეგრეთ არს, მზნე იყავ, მოთმინე და სულერძელ“, ხოლო მან მრქუა მე: „ჩემდა მარტოსა არიან ჭირნი ესე“. ხოლო მე ვარქუ მას: „ჭირი შენი, ჭირი ჩუენი არს და სიხარული შენი, სიხარული ჩუენი არს. ჩუენი არა ხოლო თუ დედოფალთა ოდენ იყავ, არამედ ჩუენ ყოველთა ვითარცა შვილთა გუზღადგენ“.

და ვარქუ მე სანატრელსა მას ხუაშიადადრე: „ვითარ ეგეულებს, მითხარ მე, რაითა უწყოდი და აღეფრონო შრომანი შენნი“. ხოლო მან მრქუა მე: „რაისა მკითხავ ამას?“ და მე მოუგე და ვარქუ მას: „მტკიცედ სდგავ?“...

შუშანიკი გაიგების რა, ვარსკვნსა რჯული შეიეცალოო, შინდან წავა: „სახლაკი ერთი მცირეი ბოკა მახლობლად ეკლესიისა და შენ ადგა მუნ შინა სიმწრისთა სავსეი“. ამ დროს იოანი სასახლეში არ არის, ეპისკოპოს აფოცს ახლავს. როგორც ჩანს, მას აფოცისაკენ დამაღლულად ატყობნებენ დედოფლის ამბავს, რადგან შეუძლებელია აფოცსაც, რომელიც იყო „ეპისკოპოსი... სახლისაი მის პიტიახშისაი“ გაეგო ეს მტკად მნიშვნელოვანი ამბავი და სასწრაფოდ არ დაბრუნებულიყო სასახლეში. იოანი ეი ამბობს: „მე ვიჯმენ ადრე და მივაწიე დასასა მასო“. აი, ახლა კი ნათელი გახდება, თუ რატომ ჩქარობდა ასე იოანი, რატომ მოეშურებოდა ასე შუშანიკის სანახავად: ჯერ ერთი, უნდოდა, რომ აფოცისთვის დაესწრო, იმ აფოცისთვის, იმ ეპისკოპოსსთვის, რომელიც ვარსკვნის ჩამოსვლისთანვე დედოფალთან წავა და შეეცდება რჯულგამცეელად ქმართან მის დაბრუნებას. მეორეც (და რაც მთავარია!) ამდენი ხნის შემზადებული გეგმა ამოქმედდა, ზარი ჩამორიკა, ამ წუთას იოანი დიდიხანია ელოდებოდა, აქამდე მხოლოდ ამისთვის იღებოდა, თავის მოწაფე შუშანიკს ამ დღისთვის ამზადებდა.

და აი, იოანი შუშანიკისკენ მიიჩქარის! საბერთა, კიდევ ერთხელ შემოწმდეს, შეეცადა თუ არა დედოფალს ადეკვატური სიმტკიცის გამოჩენა, საბერთა, კიდევ ერთხელ... არა, კი არ ანუგეშოს, არამედ შეახსენოს მოვალეობა.

— „ღუაწლსა დიდსა შესლეად ხარ, დედოფალო, ეკრძალე სარწმუნოებასა ქრისტესსა, ნუუკეუ მტერმან. ვითარცა სრსკეილმან საძოვარი პოოს შენ თანა“.

თითქოს კარიდანვე ეძახის ამ სიტყვებს, ჩქარობს, შორიდან მოვლის დრო არ აქვს. ეს მან უკვე იცის, რაც უნდა მოხდეს, ანდა, რაც უნდა მოპკეკეს შუშანიკის სახლიდან წასვლას. დედიხანია მთელი სასახლე ამაზე ჩურჩულებს, დედიხანია ვარსკვნი შეუმზეოდა ამზადებს, უკვე დედიხანია ამაოდ ებრძვის შუშანიკი ქმარს „და უკეთურებისა მის სახისა ქმრისა მისისასა მარადის გულს ტყვინ და ევედრებინ ყოველთაევე ლოცვის ყოფად მისთვის, რათამცა ცვლა იგი ღმერთმან სახისა მისგან უგეურებისა და იქმნმცა გონიერებასა ქრისტეისასა“.

ამ ნაწარმოებს ჰყავს, მართალია, უჩინარი, მაგრამ ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი გმირი. და ეს ამ ნაწარმოებში მოქმედ პერსონაჟთა ხასიათებს მასთან მიმართებით, განვიხილავთ, თუ მათ ქცევებს დავაკვირდებით ამ გმირის არსებობის გათვალისწინებით, წყვდიადიდან ამოიზრდება მეტად ქკვანი, გამჭრახი, ძლიერი და... მრისხანე არსება — მეფე ვახტანგი რომანის მოქმედი პირები თითქოს ვიღაც დიადის თვალთა არეში ტრიალებენ და გამუდმებით გრძნობენ მის დაფინებულ ზზრასს, ამიტომ ამბობენ ერთს და ფიქრობენ მეორეს, სახლიდან გარბიან ანდა ემალებიან ვიღაცას, ან საყეთარ თავს, კლავენ უძერფოსეს არსებას, მაგრამ ცოცხლად ტოვებენ გამოაშკარავებულ მსტოვრებს. მოკლედ, ცოტაყველი პიტიახშის სასახლეში ტრაგედია ტრიალებს, რომელიც დიდიხანია მზადდებოდა, დიდიხანია ჰყავდა მიჩენილი ვახტანგისგან შუშანიკს იოანები, თუმცა დედოფლის გადმობირებას რა უნდოდა? მას ხომ ბავშვობიდანვე ესმოდა შეთქმულთა ჩურჩული თუ მკერდში გამაწარებული მჭიღის ბაგენი. თვალწინ ედგა მამა-ბიძათა ფერმკრთალი (შიშისაგან თუ მღელვარებისაგან) სახეები. ახლა ქართველთა დიდი მეფე, რომელსაც მისი „თესლი და ტომი“ (ასე რომ უგანა ვარსკვნმა!) თანაეგრძნობდა, დიდ შეთქმულებას აშზადებდა საერთო მტრის წინააღმდეგ და შუშანიკის სულიც უკვე მას ეკუთვნოდა, მასთან იყო... დანარჩენი მოვლენებმა თუ ბედისწერამ დაიჭერა.

— „ხუცეს, და მეცა დიდსა ღუაწლსა „გამზადებულ ვარ“.

ნარჩენმა იოანმმა კვლავ სული მოითქვა, შუშანიკის სიტყვებმი მთლად დაამშვიდა, მაგრამ ახლა მისთვის საინტერესოა, როგორ ესმის შუშანიკს, მის მოწაფის ენება — „ღუაწლი“, როგორც უმტკივნეულო, მომხიბლავი თეატრალური პოზა, თუ როგორც გავარკვარებული შა-

ნთ და კვერთხი. ამიტომაც ნიადაგის მოსინჯვას იწყებს:

— „ეგრეთ არს, მზნე იყავ, მოთმინე და სულგრძელ“.

ეს თითქოს იმისი თქმა, რომ ფიზიკური წამებისათვის იყავი მზადო, რომლის დროსაც მეტი ვერაფერი დაგეხმარება, გარდა მოთმინებისა და რომლის დროსაც იგრძნობ, თუ მოგეჩვენება, რომ ყველამ მიგატოვა. რადგან ტანჯვა დიადთა წილხვედრია, ამიტომაც სულგრძელოდ უნდა იყო, თორემ ისე ძალიან გადგებიოდა ამის ატანა, რისთვისაც გამზადებული ხარ, რადგან სწორედ მარტოობაა აქ ყველაზე საშინელი.

— „ჩემმა მარტოისა არიან ჭირნი ესე“.

შუშანიკი მიხვდა, საითაც უმიზნებდა იაკობი, მაგრამ ფიზიკურ ტკივილზე ჯერ არაფერი უფიქრია (ვერც წარმოიდგინა!). იმის გაფიქრებამ შეზარა, რომ მართლაც მარტო იყო და, ეტყობა, ეს სიმარტოვე დიდხანაა, რაც დაიწყო. ჯერჯერობით, დედოფალი იმაზე არ დაფიქრებულა, თუ რატომ თხოვდნენ სულგრძელობას. სულგრძელობის თხოვნა ხომ იფიქე პატიების თხოვნაა საკუთარი უმოქმედობისათვის, საკუთარი პასუხისმგებლობისათვის, საკუთარი უმწეობისათვის. სულგრეტელობა, რა თქმა უნდა, ყველაზე უფრო მატივებელი კაცისგანაა მოელოდნელი, მაგრამ უიმისოდ კი ეს ადამიანი ადვილად გატეხდება, პირველივე წამების დროს დაიფშვნება წლობით ნაშენი სიმტკიცე.

ამრიგად, შუშანიკი ჯერ ვერ მიხვდა, რომ სულგრძელობას სთხოვენ ხმა, ვისაც სიმარტოვეში ტანჯვა და სიკვდილი ელის.

იაკობმა იგრძნო, რომ ქალი ჯერ გაბრუებული იყო იმ სითამამით, იმ მართლაც თამამი საქციელით, რაც ჩაედინა, ხოლო ამ საქციელის შედეგი კი ვერ წარმოედგინა. მართალია, იაკობი უკამრავ აფიცავს უყვავიდოდ წმინდანების ცხოვრებასა და ტანჯვაზე, მაგრამ, ერთია წაკითხულის მოსმენა და მეორე, როცა ეს ტანჯვა პირადად შენ გემუქრება. ადამიანის ბუნება ისეა მოწყობილი, რომ თავისთვის შეუძლებელად მიიჩნია ის უბედურება, რაც სხვასთან დაკავშირებით მომხიბვლელადაც კი ეჩვენება. იაკობმა ყველაფერი ეს იცის, ამიტომაც ინდობს დედოფალს. შუშანიკის ნათქვამი, მარტო ვარო, ჰაერში გამოკიდებული რომ არ დარჩეს, ისე, ზოგადად შეეკამთება, ისეთი ფრაზებით, რომლებიც არადერს ადალდებულებს მას და არც... არადის:

— „ჭირი შენი, ჭირი ჩუენი არს და სიხარული, შენი, სიხარული ჩუენი არს“. და ამას მოჰყვება ფრაზა, რომელმაც უკვე აშკარად უნდა მიანიშნოს შუშანიკს, თუ რა ელის მას: „ჩუენნი არა ხოლთ თუ დედოფალი ოდენ იყავ, არამედ ჩუენ ყოველთა ვითარცა შეულთა ვეფხვადაც“.

ეს ფრაზა თითქოს არადერს ამბობს, თითქოს ეფერება და ეალერსება. დედოფალს კი ტივმოყვარეობას, მაგრამ ის, ვინც ეს ფრაზა იმ სიტუაციაში მოისმინა, ალბათ შეიძრწუნა მისმა ფარულმა აზრმა: შენ იყავი და აღარა ხარ, შენ აღარასოდეს აღარ იქნები ჩვენი დედოფალი! თუმცა ასეთი კატეგორიული, განაჩენის მსგავსი დასკვნისთვის შუშანიკს ჯერ ისეთი არაფერი გაუკეთებია. რამდენი ქალი გამოქცეულა ქმრის სახლიდან, მაგრამ მერე მიბრუნებულა ისევ. იაკობმა შუშანიკს უკან დასახვევი გზა მოუტეხა: შენ ვარდან მამიკინანინის ასული ხარ, დედოფალო, ასეთები უკან აღარ ბრუნდებიანო.

შუშანიკი ახლა კი მიხვდა მთელი სხეულით შეიგრძნო განსაცდელი ტკივილი. ეტყობა, სუნთქვა შეეკარა, რადგან დიალოგში მისი ფრაზა გამოტოვებულია, იაკობი კი, რადგან დაიწყო, ბოლოშდე ამბობს სათქმელს — „ეთარ გეგულებს, მითხარ მე, ანაბე

მინდა? მაინც ერეკა თავს და ნაძალადევი ნიშვნეფილი ამბობს:

— „რითმა მეკითხე ამას?"

ეს ხომ ბაგშვური, გულუბრყვილო თამაშია საკუთარი მოუხეიბრილობისა! ამავე დროს ერთგვარი გაბრძოლებაცაა. დროს გაყვანია, ბალადაუვლის ცოტათი იქით, თუნდაც რამდენიმე წამით გადაწეწვა.

რა არის ეს? — ფეკრობს იაკობი, — ნუთუ ამ ქალის სიმტკიცეს ბზარი გაუჩნდა? ამბობ ცოტა შიშითაც კი" ეკითხება:

— „მტკიცეულ სდგაა?

ეს არაჩვეულებრივად დამაბული, ფსიქოლოგიური მომენტი ნამდვილი დიდოსტატის მიერაა აღნაშენული. აქ ადამიანის შიში და უმწეობა, ხელუბრკეული მსგავრკოლს ფარფატაობა გადმოცემდეს. ეს არის ბუნების გაბრძოლება გონების წინააღმდეგ, რაზეცაც ზემოთაც მოგახსენებდით. ტაუეილდ კი არ ამოიღო ეს ფრაზუნი ეკლესიის ფსიზეკლა დარაკმა ანტიფონა ტეკენის მისეულ რედაქციაში (იხ. 6. ჯანაშვილ დასახელებული ნარკვევი).

მაშ ასე: იაკობმა უთხრა შუშანიკს, უფრო სწორად — მიანგანა, თუ რას მოითხოვდნენ მისგან. დედოფალმაც ეს მოთხოვნა ზუსტად გაიგო. ამ სიუპრიზან რამდენიმე დღის მერე, როცა საყვედურებად ჯერ კიდევ ძალიან ბრუნავს ტანჯული ბალანსი, ეს ეუწყა, ეთხრამედ მე გულიდან სიყეფდილად მივალ".

ამ პატარა დიალოგზე ასე დაწერილებით ამიტომ კი არ შეეჭიდა, რომ ის თავისი ლიტერატურული ღირსებით გამოირჩევა, არამედ იმის თქმა მინდოდა, ეს რომანი თავიდან ბოლომდე ასეთი დიდი ოსტატობით არის დაწერილი-მეთქი. ეს არის ჭეშმარიტი პოეტური პროზა, სადაც მაღალი ხელოვნების ენთუსიაზმი გადმოცემულია ადამიანთა ხასიათის ეეფილეკა. ამიტომაც არ შეიძლება ვთქვათ, რომ იაკობი ეზოოლოგ ბიოგრაფია, თუმცა კი თავითონ ეუბნება შუშანიკს, შენი ცხოვრება უნდა ადეწერო. ის არა მარტო იმას წერს, რასაც ხედავს, არამედ უმთავრესად იმას, რაც უნდა რომ დაინახოს, ფაქტობრივ სიზუსტეს ცვლის პოეტური სიზუსტით და გრძნობს, რომ ეს მეორე გაცილებით უფრო ზუსტია და გამმლე, ვიდრე პირველი. იაკობი, უბრალოდ ყოველსა, პოეტია, ქმნის „მეორე სინამდვილეს", ლიტერატურას.

საკმარისია ერთი პაწაწინა ნიუანსი, კალმის ერთი მოსმა, რომ თვალწინ წარმოგიდგეს მთელი სპეტაკიანობის მორალური და ზნეობრივი ცხოვრების ატმოსფერო, რომელიც მინელდამინე სახარებეული შთაბეჭდილებას არ ტოვებს. ეს არც არის გასაკვირი, დაკრძალულ ქვეყანაში მორალური თუ ზნეობრივი ნორმების დონე ყოველთვის დაბალია, ისევე როგორც, ხეთაშორის, დაპპყრობილ ქვეყანაშიც. მცველი, რომელიც შუშანიკის გაზრდილია („უუბადრუკო, არა მიწი განზრდილი ხარო?"), უწვეს რა იაკობს შუშანიკთან, მალულად ყურს უდგებს მათ საუბარს (ეს არის ეს „ზოგადადამიანური" ადამიანური ეს „ეროვნული" კაცია ვარსქენისათვის სადედოფლო ნაწნნების დაპრუნების თათბაზე) და მაშინეე ვარსქენს ატყობინებს, ფეკტიურად, გამბრდელს ამბობ ლებს: „და ჩუენია ამას განვიზრახეეედით, მოვიდა ყმაი ერთი და თქეა: „იაკობ მანდა არსა?" და მე ეარქეი, ეთარქედ „რაი განეეს?" და მან მრქეა: „უეწესს ბატიანზნი". ეიხ

ენ უნდა ვიეგო ასე ეკეკ ვარსქენს იაკობის სამყოფელი, თუ არა იმ მცველისგან!

მეორე შემთხვევაში მცველი ქრთამს იღებს იაკობისგან („უქადე ეურუნეელი ერთი სამსაოლ"). და ისე უშვებს საკანში შუშანიკთან.

ეს ხომ ასეა, მაგრამ თუნდაც ამ ორ პაწაწინა პროზუელ დეტალს თავისი ქვეტექსტი აქვს, არც ისინია ერთგანზომილებანაი, მათ სიღრმეში კიდევ სხვა სიიღემლია დანიმქეული. მართლაც, გაა საკვირველი არ არის, რომ იაკობ ასე ადვილად შედის შუშანიკთან, როცა ვარსქენს ნაბრძანები აქვს, „რაკიდ შეუშვათო? მაშ რატომ ხდება ასე? ლოგიკური იქნება, თუ ვიფიქრებთ, რომ ვარსქენიც, თავის მხრივ, მახეს აგებს, არც შეიძლებოდა, რომ ის გულუხლაკრეფილი მჭდარიყო. უშვებს რა შუშანიკთან იაკობს (რომელიც მისთვის ამკარად ვახტანგის კაცია), საკუთარი მსტოვრების წყალობით (რომლებიც ყველა „ბედნიერებასთან" ერთად, მეკრთამეებიც არიან), ოგებს იმ სადაფლოს, რაც ყველაზე უფრო ინტერესებს, გაიხსენეთ თუნდაც, შუშანიკისგან სადედოფლო ნაწნნების დაპრუნების ამბავი. როგორც ეხედავთ, ვერაგი ვარსქენი იაკობს თავის სასარგებლოდ ეყენებს. ეს შეიძლება იაკობმა არც კი იცის, ანდა უარესი — იცის, მაგრამ სხვა გზა არა აქვს. ამიტომაცაა სწორედ, გამოდგებთ რომ ეშინია რაღაცის.

უაღრესად დაძაბული, მღელვარე ამბავი რომანში დამორჩილებულია, ლამიეთთია გამომეშეკვეფილი რიტმულად ფშვიდი სინტაქსის რკინის ბალიაში. ამ რომანისთვის სრულიად უცხოა პათეტიკა, ამანაც ფეეერენნა ზოგიერთ მკვლევარს, რომ ის ავიოგრაფიულ ეჯნის არ ეკუთვნოდა. სასწაულუნა, რომელთაც შუშანიკი ახდენს, აშკარად ჩამატებულია ხალხური ავიოგრაფიის ბალენნი, ანდა ეჯნის ფოთხოვნილებისა და უბრალო ხალხის ესხატოლოგიური მისწრაფებების გათვალისწინებით. ავტორის დახვეწილი ეეეოვნება და ზომიერების ეეეეფნა იცავს ამ რომანს უამრავი ცდტატისაგან, სხვა და სხვა თქმოყოლებებისა და ლეგენდების ჩართვისგან. აქ ვერ შეეხვდებით

თამაზ ჭილაძე

იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამებაზე"

მცირე დათმობასაც კი იმათთვის, ვისაც ნამდვილი პოეზია არ ესმის. გენიოსი თვითონ ზრდის თავის მეთხეველსა თუ მსმენელს. ქმნილი რა ბიზანტიური ავგიოგრაფიისაგან სრულიად განსხვავებულ, თვისობრივად ახალ ქართულ ავგიოგრაფიას, იაკობი კიდევ ერთხელ ნათელს ხდიდა, გაფლენა არა მარტო მსგავსებასა, არამედ დაპირისპირებასაც რომ გულისხმობს.

ამ რომანს გარედან ავგიოგრაფიის სიფრფიანა ყინულის ჯვარნი აქვს შემოტყმული, ხოლო შიგნიდან კი ყინულის ასხივოსნებს და ანათებს ადამიანური ენებების შუქი. შუშანიკაც ხომ „შინაგან ძაძი ემოსა და არიგინ ოცოდა ჩემსა ვარეშე, ხოლო გარეგან კაცთა თოალსა ანტიოქიისსა პალეკარტი ემოსა“.

ალბათ იშვითად წაგვიკითხავს წიგნი ისეთ ტრაგიკულ სიყვარულზე, როგორიც მოთხრობილია ამ თხზულებაში. იშვითად იმიტომ, რომ ეს არის სულის მხურვალე ქუჩაში სიძულვილად გარდაქმნილი სიყვარული და ჩვენ, ეართრა მხოლოდ ამ უკანასკნელის მოწმენი, სწორედ მისი წყალობით გვრძნობთ, ვხედავთ, თუ რა ძალით უუვარდათ ერთმანეთი ვარსკვნესა და შუშანიკს. ესეც კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ამ ნაწარმოებს არაფერი აკლია, სრულიად არის მოღწეული, რომ ეს საერთოდ ატერის სტილია, უფრო სწორად — განსაკუთრებული უნარი: მოგიყვეს ერთი ამბავი და პარალელურად, ანდა უფრო ზუსტად — ამ ამბის მიღმა დაგანახოს მეორე, გაგლეკნთი უფრო ძმაფრი, ხმამაღლა მოაღოლი ამბის კონტრასტული ეხოგრება.

ო, რა საშინელი იყო ის დღე ვარსკვნისათვის, როცა მოთმინებადაკარგულმა, გონებასგადამდგარმა შუშანიკს პირველად ხელი შემოკრა.

ვარსკვნმა ღამე თეთრად გაათია „და ვითარცა ცისკარნ ოდენ იყო, იკითხა და თქუა მსახურისა მიმართ მისისა, ვითარმედ: „წყალულებისა მისგან ვითარ არს?“

ეს არის პირველი გამოფხიზლება, საკუთარ არსებაში მეორე, აქამდე უცნობი, დაუნდობელი და საზარელი არსების აღმოჩენა. სიყვარულის ბოლო სანიელი — სიბრალული ჯერ კიდევ კიაფობს, თუმცა ერთმანეთი ბოლომდე ეცოდვებთ შუშანიკსა და ვარსკვნს, საბრალოსა და საცოდავს დასძახიან ერთმანეთს და ამ ფრაზებს სულნადგმელ არსებებად აქევებს ეკლესიის საუფლოდან გამჭრიახი და ჭკვიანი ანტონი.

მსახურმა ვარსკვნს უპასუხა, ცუდად არისო. „ბაშინ თვით შევიდა და იხილი იგი და დაუკვირდა დიდძალი იგი სიმსივნეი მისი“. „მეუკვირდაო“! — აი, ის, რასაც ვამბობდი, თითქოს ეს საშინელება მას კი არა, სხვას, სხვას ჩაედინოს, სხვას, რომელიც სიდაანიდაც ვამოძერა, როგორც ჯოჯო, ანდა ვიღაცამ ჩაუცა სულში ძალით. ო, ეს სხვა, სხვა, აქვეკუნეარი პატივმოყვარეობის ტალახიდან, რომ ახლა შეთითხნილი და რომელიც „ეფერა“ ქალიერ ყოფილა, ვიდრე... ვიდრე ფუნდაკე სიყვარული „და ამცნო მსახურსა მას და ჰრქუა: „ნუმცა ვინ შეეალს ხილულდ მისა“. და თვით ნადირობაზედ წარავიდა“. არა! გაიქეა, გაეიდეა, საკუთარ თავს დაემალა!.. ხოლო ამავე დილით შუშანიკი იტყვის: „ნუ სტირ ჩემთვის რამეთუ დასაბამ სიხარულისა იქმნნა ჩემდა ღამეი ესე“. ქალის შეუქცდარმა აღლომ უკარნახა, ანაშნა, რომ ვარსკვნს ისევ უუვარს, უუვარს და იტანჯვება და ამდენად შეუძლია ჯოჯოხეთის ცეცხლი წუკადოდს მას, აწამოს, რადგან ჯერაც კიცს არ მოეკონია წამება ამაზე უმაღლესი. ეს კი მისი, როგორც ქალის, გამარჯვებაა, ახლა უკვე ადვილია რწმენისათვის სიკვდილიც... კიდევ ერთხელ დაეკვირდეთ ტექსტს: შუშანიკი, იმათ ბედ-იღბალს, ვინც ადრე უუვარდა, ვისაც ახლა გულიდან იგლეჯს, ღმერთს ამარებს („ღმერთმან მიგიტეევნინ“); შეიოლს, ჯოჯიას, ჯოჯიოს ცოლ-შვილს; ვარსკვნს არა, ვარსკვნს თავისთვის იტოვებს, ვარსკვნთან ერთად კვდებას!

და აი, უსათუოდ უნდა დადგეს წამი, როცა ეს ორი დაპირისპირებული, ერთნაირად გაფფრენილი არსება უნდა შეეჯახოს ერთმანეთს, რათა ორივე დაიოქთოს, და უცაბედად ტექსტიდან, როგორც ჭრილობიდან სისხლი, იფეთქებს სურათი, რომელიც შშვენებაა ქართული ენისა: „და ეგრეთ წმიდაი შუშანიკ თრეეთი მოითრია თიხათა შიგან და ეკალთა ზედა, ეკლესიათ ვიდრე ტაძრამდე, ვითარცა მეუდარი მეეთრია. და ადგილ-ადგილ ქუე ძქეი დაეფინა. და თვით ფერხნი დაიდგნის ძეძესა ზედა, და კუბასტენ შუშანეკისნი და ხორცნი წუალ-წუალოდ დაებძარნეს ძეძესა მას. და ეგრეთ მოიყვანნეს იგი ტაძრად და უბრძანეს შეკვრაი მისი და ეკმაი, პოროტებდა და იტყოდა: „ეჰა ეგერა, არა ვეერგო შენ ეკლესიაი შენი და არცა ზარგნი ეგე შენნი ქრისტიანენი, და უფალი იგი მათო“. და ვითარცა ს�ეს კუერთხთა სამას ოდენ, არარაი აღმოხდა პირსა მისსა ვაიეპაი, არცა კუნესაი. მაშინეს ჰრქუა წმიდამან შუშანიკ ურჩულოსა ვარსკვნს: „უბადოო, შენდა ზედა თვისი არა შეიწყალე და განსდგა ღმრთისაგან, შენ მემცა შემიწყალეა?“

ამ დროს რადაც იდუმალი ძალისა და ასევე იდუმალი ასოციაციის წყალობით ჩვენს მეხსიერებაში გაიელვებს ეაკა გენიალური სტროქონები:

მოპპყავდა ზვიადური
ხელმეკობილი ფროვასა...

ამ ნაწარმოებით არა მარტო იმის დადგენა შეგვიძლია, ქართული ლიტერატურა მანამდეც დიდიხანია რომ არსებობდა, არამედ იმისაც, თუ რა ძალალ საფეხურზე იდგა სახელმწიფო-

ერთიანი ინსტიტუტი. ის მეტად დაბეჯწული, ოფიციალური, ამავე დროს თითქმის უწინარი ინტერიერი თუ ბრძოლა, ადამიანები, რომელნიც ამ ინტერიერსა თუ ბრძოლას წარმართავენ, აშკარად ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობლობის ასპარაკი უკვე დიდი ხანია, რაც გაუზარეზულად, ეკვმაზოგიერად მეშაობს.

დიდი ივანე ჯავახიშვილის აზრით, ვახტანგმა რომ ვარსკვნელი მოაკვლევინა, „ეს სპარსეთის ბატონობის წინააღმდეგ ამბოხების წინამორბედი იყო. სწორედ ასეე ჩამოაროდეს ეს ამბავი სომხეთშიაც, რომელთა შორის პირველი დამარცხების შემდგომაც სპარსეთისადმი უმაყოფილება წინანდებურად ღვიოდა და თვითონაც ოუჯანენდ სასანელ მეფეს“ („ქართველი ერის ისტორია“ ტ. 1). აღნიშნავს რა ვახტანგისან ვარსკვნელის მოკვლის ფაქტს, დიდი მეცნიერი სამართლიანად არ იზიარებს იმ მკვლევართა აზრს, ვისაც „ბისი მოკმედებაც მხოლოდ და მხოლოდ სარწმუნოებრივ ბრძოლად დაუსახავთ“. ის ამტკიცებს, რომ ვახტანგის ქმედებანი საფექვეი სარწმუნოება კი არა (რომლითაც შენიღებული იყო ეს აქტი), არამედ პოლიტიკა იყო, ოღონდ, დიდი მეცნიერი ამასაც ამბობს: „12 წლის შემდგომ როგორ შეეძლო ვახტანგს შუშანიკის სიკვდილი ეშმაკეულნენისა ქართლის პატიჯსშის დასჯის -მიზეზად?“

ვახტანგი მართლაც პოლიტიკოსი იყო, მისი მოქმედება მართლაც პოლიტიკაკი იყო განსაზღვრული და ამიტომაც მისთვის შეიძლებოდა არც ქმნილი გადამწყვეტი მნიშვნელობა ინსა, თუ რამდენმა ხანმა გაიარა შუშანიკის სიკვდილის შემდეგ (სხვათაშორის, დღეს ისტორიულ მეცნიერებაში უკვე დადგენილია, რომ შუშანიკი გარდაიცვალა 476 წელს, ხოლო ვარსკვნელი ვახტანგმა მოაკვლევინა 482 წელს), ფაქტიურად, ვაუვლია ექვსს და არა თორმეტ წელს, თუმცა, ვიმეორებ, ამ ფაქტს, ჩემი აზრით, ვახტანგისთვის არავითარი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონოდა. მას სჭირდებოდა თავისი ქმედების პოლიტიკური და არა ეიერიდეული ეამართლება. ვახტანგისთვის მთავარი იყო თავისი ბრძოლისთვის მიეცა სამართლიანობისთვის ბრძოლის იერი.

„ქართველი ერის ისტორიაში“ დიდი მეცნიერი იზიარებს ვახტანგ მეფის ღალატით მოკვლის ვერსიას 502 წლის შემოდგომაზე. ივანე ჯავახიშვილი წერს: „ბრძოლა, რომელშიაც ვახტანგ გორგასალი მოკლეულ იქმნა, მართლაც პოლიტიკურ ნიადაგზე ყოფილა აღმოცენებული. და ოვით მეფე იმდენად ბრძოლას არ შესწირავა მსხვერპლად, რამდენადაც ღალატს“ და დასძენს: „გამოიურკვევი რჩება მხოლოდ, ერთპიროვნული იყო ეს ბორტმეშვედება, თუ შეთქმულების შედეგს წარმოადგენდა“.

რასაკვირველია, ძალიან დიდი სითამამეა ამის განცხადება ჩემგან, მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ რაღაც სიიდემლო კაეშრი არსებობს ამ სამ სიკვდილს შორის:

476 წელი — შუშანიკი,
482 წელი — ვარსკვნელი,
502 წელი — ვახტანგ გორგასალი

ეს არის ორმხრივი, ფარული (ისტორიისათვისაც კი!) ბრძოლის შედეგი. თანაც არავითარ შეთხეევაში არ შეიძლება მხედველობიდან გამოვგრჩეს ვარსკვნელის გამაზღვანებელი მეკვეიერენი. იმ დროსაც არა მარტო ბრძოლის ველზე იბრძოდნენ, არამედ უფრო ცხარე, მეეტყოდი, უფრო სისხლიანი ბრძოლა ისტორიის კულისებში მიმდინარეობდა. ეს იყო ბრძოლის ყველაზე გაადფრთხეული, ყველაზე დაუნდობელი და ამავე დროს ყველა ბრძოლასთან შედარებით ყველაზე მნიშვნელოვანი ბრძოლა — იდეოლოგიური ბრძოლა!

იმ ასპარეზზე, სადაც ერთმანეთს ხვდებოდა, ხვდებოდა კი არა — ეხეთქებოდა ორი რელიგია, ორი მრწამსი და, რაც მთავარია, ორი პოლიტიკური პოზიცია — დამპყრობლისა და დაპყრობილისა, გამარჯვებულისა და შეთქმულისა, ყველაზე ნაღდი და ნაკადი იარაღი (ეს არაერთი მაგალითით დასტურდება ისტორიაში) მოსასმენის ქვეშ დამალული დანაა, ანდა მოწამლული ისარი, რომელთაც აქილევსივით მოკლეს (გიიხსენეთ ილიაში გარდაეული აბჯარის!) მძლეთამძლე გმირი, ვახტანგ მეფე, მართლაც, აქილევსის მსგავსი ალნაგობისა და ძალის პატრონი.

„შუშანიკის წამება“ თავისთავად დიდად მნიშვნელოვანი იქნებოდა ჩვენთვის, როგორც პირველი, ჩვენამდე მოღწეული ქართული მწერლობის ფაქტი, მაგრამ რამდენად მნიშვნელოვანია ის ამბავიც, რომ ეს არის დიდი რომანი, ფუძე ქართული მწერლობის დიადი შენობისა, დიდი გაკვეთილი ოსტატობაა, ბოლომდე ამოუხსნელი გამოცანა, რომელიც ასე დარჩება სულ, როგორც ყველა ჭეშმარიტი ქმნილება ხელოვნებისა, რათა მრავალი და მრავალი თაობა გააოცოს და მოხიბლოს მომავალშიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრანი ქავთარია

ძველი საქართველოს ისტორიის ერთი ფურცელი

ნერონის ეპოქა რომის იმპერიის ისტორიაში საერთო მდგომარეობისა და დამახასიათებელი ხანა იყო. შინაურმა აშლილობამ საბოლოოდ შეიერია იმპერატორი. მისმა გარდაცვალებამ ბიძგი მისცა ძალაუფლებისათვის ბრძოლის ახალ ეტაპს. ერთი წლის განმავლობაში რომს რამდენიმე იმპერატორი მოეკლინა: გალბა, ოტო, ვიტელიუსი, ვესპასიანე.

შინაომს გარდა, ამ დროისათვის ადგილი ჰქონდა პროვინციების აჯანყებასაც. განსაკუთრებით აღსანიშნავია იუდეის აჯანყება 66-69 წლებში. 68-69 წლებში მოხდა აგრეთვე გერმანელი ტომების ბატავების და გალების გაერთიანებული ძალთა გამოსვლა იულიუს ცივილისის მეთაურობით. მელუჰარების ტალღამ გადაუარა ცენტრალურ გალიას, კუნძულ კორსიკას, დაკიას, მეზიას.

მდგომარეობას ართულებდა პართია — სომხეთთან ურთიერთობის საკითხი, რაც უარყოფითად მოქმედებდა კაპადოკიაზე, რომელიც აღმოსავლეთში რომის ბატონობის ერთ-ერთ მთავარ დასაყრდენს წარმოადგენდა.

არეულობათა ფართო ქსელს უერთდება პოლემონის პონტოს ანტირომაული აჯანყება ანიკეტის მეთაურობით.

მითრიდატე ევპატორის სიკვდილით (63 წ. ძვ. წ. აღ.) დამთავრდა პონტოს სამეფოს დამოუკიდებლობა. შეიქმნა ბითინია — პონტოს ერთიანი პრეფექტურა. ცოტა ხნის შემდეგ პონტოს სამეფოს დიდი ნაწილი შეუერთდა პროვინცია გალატიას და იწოდებოდა გალატიის პონტოდ. პონტოს მეორე ნაწილი, რომაელთა წინაშე გაწეული დამსახურებისათვის მარკუს ანტონიუსმა ძვ. წ. აღ. 37 წელს გადასცა თავის ერთგულ პოლემონს და ამიერიდან ზუსტად ერთი საუკუნე ატარებდა პოლემონის პონტოს სახელწოდებას. პოლემონის პონტო მოიცავდა შავი ზღვის სანაპიროს ამისოსის აღმოსავლეთით.

პოლემონი წარმოშობით ლაოდიკეიადან (ფრიგია) იყო. ძვ. წ. აღ. 40 წელს პართების თავდასხმის დროს მამაცურად დაიცვა თავისი მშობლიური ქალაქი, რისთვისაც მარკუს ანტონიუსმა კილიკიის დიდი ნაწილის მეფობა უბოძა. ძვ. წ. აღ. 39 წელს პართებმა დაატყვევეს. ტყვეობიდან განთავისუფლების შემდეგ 37 წელს მიეცა პონტოში მეფობა, მასვე დაემორჩილა მეცირე არმენიაც.

აქციუმის პრძოლაში (31 წლის 2 სექტემბერი) პოლემონ I მონაწილეობა არ მიუღია. მას ევალებოდა აღმოსავლეთის საზღვრების დაცვა. აქციუმის ბრძოლის შემდეგ ოქტავიანემ დატოვა იგი პონტოს მეფედ, მხოლოდ მეცირე არმენია ჩამოართვა. რაც შეეხება პოლემონ I შემდგომ მოღვაწეობას, უნდა აღინიშნოს, რომ მისი სამფლობელო კიდევ უფრო გაიზარდა. პონტოს შემადგენლობაში შედიოდა მთელი კოლხეთი და შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროები. პონტოს მეფის უფლებები გავრცელებული ჩანს შავი ზღვის ჩრდილო და აზოვის სანაპიროებზედაც ძვ. წ. აღ. 14 წ. პოლემონ I ბოსფორის მეფეც გახდა.

პოლემონ I გარდაიცვალა ახ. წ. აღ. 8 წელს. პონტოში გამეფდა მისი ქვრივი პითოდორიდა.

იმპერატორმა ტიბერიუსმა (14-37 წწ.) მოახდინა პონტოს ანექსია. მეფედ ეწინა იმპერატორმა კალიგულამ 38 წელს კვლავ ცნო პონტო დამოუკიდებლად. ძალაუფლება გადაეცა პოლემონ I და პითოდორიდას შეილიშვილს პოლემონ II.

პოლემონის პონტომ დამოუკიდებლობა იმპერატორ კლავდიუსის (14-54 წწ.) დროსაც შეინარჩუნა.

ნერონის აღმოსავლურმა პოლიტიკამ საბოლოოდ, დაუსვა წერტილი პონტოს არსებობას. 63 წელს პოლემონ II გარდაცვალების შემდეგ, პონტოში დამყარდა რომაული ადმინისტრაციული სისტემა.

პონტოს სამეფოს გაუქმება ნერონის ადმოსავლური პოლიტიკის ფართო ვეგმის ერთი მონაკვეთი იყო. პართიასთან ბრძოლის პროცესში (54-63 წწ.) რომისათვის პირველი რიგის ამოცანას წარმოადგენდა ზურგის გამაგრებისათვის ზრუნვა. ამიერკავკასიაში, რასაც იგი აღნიშნულ პერიოდში სამეთ აქტიურობით ანხორციელებდა გამოცდილი სარდლის დომიციუს კორბულონის მეთაურობით. ომი დამთავრდა, ზავიც დაიდო, მაგრამ პართია — სომხეთისკენ საფრთხე კვლავ ემუქრებოდა რომის აღმოსავლეთ სამფლობელოებს. ეს იყო ძირითადი მიზეზი, რამაც განაპირობა პოლემონის პონტოს რომის პროვინციად გადოცხადება. ნერონი ეი ღირსეული გამგრძელებელი იყო იმპერატორ კლავდიუსის პოლიტიკისა, აუქმებდა ვასალურ სამეფოებს და აცხადებდა რომის პროვინციად.[1]

პოლემონის პონტოს შავი სანაპიროს ვრცელი ზოლი ეჭირა. იყო დრო, როდესაც მისი საზღვრები გადაჭიმული იყო ამისოსიდან ტანაისამდე (მდ. დონის შესართავი) და მოიცავდა შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროს მნიშვნელოვან ნაწილსაც. მაგრამ პონტოს მეფეთა პატრონობა ბოსფორში და საერთოდ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე დროებით მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. რომის პროვინციად გამოცხადების მომენტში პოლემონის პონტო მოიცავდა მთიროდატე ევპატორის პონტოს სამეფოს შავი ზღვის სანაპიროს სამხრეთ ნაწილს, მის პოლტიტიკურ ცენტრს წარმოადგენდა ქ. ტრაპეზონი[2]. პოლემონის პონტოს ეროვნული შემადგენლობის გასარკვევად ძვირფას ცნობებს გვაწვდიან ძველი ბერძენი და რომაელი მწერლები. მათი მიხედვით, ამისოსის აღმოსავლეთი ტერიტორია დასახლებული იყო ბარბაროსებით ე. ი. არიელინებით. ეს ტომებია: ტიბარენები, ხალიბები, კოლხები, მოსინიკები, ჰენეოხები, სანები, (ჭანები) და სხვ.[3]

ანტიკიურ ავტორთა ჩვენების გათვალისწინებით ნათელი ხდება, რომ პოლემონის პონტო მოიცავდა ძველი ქართველი ტომებით დასახლებულ მიწაწყალს. შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპიროს ამისოს-ტრაპეზონის მხარე, არა მარტო ანტიკიურ ხანაში, არამედ უფრო გვიანაც დასახლებულია ქართველი ტომებით.[4] ამ მხარის მოსახლეობა რომ ქართველი იყო, ანტიკიურ ავტორებზე დაყრდნობით, ნათლადაა წარმოჩენილი თანამედროვე სისტორიონ მეცნიერებაშიც[5].

პოლემონის პონტოც ძირითადად ამ ტერიტორიას მოიცავდა.

ნერონის აღმოსავლური პოლიტიკის ცენტრალურმა მონაკვეთმა პართია-სომხეთთან პრძოლამ რომის იმპერიი ვერ გაამარჯა. აღმოსავლეთ საზღვრებთან კვლავ მურუსი და გაურკვეველი მდგომარეობა იყო. ამან განაპირობა პონტოს სამეფოს გაუქმება და რომის სრული კონტროლის დაწესება შავი ზღვისპირა ქალაქებზე.

პოლემონის პონტო მონაწილეობდა პართიის ომში. ტაციტუსი გვაუწყებს, რომ აღმოსავლეთის ფრონტი ყოველგვარ დახმარებას ტრაპეზუნტის გზით ღებულობდა[6]. ასეთი მხარდაჭერა უეჭველდებოდა არ დაუტოვებია რომის სარდალს კორბულონს. სომხეთის დაკვიმდებარებულ მდგომარეობაში ჩაყენების შემდეგ, კორბულონმა სომხეთის ის ნაწილი, რომელიც ესაზღვრებოდა რომის მეგობარი დინასტიების, ფარსმანის, პოლემონის, არისტოფოლეს და ანტიოქეს სამფლობელოებს, მათივე გადასცა, რათა ახალ მეფეს ტიგრანს ქვეყნის მართვა გაადვილებოდა[7].

განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი ფაქტი, როდესაც ტაციტუსი დასაჩუქრებულ მეფეებს ჩამოთვლის, პირველად ასახელებს იბერიის მეფეს ფარსმანს, ხოლო პოლემონი მეორე ადგილზეა, რაც უდავოდ დამსაჯურების მიხედვით იქნებოდა გამოწვეული. მაგრამ ამის შემდეგ დიდი დრო არ გასულა და პონტომ ნერონის რისხვა განიცადა. ცხადია რომაელი ადმინისტრაციული სისტემის დამყარება დიდ რეაქციას გამოიწვევდა. პონტოს გაბატონებულ საზოგადოებაში.

პირველი წლების უშუალო ანარეკლი უცნობია. დაიწყო თუ არა რომში შინა ომი და პროვინციების აჯანყებანი პოლემონის მემკვიდრეებმაც სცადეს ამ არეულობით ესარგებლათ. სიერთო რომაული კრიზისის ერთ-ერთ გამოვლინებად მიგვაჩნია 69 წლის აჯანყება პონტოში, რომელიც ანიკეტის აჯანყების სახელწოდებითაა ცნობილი.

ერთადერთი ცნობა ამ აჯანყების შესახებ ტაციტუსთანაა დაცული. როდესაც იგი ეხება იმ მოეღვარეებებს, რასაც რომის იმპერიაში ჰქონდა ადგილი, მომდევნო ამბების თხრობაზე ასე გადადის: 47 „არც დანარჩენი ხალხები იყვნენ მშეიდად. პონტოში მოეღლოდნელად აღმართა იარაღი მონამ, ბარბაროსმა, წინათ მეფის ფლოტის უფროსმა“ — პოლემონის ლიბერტინმა ანიკეტმა. ადრე იგი სარგებლობდა დიდი ძალაუფლებით ამ ქვეყანაში. მაგრამ როცა ის (პონტო) გაგდა რომის პროვინციია, მოუთმენლად შეუდგა გადატარიალებისათვის მზადებას. ვიტელიუსს სახელით მან თავის მხარეზე მიიზიდა პონტოს მოსაზღვრე ტომები, ყველაზე გაჭირვებულებს დაპირდა,

ბრანი ალეთარია
ძველი საქართველოს ისტორიის ერთი ფანატელი

რომ ჩარცეს ნაშუალეშს მიხცემდა და ანიშვნელოვანი ძალის სათავეში მყოფი, მოულოდნელად შეიპრა ტრაპეზონტში, სახელოვან ძველ ქალაქში, რომელიც დაარსებულია ბერძნების მიერ პონტოს სანაპიროს ყველაზე შორეულ ნაწილში. ამ განლაგებული კოშორტა, რომელიც ადრე მეფის გარნიზონს შეადგენდა, ამოფლიტა. თუმცა ამ ჯარისაკეცს ახლახან მისცეს რომის შოქალაქეობა, ნიშნად და იარაღები, რაც მიღებული ჩვენს არმიაში, მაგრამ ისინი არსებითად წინანდელ თავაშვებულ ბერძნებად დარჩნენ. ანაკეტმა დაწვა რომის გემები, დაუშინა მათ ანთებული ჩირაღდნები და გახდა სრულიფულებინა ბატონ-პატრონი ზღვაზე, რადგან საუკეთესო ლიბერნინ. ხომალდები და ყველა ჯარისკაცი მეკეანმა ჯერ კიდევ ადრე წაიყვანა ბიზანტიაში. ბარბაროსებმა გასაოცარი სისწრაფით აიგეს ბრავალი ემი და დაუსხეულდა სერიგენეს ზღვას. ეს გემები მათთან იწოდებიან კამარებად (kamara), მათი ფერდობები განლაგებულია ერთმანეთთან ახლოს, ფერდებს ქვემოთ კორპუსი ფართოდება. ბარბაროსები გემების მშენებლობისას არ სარგებლობენ არც სპილენძის არც რკინის სამაგრებით. როცა ზღვაზე მძვინვარეს ქარიშხალი და ტალღებიც მაღალია, ფერდების ზედაპირს ადებენ დაფებს, რაც ქმნის რაღაც სახურავის მაგვარს და ამრიგად დაცული ბრკემი ადვილად მაღვერრიენენ. მათი ზაყვანა შეიძლება ყოველ მხარეს, ეს გემები მოავრდებიან მახვილი ცხვრით, ისე რომ შეუძლიათ სრულიად უხიფათოდ მიადგნენ ნაპირს ორივე ბოლოთი.

48. ანაკეტის ამბოხებამ მიიპყრო ვეფსპასიანეს ყურადღება. მან ჯარისკაცთა წინააღმდეგ გაგზავნა ლეგიონთა ცალკეული (რჩეული) დანაყოფები გამოცდილი სარდლის გორდიუს გემინუსის მეთაურობით. იგი თავს დაესხა ჩარცეططნი გართულ მთელ მხარეში მიმოფანტულ ბარბაროსებს, აიძულა ისინი დაბრუნებულიყვნენ ხომალდებზე. გემინუსმა სანქაროდ აიგო რამდენიმე სწრაფმავალი გალერი, გამოუყვნა ანაკეტს და წამოეწია მდ. ხობის შესართავეზე, სადაც იგი თავს ბრძნობდა უხიფათოდ, რადგან მოასწრო ფულთან და საჩუქრებით მიეზიდა ადგილობრივი (ტომების) ხელმისეზების მეფე (Sedochezorum regis) და ამკამად მას მხარდამჭერად თვლიდა. მეფემ დასაწყისში ნამდვილად აღმოუჩინა მფარველობა თავის სტუმარს, რომელიც ეკეთრებოდა დახმარების შესახებ, და კიდევ ემუქრებოდა რომაელებს იარაღით. მაგრამ მალე გემინუსმა გაიგება, რომ თუ გასცემს მეამბოხეებს, შეუძლია მიიღოს ფული, ხოლო თუ განაგრძნობს ანაკეტის დაცვას, რომის ჯარების თავდასხმით განსაცდელში აგდებს თავის ქვეყანას. მერყეობი, როგორც ყველა ბარბაროსი (fluxa, ut est barbaris), მეფე გადაწყვეტს დალეპოს ანაკეტი და გადასცეს რომაელებს ისინი, ვინც ეძებდა მასთან შეფარეს. ამით დაამთავრა ომი მონეზთან? გადაუყვანს კონნეულიუს ტაციტუსი.

ტაციტუსის მიერ აღწერილი პონტოს ამბები კანონზომიერი გაგრძელებაა ამ მოგონებებისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა რომის იმპერიის სხვა პროვინციებში. პონტოო ჯარყეტას, როგორც გვეცანით, სათავეში ედგა ყოფილი მონა, საზღვაო საქმის კარგი მცოდნე ანაკეტი.

პოლემონის პონტოს მრავალ ზღვისპირა ქალაქს ფლობდა, რომელთაც საკუთრი და კულტურული ურთიერთობა ჰქონდათ შორეულ მხარეებთან. ეს ურთიერთობა ზღვის მეშვეობით მიმდინარეობდა. ზღვაოსნობის საკმაო დიდი ტრადიცია არსებობდა ამ აღრიდანვე. ამ ტრადიციის ღირსეულ გამგრძელებლად გვევლინება პოლემონ I, რომელმაც ერთთანი პონტო-ბოსფორის სამეფოც კი შეერთა[9].

ტრადიცია არ დარღვეულა პოლემონ II მეფობის (38-63 წწ.) დროსაც. ტაციტუსის თანახმად, პონტოს სამეფოში ფლოტის უფროსის თანამდებობაზე კი ყოფილა[10]. მაგრამ მარტო ფლოტის უფროსის თანამდებობა არ მიგვაჩნია ამ ქვეყანაში ნავიგაციის მაღალი დონის მაუწყებადაც. ადგილობრივ ზოსახლეობას სხვა ხალხებისაგან სავსებით განსხვავებული კონსტრუქციის ხომალდი ჰქონია[11], როგორც ალბანეთ კამარა (κάμαρα kamara) ეწოდებოდა. კამარა გამოირჩეოდა სიმსუბუქით, ბოქროობის და ნაპირთან მიდგომის კარგი უნარით და რაც მთავარია, შეეძლო ქარიშხლის დროსაც ჩაძირვის საშიშროება არ ჰქონოდა[12]. ანტიკური ავტორები კამარას ადგილობრივ მოვლენად თვლიან[13]. ანაკეტის ჯარისკაცთასთან და კაკეშირებთან, კამარას საკითხს ეროცელი გამოკვლევა უძღვნა პროფ. გ. გოზალიშვილმა, რომელშიც მთელი სიცხადითაა გადმოცემული გემის ორიგინალობა, მისი დაკავშირება ქართულ სინამდვილესთან[14] და ჯარისკაცმა მონაწილე ხალხების სადაურობის დადგენა. ა. ბოტუნოვს აზრითაც კამარა არ არის ბერძნულ-რომაული წარმოშობისა[15].

სტრაბონის და ტაციტუსის კამარა, როგორც ხომალდის სახეობა, გვიდასტურებენ იყო შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრებ ტომებს შორის. ამ ხალხს ზრდად გამოვიდა სახალხო გმირი ანაკეტი. ბერძნული სიტყვა Ανάκητος უძღველ, დაუმარცხებელს ნიშნავს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთ სახელს ყოფილ მონას რაიმე დიდმნიშვნელოვანი დამსახურებისთვის თუ დაარქმევდნენ.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ჯერ კიდევ პონტოს დამფუძნებელობის დროს მან მრავალი გზის გამოიჩინა თავი, როგორც უებრო გმირმა, რამაც განაპირობა მისთვის Ανίκητος უძველესის წოდება. იგი არის რომელიღაც ადგილობრივი ტომის შვილი. ანიკეტის მოღვაწეობა პონტოს სამეფოს გაუქმებიდან (63 წ.) აჯანყებამდე (69) უცნობია.

მართალია, არიანი, სადაც მოძრაობა ჩაისახა და გავრცელდა, ადრიდანვე ბერძნულ კულტურის და ცივილიზაციის გავლენის სფეროში შედიოდა, მაგრამ ადგილობრივ მოსახლეობას მტკიცედ ჰქონდა შენარჩუნებული ეთნიკურად და კულტურულად განმასხვავებელი ნიშნები; ამ განსხვავების გამო ტაციტუსი ანიკეტს barbarum mancipium-ს ყოფილ ბარბაროსს უწოდებს. ანიკეტის წარმომავლობასა და მის საქმიანობასთან დაკავშირებით უნდა შეგვეხოთ ერთ შეუსაბამობას, რომელიც ჩვენს პრესაში გამოქვეყნდა.

გაზეთ „სოფლის ცხოვრება“-ში (1971 წელი, 25 აგვისტო, ნ. 198) დაიბეჭდა ვ. სიდამონიძის წერილი „ანიკეტის გმირობა“. წერილის დასაწყისშივე უგულებელყოფილია ის მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი, რის გამოც ანიკეტს სახელი ეწოდა. იგი წერს: „ანიკეტი შავიზღვისპირეთი იყო. იგი დაიბადა და აღიზარდა ძველთაძველი მხარის ხალდეას ანუ ხალდეს ერთ-ერთ სოფელ დაბაში, რომელსაც შვიდსოფელს ეძახდნენ. მისი წინაპრები მესხეთ-ჯავახეთის ანაკერტის მკვიდრნი ყოფილან. შესაძლოა გვარ-სახელი ანიკერტიდან მომდინარეობდეს“-ო. დასაკვნის ვ. სიდამონიძე. საინტერესოა სიაღან დაადგინა წერილის ავტორმა ანიკეტის სადაურობა, ან რა კავშირშია შვიდსოფელი და ანაკერტი ანიკეტთან? კიდევ ვიმეორებთ, ბერძნული სიტყვა Ανίκητος უძველეს ნიშნავს. შემდეგ ვკითხულნთხთ: „ლაზიას მეფემ იგი მონობიდან გაათავისუფლა და თავის ამალაში ჩარიცხა“. კი მაგრამ, ლაზია რომელ მეფეზეა აქ ლაპარაკი? სახელმწიფო, რომელშიც ანაყვეკა მოხდა, ატარებდა პონტოს სახელწოდებას და მისი მეფეც ისტორიული პიროვნებაა, პოლემონ II.

კორნელიუს ტაციტუსს მოთხრობილი აქვს, რომ სეფოხეზების მეფემ გადაწყვიტა ანიკეტის დაღუპვა და აჯანყებულების რიგაელებზე გადაყვანა, რასაც შედეგად ბრძოლის დამთავრება მოჰყვა. ვ. სიდამონიძესთან დამარცხების შემდეგ ანიკეტს რომში იმპერატორის ფლეტის კაპიტანად ეხედავთ. რაც სწორი არ არის. ნერონი გარდაიცვალა 68 წლის ზაფხულში, ანიკეტის აჯანყება კი 69 წლის შემოდგომაზე მოხდა.

იმპერატორ ნერონის დროს, ისტორიული წყაროებით ცნობილია ორი ანიკეტი. ერთი პონტოს აჯანყების მეთაური[16], მეორე, ისევ საზღვაო საქმის მცოდნე ასევე ყოფილი მონა, მიზენის ფლოტის პრეფექტი, ნეოლანელ ალმზრდელი, ანიკეტი[17]. ვ. სიდამონიძე ამ ორ პიროვნებას აიგივებს და აცხადებს, აჯანყების მარცხით დამთავრების შემდეგ, დაჭრილი ანიკეტი რომში წაიყვანეს და კაპიტნობა მისცესო, რაც შეცდომაა. მიზენის ფლოტის პრეფექტი ანიკეტი რამდენიმე ვატორს ჰკვეს მოხსენებული გაცილებით ადრე მომხდარ ამბებთან დაკავშირებით[18]. კიდევაც რომ დაეუშვათ დაჭრილი ანიკეტის რომში წაყვანა, იგი ნერონის დროს იტალიაში ვერ მოხვედრდა, რადგან იმპერატორი კარგა ხნის გარდაცვლილი იყო.

ტაციტუსისა და სვეტონიუსის ცნობებით მიზენის ფლოტის პრეფექტი ანიკეტი ნერონთან მეტად დაახლოებული პირია. იგი იმპერატორის მთელი რიგი ბნელი საქმეების მონაწილე და მესაიდუმლე იყო. ანიკეტმა შეიმუშავა ნერონის დედის აგრიპინას დაღუპვის (გემის ჩაძირვის) გეგმა.

ვ. სიდამონიძე ცდილობს ანიკეტის გამარჯვებას, იგი წერს, რომ ანიკეტი, როგორც „დედის მოყვარულმა გმირმა ნერონის დაკარგვა არ შეასრულა“-ო, ასეთი დასკვნა გაუგებრობაზეა აგებული. ანიკეტმა უბრალოდ, ვერ შეასრულა დავალება, აგრიპინაც შემთხვევითობამ გადაარჩინა სიკვდილ და არა პრეფექტის ჰუმანურობამ. ბოლოს ამავე ანიკეტმა გამოასალმა აგრიპინა სიცოცხლეს, ეს მოხდა 59 წელს, როდესაც პოლემონის პონტო დამოუკიდებელი სამეფო იყო და ანიკეტიც პონტოს ფლოტს მეთაურობდა.

ასევე უარყოფით როლში წარმოგვიდგება ანიკეტი სხვა შემთხვევებშიც. მაგ. ნერონმა, როდესაც მონიდომა გზნიან ჩამოშორებინა თავისი მეუღლე ოქტავია, რომაელ მწერალთა მოწმობით ამ საქმისათვის ყველაზე შესაფერისად იგი აგრიპინას მკვლელ ანიკეტს თვლიდა. ისიც სიამოვნებით დათანხმდა და 62 წელს სიაქმის გაგზავნა ოქტავია. პონტო ისევ დამოუკიდებელია. სვეტონიუსი ანიკეტს ცრუ მოწმეს უწოდებს[19].

მეტად მკაცრია ანიკეტის ტაციტუსისეული დახასიათება. იგი ასეთი ეპითეტებით ამკობს მას: ბოროტმოქმედი, უსულგულო, ჭორიანა, მაბეზღარა[20]. წერილის ავტორი წერს, რომ ანიკეტი ნერონის გარდაცვალების შემდეგ კუნძულ სარდინიაზე გადასახლეს, რაც შეცდომაა. ნერონი გარდაიცვალა 68 წელს, ხოლო

ბრანი ქავთარია
ძველი საქართველოს ისტორიის ერთი ფურცელი

ანიკეტის გადასახლება უნდა მოიხდინიყო ოქტავიას მოკვლის შემდეგ, 62 წლის ახლო ხანებში.

აი ასეთ პირობებს აიკვეტს ვ. სიდამონიძე განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშე ანიკეტთან.

ამრიგად, პოლემონ II ფლოტის უფროსი და ნერონის ანიკეტი ერთი და იგივე პიროვნება არ არის. მათი გაიგიგება არის ისტორიული ფაქტის დამახინჯება. წრდადთაწმიდა საქმისათვის მებრძოლი პონტოელი ანიკეტი გათვალეწეული გარყვნილა და უბოროტეს პირფიზებისათან.

ცნობილი რომაელი ისტორიკოსი კორნელიუს ტაციტუსი ერთადერთი მწერალია, რომელიც ორივე ანიკეტის მოღვაწეობას იცნობს (პონტოელი ანიკეტის შესახებ ცნობა სხვა ავტორს არ აქვს), მაგრამ თავის შრომებში (მას რამდენიმე გვერდი აქვს ამ საკითხისადმი მიძღვნილი), არსად არ წერს, რომ ისინი ერთი და იგივე პიროვნებანი არიან, ეს უბრალოდ შეეძლებელიც იყო, ვინაიდან, როდესაც პონტო რომის პროვინციად გამოცხადდა (63 წელი), ნერონის ლიბერტინი ანიკეტი უკვე სარდინიაზე იყო გადასახლებული, მას თავისი საქმიანობა, რითაც ისტორიაში შევიდა, დამთავრებული ჰქონდა.

ვ. სიდამონიძის შეცდომა წყაროებისა და არსებული სამეცნიერო ლიტერატურის გაუთვალისწინებლობით არის გამოწვეული. თუმცა თავის წერილში მოხსენებული ჰყავს ტაციტუსი და სვეტონიუსი, ს. ჯანაია, გ. გოზალიშვილი და ა. პოლტენოვი, მაგრამ სამწუხაროდ ამ ავტორთა დამსახურების ოდნავმა ანარეკლმაც კი ვერ ჰპოვა ადგილი მის ნაშრომში და წერილიც მცდარ საფუძველზე აააო.

ახლა დავუბრუნდეთ როგორ წარიმართა პონტოელთა განმათავისუფლებელი მოძრაობა. როდესაც აჯანყების თანმიმდევრობას ვეხებით, უპირველესად ის მოვლენა უნდა გავიგთვალისწინოთ, თუ ვინ უნდა აჯანყებულიყო ან ვის შეეძლო აჯანყებაში მონაწილეობის მიღება. ამის განსაზღვრა თითქმის ძნელია, მაგრამ თუ ანიკეტის მოძრაობას არ ამოვგლეჯთ საერთო ისტორიული ჩარჩოებიდან და წინამავალ მოვლენებთან მჭლიანობაში განვიხილავთ, ბევრ საიდუმლოებას აუხდება ფარდა.

63 წელს პოლემონის პონტოში დამყარდა რომაული ადმინისტრაციული სისტემა, სამეფო კარმა და საერთოდ გაბატონებულმა ფენამ დაკარგა თავისი აღრინდელი პრივილეგიერებული მდგომარეობა. უკმაყოფილებას პირველი დღიდანვე ექნებოდა ადგილი, მაგრამ გამოსავლისათვის დრო იყო შეუფერებელი. რომმა ამ ხანებში (63 წ.) პართიასთან ზავით დროებით განიმტკიცა პიზიციები აღმოსავლეთში. ამიტომ პონტოს ანტიროომაელად აჯანყებლმა ზედაფენამ ლოდნელ ანიკეტად ამკობინა. ანიკეტის აჯანყება მარტო მონათა მოძრაობა არ ყოფილა. თუმცა არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ აჯანყებულთათვის საკმაო მასას მონები შეადგენდნენ, მაგრამ წინასწარ დასახული გეგმა მიზნად სულ სხვა რამეს ითვალისწინებდა.

ანიკეტი კარგად ინფორმირებული ჩანს. აჯანყების დასაწყისშივე მოქმედებას იწყებს იმპერატორ ვიტელიუსის სახელით[21], რადგან იცოდა, რომ ბრძოლა ვიტელიუსსა და ვესპასიანეს შორის გარდაუვალი იქნებოდა, ამიტომ მისთვის უფრო ხელსაყრელი იყო აღმოსავლეთის პროვინციების საკითხებში ნაკლებად გარკვეული იმპერატორი, ვიდრე აღმოსავლეთის ტერიტორიით დამკლაშვრავი ვესპასიანე. ასეთი ნაბიჯიც იმისი მაუწყებელია, რომ პონტო მზადებაში დიდი ხნიდან უნდა ყოფილიყო. ამის დამადასტურებლად მიგვაჩნია ანიკეტის მოლაშქრეთა სწრაფი მოქმედება. აჯანყებულებმა იერიშით აიღეს ქ. ტრაპეზონი, რომაელთა კოპორტა ამოწლტეს (500 კაცი), ხელთ იგდეს ქალაქი და მისი შემოგარენი. ანიკეტს, როგორც გამოცდილ სამხედრო პირს, კარგად გაუთვალისწინებია ის ფაქტი, რომ 69 წლის გაზაფხულზე რომაელებმა ვარგისი ხომალდები და ჯარისკაცები ბიზანტიონში გადაიყვანეს. ქალაქში დარჩა ბერძენი მეომრებისაგან შემდგარი კოპორტა და საკმაოდ ძველი ხომალდები.

ტრაპეზონის აღების შემდეგ აჯანყებულებმა ააგეს ნავები და ზღვის სრული პატრონპატრონები გახდნენ, რომის ფლოტი კი დაწვეს. ტაციტუსი წერს, რომ აჯანყებულები თვიანთი კამარებით „დაუსჯელად სერავდნენ ზღვასო"[22].

ტაციტუსის მიხედვით, ანიკეტმა აჯანყების დასაწყისშივე მიიმხრო ტრაპეზონის გარშემო მცხოვრები ტომები დაპირებებით, რომ ყოველნაირად შეუწყობდა ხელს ძარცვაგლეჯაში. უნდა აღენიშნოთ, რომ დაპირებებსაც ექნებოდა ადგილი მოსახლეობის მისამხრობად და თავისი ინტერესების „სამსახურში ჩასაყენად, მაგრამ აჯანყება მარტო დარბაზებზე დაყრდნობით დაწყებულად რომ მივიჩნიოთ, არ იქნება მართებული. ანიკეტს ამ დროისათვის მონათა და უქონელთა საპროსპერიოდ განსხვავებული კლასობრივი ინტერესები ამოძრავებდა. თუმცა ყოფილ მონას დაბალ ფენებში ავტორიტეტის მხრივ ვერავინ შეედრებოდა[23].

ასევე რეალურ სინამდვილედაა მიჩნეული ისიც, რომ აჯანყებაში მთავარ როლს ადგი-

ლობრივი მოსახლეობა ასრულებდა, მაგრამ არ გამოიცხავენ ტრაპეზონის ბერძნულ მოსახლეობის მონაწილეობასაც. ეს ასეც მოხდებოდა, მაგრამ მთელი ბერძნული მოსახლეობა არ უნდა მივიჩნიოთ აჯანყებაში ჩაბმულად. რაც შეეხება ტაციტუსის „ღარიბ-ღატაკებს", მათ აჯანყების მხარე უნდა დაეჭრათ თავიანთი კლასობრივი ინტერესების გამოც, და შესაძლებელია, ნადავლის ხელში ჩაგდების იმედითაც. არც ერთი ავტორი, ვინც კი შეეხო ანიკეტის აჯანყების საკითხს, არ უარყოფს, რომ მოძრაობაში დომინირებენ მდგომარეობა ადგილობრივ ტომებს ეკავთ[24]. უფრო ზუსტად, „ის ტომებიც, რომლებიც ანიკეტის მეთაურობით რომის წინააღმდეგ აჯანყდნენ 69 წელს, ქართველი ტომები იყვნენ"[25]. ზოგი ამ მოძრაობას სტეპეიერად თვლის და გაზვიადებულად წარმოგვიდგენს მასში მონათა მონაწილეობას. ა. ბოლტუნოვა ყაჩაღურ მოქმედებად მიიჩნევს ანიკეტის მოძრაობას და ერთი სიტყვითაც არ ახსენებს განმათავისუფლებელ ბრძოლის ფაქტს. ავტორი ეყრდნობა სტრაბონის ცნობას[26], რომლის თანახმად, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე გავრცელებული იყო მეკობრეობა. აქედან გამომდინარე, ანიკეტის აჯანყებაც, მისი აზრით, მეკობრული, ნადავლისათვის დაწყებული ყაჩაღური მოქმედებაა.

იგივე ავტორი აჯანყებულებს პროფესიონალ მეკობრეებად მიიჩნევს.

ა. ბოლტუნოვას ტრაპეზონის აღება აჯანყებულთა მიერ ყაჩაღურ აქტად მიაჩნია, მაგრამ ასეთი შეფასება არ არის გაზიარებული. ამ საკითხთან დაკავშირებით მართებული პროფ. გ. გოზალიშვილის დასკვნა: „რაც შეეხება ტრაპეზუნტის დარბევას, ეს ყველაზე ცალკე იყო, რადგან იგი წარმოადგენდა რომაულთა მთავარ სამხედრო ეკონომიურ დასაყრდენს"[27]. აჯანყებულებმა პირველი იერიში სწორედ ტრაპეზონის გარნიზონზე მიიტანეს და პირველი დაბრკოლება გადალახეს.

ასევე არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად აჯანყების სტეპეიერად ჩათვლა. ამ შეხედულების მომხრეთა საწინააღმდეგოდ შეგვიძლია მოვიტანოთ ტაციტუსის ცნობა, „როცა ის (ანტა) რომის პროვინციაა გახდა, მოეთმენლად შეუდგა გადატრიალებისათვის მზადებას"[28]. ე. ი. შეუდგა მზადებას და არა დიაწყო. 63 წლიდან 69 წლამდე 6 წელი, რაც საესებით საკმარისი ფრო უნდა იყოს მოსამზადებლად. მეორეს, როდის იწყებს ანიკეტი გამოსვლას? არა ნებისმიერ დროს, არამედ ზუსტად მაშინ, როცა ამისათვის ყველაზე ხელსაყრელი მომენტი დადგა. რომში გვირგვინისათვის ბრძოლაა გაჩაღებული, ხოლო პროვინციების საკმაო ნაწილი ცეცხლის ალში გახვეული.

ვესპასიანე დიდი ყურადღებით მოიკვლევ ანიკეტის აჯანყებას. ამბოხებულთა წინააღმდეგ გაგზავნა გამოცდილი სარდალი — გენერალი[29], იმდენად მოელოდნელი იყო ეს ამბავი. ეს მოჩენა ტრაპეზონთან, რომ აჯანყებულებმა გაქცევთ უშველეს თავს. ვესპასიანეს ასეთი გამოხმაურება არ იყო შემთხვევითი. რომის იმპერატორს, მანამ უნდა გაენადგურებინა აჯანყების ბუდე, სანამ გაბმაურებდოდა.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ანიკეტის აჯანყება ორი ეტაპისაგან შედგება. პირველი — ტრაპეზონის მიდამოებში, სადაც აჯანყებულებმა რომაელთა რჩეულ ნაწილებს ვერ გაუძლეს, დამარცხდნენ და იძულებული გახდნენ გაქცეულიყვნენ. მეორე პერიოდი, როცა ლტოლვილმა ანიკეტმა თავისი მომხრეებით, მიაშურა შავი ზღვის აღმოსავლთ სანაპიროს და თავი შეიფარა მდინარე ხობის შესართავში მეცხოვრებ სედოხეზების ტომსა. უნდა აღინიშნოს, რომ ანიკეტი უცხო მხარესა და უცხო ხალხში არ გაიქცეოდა, რაც ერთხელ კიდევ მოეთათიებს შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს მოსახლეობის საერთო მიზნებს. ცხადია, იგი ექ უნდა წასულიყო, სადაც მიესვლებოდა და საჭიროების შემთხვევაში, დახმარებაც მიეღო. ასეთ მხარედ ტაციტუსი ასახელებს მდ. ხობის შესართავს.

ტაციტუსთან მოხსენებული მდ. ხობი, ფლავიუს არიანეზე დაყრდნობით[30] მიაჩნიათ მდ. ენგურად. პლინიუსი ხობს სვანეთის მთებიდან მომდინარედ თვლის [31]. ეს ფაქტი საკმაოდ დამაჯერებლადაა განმარტებული თანამედროვე ისტორიოსთა მიერ, რომელთა მიხედვითაც, ნათელი ხდება, რომ ანტიკურ ავტორთა ხობი უნდა იყოს მდ. ენგური, რომელიც ნამდვილად სვანეთიდან მოედინება[32].

ანტიკური ავტორების მდ. ხობი, მათი აღწერის თანახმად, მათივე კოორდინატებით შეესატყვისება მდ. ენგურს. აჯანყებულები ეძებენ სიმივეო თავშესაფარს და ასეთად მიიჩნიეს სედოხეზები, რომლებიც მდ. ენგურის ნაპრას ცხოვრობდნენ. არც ერთი ავტორი, ტაციტუსს გარდა, ამ სახელწოდების ტომს არ იცნობს.

თუ ვინ იყვნენ სედოხეზები, ყურადღება უნდა მიექცეს ანტიკური ავტორების ცნობებს, რომელთა თანახმადაც, შავი ზღვის ეს სანაპირო ზოლი მოლიანად ჰენიოხების ეკავათ. თვით სახელწოდება ჰენიოხები კრებითია. სტრაბონის თანახმად, დიოსკურიიდან მოყოლებული ვიდრე კავკასიონის მწვერვალამდე ცხოვრობდა მრავალრიცხოვან სოფლად (Χωρας

ანანი ჭავთარია
ქველი საქართველოს ისტორიის ერთი ფურცელი

სვანთა) ტომი, რომელთაც 200000 მეომრის გამოყვანა შეუძლიათ და ისინი ბატონობენ მეზობელ ტომებზე. ზოგი ავტორი ამ მხარეში გაბატონებულად ჰენიოხებს თვლის, ტრაბონი და პლინიუსი, ჰენიოხებს ნაცვლად, სვანებს წერენ Σοανες, ciuanos [33].

ჰენიოხების სვანებად მიჩნევას საკმაო ისტორია აქვს. ანტიკური მწერლების ცნობებს ვრცელი განმარტებანი უძღვნეს ქართველმა მეცნიერებმა. სისტორიო მეცნიერების თანამედროვე დონე მიუთითებს, რომ სვანების გავრცელების არე არ შემოიფარგლებოდა საკუთრივ დღევანდელი სვანეთით, იგი მოიცავდა დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან ნაწილს.[34]

თუ ჭეშ სვანების განსახლების შემოთავაზებულ არეალს სარწმუნოდ მივიჩნევთ, მაშინ საკმაო საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ტაციტუსის სედოხზუები უნდა იყოს, მრავალრიცხოვან სვან ტომთა ერთი ჯგუფის გაერთიანება, რომელიც ძირითადად მდ. ენგურის სანაპიროზე, მის ქვემო წელზე იყო დამოკიდებული.

დიდი ტომობრივი ერთიანები, თუ ტომთა გაერთიანება, რომელსაც კრებითი მნიშვნელობა ჰქონდა ანტიკური მწერლებისათვის, იყო ჭენიოხთა ვრცელი დასახლება თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე.

ყოველივე ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ ტაციტუსის სედოხზუების მეფის (Sedochezorum regis) დეენტურობა სვანების ერთ-ერთი ტომის მეფესთან.

ანეკეტმა თავი მდ. ენგურის ხეობას შეაფარა, სადაც ცხოვრობდა მრავალრიცხოვან ჰენიოხთა ერთი განშტოება სედოხზუების სახელწოდებით. აქ იწყება ანეკეტის აჯანყების მეორე და საბოლოო პერიოდი. აჯანყებულთათვის ეს პერიოდი ტრაგიკულად დამთავრდა. სედოხზუების მეფემ რომაელთა მეექვსის ვერ გაუძლო და თავისი სტუმარი მტერს გადასცა. ამით აჯანყება დამთავრდა.

შეგვიძლია თუ არა სედოხზუების მეფე ანეკეტის მოკავშირედ ჩავთვალოთ? მან უეჭველად იცოდა თავიდანვე აჯანყების შესახებ, მაგრამ მასში მონაწილეობა ვერ მიიღო, თუმცა ლტოლო�eულს თავშესაფარი სიამოვნებით მისცა. იგი პირველ ხანებში იარაღითაც კი ფიქრობდა რომაელთა წინააღმდეგ გამოსვლას. მაშინ რა იყო მიზეზი, რამაც ასე საეჭვო ანარეკლი დატოვა ანეკეტის ღალატთ? სედოხზუების მეფე, როგორც გვაროვნული არისტოკრატიის წარმომადგენელი, პირად ინტერესებს ეროვნულ ინტერესებზე მაღლა აყენებდა. ამიტომ შეაქცია ზურგი აჯანყებულებს. მაგრამ ეს არ არის მთავარი საბუთი, ჩვენი აზრით, სედოხზუების მეფეს კარგად ჰქონდა შეგნებული რომაელთა ძალა. მან განსაზღვრა, სედოხზუები რომაელებს ვერ ვერ აღუდგებიდნენ, ბრძოლაში აზრი არ ეენებოდა; ამიტომ არჩია მანამ გაეცა ლტოლეული, ვიდრე თვითონაც მათ მდგომარეობაში ჩავარდებოდა. მეფობის დაკარგვას სიტყვის გატეხა ამჯობინა. ამან აიქმეკინა ტაციტუსს მის შესახებ, „მერყეკი, როგორც ყველა ბარბარული“. სედოხზუების მეფემ ამგვარი საქციელით თავისი ქვეყანა ოიხრებას გადაარჩინა.

ტაციტუსი აჯანყების შესახებ თხრობას ასრულებს, მონებთან ომი დამთავრდაო. ამ სიტყვებში ჩანს რომაული დამოკიდებულება ყველა არარომაელისადმი. საყრთოდ ცნობილია — რომი როდესაც გასცდა აპენინის ნახევარკუნძულს და შეუდგა თუ არა სხვა ქვეყნების დაპყრობას, მაშინვე დაიწყო დამორჩილებელ ხალხთა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. რომაული ისტორიოგრაფია უმეტეს შემთხვევაში ამა თუ ამ ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობას ყაჩაღთა და მონათა ბრძოლას უწოდებს. ამიტომ საესებით ბუნებრივია, რომ კორნელიუს ტაციტუსი ანეკეტის აჯანყებას მონათა აჯანყების სახელწოდებით ნათლავს.

რა იყო ანეკეტის ასე სწრაფად დამარცხების მიზეზი? თუ ჩვენ, საერთოდ, შედგენი ვიმსჯელებთ, ასეთ სურათს ვიხილავთ. ყველა ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობა რომის წინააღმდეგ მარცხით თავრდებოდა, მიუხედავად იმისა, თუ როგორ იყო ესა თუ ის აჯანყება მომზადებული. ამაში დიდი სიიდუმლოება არ არის, რომაელი სამხედრო ხელოვნება გაცილებით მაღლა იდგა სხვა ხალხების სამხედრო წყობაზე. რომის არმიაში იბრძოდა პროფესიონალი მეომარი, სხვა ხალხთა არმია კი სახელდახელოდ შეგრეგიული მეომრებისაგან შედგებოდა. ცხადია, ასეთ არმიას შეძთხვევით შეკრებილი მებრძოლები სერიოზულ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდნენ. ასეთ ფაქტს ჭქონდა ადგილი ანეკეტის აჯანყების დროსაც. უფრო მეტიც, ვესპასიან�პონტუზიეტ ლეგიონთა რჩეული ნაწილები გაგზავნა. ასეთი ორგანიზებული არმიას ანეკეტი ვერ გაუმკლავდა და ამან გამოიწვია აჯანყებულთა სწრაფი დამარცხება.

აჯანყების სულისჩამდგმელად .უნდა მივიჩნიოთ საზოგადოების ის ფენა, რომელმაც რომაული ადმინისტრაციული სისტემის დამყარებით რადაც დაკარგა, და ამ გამოსვლით სცადა აღრინდული მდგომარეობის დაბრუნება, რაც ჩვეულებრივი მოგლენაა და არაა დამახასიათებელი მარტო ამ მოძრაობისათვის. ანტირომანული აჯანყების ორგანიზატორი იყო პოლემონის პონტოს სამეფო კართან დაახლოებული დიდკაცობა, რომლის ლიდერადაც

ყველანაირა ყოფილი მონა, სამეფო კარზე დიდი გავლენის მქონე — ანიკეტი. რა თქმა უნდა აჯანყების ძირითად ბირთვად თავი-სუფალი მოსახლეობა უნდა ვიგულისხმოთ, რომელსაც მემამე ტეიმოად დაარწმუნოდა რომაელთა ბატონობა. შემდეგ მოდის ღარიბთა და მონათა წყება, რომელთაც ინტერესებდათ პირადი თავისუფლება, და - რა თქმა უნდა, პირველ რიგში ნადავლის ხელში ჩაგდება.

პონტოში შექმნილ რთულ სურათს კარგად გადმოგვცემს აკად. ს. ჯანაშია, „ადგილად შესაძჩნევია, რომ აჯანყებას ორმაგი, როგორც პოლიტიკური, ისე სოციალური, ხასიათი ჰქონდა: თუ, ერთი მხრით, პონტოს, თავისუფლებისათვის მებრძოლი, ხალხები და ამ ხალხური მოძრაობის ზეგრთებზე მოტიტაცეე, ადგილობრივი ყოფილი მმართველი წრეების ნაშთები და წვრილი მფლობელები (მიაქციეთ უურადღება ცნობებს პონტოელ ხალხების გადასვლის შესახებ აჯანყების ორგანიზაციისა, სამეფო ფლოტის ყოფილ უფროსის მხარეზე, და სედოხზების მეფის როლის შესახებ) საკუთარი პოლიტიკური თვითმყოფობისათვის ებრძვიან რომაელი ძალადობის წინააღმდეგ... მეორე მხრით, უეჭველია, რომ აჯანყება მნიშვნელოვნად არის გაფეთნილი მონათა კლასობრივი ბრძოლის ელემენტით»[35].

ანიკეტის აჯანყება არ იყო მარტოოდენ მონათა მოძრაობა. მართალია ტაციტუსი მას მონათა აჯანყებას უწოდებს, მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა გავარკვიოთ რომაელი ისტორიკოსის პოზიცია. იგი მოძრაობას ახსნებს რომს დატეხილ უსიამოვნებასთან დაკავშირებით და სულაც არ აინტერესებს აჯანყებულთა შემადგენლობა. დავუშვათ, პონტოში მართლაც ჰქონდა ადგილი ექსპლოატაციის მწვავე ფორმებს, რამაც აჯანყება გამოიწვია, მაგრამ რატომ ჩაუდგებოდა მონებს სათავეში უცვე ამ ფენიდან გამოსული ანიკეტი. ან კიდევ, ეს მონები რატომ აღრე, გაციცებით სუსტი (რომთან შედარებით) პოლემონ II წიანაღმდეგ არ გამოვიდნენ. რატომ მიინცდამაინც 69 წელს აღმოჩთეს იარაღი და არა წინა ან მომდევნო წელს. ამ ფაქტის გათვალისწინებაც საკმაო სამსაჯურს გაგიწევენ, რათა დავადგინოთ აჯანყების ბრა სოციალური, არამედ პოლიტიკური ხასიათი.

ანიკეტი, როგორც სამხედრო საქმის სპეციალისტი, კარგად იყო დარწმუნებული რომაელთა ძალების უპირატესობაში, და პონტოს გაუქმების შემდეგ, ცხადია, აჯანყებისათვის ხელსაყრელ მომენტს უცდიდა. ასევე კარგი ინფორმაცია ჰქონდა მას რომის, როგორც საგარეო ისე საშინაო მდგომარეობის შესახებ. მის შორსმჭვრეტელობაზე მეტყველებს ისიც, რომ იარაღს ზუსტად მაშინ მოჰკიდა ხელი, როცა რომში არეულობა და იმპერატორის გვირგვინისათვის ბრძოლა ზენიტშე იყო ყველაზე ეს კარგად ახასიათებს მას, როგორც პოლიტიკოსს. ამიტომ აჯანყება ეგრალო ლტ-ქიურ გამოსვლად კი არ უნდა მივიხნოთ, არამედ წინასწარ მომზადებულ განმათავისუფლებელ მოძრაობად.

აჯანყებულთა ძირითად მასას ძველი ქართველი ტომები შეადგენენ. აჯანყება თავდაპირველად ტრაპეზონის შემოგარენში დაიწყო. ტრაპეზონს კი კოლხთა მიწაზე არსებულ ქალაქად თვლიან ანტიკური ავტორები. პოლემონის პონტოს შემადგენლობაში შედიოდა კოლხეთი მდ. ფაზისამდე, ხოლო რაც შეეხება ფაზისის რჩდილოეთით მცხოვრებ შავი ზღვისპირა დანარჩენ ქართველ ტომებს, ისინი ამ გაერთიანების გარეთ ჩანან. ტაციტუსის ცნობის საფუძველზე ნათელი ხდება, რომ პონტოს რომის პროვინციად გამოცხადება მთელ შავიზღვისპირეთს არ შეხებია. როგორც ჩანს, პონტოს ჩრდილო საზღვარი პოლემონ II დროს გადიოდა მდ. ფაზისზე. ამგვარი ვარაუდის საშუალებას გვაძლევს შემდეგი გარემოება: ფაზისის შესართავიდან 180 სტადიონის დაშორებით მდ. ენგურის ხეობაში ცხოვრობდა სედოხზეზების ტომი, რომელსაც თავი რომაელებისაგან დამოუკიდებლად ეჭირა და საკუთარი მეფეც კი ჰყავდა. ამიტომ სცადა ანიკეტმა შეფარებოდა რომის კონტროლს გარეთ არსებულ ზხარეს.

ანიკეტის აჯანყება, რომ მონათა აჯანყება არ იყო, მრავალი ფაქტით მტკიცდება. პირველი: ტრაპეზონიდან დამარცხებული ანიკეტი გაბნის სედოხეზებთან. იგი შეიფარა სედოხეზების მეფემ. ამ შემთხვევაში შეიძლება ასეთი კითხვა დაიბადოს: გაბ მონათა აჯანყების მეთაური (თუ ვიგარაუდებთ, რომ მართლა მონების აჯანყება იყო) მისცემდა თავშესაფარს თვით სხვისი ეფსპლოატაციის ხარჯზე მცხოვრები მეფეე? მას რა გარანტია ჰქონდა, რომ აჯანყება მის ქვეშევრდომებსაც არ გადადებდა. მეორე: მონათა აჯანყება უეჭველად მიმართული იქნებოდა ადგილობრივი მონათმფლობელების წინააღმდეგაც, და შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ერთერთი მსხვილი ეფსპლოატატორი, აჯანყებას ხხარს არ დაუჭერდა. აჯანყება რომ განმათავისუფლებელი იყო, ჩანს სედოხეზების მოქმედებითაც. ვინაიდან სედოხეზებსაც ემეკრეზოდა პონტოს ბედში ჩავარდნის საფრთხე, ჩვენი აზრით, ამან განაპირობა მათი მიმხრობა ანიკეტისადმი, ანიკეტი კი გამოდიოდა შავი

ბრანი ქავთარია
ძველი საქართველოს ისტორიის ერთი ფურცელი

ზღვის საბრძო-აღმოსავლეთ სანაპიროზე შექმნილი მძიმე დგომარეობის წინააღმდეგ და მოსახლეობას დამოუკიდებლობის დაბრუნების ლოზუნგით მოუწოდებდა. ეს იყო მიზეზი, რამაც სედოხეზების ინაეტისადმი მიმბრობაში ძირითადი როლი ითამაშა. სედოხეზებმა ვერ შეასრულეს დაპირება.

ანეკეტის მოძრაობის განმათავისუფლებელ ხასიათს ადასტურებს ვესპასიანეს განსაკუთრებული ყურადღებით მოპყრობა აჯანყებისადმი. განა ვესპასიანემ არ იცოდა, რომ მოსათა აჯანყების არ შეეძლო შეერყია მისი ავტორიტეტი აღმოსავლეთში. თუ ტაციტუსს დავეთანხმებით, ეს მონათა და ლატაკთა აჯანყება, მეკობრეული მოქმედება იყო. უნდა შევნიშნოთ, რომ მეკობრეობა უფრო ფართოდ იყო ფეხგადგმული ხმელთაშუა ზღვაში, მაგრამ რომის არც ერთი იმპერატორის ხელისუფლებისათვის სერიოზული საფრთხე არ შეუქმნია. პონტოს აჯანყების შემახვევაში სულ სხვა ამბავთან ჰქონდა საქმე რომის ხელისუფალს. ეს იყო, ტაციტუსის მინაშნების თანახმად, პროვინციის ჩამოშორების საფრთხე და უფრო მეტიც, განმათავისუფლებელი მოძრაობის გაღრმავების საშიშროება აღმოსავლეთის პროვინციებში. ამან განაპირობა ვესპასიანეს სწრაფი რეაგირება აჯანყებისადმი. აჯანყება სეილდებოდა სოციალურ სფეროს და წინა პლანზე გამოდიოდა ეროვნული განთავისუფლებელი ინტერესები. ამტომ ანეკეტის აჯანყებისათვის მონათა აჯანყების წოდება შეცდომად და საერთოდ ამ ეპოქის რომის ისტორიის მთელი რიგი საკითხების გაუთვალისწინებლობის შედეგად წარმოშობილად მიგვაჩნია.

ანეკეტის აჯანყება იყო ადგილობრივი ქართული მოსახლეობის რეაქცია რომაული ადმინისტრაციული სისტემის დამყარების წინააღმდეგ. აჯანყება წამოიწყო პოლემონის პონტოს არისტოკრატიამ მოსახლეობის ფართო მასებზე დაყრდნობით. აჯანყება ეხმაურება I საუკუნის 70-იანი წლების საერთო რომაულ კრიზისს და ნათლად გვიჩვენებს ძველი ქართველი ტომების დაუოკებელ სწრაფვას თავისუფლების დასაბრუნებლად.

რაც შეეხება ამ მოძრაობის მეთაურს ანეკეტს, იგი უბრალო ხალხს წრიდან გამოსული ერთ-ერთი პირველი რეალური პიროვნებაა საქართველოს ისტორიაში, რომელმაც 1900 წელზე მეტი ხნის წინათ სცადა უცხო ძალის ხელყოფისაგან ჩვენი ხალხის ინტერესების დაცვა.

შენიშვნები:

[1] Н. Машкин, История Рима, М., 1949, გვ. 453.

[2] ტრაპეზონს ქსენოფონტი კოლხთა მიწაზე არსებულ ქალაქად თვლის, იხ. Ксенофонт, Анабасис, IV, 8.

[3] Геродот, История, III, 94; Ксенофонт, Анабасис, III, 5; IV, 1—8; V, 2—6, 8; Страбон, География, XII, III, 18—19; Помпоний Мела, О положении земли, 147, 150-153; სკილაკი კარიანდელი, 81-88; სკიმნოს ქოისელი, დედამიწის აღწერილობა, 900, 915; დიონისიოს პერიეგეტი, 765-775; ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, 11; მემნონი, ჰერაკლეას შესახებ, 6, 37,7;

[4] მე-13 საუკუნის დასაწყისში ტრაპეზონის იმპერიის შექმნა ადგილობრივი მოსახლეობის განსხვავებული ინტერესების შედეგადაა მიჩნეული. იხ. გ. გოზალიშვილი, ჯვაროსანთა მე-4 ლაშქრობა და ბიზანტია, თსუ შრომები, ტ. 87, 1960, გვ. 273.

[5] А .Болтунова, Восстание Аникета, ВДИ, 1939, 2, გვ. 59—60; М. Максимова, Античные города юго - восточного Причерноморья, М., 1956, გვ. 19, 25, 31 და ა. შ. თითქმის მთელ წიგნში ტუნდა აღინიშნოს, რომ მ. მაქსიმოვა განასხვავებს ქალაქებისა და ქალაქთა გარშემო მცხოვრები მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობას). Г. Меликишвили, к истории древней Грузии, Тб. 1959, გვ. 251-256; მისივე, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ. 1965, გვ. 63-69; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ. 468-472; ამ საკითხს ეხებიან ანტიკურ მწერალთა მთარგმნელ-კომენტატორები ქართულ ენაზე: თ. ყაუხჩიშვილი (ჰეროდიტეს, სტრაბონის, სკილაკს კარიანდელის, სკიმნოს ქოისელის, დიონისიის პერიეგეტის, მემნონის ცნობები საქართველოს შესახებ), თ. მიქელაძე (ქსენოფონტის ცნობები საქართველოს შესახებ, ნ. ლომოური (კლავდიოს პტოლემაიოსის ცნობები საქართველოს შესახებ), ნ. კეკელიძე (ფლავიუს არიანეს ცნობები საქართველოს შესახებ). ყველზე ვრცელად ანტიკურ ავტორთა ცნობები ამ საკითხის გარშემო განხილული აქვთ პროფ. გ. გოზალიშვილს (მითრიდატე პონტოელი, თბ. 1962, გვ. 7-104) და პროფ. ა. ურუშაძეს (ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ. 1964, გვ. 197-168). რაც შეეხება ბიზანტიელ ავტორთა ცნობებს ძველი საქართველოს შესახებ, თავმოყრილი და განმარტებელია აკად. ს. ყაუხჩიშვილის მიერ ფუნდამენტურ კრებულ „ბერძენული“-ში (ტ. 1-8-1934-70 წწ.).

[6] Тацит, Анналы, XII, 39.

[7] Тацит, Анналы, XIV, 26. Корнелий Тацит, История, III, 47, 48. т. II, 1969.

[8] Tacitus Historiarum, III, 47, 48.

[9] Страбон, XI, II. 3.

[10] Тацит, III, 47.

[11] Страбон, XI, II, 2; Тацит, III, 47.

[12] Тацит, III, 47.

[13] Страбон, XI, II, 12; Тацит, III, 47; სტრაბონს მიხედვით კამარებით ძარცვავდნენ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებს მეკობრეები.

[14] გ. გოზალიშვილი, რომის ექსპანსიის წინააღმდეგ ქართველ ტომთა აჯანყების შესახებ, თსუ შრომები, XXVII, გვ. 131-152.

[15] А. Болтунова, დასახ. ნაშრომი, გვ. 61—62.

[16] Тацит, III, 47—48.

[17] Тацит, Анн. XIV, 3, 7, 8, 62; Светоний, Нерон, 35.

[18] Тацит, იქვე; Светоний, იქვე.

[19] Светоний, Нерон, 35.

[20] Тацит, Анн, 62.

[21] Тацит, Ист. III, 47.

[22] Тацит. Ист. III, 47.

[23] М. Максимова, დასახ. ნაშრომი, გვ. 393.

[24] А. Болтунова, დასახ. ნაშრომი, გვ. 59—60; М. Максимова, დასახ. ნაშრომი, გვ. 394; გ. გოზალიშვილი. დას. ნაშრ. გვ. 131-152.

[25] გ. გოზალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 149.

[26] Страбон, XI, II, 12.

[27] გ. გოზალიშვილი დას. ნაშრ. გვ. 150.

[28] Тацит, Ис. III, 47.

[29] Тацит, Ист. III, 48.

[30] ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, 10.

[31] Plinius, N. H. VI, 4.

[32] Л А. Ельницкий, Из ист. географии древней Колхиды, ВДИ, 1938, № 2. М. М. Ивашенко, К вопросу о местонахождении Диоскурии древних. Изв. Абхазск. научного общ. вып. IV. Сухуми, 1926, ст. 97; Н. Ю. Ломоури, Из исторической географии древней Колхиды, ВДИ, 1957, № 4, стр. 100—101.

[33] Strabo, Geographia, XI, II, 19, Plinius N. H. VI, 4.

[34] გ. მელიქიშვილი, საქართველოს კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, 1965, გვ. 66-68; მისივე, К истории древней Грузии, 91-93; ბ. ინგოროყვა, ვეორგი მერჩულე, გვ. 129-145; ბ. ინაძე, ანტიკური ხანის შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზ. განყ. მოამბე, 1960, 2, გვ. 145-163. ჰენიოხთა მიკუთვნების საკითხი რომელიმე ქართველურ ტომობრივ განშტოებაზე საბოლოოდ დადგენილი არ არის. როგორც ძველ, ისე ახალი დროის ავტორთა ნაწილი მათ ადგილსამყოფელს სხვადასხვა მხარეს ასახელებს. ეს საკითხი ვრცლადაა განხილული თ. ყაუხჩიშვილის ნაშრომში. ჰერაკლიდე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ ის. აღმოსავლური ფილოლოგია, 1969, გვ. 189-217.

[35] ს. ჯანაშია, საქართველოს ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, შრომები, 1, გვ. 189-190.

სერგი ვინაუვილი

ორიოდე სიტყვა ქართული პრესის ნამყოფზე

ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში იშვიათად თუ მოიძებნება ისეთი პერიოდული გამოცემა, რომელსაც არსებობის, თუნდაც ცოტათი მაინც სახარბიელო პირობები ჰქონოდა. განსაკუთრებით იფქმის ეს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ჟურნალ-გაზეთებზე. მეფის რუსეთი ყოველივე ეროვნულის განდევნით, მათ შორის ქართული ენის შევიწროებით ცდილობდა კოლონიური პოლიტიკის გატარებას საქართველოში. ამ მიზნით, კაკავასიის ოლქის მზრუნველმა კ. იანოვსკიმ შეადგინა ვეგმა, რომლის მიხედვით ქართულ დაწყებით სკოლებში სწავლება მთლიანად რუსულ ენაზე უნდა გადასულიყო.

ნაწილობრივ, ამ მიზანს ემსახურებოდა ის უმკაცრესი ცენზურაც, რომელიც მეფის რუსეთმა ქართულ პერიოდულ გამოცემებს დაუწესა. ზოგჯერ სულ მცირედი „თავისუფალი ბჭრის“ გამოთქმა ჟურნალის ან გაზეთის დახურვის საბაბი ხდებოდა. სწორედ იმხანად წერდა „ივერია“: „ღმერთო ვვიხსენ! რისგან ვვიხსენო, მკითხავთ თქვენ, იმისგან რომ... ერიჰა, კინაღამ ღმერთი არ გამიწყრა და წამოვყარანტალე პასუხი! სულ დამავიწყდა, რომ ადამიანს სიტყვა აზრისათვის არა აქვს მინიჭებული, არამედ იმისათვის, რომ დიდმა თქვას: „მე შენ გიბრძანებ და ხმა უნდა გაკმინდო“ და პატარამ მოუგოს: „მაქეს პატივი, მოგახსენო, რომ ენა მეც�el ჩამივარდა ბრძანებისამებრ თქვენისაო“.

აქედან გამომდინარე, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ძნელ პირობებში უხდებოდა არსებობა ქართულ პერიოდულ პრესას. ამ მხრივ, განსაკუთრებით არასახარბიელო მდგომარეობა ექმნებოდათ ქართულ საყმაწვილო ჟურნალებს. გავიხსენოთ ის ფაქტი, რომ 1881 წელს ა. ჯუჯელის რედაქტორობით გამოიცა პირველი ქართული საყმაწვილო ჟურნალი „წყაროო“. „წყაროს“ სულ ოთხი ნომერი გამოვიდა და შეწყდა. 1883 წელს ზ. ჭიკანავეს გამოსცა „საყმაწვილო ბაღი“, მისი მხოლოდ ერთი ნომერი გამოვიდა. ამავე წელს დაარსდა ჟურნალი „ნობათი“, რომელმაც მე-5 ნომერზე შეწყვიტა არსებობა. ხოლო ამის შემდეგ, მთელი ექვსი წლის განმავლობაში ქართული საბავშვო ჟურნალი არ გამოცემულა, თუმცა ქართველ საზოგადოებას ცდა არ დაუკლია ასეთი ჟურნალის დაარსებისაკენ. არა ერთსა და ორს, იმდროინდელ კომპეტენტურ პიროვნებას უცდია დაეარსებინა საბავშვო ჟურნალები სახელწოდებით „ნერგი“, „ხომილი“ („ესლიერი“ და სხვა, მაგრამ ამ კეთილშობილურ საქმეს გადაულახავი დაბრკოლება ეღობებოდა. ხან საცენზურო კომიტეტისაგან, ხან შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრივ, ხან კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველისაგან ამ არგუმენტით, თითქოსდა „თბილისში ქართველ პრესაზე განსაკუთრებული მოთხოვნა არ იგრძნობაო“.[1]

არადა, საბავშვო პრესის როლი განუზომელია საბავშვო ლიტერატურის განვითარების საქმეში. **იაკობ გოგებაშვილი** საბავშვო ლიტერატურის შესახებ ამბობდა, რომ სწორედ ეს არისო ის საძირკველი, რომელზედაც შენდება მთელი ეროვნული კულტურა, საბავშვო მწერლობის გარეშე წარმატებაზე საუბარი ზედმეტია. მხოლოდ მას შეუძლია ჩანერგოს სიყვიე მოზარდ თაობაში, ბევრი კეთილშობილური, ჰუმანური მისწრაფებებით შეამკოს და სხვა ფაქტორებთან ერთად, საბავშვო მოეამზადოს მხნე და გულწრფელი მამულიშვილები, ხოლო თუ **ხალხი „დარჩენია საყრმო ნაწარამეებებით, საყმაწვილო ლიტერატურით“, მაშინ „გონებითი მოძრაობა ერისა ქვიშაზეა აგებული“.**[2]

აი, სწორედ ისეთი პერიოდიული გამოცემის დასაარსებლად იბრძოდა მაშინდელი ქართვე-

ლი ინტელიგენცია, რომელიც იცავრებდა შშობლიური საყმაწვილო ლიტერატურის განვითარების მისიას; მოზარდში სწავლისადმი ერთგულებისა და ზნეობრივი სისპეტაკის, ერთობის და სამშობლოს სიყვარულის გაღვივებისა და ჩამოყალიბების მისიას; დაიცვა ქართული ენის სიწმინდისა და ნორჩ თაობას დედაენაზე გონებრივ საზრდოს მიაწოდებდა.

მრავალი მარცხიანი ცდისა და დაბაბული მოლოდინის შემდეგ, მაინც მოხერხდა ასეთი პერიოდიული გამოცემის დაარსება...

1890 წლის 1 იანვარს ხელისმომწერთ ლამაზად გაფორმებული „ჯეჯილი“ დაურიგდათ. ჟურნალის პირველ ნომრის დიდი წარმატება ხვდა, ხოლო მისმა დამაარსებელმა, რედაქტორმა და გამომცემელმა **ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელმა** იმთავითვე მოიპოვა პატარა-ქერა და პოპულარობა. გაზ. „იავერნა“ იმ დღისეე ალაპარაკდა ჟურნალის შესახებ. მოწონავე წერილში ილია ჭავჭავაძე წერდა:

„ჯეჯილის“ რედაქციას ძალიან კარგი საჩუქარი დაუპრიგენია ჩვენის მოზარდის თაობისათვის... დიდის სიამოვნებით გადავიკითხეთ თითქმის მთელი წიგნი ამ ახლად დაბადებულისა და ნორჩის ჟურნალისა და, უნდა გსმენდეთ, გულით და სულით ვისიამოვნეთ, დავსტაბეთ და უფრო ტკბილად „დავბერდით“ ვიდრე მამა-პაპის ნაანდერძევი „აბრამიანი“ და „ბოზნიანყი“ დაგვაბერებდა.

ბეგრი კარგი სტატეა ნოქვა და დაიწერა „ჯეჯილის“ გამოსვლის ფაქტთან დაკავშირებით, მაგრამ ამჯერად **იაკობ გოგებაშვილის** სტატეები უნდა მოვიგონოთ: „ჯეჯილის“ გამოცემა გვაძლევს იმედსა, რომ ჩვენს პედაგოგიურს ცაზედ იქნება არა დროებითი მოჩვენება კუდიანი კომეტასავით, არამედ ვარსკვლავი, რომელიც ჩვენი მოზარდი თაობის სასარგებლოდ და სასიხარულოდ წმინდა ნათელით იკაშკაშებს დიდხანს, ძლიერ დიდხანს, ოქნება მუდამაც“.4

მართლაც ალსრულდა დიდი პედაგოგის სიტყვები, „ჯეჯილმა“ საკმაოდ დიდხანს იკაშკაშა ქართული საბავშვო ლიტერატურის ცაზე, მაგრამ ამ ელვარე ნათების ფონი ჟურნალის ირსებობისათვის ბგირული და თავგანწირული ბრძოლა უსიამო პირობამაა.

დიახ, ბეგრჯერ ჩვენია „ჯეჯილს“ უალერსად კრიტიკული მომეწერება. დღე-დღეზე ელოდნენ მის დახურვას. მოწონავე ქართველი ინტელიგენცია წუხდა იმ პერიოდისათვის ერთადერთი საყმაწვილო ჟურნალის ბედზე. **საინტერესო** ირსებობა „ჯეჯილს“ ირსიოლეს ქქონია, მაგრამ განსაკუთრებული კრიზისი **1895** წლიდან დაიწყო. სწორედ ამ წლის „ჯეჯილის“ მე-5 ნომერში დაიბეჭდა **ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლის** წერილი „მკათხველების საყურადღებოდ“, რომელიც ჟურნალის ირსებობისა მდგომარეობას შეეცადა. თუმცა მოულოდნელად ირ იყო, მაგრამ ამ ცნობამ „ჯეჯილის“ მომხიბლველს თავში შემოარტყმეინა ხელი. ადგ „იავერნის“ ფურცლებიდან ასე მიმართავდა საზოგადოებას: ნუთუ მართალი ისე გალარიბდა ჩვენი ქეყანანა და ცხოვრება, რომ საყმაწვილო ჟურნალი ვერ გასულდგმულოთ; ნუთუ ასე გულცივად უნდა მოვეკიდეთ ჩვენი ქეყენისათვის ამ „ბეტადა სასარგებლო საქმეს და მით გავუხაროთ საქვეოდ და საფიქრალად მას თავისი ირსებობა?“5

ცოტა ხნის შემდეგ „ჯეჯილის“ ირსასურველი მდგომარეობის შესახებ კვლავ დაიბეჭდა რედაქტორის მოწონავე სტატია: „საზოგადოების საგულისხმოთ“.6 „ეჰაქა წელიწადია რაც მე ვიკარე იმისთანა ძნელი საქმე, როგორიც ირის საყმაწვილო ჟურნალის გამოცემა... იმედი მქონდა, რომ შრომით, საქმის სიყვარულით და ენერგიის დახმარებით გავიტანეთ ამ ძნიმე უღელს. ამასთანავე მოველოდი, რომ კრიტიკა სწორე ქუბის მიმეგენებდე და საზოგადოება თანაგრძნობას ირ მომაკლებდა, ისე რომ „ჯეჯილის“ გამოსვლის პირველ წელიწადს, (1890 წ.) რიდესაც სამიცი თუმანი დავდე ამ საქმეს (ამ უნდა ჩავთვალოთ მმოლოდ ნომრების ხარჯი), მე არაფრად მიეგინნე, მაგრამ დანარჩენმა ხუთმა წელიწადმა სასოწარკეთილებაში ჩამაგდო და ირ შემიძლია ირ გავუზიარო ამ პირებს, ვისთვისაც ეს საქმე იქნება ძვირფასი იყოს, ამასთანავე ალრეკეი ირ გავიმართოო თავი, თუ ძალღონეი გავხდი და ჟურნალი მოვსპე“.

თეიო რაზიკაშვილი ერთ-ერთ ბარათში სწერდა ანასტასიისა: ხშირად მოგაწერდით მოთხრობებსა, ოღონდ ოქვენ „ნუ ეულალტებთ მაგ წმინდა საქმეს, თქვენი საზრუნავი იბოლ „ჯეჯილია“, გიფრეთ ფეფობა, გამოგეზარდეთ ჩვენი თაობისათვის“.7

როცა მოსკოვში მყოფმა ქართველმა სტუდენტებმა გიგიეს, ჟურნალი ბეჭრებთ, რედაქციის მთელი წლის სამყოფი წერილები და ლექსები გამოუგზავნეს. „ამ განზრახვაზე იმიტომ დავეშყარეთ, რომ სასარგებლო საბავშვო ჟურნალის მოსპობა ძალიან სანანებელად მიგვანია. ყველა ქართველებისთვის სამწუხარო უნდა იყოს, რომ ცარიელზე დარჩეს ის ცქრიალი ცნობისმოყვარე ბავშვების გონდა, რომელიც გიფაღიცენთ ელის ხოლმე ყოველ ნომერს „ჯეჯილისას“.8

ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელმა იცრძნო რა ახალი თანაშშრომლების მხარდაჭერის ძალა,

სერგი მინაშვილი
ოროიოდი სიტყვა ქართული პრესის ნამყოფზე

სათანადო ნებართვა აიღო და 1896 წლიდან ჩვეული ენერგიით შეუდგა „ჯეჯილის“ ყოველთვიურად გამოცემის საქმეს (მანამდე „ჯეჯილი“ ორ თვეში ერთხელ გამოდიოდა).

არც 1897 წელი იყო სახარბიელო ჟურნალისათვის. ამავე წლის „კვალს“ მე-10 ნომერში დაიბეჭდა ანასტასია „ღია წერილი მოსკოველი სტუდენტების მიმართ“. ავტორი მადლიერების გრძნობით იხსენებს იმათ, ვინც თანგრძნობა გამოეცხადა „ჯეჯილს“, მაშინ როცა „მისი არსებობის დღეები დათვლილი ჩქონდა“, სწორედ თქვენნი დახმარების იმედმა მიიძალა ჩემი საყვარელი, მაგრამ უმადური საქმის გაგრძელებაო. როგორც ჩანს, სტუდენტებს არ მოსწონდათ 1896 წლის „ჯეჯილის“ ნომრები, ადრე, უფრო უკეთესი მასალა იბეჭდებოდაო — ალნიშნავდნენ ისინი და ეკითხებოდნენ რედაქტორს — რას აპირებს ან რას საქმიანობს ჟურნალის გამოცემის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

„ღია წერილში“ ანასტასია „ჯეჯილის“ უფლებულობის ერთ-ერთ მიზეზად ასახელებს მის ყოველთვიურობას, რადგან ჟურნალი კვლავაც ღარიბი ხარისხიანი მასალების მიწოდების თვალსაზრისით, მით უმეტეს, როცა ერთი ნომრის მასალა ორად განაწილდა, ხოლო „იმის პასუხად კი, თუ როგორ წავიყვან საქმეს ამ 1897 წ. უნდა მოგახსენონ, ხელისმომწერნი ისე მცირენი არიან, რომ ჟურნალის არსებობა განსაცდელშიაო“.

ქართველი საზოგადოება კვლავაც დაფიქრა საყმაწვილო ჟურნალის ყოფნა-არყოფნის საკმეზე. პრესის ფურცლებზე თუ კერძო ხასიათის წერილებში გაიმართა პოლემიკა. დაიწყეს გამოკვლევა იმისა, თუ რა არის ხელისმომწერთა სიმცირისა და „ჯეჯილის“ წარუტატებლობის მიზეზი. „ღია წერილის“ პირველად „ივერია“ გამოუხმაურა. მოწონებაში, რომელსაც ფარნაოზი აწერს ხელს, საკითხი ასე დგას: — ვინ არის დამნაშავე? რედაქცია თუ საზოგადოება?

ფარნაოზის სტატეთ „ან თვით „ჯეჯილი“ არ ვარგა იმეცნდა, რომ მშობლებს მისი დაკვეთა, თვისთა შვილთათვის მავნებელად მიეჩნიათ, რაც ყოველად დაუჯერებელია, რადგან სუსტიც რომ იყოს იგი, ბევრი ნაკლიც რომ ჰქონდეს, თუ არ სარგებლობას, ვნებას ვერ მოიტანს, ან თვით საზოგადოება არა ჰგრძნობს იმის საჭიროებას, არა ჰხედავს იმის სარგებლობას, მოთხოვნილება არა აქვს ასეთის ჟურნალისა“.[9] მოწონაკის ავტორი უფრო ამ უკანასკნელზე ამახვილებს ყურადღებას და მეტად სამწუხაროდ მიიჩნევს იმ ფაქტს, „რომ ქართველა, კახეთსა, გურიასამეგრელოსა, აშერ და იმერ ამ ერთადერთ საყმაწვილო ქართულ ჟურნალის იმდენ გასაკვალი, იმდენი ხელისმომწერი არა“ ჰყავს, რომ მის არსებობას საფრთხე არ მოელოდეს.

იაკობ გოგებაშვილი ძალზე ტენდენციურ „ჯეჯილს“ ბედზე. მან სამაგეროო მწერლობის არა ერთი და ორი შედევრი გამოაქვეყნა მის ფურცლებზე, ხოლო როცა ჟურნალი დაჭირვეს სამშობლოს წინაშე დადგა, რედაქციი დაადანაშაულა და მდგომარეობის ხსნის მიზნით, კატეგორიულად მოითხოვა მისი გამოცემა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელში გადასულიყო.

„ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნდა წერილი: „ჯეჯილის“ უკიდურესი მდგომარეობა“,[10] რომელშიც ჟურნალის წარუმატებლობის მიზეზად დასახელებული რედაქცია და, საერთოდ, „ჯეჯილში“ გამოქვეყნებული უნიკოდ დაწერილი თუ თარგმნილი ნაწარმოებები. მაგრამ ეს აზრი „ცნობის ფურცლის“ რედაქციამ მიაწერა მოსკოველ სტუდენტებს, რომლებმაც მეისე უპასუხეს გულისწყრომით. თქვენს გაზეთში გამოქვეყნებული წერილი „უსაფუძვლო ცილისწამებად მიგვიჩნია, რომელიც არ დაუმსახურებია არც თვით ჟურნალსა და იმის არა ერთ და ორ ნიჭიერ თანამშრომლებს და არც ჩვენ, რადგან ჩვენ იმ აზრისანი ვიყავით, რომ „ჯეჯილი“ სწორედ პირნათლად ასრულებდა თავის დანიშნულებას, რომ იგი არ ჩამოუვარდებოდა რუსულ საყმაწვილო ჟურნალებს, რომელნიც ყოველის მხრივ გაცილებით უფრო კარგს გარემოებაში იმყოფებიანო“.[11] სტუდენტებს, ადრინდელთან შედარებით, 1896 წლის „ჯეჯილის“ სისუსტის მიზეზად მიაჩნიათ მასში ნიჭიერი თანამშრომლებას ნაკლებად ნაყოფიერი მოღვაწეობა და რედაქციის გამოუცდელობა. მაგრამ რა მიზეზიც უნდა ყოფილიყო, მათ ფრაგად აღიარებდათ „ჯეჯილის“ მდგომარეობა, ამიტომ „ცნობის ფურცლის“ რედაქციისა და მთელი საზოგადოების გასაგნად წარმოთქვეს: „სად გვკმნდა, ბატონო, დრო ან გამოცდილება, რომ აქ, სადაც მთელი ჩვენი დრო და ძალ-ღონე მეცნიერების შესწავლას უნდა მოხმარდეს, საკეკლო მასალა გვეჩხრიკა. მაგრამ, როდესაც გავიგონეთ „ჯეჯილ“ განსაცდელშიაო, საყმაწვილო ჟურნალის დიდ მნიშვნელობაში დარწმუნებულებმა გავაორკეცეთ შრომა და ვიკისრეთ, ის რაც ჩვენთვის ძნელი საკისრი იყო“.

„ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებული არამეგობრული წერილის ავტორად **ფეტეტ მეგრელს** (ფილიტრი ხოშტარიას), როგორც ჩანს, **იაკობ გოგებაშვილი** მიეწერეთა, და სტუდენტების ზემოდასახლებულ წერილს, რამდენიმე დღის შემდეგ მოპყვა მისი —

„ბ-ნი იაკობ გოგებაშვილი და ეკონომი „ჯეკილი“.

დუტუ მეგრელი წინაღმდეგი არ არის, თუ ურთიერთანაწმობის საფუძველზე „ჯეკილის“ რედაქტორ-გამომცემელი დაუთმობს ეკონომელ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. გარდა ამისა, იგი აღნიშნავს: „მე დარწმუნებული ვარ, რომ ყველა, ვისაც კი კალამი აუღია ხელში ჩვენში და წერს, სცდილობს თავისი ნაწარმოები მიაწოდოს ერთადერთს ჩვენს საყმაწვილო ეკონომელ და აწვდილ კიდეკ ყველანი, მაგრამ, თუ „ჯეკილი“ მაინც არ არის ოდესლაც საყმაწვილო ეკონომელი... რედაქცია არაფერ შეაშია, რადგან, ვინც არ უნდა იყოს რედაქტორად შეუძლებელ ვერ შეძლებს“.[12]

მაშასადამე, ეკონომ „ჯეკილის“ არასაზარბიელო მდგომარეობის გამო ფარნაზი, **დუტუ მეგრელი** და სხვა ბრალს დებდა მთელ საზოგადოებას და ამართლებდა რედაქციას; მოსკოველი სტუდენტები აღნიშნავენენ, რომ „ჯეკილის“ საგანგაშო მდგომარეობა რედაქციის გამოუცდელობით არის გამოწვეულია; ხოლო **იაკობ გოგებაშვილი** მთელ პასუხისმგებლობას აკისრებდა რედაქციას.

ვიღრე **იაკობ გოგებაშვილის** სპასუხო წერილზე გადავიდოდეთ, აუცილებელია გავრკვეთ დიდი პედაგოგისა და „ჯეკილის“ რედაქტორის ურთიერთობის საკითხში. ვინც იმ პერიოდის ეკონომ-გაზეთების გადათვალიერება, აშკარად შეამჩნევს მათ შორის არსებული უკმაყოფილების კვალს. გარდა ამისა, არსებობდა სამართლიანი მოთქმა-მოთქმა, რომ **იაკობ გოგებაშვილი** უკეთ წარუძღვებოდა ეკონომს. ამის საფუძველზე **ანსტასია თუმანიშვილ-წერეთელი** ეშეინაზოდა — რედაქტორობას მეცილებოდა. არც იმ ცნობას შეხვედრია „ჯეკილის“ რედაქტორი აღფრთოვანებით, რომლის მიხედვით **იაკობ გოგებაშვილი** ითხოვდა ეკონომელ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის გადაცემას. ცხადია, **იაკობ გოგებაშვილიც** არ მალავდა წყენას, როცა მას, ქართველი მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელს, რაღაც ეუბნებს გამო, უკარს ეუბნებოდნენ ამა თუ იმ ნაწარმოების ეკონომ-ში დაბეჭდვაზე.[13] ერთი სიტყვით, ამ მოთქმა-მოთქმასა და, საზოგადოდ, **იაკობ გოგებაშვილის** პოზიციის გარკვევას „ჯეკილის“ რედაქციის მიმართ, წერტილი უნდა დასვას **დუტუ მეგრელისადმი** სპასუხო წერილმა — „ჯეკილის“ ადგილ-კატსა“, რომელიც „ივერიის“ 1897 წლის 85-ე ნომერში დაიბეჭდა.

იაკობ გოგებაშვილი ხელისმომწერთა სიმცირისა და, საერთოდ, ეკონომელის წარუმატებლობის მიზეზს მხოლოდ „ჯეკილის“ რედაქციაში ხედავდა და არა სხვაგან. არავინ დავიჯერებთო, ედავებოდა იგი საწინააღმდეგო აზრის მიმდეკართ, რომ ჩვენში „ეკონომ-ეკონომი სახლოობს მაინც“ არ მოიპოვებიოდეს, რომელთაც არ ესმოდეთ, ეკონომელის შეუდარებელი მნიშვნელობა, ხოლო „თუ ეს სახლოობანი არ იწერენ „ჯეკილსა“, ეს იმისგან უნდა იყოს, რომ არც ენით და არც შინაარსით შესაფერის საზრდოდ არა სთვლიან მას თვის შვილებისათვის“. ახეთია საჭმის ნამდვილი ვითარება, ხოლო კბეით რომ „ჯეკილს“ ეშეელებოდეს არც მე დაგივარდებოდით ადეოყაღობაში, ჩემო მობაახეკ, რადგანაც ბრმა ბოროტება სავსებით დამბილოცნია სხვებისათვის „ჯეკილის“ სიმდარეს იმიტომ ეს ეაღიარებთ, რომ ჩემი თავი მიმაჩნია იმისთანა პირად, რომელსაც შეუძლიან ჯეროვან სიმალლემდე აიყვანოს იგი, და მოუტოვოს სრული თანაგრძნობა ყოველი შეგნებული ქართველი ოჯახისა. სრულიადაც არა-საბავშვო ეკონომელის სამაგალითოდ წარმოებისათვის საჭიროა ჩემზედ ნაკლებად ხნიერი, ჩემზედ უფრო ჯანსაღი, ჩემზედ ნაკლებად გაბეჭრებული ოც და ათის წლის ბრძოლით შინაურ და გარეეულის უკეღლმართობასთანა. გარდა ამისა, მე სხვა საზოგადო საკმეკებს ვადგავარ, რომელნიც, ეგონენ, არა ნაკლებს საკრონი არიან, და რომელთა პირნათლად გაღლილი ითხოვს სრულს ჩემს დროსა და ძალას“. 14

გავითვალისწინოთ ამ სიტყვების ავტორის აღფრთოვანება „ჯეკილის“ დაარსებისა და გამოსელის ფაქტთან დაკავშირებით, ასევე მთელი მისი თავდადებული მოღვაწეობა პედაგოგიკაში და ნაფილი გახდება, თუ რაოდენ გულწრფელი და მომავალი თაობის აღზრდის საქმის უკეთ წარმართვის დაუოკებელი სურვილითაა გამთბარი ეს სიტყვები. გარდა ამისა, აქედან ირკვევა, რომ იაკობ **გოგებაშვილი** არ იყო „ჯეკილის“ რედაქტორობის მაძიებელი, ხოლო ის ეკრძო ხასიათის შეხლა-შემოხლა, რომელშიც ის, უმეტესად, თავის დამცველის როლში გამოდიოდა, როდი აბრმავებდა, რომ ამის გამო „ჯეკილი“ დაეწყნენინა და მისი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებას ხელში გადაცემა მოეთხოვა. **იაკობ გოგებაშვილს** ეროთდერთი სურვილი იყო, რომ ქართველ მოზარდ თაობას იდეური და მხატვრული თვალსაზრისით უკეთესი ეკონომელი ჰქონოდა. მისი აზრით, ამით „ეკალიც“ მოიგებდა, რადგან ცოლ-ქმარს (ე. ი. ან. თუმანიშვილს და გ. წეროთელს, ს. მ.) მეტი დრო დაარჩენოდათ მასზე მუშაობისა და, მაშასადამე: „ღიდებს ეკენებათ რიგიანნი კარგი კვირეული გამოცემა

და ყმაწვილებს ყოველთვიური კარგი ჟურნალი".

„ჯეჯილის" არასახარბიელო მდგომარეობის მიზეზად სამართლიანად ასახელებდნენ, აგრეთვე კრიტიკის უქონლობას, რამდენადაც სწორი კრიტიკა შექმნილი მდგომარეობის გამოსწორების საწინდარიცაა.

ცხადია, „ჯეჯილის" გარშემო გამართულ კამათში სიმართლე **იაკობ გოგებაშვილის** მხარეს იყო. არ შეიძლებოდა დანაშაული მთელ საზოგადოებას დაბრალებოდა, რადგან საინტერესო და სასარგებლო ჟურნალი, რომელიც მხოლოდ რედაქციის წევრთა შეთანხმებელი და სწორად გამიზნული მუშაობით მიიღწევა, წარმოუდგენელია დახურვის საფრთხის წინაშე მდგარიყო.

უდავოდ მართალი იყო მოსკოველი სტუდენტების, ვარაუდი იმის შესახებ, რომ „ჯეჯილის" ჩამორჩენის მიზეზი შეიძლება რედაქციის გამოუცდელობაც იყოსო. ეს გამოუცდელობა ჩვენში გამომდინარეობდა საბავშვო ჟურნალებზე მუშაობის ღირები ტრადიციებიდან...

ბეგჯერ, ძალიან ბეგჯერ ჰქონია „ჯეჯილს" კრიტიკული მომენტი, 1904 წელს მეფის ხელისუფლებამ იგი აკრძალა კიდეც, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ კვლავ მოხერხდა მისი გამოცემა. ჟურნალი გადაურჩა სტალინინის რეაქციის წლებს, საქართველოში მენშევიკების ბატონობასაც და რადაც მანქანების დახმარებით არ გაიზიარა მისი წინამორბედი საბავშვო ჟურნალების ბედი.

„ჯეჯილს" მთელი თავისი არსებობის მანძილზე წამძღვარებული ჰქონდა ორსტრიქონინი ეპიგრაფი:

„იზარდე მწვანო ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო".

ხოლო თუ, „ჯეჯილმა" არა თუ გაზრდა, არამედ დაპურებაც მოასწრო და 30 წლის განმავლობაში ანათებდა ქართული საბავშვო ლიტერატურის გზას, დიდი ოქტომბრის რევოლუციამდელ ქართველ ნორჩ თაობას ადამიანისათვის აუცილებელ ყველაზე კეთილშობილური აზრებითა და მისწრაფებებით ზრდიდა, ეს მოხდა, უპირველეს ყოვლისა, მისი რედაქტორისა და |გამომცემლის — **ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლისა** და მოწინავე ქართველი ინტელიგენციის მორალური და მატერიალური მხარდაჭერის წყალობით.

შენიშვნები:

[1] ნ. ტაბიძე, ქართული საბავშვო და პედაგოგიური ჟურნალისტიკის ისტორიისათვის, ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება", 1966, № 5, გვ. 73.

[2] ი. გოგებაშვილი, რჩეული პედაგოგიური ნაწერები, ტ. 1, 1910, გვ. 126.

[3] „ივერია", 1890, № 1.

[4] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 2, 1954, გვ. 194-195.

[5] „ივერია", 1895, № 226.

[6] „კვალი", 1895, № 48.

[7] საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ხელნაწერთა განყოფილება, № 16134-ბ.

[8] საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ან. თუმანიშვილის საარქივო ფონდი № 486.

[9] „ივერია", 1897, № 40.

[10] გაზ. „ცნობის ფურცელი", 1897, № 131.

[11] „წერილი რედაქციის მიმართ", „ივერია", 1897, № 69.

[12] „ივერია", 1897, № 78.

[13] საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ხელნაწერთა განყოფილება, № 16126-ბ; ანასტასიამ უარი თქვა აგრეთვე, გამოექვეყნებინა ი. გოგებაშვილის „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი" (იხ. „ივერია", 1897, № 85.)

[14] ი. გოგებაშვილი, „ჯეჯილის" ადეკატსა", „ივერია", 1897, № 85.

ვახტანგ გოგუაძე

დონ ჟუანი

XVII საუკუნიდან მოყოლებული თითქმის არ დარჩენილა ევროპული ერი, რომელსაც მხატვრული ან ფილოსოფიური ინტერესი არ გამოეჩენოს დონ ჟუანისადმი. დონ ჟუანი ერთგვარად სავალდებულო პროგრამას ჰგავს, რომლის შესრულება არა ერთ მწერალს, მუსიკოსს თუ ფილოსოფოსს უცდია. მხატვრული განსახიერების ფასეულობით დონ ჟუანს ფაუსტსაც ადარებენ. ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული მოცულობით კი იგი ბევრად აღემატება ფაუსტის თემაზე შექმნილ მხატვრულსა და ფილოსოფიურ ნაწარმოებებს. ლიტერატურის ისტორია ასზე მეტ დონ ჟუანს ცნობს. ჩვენს მიზნის არ შეადგენს დონ ჟუანის ლიტერატურული ისტორიის განხილვა და მის შესახებ არსებული ლიტერატურული სივრცეების დაპყრობა.

„ფაუსტი და დონ ჟუანი კინღამ უსაყვარლესი გმირები არიან ევროპელი პოეზიისა. ხალხური თქმულების ეს ორი გმირი, ერთი ჯერმანულისა და მეორე რომანულისა მძლავრად იჭაშვიენ გონებას, რომლებიც აძლევდნენ მას მთელი სამყაროს აზრთა და გრძნობათა გამოხატვის ჩარჩოებს"[1].

ამბობენ, იდეალური ადამიანი ხელოვნებაში ნაკლებად ჰგავს ადამიანებსო. ერთი რამ ცხადია: რამდენი იდეალური გმირის სურათი შეუქმნია მსოფლიო ლიტერატურას, მაგრამ, იშვიათად თუ რომელი შეეფერება დონ ჟუანს ადამიანური ნიშნების ტევადობით, მრავალფეროვნებით, თავისი მინუსებითა და პლუსებით.

— ვინ არის, რა არის ადამიანი? — ეს კითხვა ოდითგანვე დგას ჩაუქრობლად კაცობრიული გონების წინაშე; პასუხად კი მსოფლიო კულტურა შეიქმნა. კითხვა კი დგას, თითქოს უეცის მოხსნას, მაგრამ ფილოსოფიამ წინასწარვე გაიგო ამ კითხვის ერთგვარი მაცდურობა, პორიზონტის ხაზიანი რომ მოიწევს წინ. მიუხედავად ამისა, შემეცნების წყურვილი არ ჩაქრობილა და ორგორც ყოველთვის კვლავაც საინტერესოა კითხვა: — ვინ არის, რა არის ადამიანი?

ხელოვნების ფილოსოფიისათვის რა უნდა იყოს იმაზე უფრო ხელსაყრელი ობიექტი, ვიდრე მსოფლიო კულტურის, ლიტერატურის ისეთი პერსონაჟები, რომლებიც ადამიანის არსის ახსნისათვის ერთგვარად მზა მასალას წარმოადგენენ. ამ დიდ გალერეაში ჩვენ ვხედავთ პერსონაჟებს, რომლებმაც მეტ-ნაკლები პასუხი გასცეს ადამიანის არსებობის აზრს. ეს პერსონაჟები გენიოსთა მიერ გამოხატული უზოგადესი, უმთავრესი მხატვრული ფორმულებია, რომლებშიც არეკლილია ადამიანური ცხოვრების უკიდეგანო მისწრაფებები. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობენ მხატვრული პიროვნებები: ჰამლეტი, დონ-კიხოტი, ფაუსტი, დონ ჟუანი და სხვანი. საზოგადოდ ყოველი მხატვრული პირის ინდივიდუალობა შეიძლება გავიხადოთ დაკვირვების ობიექტად. მაგრამ აქ ლაპარაკია იმ მხატვრულ პიროვნებებზე, რომლებიც ლიტერატურაში ცხოვრობენ ისტორიულად. ამ შეხედვებში ლაპარაკი არაა ამ პერსონაჟთა ეთიკურ თვითღირებულებაზე. ეს სხვა რაგის საკითხია.

მსოფლიო ლიტერატურის აქვს რამდენიმე ისეთი თემა, რომელიც მწერალთა ტალანტის საასპარეზო თემას წარმოადგენს, ეს პრობლემები ხშირად პერსონიფიცირებულია და მას ჰქვია ფაუსტის, დონ ჟუანის, ჰეწშის და ა. შ. სახელები.

დონ ჟუანისადმი ასეთი ინტერესი სრულიად ბუნებრივია თუ გავთვალისწინებთ იმას, რომ დონ ჟუანი როგორც ითქვა, მზა მასალა ხელოვნებისათვის. დონ ჟუანი ესაა სახე ადამიანისა დიდი მრავალფეროვნებით. დონ ჟუანური გარკვეული პოზიციაა ადამიანის სინამდვილისადმი დამოკიდებულებაში. ეს არის ძალზე საინტერესო პოზიცია, რომლის კრიტიკა აუცილებელია ცხოვრებისადმი დადებითი თვალსაზრისის შემუშავებისათვის.

როგორც ცნობილია, ადამიანის ფილოსოფიას მარტოოდენ ფილოსოფოსნი არ იკვლევენ. ადამიანის ფილოსოფიას იკვლევენ ბიოლოგები, ფსიქოლოგები და ა. შ. დარგინი ბიო-

ლოგიით იკვლევდა ადამიანის ფილოსოფიურ პრობლემას. ფროიდი ფსიქონალიზით იკვლევდა ადამიანის ფილოსოფიას. მარქსიზმი ადამიანს განიხილავს როგორც სოციალურ არსებას, სოციალურ-ეკონომიურ ურთიერთობებში ფორმირებულ სუბიექტს.

ადამიანი როგორც ფილოსოფიური ობიექტი არ წარმოიდგინება, როგორც რაღაც გაჩერებული ობიექტი. ადამიანი ვლინდება და შეისწავლება მიმართებებში.

ადამიანის არსების წვდომასა და ჩვენებას ესწრაფვის ხელოვნებაც. ადამიანის ბუნების ახსნისათვის, ფილოსოფიისათვისაც ხელოვნება არის ყველაზე კარგი შიდელი. ერთი ფილოსოფოსის თქმით, ხელოვნება კაცობრიობის ისტორიის შესასწავლად ისეთივე ობიექტია, როგორც ფსიქიატრიისათვის ფსიქიკურად დაავადებული. როდესაც ადამიანზე მსჯელობს ფილოსოფია, იგი თავს ვერ დააღწევს ხელოვნების შეამავლობას. ხელოვნება უკმინს მას ადამიანის სურათს და ამ სურათს არჩევს არსებითად ფილოსოფია, როდესაც ადამიანის სილამაზისადმი მიმართებებზე ელაპარაკობთ. ამ შემთხვევაში ფილოსოფია მსჯელობს ადამიანზე ხელოვნების გამოვლის გზით.

ადამიანის ფილოსოფიური პრობლემისაკენ რომ დავიძრათ, ცხადია, გზა უნდა ვიცოდეთ. ეს არის უკიდეგანო პრობლემატიკა, რომელზედაც დაეტეკა მთელი ქვეყნის ფილოსოფოსები. მთავარია მარკვე წერტილის არჩევა, საიდანაც კარგად გამოჩნდება ადამიანის ბუნება. მთავარი მეთოდური სიყოჩაღე ის იქნება, რომ არ აღმოვჩნდეთ ყველაფრზე მოლაპარაკე.

დონ ჟუანი ადამიანის ბუნების გამომზეურების მხატვრულ-შემეცნებითი წყურვილის ნაყოფია. ეს არის შეჯნერებასა და ბოროტებას შორის, ზენა და ქვენა გრძნობებს შორის განხეკილი ადამიანი.

მოკლედ მოვიგონოთ დონ ჟუანის ლეგენდა, მისი ისტორია: დონ ჟუანის პროტოტიპი დონ ხუან ტენორიო იყო XIV საუკუნის კასტილიის მეფის კარისკაცი. იგი ცნობილი იყო, როგორც ავანტურისტი მექალთანე. იგი იყო რაინდთა ორდენის წევრი, რომელსაც შემოაკვდა ორდენის კომანდორი, თავისი ქალიშვილის ღირსების დაცვის დროს. ფრანცისკანელმა ბერებმა დონ ხუან ტენორიო მონასტერში შეიტყვეს, იქ ჩაჰქოლეს და ხმა დაადგეს, კომანდორის ძეგლში იგი ქვეყნელნი ჩაიტანეთ. ეს ამბავი ლეგენდად იქცა და განსაკუთრებით პოპულარული გახდა რენესანსის ეპოქაში. მისი პირველი ლიტერატურული ავტორია ესპანელი ტირსო და მოლინა („სევილიელი ინსავრი, ანუ ქვის სტუმარი", 1632 წ.).

დონ ჟუანს გამოსახავენ ტრადიციული სიუჟეტით, ლეგენდის მიხედვით, თუმცა ზოგჯერ ხაქმე გვაქვს მის მოდერნიზაციებთანაც. თითქოს ახალს ირაფერს ვეღოდებით ყოველი ახალი ავტორისაგან, მაგრამ დონ ჟუანის თემის მობრბიბველობა აშკარაა. მისი ნეოფალი ავტორების წყურვილი მაინც რაღაცნაირად ნიშნავს უკმაბრის გრძნობას, ამ თემის ამოწურვრობას. ყოველი ავტორი, რომელსაც წინ უდგეს სხვა ავტორთა დონ ჟუანები, არ უშინდება „ქვის სტუმარს" და თვითონაც ხედავს ამ სახის ხელახალი გაზრდების შესაძლებლობას, დონ ჟუანი ცოცხალი სხეულია ხელოვნებისა. იგი ერთგვარი ფუფფუნებაა ხელოვნებისა, რადგან ხელოვნების სტიქიაა გრძნობათა მრავალფეროვნება.

დონ ჟუანის პორტრეტი. მწერლებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს დონ ჟუანის პორტრეტს, მის ბიოფსიქიკურ სამყაროს. რაც შეეხება მის პორტრეტს, იგი ყოველი მწერლის წარმოდგენაში სხვადასხვანაირია, მაგრამ მათ შორის არის რაღაც საერთო, დამახასიათებელი, რომელიც მხოლოდ მისი გარეგნობის გამოხატვაში კი არა, მისი ბიოფსიქიკურ მოღიაწეობაში უფრო მეტ საერთის პოულობს.

ფილოსოფიურ ანთროპოლოგიის ინტერესს, თუ რით განსხვავდება ცივილიზებული კაცი ბარბაროსთაგან. ეს განსხვავება უფრო თვალსაჩინეთია, ო

ადამიანის მოღიაწეობის სოციალურ ზედაპირს ეეხებიან. უფრო რთულია და გარკვეულად პირობითიც, საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ იცვლება ადამიანის ბიოფსიქიკური სამყარო ცივილიზაციის პირობებში. ამ ცნობისმოყვარეობას ფილოსოფია ბეკრეს ვერ აუვლის. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ფილოსოფიისა უფრო ნასესხები ამპარტიული მუშაობს, ვიღრე ორიგინალურით. ამ მას კატეგორიული მტკიცებები არ შეუძლია. აქ იგი ეშყარება ხან ფიზიოლოგიას, ხან ეთნოგრაფიას, ხან ფსიქოლოგიას და ა. შ.

დარვინმა გამოიკვლია, რომ ადამიანის ბიოლოგიური განვითარების პროცესში თავის ტვინში მცირდება ის ნაწილები, რომლებიც განაგებენ ინსტინქტებს.

როდესაც ადამიანის განვითარებაზე ლაპარაკობენ, ცხადია, ეს წინსვლა მხოლოდ ცნობიერების სამყაროში არ იჩენს თავს. განსხვავება ეხება ადამიანის არსების ყოველ მეფროს. რასაკვირველია, განსხვავება იმ დონეს არასოდეს მიაღწევს, რომ სიტყვა ადმიანი აღარ შეეფერებოდეს ამ სახეცვლილებას. მაგრამ ადამიანის სულიერი განვითარება უფიოდ ალიბეტდება მის სხეულებრივ სამყაროზედაც.

დარვინის თვალსაზრისი ინტაცეს მეცნიერთა გარკვეულ ჯგუფმა. ადამიანის სხეულებრივი მიღრეკილებების განსულიერების პერსპექტივები იმდენად შორს გადასტყორცნეს, რომ წარმოიშვა ეთოგენიის ოცნებებიც კი ადამიანის ბიოფსიქიკური მექანიზმის რეფორმის, ფსიქიკის ბოროტებისგან განწმენდის შესახებ.

ამ გზით ზოგიერთმა შესაძლებლად მიიჩნია, რომ ასე შეიძლება შეიქმნას ადამიანის გაფრმენდილი, უფრო ზუსტად, სრულიად გონიერი არსება (ერთპოტკინი) ზოგიერთებმა კი ადამიანის ეკოლუციის მესამე საფეხურს წინასწარმეტყველურად უწოდეს „ნოოსფერო“ („გონების სფერო“, ტეიარ დე შარდენი).

ასევე ტონიბის „ეთიერზეცია“, ილსპრესის „მეორე ღერძის პერიოდი“, სწორედ ადამიანის ასეთი ბიოფსიქიკური ეკოლუციის საკთხებს ეხება. ამ თეორიებში, ცხადია, ბევრი რამ არის საყურადღებო, მაგრამ ბევრჯერ იხვეწებიან დაგვიჯერეთო, როცა მტკიცებებს ძალა შემოაკლდებათ. მთავარი მისწრაფება კი ისაა, იქნებ ნამუნი იქნეს გასაღები, ადამიანის გონების წინაშე წარდგენით დამობილი, უკუგდებული იქნას უზნეო მიდრეკილებანი; ცივილიზაციის, გონების გზით კეთილიერება ფსიქიკისა, შესაძლებლად მიიჩნიონ, რომ მოიტანს ზნეობრივ პროგრესს.

რაც შეეხება დონ ჟუანს იგი არის ბიოფსიქიკურად, ესოტიკურად ძალზე დახვეწილი კაცი, ცივილიზაციის ტიპი, მაგრამ მას აქვს უბრალელესი ნაკლი, ზნეობრივი უგულობა. ადამიანის ბიოლოგიური ეკოლუცია, მისი ბიოფსიქიკური სამყაროს დახვეწა, იქნება ეს ეთერიზაცია თუ ესოტიზაცია, ჯერ კიდევ ვერაფერს გვეუბნება ეთიკური სრულყოფის შესახებ. მასში უფრო ღრმა სოციალური პროცესები იგულისხმება. თუმცა ზემოაღნიშნულ თეორიებს იმას ვერ დავაბრალებთ, თითქოს ისინი ზნეობრივისგან მოწყვეტით მიიჩნევდნენ შესაძლებად ადამიანის სრულყოფას, მაგრამ მათი ზნეობრივი მრწამსის ცნება სხვაგვარია. დონ ჟუანი არ არის უზეში ეროტიკა ან ეზრით, რომ იგი დაცილი იყოს სულიერი, შეშზღუდავი მოქნტისაგან. დონ ჟუანმა იცის თავისი სექსუალური ლტოლვა რომ არ ეთანხმება სულიერ ნორმას. იგი ძველი ბერძენივით თავისუფალი არ არის. ძველი ბერძენისთვის სექსი პრობლემას არ წარმოადგენდა, რადგანაც მისთვის ჯერ სექსის მიმართ ცენზურა არ იყო დაწესებული. ეს ცენზურა, აკრძალვა ეროტიკული თვითნებობისა ქრისტიანობამ დაიწყო. ამ აკრძალვის გამო ბრძოლა წარმოიშვა სულიერ და ეროტიკულ საწყისს შორის. მართალია, დონ ჟუანი უბოდიშოდ არღვევს მორალის ჯებირებს. იგი რადიას ებრძვის და იცის, რომ არღვევს მას, რისი დარღვევაც არ შეიძლება. დონ ჟუანი ეს არის იერიში აკრძალულისადმი. მისი მაცდუნებლობა იმაშია, რომ იგი აკრძალულს ეტაცის. აკრძალულობა კი არ ანელებს, არამედ უმძაფრებს მას სექსუალურ ლტოლვას. ამიტომ ეს არის არა ბარბაროსი, რომელიც სექსუალურ მოთხოვნას სულიერ საწყისთან შეთანხმების გარეშე ანხორციელებს; დონ ჟუანი სულის წინაღმდეგ ამხეიდრებული ბუნებაა. სულის დაძლევა, სულის ბუნებისსაირად ქცევის ქონი არის „დონ ჟუანური“ დემონიზმი. მისი ეროტიკა ეს ,ბრძოლაზარეი“ და ამიტომაც „ეროტიკულ ,ბრძოლებს“ ,ამ „ესოტიკურ ცხოველს“, იგი არის კაცი, რომელიც სიკვდილის იდუმალებასა და ეროტიკის იდუმალებას შორის კავშირს გრძნობს. მისი გეფერები დემონიზმის წყალობით, ძალიან ადვილად მეოცნებე ქალი სულ რამდენიმე სიტყვის გაცვლის შემდეგ მას მიმართავს: «Милый Демон» (ბუშენი).

აი, ამ ქარიშხლის ამოკოთხვა უნდათ მწერლებსა და მუსიკოსებს დონ ჟუანის სახეში.

დონ ჟუანის ფიზიონომია დაშორებულია ინსტინქტების ცხოველურ სიმდიდრეს. იგი არის დახვეწილი ალნაგობისა, არისტოკრატიული გამჭვირვალეობისა, რომელიც ცდილობს სულის სინათლე ეროტიკულ ცეცხლში ჩამოიტანოს.

დონ ჟუანის სახეში მწერლები ეძიებდნენ სწორედ ამ მაგიურ, მომნუსხველ საწყისს, რომელიც სულის სინათლეს მიწიერ ცდუნებისკენ ეზიდებოდა. ამ მხრივ დონ ჟუანის ლიტერატურული პორტრეტი ერთ-ერთი იშვიათია, და შესაძლია, შეუდარებელიც მსოფლიო ლიტერატურაში.

ჰოფმანისეული პორტრეტი ეს არის მოცარტის ოპერა „დონ ჟუანის“ განედის სურათი. ძალზე შთამბეჭდავია ჰოფმანის მიერ აღწერილი დონ ჟუანის ფიზიონომია და ამიტომ მომეტებულ ადგილს ვუთმობთ მას:

„დიდებული, ძლიერებით აღსავსე ფიგურა, ნაკვთების ეფეკტური სილამაზე: კეთილშობილი ცხვირი, გამჭოლავი მზერა, ნაზად გამოკვეთილი ტუჩები; უცნაური თამაშნი წარბზემოთა კუნთებისა, რომელიღაც წამში მის სახეს ანიჭებს მეფისტოფელურ გამომეტყველებას და თუმცა არა ვნებს ის სილამაზეს, მაინც აღძრავს ანგარიშიანცემელ თრთოლვას. ასე გეჩვენებათ, თითქოს ის ფლობს მაგიურ თილისმას მძვინვარე გულისა. ეს გეჩვენებათ, რომ ქალები რომელოაც მან მზერა სტყორცნა, სამუდამოდ გაწყრიალნი არიან და მორჩილებენ ბედისწერის განგებას, ილტვიან დაღუპვის შესახვედრად“.

დონ ჟუანის ფიზიონომია, მისი პორტრეტი უფრო და უფრო დინამიური ხდება, როცა მის სახეში მისი შინაარსის გამოხატვას ცდილობენ. ვინ არის დონ ჟუანი? — ასეთი გამოცანა ადიძვრება ყოველთვის, როცა ხელოვანი მის ხატვას შეუდგებიან:

„დონ ჟუანი უსაყვარლესი შვილია ბუნებისა. ბუნებამ იგი აღმერთა ყველაფრით, რითაც ადამიანი ენთოსავება ღვთიებრივ საწყისს. ძალვარი, მშვენიერი სხეული, სახე რომელშიც

ეპატანგ გოგუაძე
დონ ჟუანი

ანათებს ღვთაებრივი ნაპერწკალი, როგორც სრულყოფილების საწინდარი, აღანთებს მკერდში გზნებას: სული, რომელსაც შეუძლია ღრმად გრძნობა, ფიზიერი გონება. მაგრამ სწორედ ესაა პირველქმნილი ცოდვის ტრაგედია, მისი შედეგი, რომ მტერს დარჩა ძალაუფლება ადამიანებზე და დაუგია მას ხაფანგები მაშინაც კი, როცა ის ემორჩილება თავის ღვთიერ ბუნებას, ისწრაფვის სრულყოფილებისაკენ. ღვთაებრივი საწყისის საცარცხრთან შეჯახებაში წარმოედინება მიწიერი ცხოვრების არსი. ამ დავაში გამარჯვება არის არსი ზეციერი ცხოვრებისა. დონ ჟუანი გზნებით თხოულობდა ცხოვრებისაგან ყოველივე იმას, რის ნებასაც აძლევდა მას მისი სხეულებრივი და სულიერი ორგანიზაცია" (ბოფანანი).

ძალზე თავისუფალი მიდგომაა საჭირო მაქს ფრიშის მიერ ესსეისტურად შექმნილი დონ ჟუანის პორტრეტისადმი. ეს არის უაღრესად ორგანულურად წარმოსახული დონ ჟუანი, რომელიც ამ წარმოდგენის ძმავე ავტორის მიერ შექმნილ მხატვრული სახის გაგრძელებას. მისი მხატვრული დონ ჟუანი არის პაროდია დონ ჟუანისა და მას ასეთი ირონიული სათაური აქვს: „დონ ჟუანი ანუ სიყვარული გეომეტრიისადმი". მის მხატვრულ დონ ჟუანზე მეტი მიმზიდველობა, ვფიქრობთ, მის დასახელებულ ესსეისტურ პორტრეტს გააჩნია:

„დონ ჟუანი შშვენიერია განსაცდელის წინაშე თავისი შეუპოვრობით. ის არაეთიერ შემოხვევაში ფატი არ არის, არც ჰერკულესია! იგი ჩამოსხმულია როგორც ტორერო, ყმაწვილი როგორც ტორერო: ის ამარცხებს ხარს, მაგრამ თვითონ არ არის ხარი! მას ნერვული ხელები აქვს, დახვეწილი, ჩამოქნილი, მაგრამ არა გაწაზებული. მუდამ აღიძერება კითხვა: მამაკაცი ის? მას შეიძლო ყოფილიყო მოცეკვავე. მამაკაცური საწყისი მასში ნათლად ვლინდება საფრთხის ნაპირზე და ის სრულიადაც არ არის მასში შეზღუდული: დონ ჟუანი მას უფრთხილდება, როგორც ბედნიერ განის, რომელსაც ვერ უზღვავთ ჯარისკაცული შემართვინთ. მას ალეცლებად სჭირდება დაცვა, რადგან ყოველივის იმყოფება საფრთხის წინაშე. მისი სახე, როგორადაც არ უნდა წარმოვიდგინოთ, არის ადამიანი ფხიერი გამოხეტდვით, რომელიც მუდამ მიდის რისკზე".

დონ ჟუანის პიროვნების ესთეტიკური მხარე, მის პიროვნებაში იდუმალის გამოცხობის წყურვილი მიმზიდველს ხდიდა მას ხელოვანთათვის. სამაგიროდ ხელოვანნი ზზრიად ამ უზღვავნენ იმით, რომ დონ ჟუანის ეთიკურ რეაბილიტაციასაც კი ახდენდნენ. ასეთი სიმპათიური განწყობილება არ არის დაფარული მერიმეს დონ ჟუანის შემოხვევაში. მის ამორალიზმს მწერალი გარეშო საზოგადოებრივ ვითარებას აბრალებს და ბრალდებას, მაზეველი სწორედ მასზე გადააქვს.

ბაირონის დონ ჟუანი ძალზე ავტობიოგრაფიული ფიეური ფსიქოლოგიისაა. ინგლისის არისტოკრატიაზე გაგულისებული ბაირონი, დონ ჟუანს სამართალი რისხვად მოუელენს მათ. დონ ჟუანი არის იმ ქმრების დამამცირებელი, რომლებიც ამას იმსახურებენ. ოფით დონ ჟუანის მხრივ ეს ამორალიზმი ესთეტიზირებელი და უფრო სავატეველი წარწყმედის სახით არის დახატული. ბაირონის დონ ჟუანი კინ�რევოლუციონერია. იგი მეამბოხეა, მო

ლამაზი ქალი მხიბლავს ყველგან, სადაც არ უნდა შეეხედე მას. მე ადვილად ვნებდები იმ ნაზ ძალდატანებას, რომლითაც ის გაგეიტაცებს ჩვენ... მე თვალები ძველებურად ადგილზე მრჩება, რომ შევინაწილო ღირსებები ყველა სხვა დანარჩენებისა და ყოველი მათგანისაგან ჩემგან ხარკი და თაყვანისცემა გამოვხატო, რომელსაც ჩვენ გვავლენს ბუნება. როგორც არ უნდა იყოს, ჩემი გული არ შეიძლება არ ეკუთვნოდეს ყოველივე იმას, რაც ჩვენს ხილვას ეალერსება და როგორც კი ლამაზი ღაწვები მომთხოვს მიეკედლენ მე მას ჩემი გული, მე, ათი ათასი გულიც რომ მქონდეს მზად ვარ, მივცე ყველა. მთელი მომხიბლველობა სიყვარულისა ცვალებადობაშია. ვგრძნობ, რომ ჩემს გულს შეუძლია უყვარდეს მთელი დედამიწა. ალექსანდრე მაკედონელის მსგავსად, მე ვისურვებდი, რომ არსებობდეს კიდევ სხვა სამყაროები, სადაც მე შემეძლებოდა გამეგრძელებინნა სიყვარულის გამარჯვებები...“ ასევე მოჰარხებულად იმართლებს თავს დონ ჟუანის ლანდი ბერნარდ შოუსთან „დონ ჟუანი იძლევა განმარტებას“.

ზნეობის პოზიციიდან დონ ჟუანის ეს თამამი ფილოსოფია ამორალიზმია. თუმცა მორალი და სიყვარული რომ ყოველთვის დიდი მეგობრები ვერ არიან ამას ლიტერატურა, ხელოვნება და ფილოსოფია კარგად გვიჩვენებს. დონ ჟუანი არ მალავს თავის გრძნობას და დიდი ერთგულია თავისი გულისცემისა, მაგრამ ცნობიერებაში დონ ჟუანია არა შიშველი ეროტიკული ენერგია, არამედ „ცოდვის“ ჩამდენი, რადგან მან იცის, რა ჰქვია თავის საქციელს.

დონ ჟუანი ტრაგიკომიკური პიროვნებაა. ასეთი ადღესეული ბუნებენი მეორე არ იცის ხელოვნებამ. თუ მის მოქმედებას, ცხოვრების არსებობას პატარა მასშტაბით გავხედავთ, თითქოს დონ ჟუანს არაფერი აქვს დასანანი. ამგვარი ფილოსოფიით სჯობს ვიდრე ცხოვრობ, იცხოვრო ნების სრული ფაფრენებაბით. ამისათვის ღირს ბოლოს გაიპიოვო, მით უმეტეს, რომ ყველაფერს სიკვდილი ათანასწორებს. მაგრამ არსებობს სიცოცხლის შეფასებისა და განზომილების სხვა მასშტაბი, რომლის მიხედვითაც სჯობს მთელი ცხოვრება, მიზნისაკენ მიმავალი, ტანჯვით გავიარო და განვლილ ცხოვრების გადახედვა შეგვეძლოს სიამოვნებ, უთრთოლველად. სხვანირად კი ეს ასეც გამოითქმის. ლამაზ სიცოცხლეს ლამაზი სიკვდილი სჯობსო, ლამაზი სიკვდილი ნიშნავს, რომ ცხოვრება შეფასდა მთლიანად ლამაზად, გმირულად. დონ ჟუანს ლეგენდა ჯოჯოხეთში გზავნის, ხელოვნება გვაჩვენებს, რომ იგი ცხოვრობს როგორც ლელი და კვდება, როგორც ძალლი. დონ ჟუანმა სიცოცხლის ნაპირზე ნახა, რომ მისი არსებობა ფუჭი ყოფილა და ეს გამოიხატა მის წრიპინში, რომელიც მას კომანდორის ქვის ხელის მოქმედის, ღრიალ აღმოხდა.

დონ ჟუანი და ფაუსტი. დონ ჟუანის, ფაუსტის ეროული პიროვნებისადმი დიდი ინტერესი მის დემონიურობაშია. სწორედ ამ ნიშნით უკავშირდება იგი ფაუსტს. დონ ჟუანი და ფაუსტი დემონიზმის სხვადასხვანაირი განსაზღვრაა არიან. დონ ჟუანური დემონი განსხვავდება მეფისტოფელისა და თვით ფაუსტის დემონისაგან. ფაუსტი თითქოს თავისუფალი უნდა იყოს დემონიურობისაგან, რადგან მის დემონი — მეფისტოფელი უნდა იყვიდეს, რომ ფაუსტი არის ნათელი, ხოლო მეფისტოფელი ბორცი სული. ეს ასე არის, მაგრამ ფაუსტი არის დემონურად, გენიალურად ნათელი, იგი არ არის ანგელოსი. გოეთის თქმით, ქრისტეც დემონიური, წილნაყარი დემონიზმთან. ფაუსტი არ არის წმინდანი, ხორციელ ვნებათაგან თავისუფალი. რაც შეეხება მეფისტოფელს, იგი, გოეთის თქმით, უფრო წუნკალია, ვიდრე დემონი, ფაუსტისა და მეფისტოფელის დაპირისპირება თითქოს ასეთნაირი უნდა ყოფილიყო:“

«Dämonisch genialen und götlich milden» „დემონურად გენიალური და ღვთაებრივად სათნო“ (გოეთე) მაგრამ გოეთეს დემონური არ არის ჩვეულებრივად გაგებული უარყოფითობა. იგი არის უარყოფის უარყოფის პროცესი, დინამიკა, მოქმედება, ნგრევა, შენება მოღვაწეობა. ეს არის გოეთისეული პოზიტიური დემონიზმი. რაც შეეხება დონ ჟუანურ დემონიზმს, ეს არის უნაყოფო მოქმედება უნაყოფო ესოტერიზმი.

ქრისტიანობაში დემონური გაგება იწყება შუასუნების წყურვილში, რომელიც შორეულ სათავეს იღებს ადამისა და ევის პირველ წარწყვედიდან. გინდათ იცოდეთ იმაზე მეტი, ან იმისაგან განსხვავებული, რასაც უშველად გაარნახობთ რელიგიური რწმენა, ნიშნავს, რომ ანგრევთ რწმენის ჯვრიებს. ასეთია ფაუსტური წარწყვედა. მისი დემონიურობა რწმენის ინტელექტუალურ დამნგრეველობაშია. ეს არის ინტელექტუალური დემონიზმი. დონ ჟუანი კი მოქმედებს, ეითარცა დემონი და არ გაჯინილეს თავის თავს „რეფლექტირებელი დონ ჟუანი — უკვე ფაუსტია“ (კირკეგორი).

ფაუსტის ცდენება დემონის მიერ, მის ცოდნისეულ ლტოლვაშია. იგი რწმენის ეზოთ არ მიემართება ღმერთისაკენ. იგი ფილოსოფიური კიბეებით ცდილობს მისწვდეს უზენაესს. ამ გზით, შეიძენა იგი სხვა, ფილოსოფიერ ღმერთამდე მივიდეს და არა რელიგიერ ღმერთამდე. მაშასადამე, ფაუსტის დემონი ღვთის გზიდან, რწმენის გზიდან გადახვევის ნიშნავს.

ვახტანგ გოგუაძე
დონ ჟუანი

ფაუსტისთვის ღმერთი არის ცოდნის შინაარსი, აზრის მარგალიტარებელი, ზეგანებრივი ძალა. ფაუსტისაგან განსხვავებით დონ ჟუანის ღმერთია სულისაგან ნაპრალოვანი ბუნება, უფრო ზუსტად გრძნობები. გრძნობა არის ბუნებასთან ადამიანის კავშირის არხი, მაგრამ დონ ჟუანი გრძნობის კარნახით მოქმედებს მაშინაც, როცა გრძნობას აზრი უნდა ცვლიდეს. ამიტომაც უწოდებენ მას „ესთეტიკურ ცხოველს". დონ ჟუანის დემონი ამიტომ უფრო სილამაზეში ელინდება. ეს არის წარწყმედა სილამაზისა. ფაუსტი ფილოსოფოსია, დონ ჟუანი ესთეტი, ფაუსტი ღვთიერს ეძებს, დონ ჟუანი ანარქისტია.

ფაუსტს ინტერესებს მოვლენის არსი, ზოგადი — დონ ჟუანს ინტერესებს არა მოვლენის არსება, არამედ თვით მოვლენა. ფაუსტს ინტერესებს გრძნობის ცოდნა, დონ ჟუანს გრძნობისეულის გრძნობა. ფაუსტიც გადის დონ ჟუანის ფაზას, ისევე როგორც მოფაუსტია გერმანული ინტერესის ჰოფმანის, ლენაუს, მაქს ფრიშის დონ ჟუანები.

დონ ჟუანი არის ქრისტიანი უარყოფითი ნიშნით (კირკეგორი, თომას მანი), იგი არ არის ზეგეს ნაშიერი, თავისუფალი ერეტიკა. დონ ჟუანისათვის ეროტიკის ეშხი აკრძალულობაშია. აკრძალული სამყაროს ინსტრუმენტი გრძნობებია.

გრძნობებით სულზე ზემოქმედებით ცდილობს დემონი სულის წარმართვას და მის ჩაძირვას ქვესკნელში.

გერმანულ-ესპანური ლეგენდები ფაუსტისა და დონ ჟუანის შესახებ, ბერტოლდ აუერბახის თქმით, ერთი და იგივე ხის რტოებია, რომლებიც სხვადასხვა კლიმატის პირობებში სხვადასხვანაირად ხარობენ.

ფაუსტისა და დონ ჟუანის პორტრეტულ წყვილს არა ერთი ავტორი შეხვედრა. ფრანც ბორნი, შემდეგ როზენკრაცი და სხვა. მაგრამ დონ ჟუანისა და ფაუსტის სახეების დაკავშირება მზატერულ ლიტერატურაშიც მოხდა. ნიკოლაი ფოგტის პიესა, გრაბეს „დონ ჟუანი და ფაუსტი", რომელიც სუსტ პიესადაა მიჩნეული (ეგვანი ბრაუნის მტკიცებით მან გადელნა მოაზდინა პუშკინის დონ ჟუანზე). ამ ფანტასტიკურ პიესაში ფაუსტს და დონ ჟუანს უყვართ დონნა ანა. ფაუსტი მას მაგიური ძალით გადაიყვანს მონმალაზე, სადაც მისი ჯადოსნური სულების ძალით რამდენიმე წამში ამენდა ციხე. დონნა ანას მაინც მისი საქმროსა და მამის მკვლელი დონ ჟუანი უყვარს. მან ვერ ძალია თავისი ცოდვილი გრძნობა. ფაუსტი ემეფარება, ყოველ ღონეს მიმართავს, რომ დონნა ანამ შეიყვაროს იგი. დონ ჟუანი თავისი ლუპარელოთი ცდილობს მონმალიდან სატრფოს მოტაცებას. ფაუსტი გიიგებს და თავისი ჯადოსნური ძალით დონ ჟუანს კვლავ რომში აბრუნებს. ფაუსტმა მაინც ვერ მოიგო დონნა ანას გული და იგი გამძვინვარებული უსაყვედურებს მას სიყვდილს.

დონნა ანას სიკვდილით შეძრწუნებული, ფაუსტი თავის სეფდას უზიარებს დონ ჟუანს. დონ ჟუანი შურს იძიებს სატრფოსათვის. თუმცა ფაუსტს კლავს არა თვით დონ ჟუანი, არამედ ფანტასტიკური სახის მგმირი, რომელსაც ნაწარმოებში „რაინდი" ჰქვია. რაინდი დონ ჟუანსაც მიეცალებენ ფაუსტს ზედ მიაყოლებს სიტყვებით: „აკი ორივე ესწრაფოდით ერთი მიზნისაკენ!"

კირკეგორის დონ ჟუანი. კირკეგორის ფილოსოფიაში დონ ჟუანს დიდი ადგილი არ უჭირავს, მაგრამ კირკეგორის ფილოსოფიის სილამაზე არ წარმოიდგინება დონ ჟუანის გარეშე. კირკეგორი დონ ჟუანს მშრალი ანალიზის ობიექტად არ აქცევს. იგი ეტერიალებს დონ ჟუანის არსებას და უფრო მეტად ცდილობს თავის ფილოსოფიურ თვალსაზრისს სილამაზე მიანიეს. კირკეგორის დონ ჟუანი ეს არის ფილოსოფიურ-პოეტური პორტრეტი.

კირკეგორის დონ ჟუანს უდაოდ სეფრიდა კომენტარები. აქ ძირითადი, ღერძის გამოთქმებია: „გრძნობადი გენიალობა" და „ეროტიკული ერეტიკული". ამ გამოთქმებში კირკეგორის საკმაოდ ღრმა შინაარსის ელვლისმის და ნაკლებად ზრუნავს ამ გამოთქმების განმარტებებზე.

„გრძნობა" ერთ-ერთი უაღრესად ხშირი გამოყენების სიტყვაა, თითქოს ყველასათვის ცხადზე ცხადი. მაგრამ გრძნობის განმარტება ფსიქოლოგიისა და ფილოსოფიისათვის დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. კირკეგორის გრძნობადი გენიალობა რომ გაიგოთ, საჭიროა გადავიხედოთ გერმანელ ფილოსოფიაში, კერძოდ ჰეგელის ფილოსოფიაში, ეროტიკულიდაც წარმოდგენილია, საზოგადოდ, კირკეგორის ფილოსოფიის გაგება.

გრძნობასა და შეგრძნებას ჰეგელი ანსებითად არ ანსხვავებს. შეგრძნება მოდის, როგორც ბარეფანნ, ისე შიგნიდან. ფსიქოლოგიასთვის ყველაფერი ცხადია, როცა გრძნობის წყაროს განიხილავენ გარე გამღიზიანებლებიდან. მაგრამ შიგნიდან მომავალი გრძნობის მეშინაზმი ფსიქოლოგიის ფილოსოფიიან მოახვია თავს. ჰეგელი გრძნობის ისევ ბუნებას საგნებებად განიხილავს „ჯონის ფილოსოფიაში" (იხ. შეგრძნება), „რელიგიის ცნებაში" (იხ. გრძნობა) და გაკვრით ეხება „ლოგიკაშიც". შიგნიდან მომავალი გრძნობაც პირობითი თქმაა. ეს გრძნობა აღიარება სულისაგან, მაგრამ სულში თავისთავად არ არის გრძნობა. სულიდან მოდის რაღაც იმპულსი, რომელიც გრძნობად გადაიქცევა „ჩვენ გრძნობა გაგვაჩნია არამხოლოდ გრძნობადი საგნებისაგან, არამედ

სხვა შინაარსისაგან, რელიგიური გრძნობა ღვთისაგან, სამართლისაგან და ა. შ."[2]

გამოდის, რომ გრძნობას გააჩნია ორი მიმართულება. საკანი რომ გვაღიზიანებს და ჩვენში რაღაც გრძნობას აღძრავს, ეს მარტივი ფაქტია ამ ფილოსოფიისათვის. მაგრამ შინაგანი, უხილავი წყაროდან წამოსული პული რომ ხორცს შეისხას, ეს მიაჩნიათ გრძნობის წარმოშობის დიდ საიდუმლოად. სული იქცევა გრძნობად — ეს არის გრძნობად გენიალობის სათავე.

გრძნობა ბუნებას, ხორციელ ქვეყანას ეკუთვნის. ამიტომ მისი ძირი, საფუძველი არის ეროტიკული. ეროტიკა ეს არის კონცენტრირებული სხვ გრძნობისა, მგრძნობელობისა. ეროსის ცეცხლია ის გრძნობადობა, რომელიც სულს ეძრძვის და ამ ბრძოლის შინაარსი არის სინათლე ხელოვნებისა.

გრძნობის ყველაზე მთრთოლვარე სიმებს მუსიკა ფლობს. მუსიკაში ხორციელდება სწორედ გრძნობად-ეროტიკული სულიერი წვა. დაახლოებით ასეთია კირკეგორის „გრძნობადი გენიალობა", „მუსიკალურ ეროტიკული".

კირკეგორის მიხედვით დონ ჟუანის სიყვარული არის არა სულიერი, არამედ გრძნობადი. გრძნობადი სიყვარული კი თავის ბუნებით არის არანამდვილი, აბსოლუტურად არანამდვილი. იგი არის სიყვარული არა ერთისადმი, არამედ ყველასადმი, ე.ი. აცდუნების ყველს.

ფუმეკი ბერძენი ღმერთები და გმირები ძალიან მოგვაგონებენ დონ ჟუანს, მაგრამ ცდუნების იდეა ბერძენებისთვის უცხოა. მათი გრძნობები აკრძალული არაა, ამიტომ ისინი არავის არ აცდუნებენ. ცდუნების იდეა დაკავშირებულია ცენზურის დაწესებასთან. ეროტიკული საწყისი ბერძნებთან მოკლებულია ამ დაძაბულობას, „დემონურ" ხასიათს, რომელსაც ის იძენს შუა საუკუნეებში.

დონ ჟუანი ეს არის განხორციელება გრძნობისა, რომელიც განსაზღვრულია სულიერად.

აკრძალული ხილი. გრძნობად-ეროტიკული არ იყო განსაზღვრული სულიერი პრინციპით ბერძენებთან. ქრისტიანობა კი მას ცნობიერების წესებში აქცევს. ცნობიერება ერთსა და იმავე დროს ეწინააღმდეგება ეროტიკულს და ამ წინააღმდეგობაშიგე ძლიერდება მათ შორის კავშირიც. ცნობიერება სდევნის მას, მაგრამ განდევნის კი ვერ აღწევს, პირიქით, კიდევ უფრო აშენავებს თავის კავშირს უარყოფითი ნიშნით. ამიტომ წერს კირკეგორი: „თუ მე ვაზროვნებ გრძნობად-ეროტიკულს როგორც პრინციპს, ე. ი. განსაზღვრულს იმგვარად, რომ სული მას გამორიცხავს, თუ მე ვაზროვნებ გრძნობადს კონცენტრირებულს ერთს — ერთადერთ ინდივიდში, მაშინ მე მაქვს გრძნობად-ეროტიკული ვენიალობის გაგება" („Или-или", 78.). აი, ეს გრძნობად-ეროტიკული არის მუსიკის ამსოლუტური საგანი. ეს იმგვარი საგანია, რომელიც სრულიად შეესაბამება მუსიკას. ამიტომაა „დონ ჟუანი" ფორმის ... სის აბსოლუტური შეუსაბამობა. დონ ჟუანი არის მაცდუნებელი და არ შეიძლება უარყოთ, წერს კირკეგორი, რომ მისაცდელ მის დეტალებში ხშირად შეიძლება იყოს ძალზე მაცდუნებელი. მაგრამ ეს ისეც უნდა იყოს, სახელდობრ, ამაშია მისი სიდიადე.

კირკეგორის მიხედვით დემონური ესაა „ცოდვილი", „აკრძალული" სიამოვნებანი. ეს აკრძალვა კიდევ უფრო მომბიზნველს, მიმზიდველს ხდის მოცდუნას. „ისმინეთ ოპერა დონ ჟუანი! თუ შენ ისმენ დონ ჟუანს და არ შეგიძლია იგი წარმოიდგინო, მაშინ შენ ვერაფერს ვერ წარმოიდგენ მას. უსმენე როგორ იწყვება მისი ცხოვრება; მსგავსად ელვა-ქუხილისა მრუმე ღრუბლებში, ამასთან დაცდილი რიტმი და ტაქტი; ისმენე როგორ შეუპოვრად შეიპრუნა ხოლმე სიცოცხლის მრავალფეროვნებაში. ისმინე ვიოლინის მსუბუქი, მოცეკვავე ბგერები, ისმინე პირველი ქარაგმა სიხარულისა, ისმინე ალტაცება ენებათმტკბობისა, ისმინე ნეტარება სიამისა, ისმინე მისი ველური სრბოლა, მისი აჩქარებული ლტოლვა თავის თავიდან, უფრო და უფრო სწრაფი, შეუკავებელი, ისმინე ენება აილგმავი ნდომისა, ისმინე თხრობა სიყვარულისა, ისმინე ჩუჩუნი წარწყმედისა, ისმინე, ისმინე როგორ ჩაიკრეფს იგი ცდუნების ორობატრიალში, ისმინე მდუმარება წამიერებისა, ისმინე, ისმინე, ისმინე ოპერა დონ ჟუანი" (გვ. 125).

მუსიკა, ეს არის ერთგვარი მეტოქე სულისა, დემონური გრძნობადობა. მუსიკა მაგიასა ჰგავს, რადგან იგი ეუფლება ადამიანის სულს. ეს ნიშნავს, რომ მუსიკას, გრძნობის, დემონურის სამფლობელოში მოჰყავს სული. ამიტომ იყო, რომ ეკლესია განსაკუთრებით გაძლიერებულ ცენზურას აწესებდა მუსიკაზე. მანამდე კი ქლატონი, ყველაზე მეტი გაცხარებით ცდილობდა მუსიკამ შორს არ წარიტაცოსო სული. მუსიკას იგი მკაცრ ცენზურას სთავაზობდა.

რაც არ უნდა დაიქვემდებაროს მუსიკა ეკლესიამ, რაც არ უნდა წმინდად აქციოს იგი, მუსიკა თავის არსებაში მაინც დემონურმა ხელოვნებაა, რადგან გრძნობის სიმებზე თამაშობს — ასეთია კირკეგორის პოზიცია მუსიკალურ-დემონურის შესახებ.

კირკეგორის მიხედვით დონ ჟუანი თავის ნამდვილობას აღწევს მუსიკაში. სახელდობრ, მოცარტის „დონ ჟუანში".

არც შუა საუკუნეების ხალხურ ლეგენდაში, არც შუასაუკუნეობრივ თეატრალურ მისტერი-

ებში არის დონ ჟუანის სახე დახატული, როგორც ეშმაკრაღი სახე. იგი გამოყვანილია, როგორც კომიკური პერსონაჟი. ეს იმიტომ, რომ ყოველგვარი სიტყვა, რეპლიკა მისი პირით თქმული მას აქცევს ისეთ მაცდუნებლად, რომელიც იწვევს სიცილს. იმიტომ, მოლიერისა და ბაირონის შემოქმედებაში წარდგენილი დონ ჟუანის იდეაო.

მოცარტის — დონ ჟუანი შედეგია პირველყოფილია იმიტომ, რომ ესაა მუსიკა, რომელის ამსოლუტური საგანი არის დემონიური გრძნობადობა, წარმოშობილი ქრისტიანობისაგან და ამიტომაც ეს არის ხელოვნება ქრისტიანული, უარყოფითი ნაშნით. მოცარტის ოპერა „დონ ჟუანი“ კირკეგორის მიხედვით ეს არის ზენები ფილოვნებისა.

ფროიდი და დონ ჟუანი. დონ ჟუანი არ არის ხელოვნების შემოგვევთი პერსონაჟი. იგი ეპოქის ინტერესებმა წარმოშვეს. არც ისაა საკვირველი, რომ ლეგენდა შეა სუფეენებში ჩაისახა და ხორცი შეისხა რენესანსის დროიდან. ეს იყო გრძნობათა ღელვის დახატვის წყურვილი და ამ წყურვილმა წარმოშვა ეს ეროტიკული პერსონაჟი. დონ ჟუანი ეს არის ეროტიკის პრობლემა განხორციელებული მხატვრული სახით. რაც შეეხება ფროიდის მოელ შემოქმედებას, ეს არის ეროტიკის პრობლემა ფსიქო-ფილოსოფიური სახით.

ფროიდის თვალსაზრისით, ცნობიერების მიერ დადამალული ინსტინქტები ნორმალურ ადამიანში ძნელი დასანახია. ამიტომ ფროიდსათვის ხელსაყოფილი ობიექტია, ერთის მხრივ, ფსიქიკურად დაავადებული და, მეორეს მხრივ ხელოვნება, რომელიც ვეიმეღალვნებს ქვეცნობიერის ფენებს.

ფროიდმა შემზარავი აზრები უჯახრა კაცობრიობას, მაგრამ კაცობრიობას ამ აზრების შესწავლისა და კრიტიკაზე ხელი არ უუღია. გონების შეუპოვრობა მოითხოვს არა თვალის დახუჭვას ფაქტების წინაშე, არამედ წინსვლას, ყოველი თვალსაზრისის თამამად გაანზრებას. ფროიდის მოძღვრების ზოგმა ხოტბა შეასხა, ზოგმა კი უკიდურესი სამდურავი გამოუცხადა. ერთი ამერიკელი მეცნიერის თქმით, ფროიდმა უფრო ბედნიერი არ გახადა კაცობრიობა, მაგრამ უფრო გააცნობიერა იგი. სამოდო ცნიკურად ეტყრს თეოდორ ადორნოს გამონათქვამი: „ფსიქოანალიზმი ყველაფერი ტყუილია, გარდა მისი უკიდურესობებისა“.

ფროიდმა დონ ჟუანი მაინც არ აქცია ფსიქოანალიზის ცენტრალურ ობიექტად. ფროიდი ხელოვნებას მასალად უხვად სარგებლობს და. ხელსაყრელ მგზალოთებს პოულობს იქ, სადაც ეროტიკულ ღელას ვერც ვხედავთ, ვხედავთ ადამიანურ ენებათა შვნდ ზედაპირს.

დონ ჟუანის ამორალიზმი არის სოციალურ სიბრტყეზე ამოტანილი საქციელი, სოციალური ნორმის დარღვევა. ამ ზოგიერთი ნორმების ამ კანონებს, ზოგიერთი არა. ზოგიერ ლერია, ზოგიერთი არა. ფროიდი კი ქვესკნელში ჩაჰყვება ფაქტებს. ადამიანი განხილულია მხოლოდ ცნობიერების არეში, მას ადამიანი მშრალ სქემად მიაჩნია. ადამიანი არის ცნობიერ-არაცნობიერის მთლიანობა. ფროიდს აინტერესებს გრძნობის ზოგადსაყოველთაო მექანიზმი, რომლის მიხედვით ადამის მოდგმა, ყოველი ადამიანი ერთნაირად იტერეოებს გრძნობად ცოდვილობას. ცნობიერება ამ ბენებრივი საწყისის გაფილტრას ახდენს. ცნობიერების მიერ „ბუნებრივის“ გამოდევნა არის „კულტურა“. ფროიდი ფსიქიკურ კონფლიქტებში ხედავს ადამიანის რეალობას. ფროიდის მოძღვრება ჩვენთვის ისეთე მიუღებელია მსოფლმხედველობრივად, მეცნიერულად, როგორც დონ ჟუანის ეროტიკული პოზიცია, ისიც, როგორც დონ ჟუანის პრობლემა, ერის ობიექტი, სურათის შესაქმნელად, ერის გასაოგალოწინებელად, თუ როგორია თანამედროვე დასავლეთის თეორიული ინტერესები ადამიანის ბუნების კვლევის თვალსაზრისით.

„ოიდიპოსის კომპლექსი“

პარადოქსალური აზრი თქვა ფროიდმა: კაცმა ერთსა და იმავე დროს არის მამის მკვლელი და მამის მოსიყვარულეც. ისიც გვიხარია, რომ ამ გრძნობის პოვნა შეუძლებელია ჩვეულებრივი ჯანსაღი ფსიქიკის ადამიანის მიერ, თუ იგი ეცდება თვითდაკვირვებით დაინახოს მსგავსი რამ. იგი უფრო ღრმადაა დამარხული, ადამიანის ბუნებაში.

ოიდიპოსმა მოჰკლა მშობელი მამა და ცოლად შეირთო მშობელი დედა. სოფოკლეს ტრაგედიაში ეს ამბავი მოგიდა პრეისტორიულ მითოსიდან. სოფოკლესთან ეს ამბავი ხდება, როგორც ბრმა შემთხვევითობის შედეგი, მაგრამ ეს მითი შემთხვევითობის კი არ ასახავდა, პრეისტორიულ ხანაში. ფროიდის მიხედვით ეს ამბავი მოდის იმ პირველყოფილი ხანიდან, როცა შვილები ჰკლავდნენ მამას, ვვარის უფროსს, შესჯამდნენ მას და. შემდეგ მიეცემოდნენ სევდას. ამგვარი სურათები ფაქტებიდან შემონახული აქვს კაცობრიობას ხელოვნებაში და მას მოცემული ფაქტებიდან საფუძველში უნდა ჩავეყვეთ, — ასეთია ფროიდის თვალსაზრისი.

უძველესი დროიდან წამოსული ასეთი ამბავი ცნობიერებამ სხვაგვარი გახადა. ინსტიქტები რაციონალიად დამარხა, მაგრამ ეს ცხოველური, ბუნებრივი მაგნეტიზმი მაინც ძევს ადამიანის არაცნობიერში. ფროიდი ასევე განახილავს „ძმები კარამაზოვების“ მიღმერ ფსიქოლოგიას.

დონ ჟუანს, რომ ეს თეორია სეოდნოდა,

თავს ანგელოსად ჩაუვლიდა. ქვის სტუმარსაც ერთენტელს მოჰგვრიდა ადამიანის ფსიქიკის ასეთი გამოქვაბულები.

ფროიდი ხელოვნების ისეთ მშვიდ მასალას გამოაბამს ფსიქოანალიზის კუდს, რომ თვით იმ მწერლებს თვალად არც კი მოეალნდებთო, რასაც ფროიდი მათ შესახებ იტყვის. მაგალითად: გოეთე ოოგენებს, რომ ფი ოთხი წლისა იყო, როცა ფანჯრიდან ჯუჯელი ისროლა ბაბრაზეთა. ბაბრაზება გამოიწვია დედამისის მომეტებულმა მოფერებამ მისი უმცროსი ძმისადმი. გოეთეს მიერ ამ ფაქტის ახსნა არ მიდის ჯანსაღ ადამიანურ თვალსაზრისს იქეთ, მაგრამ ფროიდი მას სხვაგვარად ხსნის. იგი ბაეშვის, პატარა გოეთეს ამ მოქმედებას მიიჩნევს როგორც რადაც მაგიურ მისწრაფებას, დაუფლების, დამორჩილების, თავისი ნების გაბატონების მისწრაფებად. ამ ფაქტში ფროიდი ხედავს სისტონსაღრეკის მიდრეკილების ანარკეკლს. დედის სიყვარულში რომელიმე შვილის გამორჩევა მამ ენერგიის ელექსირადაც კი მიაჩნია.

ასევე არასასიამოვნოა ლეონარდო და ვინჩის ჯოკონდას ღიმილის ფსიქოანალიზი.

დონ ჟუანი, როგორც მხატვრულად წარმოდგენილი ეროტიკული პრობლემა, გაცილებით უფრო მისაღებია, ვიდრე ფროიდის ავადმყოფური, ხასიათის წამახდენელი თვალსაზრისი. დონ ჟუანში არ არის აბსოლუტური უკეთურება. მას კეთილი გულიც კი აქვს, გარკვეული აზრით. დონ ჟუანი ეს არის არაფთიკური ესთეტიკური. ფროიდი კი ანგრევს ესთეტიკურ სამოსელსაც მოელენებისას. ფროიდმა ერთ ხანს დაიფრთხო, შეაშინა კიდეც დასავლეთის ადმიანები. გავიდა დრო და ამ თერიოლადმი ეს უარყოფთი, თუმცა ემოციონალური დამოკიდებულება შეიცვალა. დღეს ამ მოძღვრებისა არავინა ეშინია, რადგან იგი მშვიდი ფილოსოფიურ-მეცნიერული კრიტიკის საგანი გახდა. მისი ფიდი რეზონანსი, როგორც სხვა ზოგიერთი დასავლეთის ფილოსოფოსისა, თავზეხელაღების მიმზიდველობამ გამოიწვია. ადამიანის ცნობიერება, ჩვენი საზოგადოებრივი ცნობიერება ადამიანის სამყაროს ჯურღმულებს კი არა, მზეს, სინათლეს ელტვის.

ნარცისული კომპლექსი. დონ ჟუანის დამოკიდებულება თავის თავისადმი თვალსაჩინოდ იძლევა იმის საბაბს, რომ მის ნარცისულ კომპლექსზე ვილაპარაკოთ. ამის საბაბს იძლევა არამხოლოდ მისი გარეგნული სილამაზე, არამედ მისი ეროტიკული მიდრეკილებები.

ძველი ბერძნული მითოლოგიიდან მოყოლებული ნარცისი და მისი გავრცელებული სიმბოლიკა ნიშნავს ადამიანის საკუთარი სილამაზისადმი ტრფიალს, ანუ ავტოსეიტიზმს. ფსიქოანალიზის მიხედვით ნარცისზმი ფსიქოანალიზმის ... ხედვით არის ერთ-ერთი სახე ანანორმალური სექსუალური მიდრეკილებისა, ... ფროიდის დროისაც ადამიანი თავისსავსე სხეულს ეპყრობა ისე, როგორც სექსუალურ ობიექტს, ე. ი. ესიაყვარულება მას სექსუალური ტმაყოფილების გრძნობით".[4]

ნარცისზმი სექსუალური ფორმით გამოხატული ეგოიზმია. ეგოიზმი დონ ჟუანს თავისი მოქმედების ყოველ სფეროში მკვეთრად გამოხატული სახით გაანძია. მას არაფრად მიიჩნია პარტნიორი ქალის გრძნობა, როგორც ამას ფსიქოანალიზის წარმომადგენლები მიიჩნევენ.

დონ ჟუანი ეს არის შერწყმა უზნეობისა და სილამაზისა. მისი ყოველი მიბრა-მობრა სილამაზის კანონებს პასუხობს და ოშეიოთად ზნეობის კანონებს. მას გაანძია ბუნებიერი კეთილმობილება, მაგრამ ამოქმედებული დონ ჟუანი სოციალურად უპატიოსნოა. ხშირ შემთხვევაში ის არის გულეკეთილი უსინდისო, სწორედ ამიტომ, რომ იგი ვერ ემორჩილება ზნეობის კანონს, სინდისის შინაგან ხმას. საზოგადოდ მას არ შეუძლია მორჩილება, იგი არის კერძო ნების თავისუფლება და ამიტომაც იგი შორს არის ზეშმარტი თავისუფლებისაგან. იგი მთლად მოჯაქეული თავის კერძო მე-ს, მის გარეგნულ ეულისოქმას, იგი უხეად სარგებლობს თავისი სილამაზით, თავისი გრაციულობით. იგი ბუნების ამ ჯილოს ოღებს, როგორც უმადლეს ნეტარებას, ბედნიერებას, რომელსაც წინ ელოდება დამსჯელი უმეფურება, როგორც ოსკარ უაილდი ამბობს „დორიან გრეის პორტრეტში": „ლამაზი ადამიანები ბუნების მიერ ყველაზე უფრო ხელგაშლილად დაჯილდოებული არიან და ზოგჯერ გეჩვენებათ, რომ თავიდანვან დაჯილდოებულნი, მაგრამ ისინი ყველაზე უფრო ტრაგიკული ადამიანები არიან, განწირულნი მძიმე ტანჯვისათვის თავიანთი ცხოვრების მეორე ნახევარში".

დონ ჟუანი გონების თვალით არ უყურებს მომავალს. იგი მიდის წინ, როგორც სტეკია. დონ ჟუანი ზურგშექცევით ტკბის იმ თვალსაზრისის წინაშე, რომელიც ძველო

ეჯიბრება გარეგნულ სილამაზეს და თუ ფილოსოფიას, ხელოვნებას დავუჯერებთ მაშინ სულის სილამაზე არის პირველი სილამაზე. ეს იმის არ ნიშნავს, რომ გარეგნულად ლამაზი ადამიანი თითქოს თავს ვერ აღწევდეს თავისი გარეგნობის ტრფიალს. ადამიანი თავის სულიერ საჭაროში პოულობს ჭეშმარიტ, მყარ სილამაზეს. თავისი პიროვნების სიმდგრადეს, მის ნამდვილ ძალას.

როდესაც დონ ჟუანს ვატრიალებთ შემეცნებითი ინტერესების წინაშე, მთავარი, ეთიკური მიზანი ასეთია: შევამოწმოთ ჩვენი მოქმედების ორიენტირები, ცხოვრებასთან, თავის თავთან ადამიანის მიმართების ნიმუშები. ზოგი მივიღოთ დადებითად, როგორც ქცევის ნიმუში, ზოგი უარყოფითად, იმის გათვალისწინებით, როგორ უნდა ავიცილოთ ასაცილებელი.

როგორც ითქვა, დონ-ჟუანი სარკის წინ ვერ დადგებოდა, როგორც ხორცით ღატაკი. აქ დგება ადამიანის სინამდვილისადმი ესთეტიკური დამოკიდებულების ჭეშმარიტული, თითქმის მარადიული ფასეულობის კითხვა: როგორ მოვიქცეთ, როგორ მივიღოთ ჩვენი გარეგნობის ნაგები, ისე როგორც არის ის ბუნებისგან მონიჭებული, თუ შეეცდეს ბუნების ჩვენდამი ჩაგნილი შეცდომა. დონ ჟუანისადმი ხელოვანთა დიდი ინტერესის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ისაა, რომ უარყოფის გზით გვიჩვენონ ასეთი აზრი: გარეგნული ელეგანტის ცდუნებას უნდა გავუძლოთ. ჭეშმარიტი ღირსებით გარეგნული სილამაზისადმი შეხედვა ნიშნავს ბუნებას მოვუხსნათ ასეთი საყვედური: რომ ბუნება უსამართლოა, იგი ზოგს სილამაზით ამკობს, ზოგს კი ადატკეცებსო ხორცით. მხოლოდ ადამიანის მაღალ არსებას ძალუძს ადადგინოს ეს წონასწორობა, ხოლო გენიალობა კი გარეგნულ ბრწყინვალებაზე სულიერი სილამაზის უპირატესობის ადიარებას აღწევს.

დონ ჟუან-კაჭანოვას ეროტიკა და სუბლიმაცია.

ყველაზე მეტი საფუძველი არსებობს დონ ჟუანისა და კაჭანოვას დასაწყვილებლად. მათი მსგავსება განსხვავების შესახებ ბევრი რამ ჩანებულად თქმულა. მხოლოდ ცნობილი აზრების შესახებ იქნება საჭირო, სუბლიმაციის თვალსაზრისს რომ დავუპირისპიროთ ამ ორი ცნობილი მეძალთანის მთელი მოღაწეობის შინაარსი.

ერთი შეხედვით ტყუპის ცალუბივით ჰგვანან ერთმანეთს ესპანელი ინავარი და XVIII საუკუნის იტალიელი ავანტიურისტი, რომელიც „ბრწყინვალე ყალთაბანდი“. დონ ჟუანის ხასიათი ყველაზე უფრო მკვეთრსა და თვალსაჩინო სახეს იღებს, როცა მას კაჭანოვას უპირისპირებენ. ამ მხრივ საინტერესოა ის განმარტებანი, რასაც სექსუოლოგიის ერთ ცნობილ ლექსიკონში ეკითხულობთ (იხ. დონ ჟუანი, დონ ჟუანიზმი და კაჭანოვა).[5]

„დონ ჟუანი ნიშნავს სანადვილოდ, უჩვეულო მეძალთანეს, რომელიც თავისივე ცდუნებების მსხვერპლი ხდება. დონ ჟუანის ტიპში გამოხატული სექსუალობისა და ეროტიკის ფენები, იმ მითხოვნებებითა და მისწრაფებებით, რომლებიც საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოთხოვნილებების სფეროს განეკუთვნებან“.

დონ ჟუანიზმი: „...დონ ჟუანი თავისი კერპის დევნაში ახალ და ახალ თავგადასავლებს ეძებს. ამასთან გრძნობა პარტნიორი ქალისა დაუკმაყოფილებელი რჩება. დონ ჟუანიზმი ვერავითარ შვებას ვერ პოულობს იმ გზაზე, რომელზედაც ის მიდის... ფსიქოანალიზი დონ ჟუანის კომპლექსს იმით ხსნის, რომ ის ყოველ შემხვედრ ქალში თავისი დედის გამოხატულებას ხედავს და რამდენადაც მას ამისი პოვნა არ შეუძია, კვლავ ახალ პარტნიორ ქალს ეძებს...

უფრო ენდოკრინოლოგიურად განწყობილი მკვლევარები ამ გარემოების საფუძველს ხედავენ სექსუალურ ინფანტილიზმისა და იმპოტენციაში.“[6]

კაჭანოვა: „კაჭანოვა განასაზღვრებს უზნეო მეძალთანის ტიპს, თუმცა მას აყენია დონ ჟუანის დემონიურობა. ის არის ავანტიურისტი და ყალთაბანდი. მისი სექსუალური აქტიურობა არის ქალის ვნებების დაკმაყოფილება, რომელიც სულიერ სფეროს ნაკლებად შეიგრძნობს“.[7]

დონ ჟუანი და კაჭანოვა საოცრად ჰგვანან ერთმანეთს და საოცრადაც განსხვავდებიან. დონ ჟუანი დემონური, სხვათაშორეს უბედურების მომტანი. კაჭანოვა არ არის დემონური. არასოდეს არ აუბედურებს ქალს, არ ხღის მას ისტერიულს. დონ ჟუანის მიერ ცდუნებულ ქალს „ეოდეის“ შემდეგ ეზიზღება დონ ჟუანი და კაცთა მოდგმაც. იგი ქალს ამცირებს, მასაც ეზიზღება ქალთა მოდგმა. „მხოლოდ უკიდურესი ზიზღი დემონურად გააქანებს მას ქალის შესახვედრად. ქალის დაუფლება მისთვის არის არა სურვილთა დაკმაყოფილება, არამედ სწრაფვა, წაართვას მას ყველაზე უძვირფასესი რამ, წაართვას მას ღირსება“ (ს. ცვაიგი).[8]

კაჭანოვასათვის „ორი მესამედი სიამოვნებისა“, არის ის, რომ ქალს მიჰგვარის „ბაყაფლი. ამიტომაც ამბობენ, რომ იგი ქალს აბედნიერებდა. მასთან შეხვედრისა და თავგადასავლის შემდეგ ქალი თავს ბედნიერად გრძნობდა და ამ გრძნობით უბრალებდნენ ისინი „თავიანთ ქმრებსა და საყვარლებსო. თუ დონ ჟუანი არის ეროტიკული ეგოისტი, კაჭანოვა ცნობილია, როგორც ეროტიკული ალტრუისტი. კაჭანოვას არაფერი მიღმური, დემონური არა აქვს. როდესაც კაჭანოვას ქალ-

ბისადმი ისეთ კეთილშეგობრულ პარტნიორობაზე ლაპარაკობენ, აქ წმინდი ფსიქო ფიზიკურ საწყისებზეა ლაპარაკი, რომელსაც, ცხადია, არაფერი აქვს საერთო მორალთან.

თუ დონ ჟუანი მრავალ ქალში (ლეგენდის მიხედვით მის უწყისზეა 1003 ქალის წარწყმედა) ეძებს ერთს, დონნა ანას სიმბოლოებს, კაზანოვა სიმრავლეში მხოლოდ სიმრავლეს ეძებს.

ყოველდღიურ სალაპარაკო თემატიკაში ისეთი საკითხები წესიერ ხალხისათვის საჩოთრია, მით უმეტეს ქართული ყურებისათვის. მაგრამ მწერლები, ფილოსოფოი და ფსიქოლოგია ბავშვურ მიამიტობას გამოიჩენდა, რომ ადამიანის რეალობის ამ ძირ-ფესვებს ჯერ-ჯერობით ყურადღება არ მიაქციონ. რაც შეეხება ფილოსოფოას, მას, ცხადია, ეეალება ისეთი საკითხებისადმი არამხლოდ შემეცნებითი, არამედ მორალური პოზიციაც გამოავლინოს.

როგორია ჭეშმარტი ადამიანის, კაცური-კაცის ხასიათი, მოღვაწეობის მისია, ეს რომ კარგად გავიაზროთ, დღეს, ადამიანის არსების სიღრმეებს უნდა ვსწვდეთ; სხვანაირად ან ბევრი ციცან ადამიანის შესახებ.

დონ ჟუან—კაზანოვას ცხოველური ესოტერზი დიალექტიკურად უნდა გადავაყოროვთ, წყდა რომ დავინახოთ სიმღლე ადამიანის ბუნებისა. აქ კი აუცილებელია ჯერ სუბლიმაციის ცნებაზე შეეჩერდეთ, რომელიც წარმოადგენს ბაზის მიწერი ეროტიკიდან სულიერი სინათლისაკენ.

სუბლიმაცია ნიშნავს ადამიანის დაბალი აქტიურების გადართვას მაღალ აქტიობაში. ე. ი. ეროტიკული ალტიენის პასუხგაცემელია არა რეალურად, არამედ სახეცვლილი პასუხით. ეროტიკული ცეცხლი გადაქცეულია სულიერი ენერგიის წყაროდ. უეცცხლოდ შემოქმედება ცივია, სულს არ მოეკიდება და ბეტყავს. მაგრამ სუბლიმაცია ენერგიის მონაცვლეობის უბრალო მექანიკური კანონი როდია.

სუბლიმაციის შესახებ მოძღვრება თითქმის ჩამოყალიბებული სახით გვხვდება პლატონის ფილოსოფიაში. პლატონისეული სილამაზის კიბეები ნიშნავს მიწერი ეროსის მეტაფიზიკურ სიყვარულამდე, იდეის სიყვარულამდე ამაღლებას. სუბლიმაციის გარეშე არ წარმოიდგინება ქრისტიანული მორალი, ქრისტიანული შემოქმედება. სუბლიმაცია გარკვეული აზრით, ნიშნავს ხარკს, ოხერის, ტანჯვას, რომელიც ხელოვნებაში გადადნება მშვენიერ ტანჯვად, სუბლიმაციის შესახებ პირდაპირ თუ არაპირდაპირ აზრებს უხვად ვხვდებით ხელოვნებასა და ფილოსოფიაში. მათ შორის ძალზე სანტერესოა ფროიდისეული სუბლიმაციის გაგება.

სუბლიმაცია ფროიდის მიხედვით არ განეკუთვნება ნორმალური სექსუალურ მიდრეკილებას. სუბლიმაცია ისეთი პროცესია, რომელის დროსაც განსაკუთრებით ძლიერი ენერგიული ალგზნებები გამოსავალს და გამოყენებას პოულობს სხვა სფეროებში. ასე რომ მიიღება ფსიქიური შრომისუნარიანობის მნიშვნელოვანი ამაღლება თავისთავად სახიფათო მიდრეკილებებიდან.[9]

ფსიქიანალიზი ადამიანის არსების კვლევის ისეთი კუთხით აწარმოებდა, რომლისადმი მეცნიერები სავალებულო ზომის გაუგარლობასაც ვერ იჩენდნენ და არ ფარავდნენ ზიზღს მისადმი. მაგრამ ფროიდი მთ საყურადღებოდ აცხადებს, რომ ფსიქოანალიზი, რომელსაც ასე ზიზღით უყურებენ, ძალიან ახლოსაა „ღვთაებრივი პლატონის ეროსის ცნებასთანო.[10]

მაშასადამე, ეროტიკული წუხილი ხელოვნაში აღწევს არა რეალურ განმეტტკას, არამედ სულიერ განმეტტკას. ეროტიკული გზენა ეს არის ენერგია, რომელე სჭირდება სულს შემოქმედებისათვის, მაგრამ თვით ეროტიკა დიფერფულა ეოთარეა სფენქსი. როდესაც ეროტიკული გზენა თავის წვაში სულიერ ფაქტად იქცევა, ეს არის გზნება სულიერი შემოქმედებისა, რომლის წყალობად მიიჩნიან მხატვრული სახე ბეატრიჩესი, ლოტესი და ა. შ.

ქვეცნობიერი ისწრაფვის გააღწიოს ცნობიერში. იქ, საზღვარზე მას ჰყავს მეალრი მოყურადე — სარცხვილის გრძნობა, მაგრამ ქვეცნობიერი მაინც ახერხებს ცნობიერებაში გაღწევას სახეცვლილი ფორმებით. იგი ცნობიერებაში გამოჯრთის, როგორც ითქვა, სიზმარში ან ხელოვნებაში. ეს არის ფროიდიზმის პრინციპი.

ეროტიკულმა ენერგიამ რომ ხელოვნებაში მხატვრული სახე მიიღოს, იგი გადის სიმბოლიზაციის გზას. ფროიდი იკვლევდა ფსიქიურად დაავადებულებს, რომელთა ჭკუიდან შეშლის მიზეზი სულ შორს იმალებოდა. ახლოს პაციენტები კი სხვა მოტივებს ამყოვნებდნენ. ფროიდი მიდიოდა შორს და საღიაც აღმოაჩენდა ამ ავადმყოფის დაუკმაყოფილებლობის ისეთ მიზეზს, რომელიც თვით ავადმყოფს მიხედვით პირველ მიზეზად არც ჩანდა. ასეევე ეროტიკული გზნება იმას კი არ ნიშნავს, რომ მხატვარი ამ ცეცხლს მხოლოდ რომანულ ეპიზოდებში განახორციელებდეს. ეს ეროტიკული ლტოლვა ისეთ ფორმებადაც იქცევა, რომელშიც ჩვეულებრივად არაფერი ჩანს, ეროტიკისა. მაგრამ ამნაირ ღრმა, დიდ შემოქმედებით ენერგიის ელექსირად თვლან სწორედ ეროტიკას.

მაშასადამე, ეროტიკა განაპირობებს ფანტაზიის მოქმედების მასშტაბს, მის ტემპერამენტს. ანდა ასეთი მაგალითი: შიშისაგან ადამიანს შეიძლება კუნძი ადმინად მოეჩვენოს (ფრო-

დის მაგალითია). შიშმა კიდევ უფრო შეიძლება ეს სიმბოლოზაცია განაეთროს. ეს კუნძი ადამიანის უბრალო მოლანდებად კი არა, შეიძლება ცხენიან კაცად ექცეს, რომელსაც ეთქვათ ეხური ქუდი, ჰქონდა გრძელი წვერები და ა. შ. ამიტომ ამტკიცებს ფროიდი; რომ პირველი მითი ეს იყო არა მითი სამყაროს შექმნის შესახებ, არამედ ფსიქოლოგიური მითი.

სუბლიმაციას მხოლოდ ხელოვანთა თავისებურებად როდი მიიჩნევენ. ეს არის აგრეთვე დიდ პიროვნებათა დამახასიათებელ ნიშნად მიჩნეული რამ. მართლაც, დიდი კაცობა ეს არის, ბრძოლა თავის თავთან; დაპყრობა თავისი პიროვნული მდიდარე ქარტეხილებისა, დიდი ვულკანური ენერგიის წარმართვა საკვეყნო საქმეებისაკენ; მაშინ კაცის ენერგიას განზომილება არა აქვს. „გენოსი — ეს არის მოთმინება".

როგორც ვხედავთ, სუბლიმაციის მოძღვრებას საკმაოდ დიდი რაციონალური მარცვალი გააჩნია. ეს რელიგიური მხარე უნდა ჩამოვაცილოთ მას და მრავალ შემთხვევაში იგი სასარგებლო თვალსაზრისია. ძველი დროიდან ცნობილი აზრია: დიდი კაცი ის კი არ არის, ვინც იმას აკეთებს, რაც მოუბრიანება, არამედ ის, ვინც იმას აკეთებს, რაც იდეისთვის არის საჭირო. რაც შეეხება დონ ჟუანსა და ფაუსტს, ეს ამ თვალსაზრისით, მათ სუბლიმაციის ნატამალი, არ გააჩნიათ. დონ ჟუანს არათუ ქვენა გრძნობები აპყავს ზევით, არამედ პირიქით, პიროვნების ყოველ სულიერი სამკაული, ცოდნა, განათლება, კულტურა ზემოდან ჩაპყავს ქვესკნელში. იგი სულს ეროტიკის ქვეშდებარედ ხდის.

მაგრამ კაზანოვას მხატვრული შემოქმედება არ არის სუბლიმაციის ნაყოფი და არც იმას ამტკიცებს, სუბლიმაცია არ არის საჭირო შემოქმედებისათვის.

კაზანოვა ლიტერატურის ისტორიაში როგორც საინტერესო პერსონაჟი ისეა შესული. იგი ლიტერატურის ისტორიაში კოლორიტული პიროვნებაა, როგორც „ბრწყინვალე ყალთაბანდი". ბრწყინვალედ ამბობს სტეფან ცვაიგი: „სტენდალის ერთი საბრალო რომანული გმირის ერთი — ერთადერთი განცდა ამამღლებელი გრძნობის წყალობით უფრო მეტი სულერი სიღრმისაა, ვიდრე სამიათასი ღამე კაზანოვასი... მთელი თექვსმეტი ტომი მისი მემუარებისა გრძნობის სიღრმესა და სულის ეკსტაზს ნაკლებ გვიმეღლავენს... ვიდრე ოთხი სტროფი გოეთეს ლექსისა".

შენიშვნები:

[1] Луначарский, И. Ленау и его поэмы, с. Петербург 1904 г. стр. 100.

[2] Hegel. Begrif der Religion s. 99.

[3] Томас Манн, Эротика Микеланджело, т. 10.

[4] З. Фрейд, Очерки по психологии сексуальности, Москва, Петроград, выпуск VIII, стр. 117.

[5] Karl Dietz Peter G. Hesse, Wörterbuch der Sexuologie und ihrer Grenzgebiete.

[6] იქვე

[7] იქვე

[8] С. Цвейг, три певца своей жизни, Казанова.

[9] З. Фрейд, очерки по психологии сексуальности, стр. 112.

[10] ფროიდის დასახ. ნაშრომი, ვვ. 10.

რუსთაველის ნაკვალევზე

ალექსი ჭინჭარაული

დიახ, 1113!

გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (1976 წ. 16/1, № 3), დაბეჭდა რამაზ პატარიძის წერილი სათაურით „1113?“ ეს ციფრი გახლავთ ნომერი „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი სტროფისა (ნუმერაცია ვეფხისტყაოსნის დამდგენი კომისიის 1966 წლის საიუბილეო გამოცემისაა. იმავე წელს ა. შანიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით გამოცემულ ტექსტში ამ სტროფის ნომერია 1125. ჩვენ ქვემოთ ორივე ნომერს მივუთითებთ). ვითარება ასეთია: ფატმანი უამბობს ავთანდილს ნესტანთან პირველად შეხვედრის ამბავს:

> დღე მოვიდა ზავროზობა, დედოფალსა
> ძღვენი ვსძღვენით:
> ჩვენ მივართვით, მათ გვიბოძეს ავთვესენით,
> ავთვესენით;
> ჟამიერად მხიარულნი წამოვედით ნებით
> ჩვენით,
> კვლა დავსხედით გახარებად, უნებურნი არ
> ვიყვენით (1112/1124).
>
> ბაღსა შიგან თამაშობად საღამოსა გავე
> ჟამსა,
> გავიტანე ხათუნები — მათი ჭმევა
> ჩემგან ხამსა;
> მომყვებოდეს მომღერალნი, იტკოდიან
> ტკბილსა ხმასა,
> ვიმღერდი და ვყმაწვილობდი,
> ვიცავალებდი რიდე-თმასა (1113/1125).
>
> იქ ბაღსა შიგან ტურფანი სახლნი,
> ნატიფად ვეშენენი,
> მაღალნი, ყოლგნით მხედველნი, ზღვას
> ზედა წაკიდებულნი;
> მუნ შევიტანენ ხათუნნი, იგი ჩემ თანა
> ხლებულნი,
> კვლა დავიდენით ნადიმი, დავსხედით
> ამოდ შვებულნი (1114)/1126).

რ. პატარიძე აღნიშნულ წერილში ჩანართად, ინტერპოლატორის ნახელავად მიიჩნევს 1113 (1125) სტროფს. მკვლევარის ძირითადი არგუმენტები ასეთია:

1. „1113 სტროფის „ბაღსა შიგან თამაშობად... გავე“ — სრულიად უადგილოა, რადგან დარბაზობიდან დაბრუნებულნი ქალები ფატმანის სახლში ნადიმად სხდებიან“. ვითარება ასეთია: დარბაზიდან დაბრუნებული ხათუნები, მეფისგან გამასპინძლებულნი და საჩუქრებით ხელდამშვენებულნი, ფატმანისას ბრუნდებიან, სხდებიან „გახარებად“, სამხიარულოდ (ალბათ იმ დღის შთაბეჭდილებებს უზიარებენ ერთმანეთს...). გარკვეული დროის შემდეგ, „საღამო ჟამს“ ბაღში გადიან და იქ „ყვლა დაიდებენ“ ნადიმს. არ გვესმის, რად არის „სრულიად უადგილო“ „ბაღსა შიგან თამაშობად... გავე“? განა თამაშობა,„ყმაწვილობა“ და ნადიმი ერთმანეთს გამორიცხავენ?•

2. „1113 სტროფის „საღამო ჟამი“ აგრეთვე გაუმართლებელია, რადგან ნადიმის შემდეგაც კი საღამოს ჟამი არ დამდგარა“. საიდან ჩანს ეს? უნდა შეენიშნოთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ „საღამო-ჟამი“ არ არის შეღამება ან მიმზუერი. მოვუსმინოთ თვითონ ფატმანს. ფატმანი ავთანდილს უამბობს, თუ როგორ გაიგო მისგან გასტუმრებული ნესტანის დატყვევების ამბავი:

> „დღესა ერთსა, საღამო-ჟამ, ჩასვლა იყო
> ოდენ მზისა, —
> წავდეგ წინა დარიჯაგთა, კარი მინნდა ხანაგისა..“ (1216).

და ისევ ნესტანზე ვფიქრობეო. საიდანღაც ჩემს ბაღში მონუნგ. შემოვედნენ, სეფრა გაშალეს და ერთმანეთს თავთავიანთ ამბავს უამბობდნენო. შემდეგ ფატმანი უყვება ავთანდილს, თუ როგორ უამბო მეინნდებისა ერთ-ერთმა ნესტანის შეპყრობის ამბავი, როგორ ამოიყვანა ფატმანმა ის კაცი, როგორ აამბობინა ნესტანის შეპყრობის ამბავი დაწერილებით და სხვ. ყველაფერი ეს დაიწყო „საღამო-ჟამ“, მზის ჩასვლის დროს და, ალბათ, შებინდებისას დამთავრდა.

სადავო სტროფშიც „საღამო ჟამი“ არც ადრეა და არც გვიან. მზის გადახრისას გავდნენ, „ნადიმი დაიდეს“, მხიარულობა დაიწყეს,

მაგრამ ფატმანს რატომღაც გუნება გაუფუჭდა **და** ხათუნებმაც მარტო დატოვეს, გამოეშვედონენ. ფატმანი ზღვას გასცქეროდა. ამ დროს მოაყენეს ნაპირს კიდობანი ქაჯებმა. ფატმანმა მონებს ქაჯები დაახოცინა და ნესტანი სახლში ამოიყვანა. დროის თვალსაზრისით ეს არავითარი შეუსაბამობა და დარღვევა არ გახლავთ.

3. „1113 სტროფში დარღვეულია რუსთაველური რითმის კანონზომიერება. ორ შემთხვევაში სარითმო ერთეულად გვაქვს ა მ ს ა, ხოლო ორ შემთხვევაში მ ა ს ა“. არც ეს ბრალდება ივარგებს სადავო სტროფის ჩანართობის დასამტკიცებლად. „ვეფხისტყაოსანში“ არის შემთხვევები ოროონი სტროქონის შერითმვისა. ერთი მაგალითი:

„მე ვარე ამა წიგნისა პასუხი
მოგითვიდოდეს,
ვსცნობდე, განდოდე საკლავად, ან ჩემი
რა გაგვიდოდეს,
მუნამდის გავსძლო სულთა დამა, გული
რაზომცა მტკიოდეს;
სიცოცხლე ანუ სიკვდილი გარდმიწყვეს,
ნეტარძი, ოდეს!“ (1088 1076).

4. „ამგვარად, 1112 სტროფს უშუალოდ აგრძელებს 1114 სტროფი, რაც შეეხება 1113 სტროფს, იგი უთუოდ ჩანართია, რადგან არ ეთანხმება თხრობის შინაარსს“. ჩვენ კი ეფიქრობთ, რომ სწორედ 1113-ე (1125) სტროფის ამოღება დაარღვევს თხრობის თანმიმდევრობას და გაადარბებს, გაამუნდოონებს მის შინაარსს. თუ 1112 (1124) სტროფიდან პირდაპირ გადავალთ 1114-ე (1126-ე) სტროფზე, გაუგებარი იქნება ამ უკანასკნელის დაწყება სიტყვით „იქ“, რაც ადგილის გარემოების კორელატია თხრობაში. ბუნებრივად დაიბადება კითხვა: სად „იქ“? ზემოთ ხომ არსად არის ნახსენები ადგილი, რომ ამ „იქ“-ს გამარტება ჰქონდეს მომდევნო თხრობაში. მართალია, ნათქვამია: „იქ ბაღსა შიგან“-ო, მაგრამ ეს არ შველის სამქმეს, არ ხსნის კითხვას. ასევე გაუგებარი იქნებოდა, **რომ** ეს სტროქონი „იმ“ ნაცვლასახელით იწყებოდეს: „**იმ** ბაღსა შიგან“... მაშინაც განხდებოდა კითხვა: **რომელ** ბაღში ან სად ბარიო?

როცა ტექსტში ზმნიზეა „**ფუნ**“ ან „**იქ**“ არის ნახმარი, ეს იმის ნიშნავს, რომ ამას უძღვის რომელიღაც ადგილის, გეოგრაფიული პუნქტის დასახელება. აი, რამდენიმე მაგალითი „ვეფხისტყაოსნიდან“: „ეცხო **ეცხოოთ ადგილთა** საძებრად იარებოდა... **მუნ** ეძებს (181,3/182,1) 178,3/179,1); „**ქაჯანნი** წყაზმან დევთათვის... **მუნ** ასმათ ახლავს მარტოს“ (998, 1-2, 1986, 1-2); მივიდეს **პირსა დიდისა ზღვისასა**... **მუნ** დაადენდეს ნაკადსა... (1022,1-3, 1010,1-3); **ქვაბი** დახედა კარ-განხმული... **მუნით** ქალი გამოიჭრა (231,2-2 227,2-3); ჰხედოო **ბანსა** ზე-და-ქვე მდგომელსა? **იქი** წევს ძილად“ (1113, 3-4, 1101, 3-4) და სხვ.

„იქ“ ზმნიზედას ზხოლოდ მაშინ ექნება გამართლება, თუ დავტოვებთ სადავო 1113-ე (1125-ე) სტროფს, სადაც ამ „იქ“-ში ნაგულისხმევი სიტყვებია: „**ბაღსა შიგან**“...

5. „მხატვრული თვალსაზრისით სტროფი მდარეა“. სიუჟეთი არა ჩანს. არა გვგონია, რომ ეს სტროფი მის წინა და მომდევნო სტროფებს მხატვრული თვალსაზრისით ჩამოუვარდებოდეს. მომდევნო სტროფის **ორი** სტრიქონი ვრცელი წინადადებაა, რომელსაც შემასმენელი აკლია, მაგრამ ამის გამო მას არავინ იწუნებს, რამეთუ ასეთი შემთხვევები სხვაც არის პოემაში. სადავო სტროფის სიტყვიერი ქსოვილი რუსთველურია, არაფერს ეტყობა „სიახლე“ და არაფერია რუსთველის ენისთვის შეუსაბამო.

ამიტომ ვერ დავიჯერებთ ქკვლევარის მკაცრ განცხადებასა და განაჩენს: „სტროფის გაძეგება მოსპობს იმ შინაარსობრივ უთავბოლობას, რომელიც ახლა გვაქვს; ვეფხისტყაოსანს მოვაშორებთ მხატვრულად მდარე და რითმულად გაუმართავ სტროფს“.

ჩვენ მიგვაჩნია, **რომ** 1113-ე (1125-ე) **სტროფი** რუსთველისეულია **და** „**ვეფხისტყაოსნის**“ ტექსტში მისი ყოფნა-არყოფნის **საკითხი** არ უნდა დადგეს.

უშანგი ჭეჭინაძე

„თამამ“ ვერ ითქვა თამამად

ევროპელები გაგოსავალს ეძებენ

„თამამ“ თურქული სიტყვაა და ამერიკელთა „ო'კეის“ მსგავსად, შეთანხმების, მოლაპარაკების, საკითხისა თუ პრობლემის გადაჭრისაც ნიშნავს. ამიტომაც ელოდნენ მას ევროელ მოყვარულები და სპეციალისტები, რომლებიც ამას წინათ ზმირის თათიურქის სახელობის სტადიონზე თვალს დევნებდნენ ევროპის IV პირველობას იუნიორ მოკრივეთა შორის.

სადღეისოდ კი სპორტის ამ სახეობაში გადასაჭრელი საკითხები ევროპელებს ზომაზე მეტი აქვთ. სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, შარშანწინ გამართულ მოყვარულ მოკრივეთა პირველ მსოფლიო ჩემპიონატზე „ძველი ქვეყანა“ წარმომადგენლებმა სამი ოქროს მედლის მოპოვება შეძლეს მხოლოდ. ორი მათგანი საბჭოთა სპორტსმენებზე ვ. სოლომინსა და რ. რისაკოვზე მოდის. წელს მონრეალის „ფორუმის“ ოლიმპიურ რინგზე კი ორად-ორმა ევროპელმა მოიპოვა XXI თამაშების ჩემპიონობა.

და ვინ, თუ არა იუნიორმა, რომელსაც ესესაა შეუსრულდა 19 წელი და ჯერ კიდევ ყველაფერი წინა აქვს, უნდა გადაჭრას ეს პრობლემები?

მთელი სირთულე კი იმაში მდგომარეობს, ამთავითვე რამდენად სწორ გზას ადგანან ჭაბუკები, რას გვპირდებიან ისინი საბჭოეთდა ბოლოს, შესწევთ, თუ არა უნარი, ოლიმპიურ რინგზე ტყვიის ხელთათმანის ისეთი ოსტატები შეეცალონ, როგორებიცაა ლასო ლო პაპი, ე. კულეი, ბ. ლაგუტინი და სხვები.

ეს საკითხი მთელი სიმწვავით დგას დღის წესრიგში, რადგანაც მსოფლიო ჩემპიონატზე, ასევე, ოლიმპიურ თამაშებზე, ოქროს საკმაოდ დიდი „ულუფა“ ამერიკის კონტინენტის მკვიდრთ ხვდა.

უმეტესობა ამას ევროპაული კრიეის ზედმეტი „ჰუმანურობით“ ხსნის. უფრო სწორად კი, უეცმაყოფილობას გამოთქვამენ ასპარეზობის წესების გამო, რომელიც რინგის კვადრატზე ძალზე ზღუდავს სპორტსმენს და თავისუფალი მანევრირების საშუალებას არ აძლევს. თავის მხრივ, ამას შეიძლება გამართლებაც ქქონდეს, რადგან ყველაფერი ეს მოსალოდნელი ტრამვების თავიდან აცილების მიზნითაა, მაგრამ დღეს ევროპელი სპეციალისტები გადაჭრით მოითხოვენ, კრივი უპირველეს ყოვლისა, ეთქვაცთა სახეობაა, როგორც ჰემინგუეი ამბობდა, „ეთქვაცებს ბრძოლა სჩვევიაო“ — ამიტომაც, მოდით, ნუ შეეზღუდავთ მათ და, თქვენ წარმოდგენით, ის ტრამვებიც დღევანდელთან შედარებით გაცილებით ნაკლები იქნებაო.

მეორენი უფრო ლოიალურ გზას, ფეხბურთელთა მსგავსად, საკონტინენტთაშორისო თასის მაგვარ პრიზის დაწესებას თავაზობენ სამოყვარულო კრიეის საერთაშორისო ასოციაციას, რის შედეგადაც ორივე მხარე — როგორც ევროპიელები, ასევე ამერიკელები, საქმის ვითარებაში გარკვეულნი იქნებიან, თუ რა ხდება მათ რინგებზე.

უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ფედერაციებმა უკვე გადადგეს გარკვეული ნაბიჯი. ტრადიციად იქცა ნაკრებთა სამატჩო შეხვედრები. ამას ამავე ქვეყნების მძიმეწონასნთა ასპარეზობაც დამატება, რომელიც მეორედ გაიმართა ამერიკის რინგზე.

იქნება არცაა საჭირო, რომ ჭაბუკთა პირველობას ამდენი მოვთხოვოთ? სწორედ რომ, ეს სავსებით დროული, რადგან 19 წელი, მიუხედავად მცირე ცენზისა, ისეთი ასაკობრივი ხანაა, როცა ჭაბუკმა დიდი სპორტის კარი უნდა შეაღოს. უფრო მეტიც, მას დღეს თუ არა, ხვალ მაინც შეუძლია, ეროვნულ გუნდში თავისი ადგილი დაიკავოს. სწორედ ამიტომაც მოითხოვენ ასე დაბეჯითებით „თამამს“ კრიეის სპეციალისტები.

ჯერ კიდევ ასპარეზობის დაწყებამდე, რომელშიც, 19 ქვეყნის 116 მოკრივე გამოდიოდა, ყველაზე უფრო გდრ-ისა და პოლონეთის მოკრივეთა აქციები ფასობდა. ეს იმით იყო გამოწ-

ვეული, რომ ის-ორად-ორი ევროპელი ჩემპიონი, რომელიც მორეალის რინგმა დაასახელა, სწორედ ამ ქვეყნების ეკუთვნის, უფრო კი გერმანელთაგან ელოდნენ წარმატებას, რადგან თავიანთივე განცხადებით მათ მიერ დაგმობილ იქნა ისეთი კრიჟი, რომელშიც თამაშის ელემენტები ჭარბობს და უხეში ძალა უფრო წარმოჩინდება. ეს უკანასკნელი კი, როგორც თვით დრომ დაგვანახა, წარმატების უტყუარი საწინდარია: ამიტომაც ფიქრობენ, რომ გდრ-ის გუნდი იქნება ასპარეზობის ფავორიტი. პირველობის მთავარი სენსაცია სწორედ გდრ-ის სპორტსმენთა ხელმოკლეობა გახლდათ. ისინი სამდაესამი სპორტსმენით წარსდგნენ ფინალში, რომელთაგან ვერც ერთი ვერ ეღირსება ოქროს მედალს.

საპაჟიო კონტროლი

კარგა ხანია რაც სსრ კავშირის საზღვრების საპაჟიოებზე აკრძალულია ჩვენი ქვეყნიდან ხელოვნების ნიმუშისა და ფუნჯის ოსტატთა ნახელავის, აგრეთვე გამოყენებითი ხელოვნებისა და სხვა ძვირფასეულობათა საზღვარგარეთ გატანა. ამ შერეტტიევის საერთაშორისო ფერფლიმპზე კი, ორი ვეფკაცი ჩასჯდებოდა ვეუბერთელა ვერცხლის თასს, რომელზეც ლამაზი ორნამენტების გვერდით ბინა მფლობელის ვინაობა ყოო ამოტეიფილი და მოსკოვი—ანკარას საერეთო თვითმფრინავისაკენ მიემართებოდნენ.

თასს ვერ გაგაგატანთ! — მტაციდდ განაცხადა საბაჟოს მსახურმა ქალმა და ვეფკაცებს გზა გადაუღობა. ქალის ასეთ კატეგორიულ განცხადებას სპორტსმენებმა ღიმილი შეაგებეს მხოლოდ.

ეს ხომ სპორტული რელიქვიაა, მოკრივეთა საერთაშორისო ასოციაციის ყოფილი პრეზიდენტის გ. ბერეშს პატივსაცემად დაწესებული სპეციალური ჯილდო სიეკეთესო ტექნიკისათვის, რომელიც ჩვენმა მოკრივემ წინა პირველობაზე მოიპო�ა. გარშემენებთ, პრიზი ამჯერადაც კვლავ საბჭოთა კავშირში ჩამოვა, აი, ნახავთ თუ არა. მას ბიჭები არაფრით არ დაუთმობენ ვინმეს. ისე რომ თასი მხოლოდ ათი დღით ტოვებს ჩვენს სამშობლოს და ისევ დაბრუნდება! — უხსნიდნენ ქალს მოკრივეები, მწერთნელი ა. ჩიბიტარიოვი, დელეგაციის ხელმძღვანელი და, როგორც იქნა, საბაჟოს მუშაკი დაიყოლიეს, მაგრამ პროფესიამ მაინც თავისი ქნა და მსახურმა უნდო, მკაცრი მზერა გაეყოლა თასს. — ჯილდოა! კვლავ ჩამოვიტანთ! — წაიდუდუნა მან თავისთვის.

ანკარელი ჩემპიონი

ევროპის მეოთხე იუნიორთა ჩემპიონატის გახსნის დღეს დაემთხვა დიდი მუსლიმანური დღესასწაული, რომელსაც ჩვენში ბაირამობას უწოდებენ. — ჰოდა, ამ „შექერ-ბაირამმა“ ისეთი საყოველთაო აღტაცება გამოიწვია, რომ ყოველგვარ სასპარეზო აკიოლეტერ გადაკარგა. მაგრამ უშველი ჩემპიონატის დღეებმა დგავარწევა, თურქები ბაირამზე ნაკლებ პატივს არ სცემენ სპორტს.

მარტო იმის თქმა, რომ თურქებს სპორტი უყვართ და ძალზე გულშემატკივრობენ თავისიანებსო, კიდევ არაფერს ნიშნავს, რადგან მათი ქომაგობა რომ სრულად აღიქვა, ეს თავად უნდა ნახო.

შექსიკელთა „რა-რა-რა — მეხიკოს მსგავსად“, იქაურ გულშემატკივრებსაც აქვთ თავიანთი მოძახილი. „„თურქია! თურქია!““ რომელიც თან სდევდა თურქი მოკრივის გამოსვლას და ორთაბრძოლის დამთავრებამდე არ წყდებოდა.

ყველაზე დიდხანს „თურქია“ მასპინძელი ჯაპეკის, ანკარის კოლეჯის ფიზიკულტურის ფაკულტეტის პირველკურსელ ქოიქსალი ოზოგლოიზის ვასაშხნეველდლად შემორჩა ტრიბუნებს, რადგან მისი თანაგუნდელები პიელენ ანგანი და სალი ოზოიერი მხოლოდ ნახევარფინალამდე მიეიდნენ და ბრინჯაოს მედლებს დასჯერდნენ.

ქოიქსალიმ კი ფინალში თვით ბალკანეთის ტრადიციული ტურნირის გამარჯვეული რუმინელი პოსტოლაკიც დაამარცხა და თავის სამშობლოს ევროპის ჩემპიონის (თუმცა იუნიორთა) ოქროს მედალი მოუტანა. ამის გამო ოზმირის სპორტული გაზეთი წერდა: „ჩვენც გვყავს ევროპის ჩემპიონი. ეს თურქეთის კრიჟის უდიდესი წარმატებაა, რადგან იგი მოპოვებულია უდიდესი სპორტული ქვეყნების — სსრ კავშირის, გდრ-სა და სხვა სოციალისტური ბანაკის წარმომადგენელთა პირისპირ ბრძოლებში. ამიტომაც ამ ტიტულის მოპოვება ძალზე ბევრს ნიშნავს“.

სხვათა შორის, პოსტოლაკი ერთადერთი რუმინელი ფინალისტი არ ყოფილა. მასთან ერთად სამი მისი თანამემამულე იბრძოდა ჩემპიონის სახელისათვის. მათგან მხოლოდ პირველმა, უმჩატესი წონის 6. შეითანმა მოიპოვა ოქროს მედალი. ჯორჯია და ჯურჯუ ვერცხლს დასჯერდნენ.

საპაჟოული ფინალი

ოზმირის ათათურქის სტადიონის დასავლეთ ტრიბუნის წინ აღმართულ რინგზე ექვსდღიანი ბრძოლების შედეგად კონტინენტის 11 ახალი ჩემპიონი გამოვლინდა. ეს მხოლოდ განაცხადი, ან მათი სავიზიტო ბარათები უფროა, რომელთაც მსოფლიო სარბაილზე თავიანთი სახელების დასამკვიდრებლად დიდი და მძიმე ბრძოლები ელით.

ფინალი სსრ კავშირისა და ევროპის ნაკრე-

ბნო მატნნ უფრო ჰგავდა და ეს შეხვედრა საბჭოთა გუნდის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. ჩვენმა ექვსივე სპორტსმენმა, რომლებიც იმ საღამოს გამოდიოდნენ, ბრწყინვალედ წარმართა ეს საპასუხისმგებლო ორთაბრძოლები და ყველა უკლებლივ, ეფრპპის ჩემპიონის საპატიო სახელს ეზიარა. მათ პატივსაცემად ექვსჯერ აფიცრდა სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნი.

მართალია, პირველი ჯილდოს გთამაშუბაში ჩვენი სპორტსმენი არ მონაწილეობდა და იგი გდრ-ს წარმომადგენელ კეპბპისა და რუმინელ შეთიანს შორის გამარჯვებულ რუმინელ სპორტსმენს ხვდა, მაგრამ მომდევნო წყვილების შეხვედრებში ტონის მიმცემნი საბჭოთა მოკრივეები იყვნენ.

ოქროს მედლების ანგარიში მეორე უმჩატესი წონის ტამპოველმა ნიკოლოზ ხრაკოო

რადგან იგი უფრო დაუნდობლად უმასპინძლდებოდა მუქარით ფრეზიერს და კარგა ხანს ვერ დაითაკა მოჭარბებული ტემპერამენტი, რასაც შემდგომ რინგზე მისი გამარჯვება მოჰყვა.

ბევრ ჩვენგანს ეკვნა, რომ ყველაფერი ეს ოუნიორთა ჩემპიონატის დღეებში განზრახა კეთდება, რათა მომავალ ასპარეზობას მეტი რეკლამა ჰქონოდა... მაგრამ ასე არ ყოფილა. მალე გაირკვა, რომ ალი ნიუ-იორკის მედისონ სკვერ გარდენის რინგზე უნდა შეხვედროდა ჯ. ნორტონს. თურქეთის ტელევიზიას ეს ბრძოლა პირდაპირ რეპორტაჟით უნდა გადმოეცა და სწორედ ამას ემსახურებოდა ეს წინასწარი დიდი სატელევიზიო კომპანია.

და მართლაც, ამ მატჩის დღეს, დილის 4 საათზე (ადგილობრივი დროით) სასტუმრო „კარაჩას“ ჰოლში საშუალება გვქონდა, თანამედროვეობის ამ ორ უდიდეს მოკრივეთა შერკინება გვეხილა.

მოგეხსენებათ, ჩვენი დელეგაცია უმთავრესად კრიფის სპეციალისტთაგან შედგებოდა და ყველა კარგად ერკვეოდა სპორტის ამ ეფექტური სახეობის წვრილმანებშიც კი. ამიტომაც მათი აზრი მართლაცდა საინტერესო იყო ნორტონ-ალის ბრძოლის შესახებ, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ვეტერანთა დასკვნა არ იყო ერთიანი და ბევრი გაწბილებულიც კი დარჩა, რადგან სპეციალისტთა აზრი ორად გაიყო.

მაგალითად, ჩვენი ქვეყნის ექს-ჩემპიონ ანდრო ნასარდოვის აზრით ალი, ამ ბრძოლაში, დამარცხდა, რადგან შეხვედრის ნახევარზე მეტი „ყრუდ დაცვაში“ გაატარა. აი, ჩვენი ქვეყნის მეორე ექს-ჩემპიონი ვ. სოკოლოვზე სულ სხვა შთაბეჭდილება მოახდინა ალის გამოსვლამ.

მართალია, ალი უფრო დაცვაზე ზრუნავს, — თქვა ვ. სოკოლოვმა და ხმიერად „ყრუ დაცვასაც“ კი არ თაკილობს, მაგრამ ამა, მიაქციეთ ყურადღება, მისი მეტოქე ამ დროს ქულასაც კი ვერ იძენს. მაგრამ როცა ალი მეშუბაზს, იგი ექსტრა კლასის მოკრივეა და მაშინ ყოველგვარი ეჭვი იფანტება და იმის ნასახიც კი არ რჩება მაყურებელს, რომ ჯერ კიდევ წინა რაუნდში ეს მოკრივე „ყრუ დაცვაში“ იმყოფებოდა. ამაშია მისი სიდიადე...

ერთი სიტყვით, როგორც ზემოთ ითქვა, ჯგუფი, ამ საკითხთან დაკავშირებით, „რა“ ბანაკად გაიყო, მაგრამ აზრად არავის მოუვიდოდა ის, რომ ეს ალის უკანასკნელი ბრძოლა იყო.

მსოფლიო პირველობის მატჩის დამთავრებისთანავე მუჰამედ ალის რინგის დატოვება გადაუწყვეტია და ამიერიდან იგი ისლამის სამსახურში უნდა ჩამდგარიყო. სწორედ ამ მიზნით ეწვია იგი იმავე დღეებში მაჰმადიანური სარწმუნოების ცენტრს — სტამბულს.

აქ აშშ-ს შავი მუსლიმანების ლიდერის ვალას მუჰამედის თანდასწრებით ქალაქის პრეფექტურაში გამართულ პრეს-კონფერენციაზე მსოფლიო ჩემპიონი ჟურნალისტთა წინაშე წარმდგა, სადაც უკვე სრულიად ოფიციალურად განაცხადა, ვეტოვებ რინგს და ამიერიდან ისლამის ერთგული მსახური ვიქნებიო. ამის შესახებ იუწყებოდა იზმირის სპორტული გაზეთი — „სპორტი“ და ალის ამ გადაწყვეტილებისათვის მეტი დამაჯერებლობა რომ შეემატებინა, იმავე გაზეთმა სტამბულის მიზგითში ფეზმორთხმეული ალის სურათიც კი გამოაქვეყნა, სადაც ჩემპიონი მლოცველთა შორისაა.

ამ გადაწყვეტილებას ფრანგულმა გაზეთმა „იუმანიტემ“ ასეთი კომენტარი გაუკეთა:

„ყველასათვის ცნობილია, რომ მოძრაობა — შავი მუსლიმანები, თავისი ბუნებით სულაც არაა აგრესიული — მაგრამ ამჟამად იგი აშკარად ემუქრება მუჰამედ ალის კარიერას.

ამავ „იუმანიტეს“ ცნობით, ქ. მიიამში ალის მწვრთნელს ანეკეო დანდის უთქვამს, რომ მას სულაც არ უკვიჩის ალის ასეთი განცხადებისა. ეს უფრო წინასწარ მოფიქრებული სიუჟეტს ჰგავსო და ეს პირველი შემთხვევა არაა, როცა მას რინგის დატოვება სურს. მას კიდევ შეუძლია შეიცვალოს აზრი...

და მართლაც, მალე ცნობილი გახდა, რომ 1977 წლის 28 თებერვალს ალი კვლავ გამოვა სარბიელზე, სადაც იგი ბობპაკს უნდა შეხვედროდა...

იზმირი — თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ გუაჩიძე

უდანაშაულო მურია

ერთმა მეცხვარემ თქვა, ორ სკამზე მჯდომარეს სქელი დუმა უნდა ჰქონდესო.

მეორემ დაუმატა, თუ გაგიორდა, სქელდუმიანი ნახევარ სკამზედაც მოეწყობაო. მესამემ დასძინა, თქვენ სკამისა რა იცით, მთელი სიცოცხლე ცხენივით ფეხზე გაგიტარებიათო.

ბატკან ამაზე ჩხუბი, კომბლების ტრიალი და ორიოდე წუთში სამივენი თავზე კოპებს ითვლიდნენ.

დაშოშმინების შემდეგ პირველმა წამოიძახა, ჩვენ დუმებზე ვლაპარაკობდით, თავი კი გავიტეხეთო.

მეორემ აქაც დაუმატა, ფუ, ჩვენს ჭკუასაო.

მესამე ჩუმად იყო, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ სათქმელი არაფერი ჰქონდა, პირიქით, გრძელი სიტყვისათვის ემზადებოდა და იტყოდა კიდეც, რომ ამ დროს ფარაში ჩოჩქოლი არ ატეხილიყო. თურმე მგელს ბატკანი მოეტაცა, ზურგზე მოეგდო და ბუჩქებისაკენ მიეკანებდა.

მეცხვარეები ყვირილით მგელს დაედევნენ და ბატკანი გაიგდებინეს, მაგრამ მას უკვე ალარაფერი ეშველებოდა.

როდესაც მეცხვარეები ბატკნის მწვადს მიირთმევდნენ, ხოლო მშიერი მურია იქვე ძვლების მოლოდინში ნერწყვს ულაპავდა და მოუთმენლად წკმუტუნებდა, მესამე მეცხვარემ წაილაპარაკა, ძალიან მიყვარს ასეთი ამხანაგური სმა-ჭამაო.

ეს ამბავი შეიძლება ამით დამთავრებულიყო, რომ ფარაში ისევ ჩოჩქოლი არ ატეხილიყო. მგელს ახლა უკვე მეორე ბატკანი მოეგდო ზურგზე.

მაგასაც ხომ ჭამა უნდაო, თქვეს გამძღარმა მეცხვარეებმა და მურიას კომბალი დასცხეს, შეტალო, თვალები სადა გქონდაო.

თქვენსკენო, უპასუხებდა, ალბად, მურია, ლაპარაკი რომ შეძლებოდა...

პენსიონერები

ბაღის მერხზე პენსიონერები დამსხდარიყვნენ და წარსულის მოგონებებით ერთმანეთს ართობდნენ.

თუ რაიმე კარგს მოვსწრებივარ, — თქვა, ერთმა, — ისევ ჩემი მტრების მეოხებითაო.

მეც ასე მემართება, ამიტომ ყველა მტრად გავიხადეო. — გაიხსენა მეორემ.

მტერი და მოყვარე ერთმანეთისაგან ვერ გამირჩევია და ჩემი ბედი თუ უბედობა ვის დავაბრალოო, — ამცნო სხვებს მესამემ.

რაც თავზე გადამხდენია, ყველაფერი ჩემი თავითაო. — დასძინა მეოთხემ.

უამრავი მტრის მოგერიებამ დამავუკაცა და ერთი მოყვრის პატივმა კი გამაჩანაგო, წამოიძახა მეხუთემ.

ბედნიერი კაცი ვიყავი, სანამ ჭკუაზე დავდგებოდეო. — იხუმრა მეექვსემ.

მეშვიდემ მოისმინა ამ დროგადასული კაცთა ვარამი, ქაშველთის ტაძარს მიაპყრო თვალები და საყვედურით თქვა: შე დალოცვილო, რა დაგიშავეთ ისეთი, რომ მეხსიერება შეგვინარჩუნეო".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაბეჭდები დმიტრი ერისთავისა.

ტექნიკური ხელმძღვანელი ს. ციციშვილი.

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილება მახალებს მიიღებს არა უმეტეს ერთი საავტორო თაბახისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, შალვა დადიანის ქ. № 2.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-89-44. მდივანი-მემანქანე — 93-58-35. პ. მგ. მდივანი — 99-71-69. განყოფილებათა გამგეები — 99-85-81. პროზის — 99-84-66. ლიტერატურული თანამშრომლები — 99-75-69. „ცისკრის“ დამატება — 93-17-63. საკორექტორო — 99-85-28.

გადაეცა ასაწყობად 17/III-77 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/V-77 წ., ქაღალდის ზომა 70×108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ.-საგ. თაბახი 15,35. შეკვეთა № 970. უე 00687. ტირაჟი 31.000.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

33789

ფასი 60 კაპ.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ
ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ

ИНДЕКС 76236